ჩართულობა (Engagement/ ENG)	ENG1	სენსორული სტიმულებით გაჯერებულ მაღაზიებში ყოფნისას, თითქოს, დრო სწრაფად გარბის	Jang & Lee (2019); Abdolmohamad Sagha et al. (2022)
	ENG2	სენსორული სტიმულებით გაჯერებული მაღაზიის გარემო დასამახსოვრებელ გამოცდილებას ქმნის	
	ENG3	მაღაზიის სენსორული სტიმულები მაღალ ჩართულობას და პოზიტიურ განწყობას მიქმნის	
მყიდველობითი განზრახვა (Purchase Intention/ PI)	PI1	სენსორული სტიმულებით გაჯერებული მაღაზიის გარემო პროდუქტის შეძენის სურვილს მიძლიერებს	Abdolmohamad Sagha et al. (2022); Duarte et al. (2024)
	PI2	მაღაზიაში არსებული სენსორული სტიმულები ჩემს მყიდველობით განზრახვაზე დადებითად მოქმედებს	
	PI3	მაღაზიაში მიღებული სენსორული გამოცდილება ჩემს მყიდველობით გადაწყვეტილებას აძლიერებს	

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

მყიდველობითი ქცევა (Purchase Behavior/ PB)	PB1	მაღაზიაში მიღებული სასიამოვნო სენსორული გამოცდილების შემდეგ პროდუქტს იქვე ხშირად ვყიდულობ	Ramadhanti et al. (2024); Damberg et al. (2024); Mohammed Shaed et al. (2015)
	PB2	თუ მაღაზიის სენსორული ატმოსფერო მომწონს, ჩემში იმპულსური შეძენის სურვილი იზრდება	
	PB3	მე ხშირად ვყიდულობ პროდუქტებს ისეთ მაღაზიებში, სადაც სენსორული სტიმულებია გამოყენებული	
	PB4	მე მზად ვარ, დაგეგმილზე მეტი დავხარჯო ისეთ მაღაზიებში, სადაც გამოყენებულია სენსორული სტიმულები	
	PB5	მაღაზიებში, სადაც გამოყენებულია სენსორული სტიმულები, ყიდვა სიამოვნებას მანიჭებს	
	PB6	მაღაზიებში, სადაც გამოყენებულია სენსორული სტიმულები, ყიდვა კარგ ხასიათზე მაყენებს	

წყარო: ავტორები

ცხრილი 2. აღწერითი სტატისტიკა

	N	VIS 1	VIS 2	VIS 3	AUD 1	AUD 2	AUD 3
საშუალო მაჩვენებელი	723	4.02	3.88	3.97	3.47	3.54	3.32
დისპერსია	723	1.16	1.2	1.27	1.14	1.16	1.48
SD	723	**1.08**	1.1	1.13	1.07	**1.08**	1.22
	N	**TAC 1**	**TAC 2**	**TAC 3**	**OLF 1**	**OLF 2**	**OLF 3**
საშუალო მაჩვენებელი	723	3.72	3.61	3.68	3.75	3.86	3.93
დისპერსია	723	1.26	1.24	1.34	1.12	1.11	1.18
SD	723	**1.12**	1.11	1.16	1.06	1.05	1.09
	N	**GUS 1**	**GUS 2**	**GUS 3**	**ENG 1**	**ENG 2**	**ENG 3**
საშუალო მაჩვენებელი	723	4.3	4.27	3.63	3.46	3.6	3.53
დისპერსია	723	1.17	1.06	1.48	1.17	1.13	1.11
SD	723	1.08	1.03	1.22	1.08	1.06	1.05
	N	**PI 1**	**PI 2**	**PI 3**	**PB 1**	**PB 2**	**PB 3**
საშუალო მაჩვენებელი	723	3.42	3.51	3.44	3.44	3.39	3.33
დისპერსია	723	1.16	1.06	1.1	1.12	1.19	1.13
SD	723	1.08	1.03	1.05	1.06	1.09	1.06
	N	**PB 4**	**PB 5**				
საშუალო მაჩვენებელი	723	3.13	3.47				
დისპერსია	723	1.27	1.18				
SD	723	1.13	1.09				

წყარო: ავტორები

ცხრილი 3. კვლევის შედეგების სანდოობისა და ვალიდურობის სტატისტიკა

Items	Factor loading	AVE	Cronbach's α	CR
VIS 1	0.885	0.70015	0.872	0.87456
VIS 2	0.866			
VIS 3	0.754			
AUD 1	0.894	0.65999	0.817	0.84689
AUD 2	0.945			
AUD 3	0.536			
TAC 1	0.786	0.78462	0.913	0.91569
TAC 2	0.942			
TAC 3	0.921			
OLF 1	0.881	0.80953	0.927	0.92722
OLF 2	0.935			
OLF 3	0.882			
GUS 1	0.908	0.67133	0.822	0.85359
GUS 2	0.945			
GUS 3	0.545			
ENG 1	0.835	0.79827	0.921	0.92216
ENG 2	0.913			
ENG 3	0.929			
PI 1	0.912	0.85072	0.945	0.94474
PI 2	0.926			
PI 3	0.929			
PB 1	0.814	0.70737	0.935	0.93544
PB 2	0.851			
PB 3	0.850			
PB 4	0.799			
PB 5	0.875			
PB 6	0.855			

წყარო: ავტორები

განსხვავებული დისპერსიული მაჩვენებლები მიანიშნებს, რომ რესპონდენტთა პასუხები ერთგვაროვანი არაა და განსხვავებული შეფასებები ფიქსირდება. სტანდარტული გადახრა ყველა დებულებაში მერყეობს 1.05-1.13 დიაპაზონში, რაც შეესაბამება სოციალურ კვლევებში მიღებულ ნორმას. კერძოდ, SD ითვლება მისაღებად, თუ 0.8-1.5 შუალედში მერყეობს (Malhotra, 2020). მე-2 ცხრილის ანალიზი საკმარის ვარიაციაზე მიუთითებს და აჩვენებს, რომ პასუხები ზედმეტად ერთგვაროვანი არაა. შესაბამისად, ზედა და ქვედა ზღვრებზე მნიშვნელოვანი კონცენტრაცია არ ფიქსირდება. აღნიშნული შედეგები კი შემდგომი რეგრესიული და სტრუქტურული ანალიზების სანდოობას უზრუნველყოფს.

მე-3 ცხრილში წარმოდგენილია კვლევის კონსტრუქტების სანდოობისა და ვალიდურობის მაჩვენებლები, მათ შორის თითოეული დებულების ფაქტორული დატვირთვები, ამორჩევის საშუალო დისპერსია (AVE), კრონბახის ალფა (α) და კომპოზიციური სანდოობა (CR). ფაქტორული დატვირთვები ყველა დებულებაში 0.536-დან 0.945-მდე მერყეობს, ხოლო აბსოლუტური უმრავლესობა 0.70-ს აღემატება, კერძოდ, დადგენილ ზღვარს (0.50-ს) აღემატება (Malhotra, 2020). ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ საზომი დებულებები შესაბამის კონსტრუქტებს სათანადოდ ასახავს. ამასთან, შედარებით დაბალია

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ცხრილი 4. საკვლევ ცვლადებს შორის კორალაციური კავშირი

Variables		VIS	AUD	TAC	OLF	GUS	ENG	PI	PB
VIS	პირსონის კორელაცია	1	.485**	.484**	.639**	.604**	.554**	.539**	.498**
	მნიშვნელობა (ორმხრივი)		.000	.000	.000	.000	.000	.000	.000
	N	723	723	723	723	723	723	723	723
AUD	პირსონის კორელაცია	.485**	1	.367**	.510**	.355**	.450**	.447**	.398**
	მნიშვნელობა (ორმხრივი)	.000		.000	.000	.000	.000	.000	.000
	N	723	723	723	723	723	723	723	723
TAC	პირსონის კორელაცია	.484**	.367**	1	.511**	.516**	.443**	.408**	.372**
	მნიშვნელობა (ორმხრივი)	.000	.000		.000	.000	.000	.000	.000
	N	723	723	723	723	723	723	723	723
OLF	პირსონის კორელაცია	.639**	.510**	.511**	1	.662**	.568**	.552**	.502**
	მნიშვნელობა (ორმხრივი)	.000	.000	.000		.000	.000	.000	.000
	N	723	723	723	723	723	723	723	723
GUS	პირსონის კორელაცია	.604**	.355**	.516**	.662**	1	.539**	.505**	.444**
	მნიშვნელობა (ორმხრივი)	.000	.000	.000	.000		.000	.000	.000
	N	723	723	723	723	723	723	723	723
ENG	პირსონის კორელაცია	.554**	.450**	.443**	.568**	.539**	1	.770**	.667**
	მნიშვნელობა (ორმხრივი)	.000	.000	.000	.000	.000		.000	.000
	N	723	723	723	723	723	723	723	723
PI	პირსონის კორელაცია	.539**	.447**	.408**	.552**	.505**	.770**	1	.765**
	მნიშვნელობა (ორმხრივი)	.000	.000	.000	.000	.000	.000		.000
	N	723	723	723	723	723	723	723	723
PB	პირსონის კორელაცია	.498**	.398**	.372**	.502**	.444**	.667**	.765**	1
	მნიშვნელობა (ორმხრივი)	.000	.000	.000	.000	.000	.000	.000	
	N	723	723	723	723	723	723	723	723

**კორელაცია მნიშვნელოვანია 0,01 დონეზე

წყარო: ავტორები

AUD3-ის და GUS3-ის დებულებების ფაქტორული დატვირთვა (შესაბამისად, 0.536 და 0.545), თუმცა, შესაბამისი კონსტრუქტების AVE-ს მნიშვნელობები მისაღებ დონეზე რჩება. სანდოობის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა კრონბახის ალფა კოეფიციენტი და კომპოზიციური სანდოობა. ითვლება, რომ საზომი სანდოა, თუ კრონბახის ალფას მნიშვნელობა 0.60-ს აღემატება (Malhotra, 2020). ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ყველა ცვლადისათვის კრონბახის ალფას და CR-ის მნიშვნელობები 0.80-ზე მეტია, რაც კვლევაში გამოყენებული საზომების მაღალ სანდოობაზე მიუთითებს.

პირსონის კორელაციის კოეფიციენტების ინტერპრეტაცია განხორციელდა მიღებული სტანდარტების მიხედვით, სადაც 0.10 ითვლება სუსტად, 0.30 საშუალოდ და 0.50 და მეტი ძლიერ კავშირად (Malhotra, 2020). მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ ცვლადებს შორის კავშირები მერყეობს სუსტიდან ძლიერამდე, რაც მათ შორის არსებულ მნიშვნელოვან ურთიერთობაზე მიუთითებს. მე-4 ცხრილში წარმოდგენილია კორელაცია სენსორული სტიმულებს (ვიზუალური, სმენითი შეხებითი, ყნოსვითი, გემოს შეგრძნები), ჩართულობის, მყიდველობით განზრახვსა და მყიდველობით ქცევას შორის (N=723). ყველა კორელაცია სტატისტიკურად მნიშვნელოვანია p<0.01 დონეზე. ყველაზე ძლიერი კავშირი დაფიქსირდა ჩართულობასა და მყიდველობით განზრახვას შორის (r=0.770), მყიდველობით განზრახვასა და მყიდველობით ქცევას შორის (r=0.765), ყნოსვითი და გემოს შეგრძნებას შორის (r=0.662), ვიზუალურ და ყნოსვით სტიმულებს შორის (r=0.639), აგრეთვე გემოს შეგრძნებას და ვიზუალურ სტიმულებს შორის (r=0.604). მაღალი კორელაციები მიუთითებს მრავალსენსორულ შესაბამისობასაც. ასევე, მაღალი კოეფიციენტები ადასტურებს S-O-R მოდელის ლოგიკას: სენსორული სტიმულები მნიშვნელოვნადაა დააკავშირებული ჩართულობასთან, ჩართულობა კი მყიდველობით განზრახვასთან და ეს უკანასკნელი, მყიდველობით ქცევასთან.

ჩვენს კვლევაში მნიშვნელოვანია სენსორული სტიმულებისა და მომხმარებელთა ჩართულობის ურთერთკავშირის დადგენა, რათა განვსაზღვროთ, თუ როგორ გავლენას ახდენს სენსორული გარემო მომხმარებელთა ჩართულობაზე. სენსორული სტიმულების ჩართულობაზე გავლენის დასადგენად და ზემოთ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზების დასამტკიცებლად გამოვიყენეთ წრფივი რეგრესიული ანალიზი (იხ. ცხრილი 5). მე-5 ცხრილიდან ჩანს, რომ ჩვენ მიერ შემუშავებული 1-5 მოდელები სანდოა [P<0.001, F(319.962)>$F_{კრ}$(3.84); P<0.001, F(183.443)>$F_{კრ}$(3.84); P<0.001, F(175.913)>$F_{კრ}$(3.84); P<0.001, F(343.967)>$F_{კრ}$(3.84); P<0.001, F(295.065)>$F_{კრ}$(3.84)]. აქედან გამომდინარე, H1, H2, H3, H4 და H5 ჰიპოთეზები დადასტურდა. შესაბამისად, ვიზუალური სტიმულები დადებითად მოქმედებს ყიდვის პროცესში მომხმარებელთა ჩართულობაზე (დეტერმინაციის კოეფიციენტი R^2=0.307, რაც იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ მომხმარებელთა ჩართულობის 30.7% გამოწვეულია ვიზუალური სტიმულებით, ხოლო დანარჩენი ახსნილია სხვა ფაქტორებით). ასევე, სმენითი სტიმულები დადებით გავლენას ახდენს ყიდვის პროცესში მომხმარებელთა ჩართულობაზე, თუმცა, მისი ეფექტი, ვიზუალურ სტიმულებთან შედარებით, სუსტია (დეტერმინაციის კოეფიციენტი R^2=0.203, რაც იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელთა ჩართულობის 20.3% გამოწვეულია სმენითი სტიმულებით, ხოლო დანარჩენი - სხვა ფაქტორებით). ყიდვის პროცესში მომხმარებელთა ჩართულობაზე შედარებით ნაკლებ ზემოქმედებას ახდენს შეხებითი სტიმულები (დეტერმინაციის კოეფიციენტი R^2=0.196, რაც იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელთა ჩართულობის 19.6% გამოწვეულია შეხებითი სტიმულებით, ხოლო დანარჩენი - სხვა ფაქტორებით). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყნოსვითი სტიმულები აღმოჩნდა ყველაზე ძლიერი პროგნოზირებადი ფაქტორი ჩართულობასთან მიმართებით (დეტერმინაციის კოეფიციენტი R^2=0.323, რაც იმას გულისხმობს, რომ მომხმარებელთა ჩართულობის 32.3% გამოწვეულია ყნოსვითი სტიმულით, ხოლო დანარჩენი - სხვა ფაქტორებით). გემოს შეგრძნების სტიმულებმა, ასევე აჩვენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა მომხმარებელთა ჩართულობაზე (დეტერმინაციის კოეფიციენტი R^2=0.290, რაც იმას მოიაზრებს, რომ გემოს შეგრძნების სტიმულები ხსნის მომხმარებელთა ჩართულობის ვარიაციის 29%-ს, ხოლო დანარჩენს - სხვა ფაქტორები).

რეგრესული ანალიზი ცხადყოფს, რომ დამოუკიდებელი ცვლადის, ვიზუალური სტიმულების, ერთი ერთეულით გაზრდისას დამოკიდებული ცვლადი, მომხმარებელთა ჩართულობა, 0.559 ერთეულით მატულობს. ასევე, დამოუკიდებელი ცვლადის, სმენითი სტიმულების, ერთი ერთეულით გაზრდისას დამოკიდებული ცვლადი, მომხმარებელთა ჩართულობა, 0.465 ერთეულით მატულობს. მე-3 ცხრილიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ დამოუკიდებელი ცვლადის, შეხებითი სტიმულების, ერთი ერთეულით გაზრდისას დამოკიდებული ცვლადი, მომხმარე-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ცხრილი 5. ყიდვის პროცესში მომხმარებელთა ჩართულობაზე სენსორული სტიმულების გავლენის რეგრესიული ანალიზი

ა) მოდელის რეზიუმე

მოდელი	R	R^2	კორექტირებული R^2	შეფასების სტანდარტული შეცდომა
1	.554	0.307	0.306	0.82502
2	.450	0.203	0.202	0.88510
3	.443	0.196	0.195	0.88880
4	.568	0.323	0.322	0.81567
5	.539	0.290	0.289	0.83506

ბ) ANOVA

მოდელი		კვადრატების ჯამი	DF	საშუალო კვადრატი	F	P
1	რეგრესია	217.783	1	217.783	319.962	0.000
	ცდომილება	490.752	721	0.681		
	ჯამი	708.535	722			
2	რეგრესია	143.708	1	143.708	183.443	0.000
	ცდომილება	564.827	721	0.783		
	ჯამი	708.535	722			
3	რეგრესია	138.966	1	138.966	175.913	0.000
	ცდომილება	569.569	721	0.79		
	ჯამი	708.535	722			
4	რეგრესია	228.845	1	228.845	343.967	0.000
	ცდომილება	479.690	721	0.665		
	ჯამი	708.535	722			
5	რეგრესია	205.758	1	205.758	295.065	0.000
	ცდომილება	502.777	721	0.697		
	ჯამი	708.535	722			

გ) კოეფიციენტები

მოდელი		არასტანდარტიზებული კოეფიციენტები		სტანდარტიზებული კოეფიციენტები	T	P
		B	სტანდარტული შეცდომა	ß		
1	(კონსტანტა)	1.317	0.127		10.335	0.000
	VIS	0.559	0.031	0.554	17.887	0.000
2	(კონსტანტა)	1.931	0.123		15.751	0.000
	AUD	0.465	0.034	0.450	13.544	0.000
3	(კონსტანტა)	1.990	0.121		16.478	0.000
	TAC	0.420	0.032	0.443	13.263	0.000
4	(კონსტანტა)	1.358	0.121		11.229	0.000
	OLF	0.565	0.030	0.568	18.546	0.000
5	(კონსტანტა)	1.254	0.136		9.219	0.000
	GUS	0.560	0.033	0.539	17.177	0.000

დამოუკიდებელი ცვლადები: VIS ; SOU; TAC ; OLF ; GUS; დამოკიდებული ცვლადი: ENG

წყარო: ავტორები

ბელთა ჩართულობა, 0.420 ერთეულით მატულობს. დამოუკიდებელი ცვლადის, ყნოსვითი სტიმულების, ერთი ერთეულით გაზრდისას დამოკიდებული ცვლადი, მომხმარებელთა ჩართულობა, 0.565 ერთეულით მატულობს. აქვე ჩანს, რომ დამოუკიდებელი ცვლადის, გემოს შეგრძნების სტიმულების, ერთი ერთეულით გაზრდისას დამოკიდებული ცვლადი, მომხმარებელთა ჩართულობა, 0.560 ერთეულით მატულობს.

მიღებული შედეგების საფუძველზე აშკარაა, რომ სენსორული სტიმულები წარმოადგენს მომხმარებელთა ჩართულობის ფორმირების ფუნდამენტურ ფაქტორს. მრავალსენსორული გარემო ქმნის ძლიერ ემოციურ კავშირს, რაც შემდგომში მომხმარებელთა ჩართულობას განაპირობებს. აღნიშნული დასკვნა სრულ თანხვეერაშია ევლევის კონცეპტუალურ ჯაჭვთან (SEN → ENG → PI → PB) და ადასტურებს, რომ მომხმარებელთა ჩართულობა ასრულებს მედიაციურ როლს სენსორული გავლენასა და მომხმარებელთა ქცევას შორის (იხ. ცხრილი 5).

მე-6 ცხრილში ნაჩვენებია, რომ მომხმარებელთა ჩართულობა დადებით გავლენას ახდენს მათ მყიდველობით განზრახვაზე. შესაბამისად, ჩვენ მიერ შემუშავებული მე-6 მოდელი სანდოა (P<0.001); F(1048.597)>$F_{კრ}$(3.84) და H6 ჰიპოთეზა გამართლდა. ამასთან, დეტერმინაციის კოეფიციენტი R^2=0.593. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ მომხმარებელთა მყიდველობითი განზრახვის 59,3% ახსნილია ყიდვის პროცესში მათი ჩართულობით, ხოლო დანარჩენი განპირობებულია სხვა ფაქტორებით, რომლებიც მოცემულ მოდელში არ არის გათვალისწინებული. ჩართულობის არასტანდარტიზებული კოეფიციენტი შეადგენს 0.776 (P<0.001), ხოლო სტანდარტიზებული ბეტა კოეფიციენტი (β=0.77) მიუთითებს გავლენის მაღალ სიძლიერეზე. რეგრესული ანალიზიდან გამომდინარე, დამოუკიდებელი ცვლადის, მომხმარებელთა ჩართულობის, ერთი ერთეულით მატება დამოკიდებული ცვლადის, მყიდველობითი განზრახვის 0,776 ერთეულით ზრდას იწვევს (იხ. ცხრილი 6).

რეგრესიულმა ანალიზმა ასევე წარმოაჩინა, რომ მომხმარებელთა მყიდველობითი განზრახვა დადებით გავლენას ახდენს მათ მყიდველობით ქცევაზე. ეს ამტკიცებს იმას, ჩვენ მიერ შემუშავებული მე-7 მოდელი სანდოა (P<0.001); F(1017.97)>$F_{კრ}$(3.84) და H7 ჰიპოთეზა დადასტურდა. ამასთან, დეტერმინაციის კოეფიციენტი R^2=0.585. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ მომხმარებელთა მყიდველო-

ცხრილი 6. მომხმარებელთა ჩართულობის მყიდველობით განზრახვაზე გავლენის რეგრესიული ანალიზი

ა) მოდელის რეზიუმე						
მოდელი	R	R^2	კორექტირებული R^2	შეფასების სტანდარტული შეცდომა		
6	.770	0.593	0.592	0.63776		
ბ) ANOVA						
მოდელი		კვადრატების ჯამი	DF	საშუალო კვადრატი	F	P
6	რეგრესია	426.505	1	426.505	1048.597	0.000
	ცდომილება	293.259	721	0.407		
	ჯამი	719.763	722			
გ) კოეფიციენტები						
მოდელი		არასტანდარტიზემული კოეფიციენტები		სტანდარტიზებული კოეფიციენტები	T	P
		B	სტანდარტული შეცდომა	ß		
6	(კონსტანტა)	0.717	0.088		8.157	0.000
	ENG	0.776	0.024	0.77	32.382	0.000
დამოუკიდებელი ცვლადი: ENG ; დამოკიდებული ცვლადი: PI						

წყარო: ავტორები

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ცხრილი 7. მყიდველობითი განზრახვის მყიდველობით ქცევაზე გავლენის რეგრესიული ანალიზი

ა) მოდელის რეზიუმე						
მოდელი	R	R^2	კორექტირებული R^2	შეფასების სტანდარტული შეცდომა		
7	.765	0.585	0.585	0.64335		
ბ) ANOVA						
მოდელი		კვადრატების ჯამი	DF	საშუალო კვადრატი	F	P
7	რეგრესია	421.341	1	421.341	1017.98	0.000
	ცდომილება	298.422	721	0.414		
	ჯამი	719.763	722			
გ) კოეფიციენტები						
მოდელი		არასტანდარტიზემული კოეფიციენტები		სტანდარტიზებული კოეფიციენტები	T	P
		B	სტანდარტული შეცდომა	ß		
7	(კონსტანტა)	0.726	0.089		8.168	0.000
	PI	0.809	0.025	0.765	31.906	0.000
დამოუკიდებელი ცვლადი: PI; დამოკიდებული ცვლადი: PB						

წყარო: ავტორები

ბითი ქცევის 58.5% ახსნილია მათი მყიდველობითი განზრახვით, ხოლო დანარჩენი განპირობებულია სხვა ფაქტორებით. მყიდველობითი განზრახვის არასტანდარტიზებული კოეფიციენტი შეადგენს 0.809 (P<0.001), ხოლო სტანდარტიზებული ბეტა კოეფიციენტი (β=0.765) მიუთითებს გავლენის მაღალ სიძლიერეზე. რეგრესული ანალიზი გვიჩვენებს, რომ დამოუკიდებელი ცვლადის, მყიდველობითი განზრახვის ერთი ერთეულით მატება დამოკიდებული ცვლადის, მყიდველობითი ქცევის 0.809 ერთეულით ზრდას იწვევს (იხ. ცხრილი 7).

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები დამუშავდა სტრუქტურული განტოლების მოდელის გამოყენებით. ასეთი მოდელი ნაჩვენებია მე-2 ნახაზზე.

დასკვნები

წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს საცალო ვაჭრობაში სენსორული სტიმულები შესამჩნევ გავლენას ახდენს მომხმარებელთა ქცევაზე. ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ სენსორული სტიმულები მნიშვნელოვან როლს ასრულებს მომხმარებელთა ქცევის ფორმირებაში. კერძოდ, მიღებულმა შედეგებმა ცხადყო, რომ ვიზუალური, სმენითი, შეხების, ყნოსვითი და გემოს შეგრძნებასთან დაკავშირებული სტიმულები დადებითად უკავშირდება მომხმარებელთა ჩართულობას, რომელიც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს მყიდველობით განზრახვაზე, ეს უკანასკნელი კი მყიდველობით ქცევაზე. ამასთან, კვლევის ერთ-ერთ შედეგად გამოიკვეთა ის, რომ ყველა სენსორულ სტიმულს თანაბარი ძალა არ აქვს. განსაკუთრებით ძლიერი ეფექტი დაფიქსირდა ყნოსვით და ვიზუალურ სტიმულებთან მიმართებით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საცალო ვაჭრობაში მომხმარებელთა ემოციური ჩართულობის ფორმირებისათვის, სწორედ, ეს ორი ფაქტორი შეიძლება იყოს ყველაზე ეფექტიანი. აღნიშნული შედეგი კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მომხმარებელთა ქცევითი რეაქცია არა მხოლოდ რაციონალური შეფასებით, არამედ გარემოს არაცნობიერი აღქმითაც ყალიბდება.

ჩატარებულმა ანალიზმა გამოავლინა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირები ცალკეულ სენსორულ სტიმულებისა და მომხმარებელთა ჩართულობას, აგრეთვე ამ უკანასკნელსა და მყიდველობით განზრახვას შორის, რომელიც, თავის მხრივ, მყიდველობით ქცევაზე დიდ გავლენას ახდენს. რეგრესიულმა ანალიზმა ასევე დაადასტურა, რომ საცალო ვაჭრობაში სენსორული სტიმულების გამოყენება, მომხმარებელთა ჩართულობის გასაძლიერებლად, ძლიერ ეფექტს იძლევა. კვლევის ფარგლებში ჩამოყა-

ნახაზი 2. სტრუქტურული განტოლების მოდელი (კვლევის შედეგების მიხედვით)



წყარო: ავტორები

ლიბებული ყველა ჰიპოთეზა დადასტურდა, რაც სრულ თანხვედრაშია S-O-R მოდელის თეორიულ ჩარჩოსთან.

თეორიული თვალსაზრისით, კვლევა რამდენიმე მიმართულებით აფართოებს არსებულ ლიტერატურას. ერთ-ერთ მთავარ წვლილს წარმოადგენს მომხმარებელთა ჩართულობის, როგორც მედიატორული მექანიზმის, როლის დადასტურება სენსორულ სტიმულებსა და ქცევით შედეგებს შორის. S–O–R მოდელის ფარგლებში დადასტურდა, რომ სენსორული სტიმულები გავლენას ახდენს მომხმარებელთა ჩართულობაზე, რომლებიც შემდგომში მათ ქცევით რეაქციებს განსაზღვრავს. აღნიშნული შედეგები აფართოებს სენსორული მარკეტინგის შესახებ ლიტერატურას განვითარებადი ბაზრების კონტექსტში და ამტკიცებს სენსორული მარკეტინგის მიდგომის ეფექტიანობას.

პრაქტიკული თვალსაზრისით, კვლევის შედეგები მნიშვნელოვან რეკომენდაციებს სთავაზობს საცალო ვაჭრობის კომპანიებს. მარკეტოლოგებმა, მომხმარებლის გამოცდილების გასაუმჯობესებლად, უნდა დანერგონ ინტეგრირებული მრავალსენსორული სტრატეგიები. განსაკუთრებით ეფექტიანი შეიძლება იყოს ყნოსვითი და ვიზუალური სტიმულების გამოყენება. შეზღუდული რესურსების შემთხვევაში, უპირატესად, რეკომენდებულია საცალო ვაჭრობის ობიექტებში სასიამოვნო არომატების გამოყენება, ოპტიმალური განათებისა და ფერთა კომბინაციების შერჩევა, აგრეთვე გარემოს ისეთი დიზაინის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მომხმარებელთა კომფორტს და მაღაზიაში გატარებული დროის გახანგრძლივებას.

კვლევის მნიშვნელობის მიუხედავად, მას აქვს გარკვეული შეზღუდვები. კვლევა ეფუძნება კროსსექციურ დიზაინს, რაც ზღუდავს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების სრული სიზუსტით დადგენას. მონაცემები დაფუძნებულია თვითადმინისტრირებად პასუხებზე, რაც საერთო მეთოდური მიკერძოების რისკს ზრდის. ასევე, დასაშვებია, რომ მიღებული შედეგები საქართველოს ბაზარზე სპეციფიკური აღმოჩნდეს და მათი გენერალიზაცია სხვა კულტურულ კონტექტში შეიზღუდოს.

სამომავალო კვლევები შეიძლება ფოკუსირდეს სხვადასხვა სექტორსა და განსხვავებულ დემოგრაფიულ ჯგუფებზე სენსორული მარკეტინგის ეფექტის შესწავლაზე, აგრეთვე მომხმარებელთა ქცევაზე ამ ეფექტის გრძელვადიან გავლენაზე. ასევე რეკომენდებულია ექსპერტული დიზაინის გამოყენება და ქვეყნებს შორის შედარებითი კვლევების განხორციელება, რაც შედეგების ვალიდურობას გააძლიერებს.

საერთო ჯამში, კვლევა ადასტურებს სენსორული მარკეტინგის ეფექტიანობას საქართველოს საცალო ვაჭრობის სექტორში და ქმნის მნიშვნელოვან თეორიულ და პრაქტიკულ საფუძველს მომხმარებელთა ქცევის უკეთ გაგებისა და ბიზნესის სტრატეგიული განვითარებისათვის.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

PROS AND CONS OF ARTIFICIAL INTELLIGENCE (AI) USAGE

Copyright © 2026 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: May 03, 2026
Published: June 15, 2026
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC21022026-28

Teimuraz Gognadze
Doctor of Business Administration,
Associate Professor at the Georgian State University of Sports
http:// orcid.org/0009-0009-4103-8690
Email: teimuraz.gognadze@sportuni.ge

ABSTRACT

The paper discusses the fundamental trends underpinning the origin, development, and contemporary proliferation of Artificial Intelligence (AI). The objective of the research is to analyze the advantages and disadvantages of AI utilization, as well as to evaluate its capabilities and challenges across various fields. Particular emphasis is placed on the role of AI in enhancing data processing, analysis, forecasting, modeling, and decision-making processes.

The research is based on an analysis of scientific literature, international reports, and contemporary technological practices. The specifics of artificial intelligence application are examined across various sectors, including education, healthcare, business, industry, finance, transportation, sports, media, and public administration. Furthermore, the primary benefits derived from AI implementation are identified, encompassing the automation of workflows, rapid processing of large data, enhanced predictive accuracy, resource optimization, and improved decision-making efficiency. Concurrently, the paper analyses the challenges associated with AI utilization, such as data privacy and security concerns, overdependence on technology, the threat of disinformation proliferation, potential impacts on the labor market, and ethical considerations.

The research findings confirm that Artificial Intelligence constitutes a critical factor in contemporary digital transformation, and its effective and proper utilization significantly contributes to societal development.

The concluding section of the paper substantiates the importance of making the latest AI capabilities accessible to a broader user base, a factor that substantially enhances the efficiency of decision-making processes across multiple domains. Furthermore, the necessity of addressing the legal, ethical, and security aspects of AI application is underscored to ensure its sustainable development.

Keywords: *Artificial Intelligence, Innovation, Forecasting, Data Analysis, Modeling.*

REFERENCES:

1. https://edumeter.ge/subject/6-gjg.html
2. https://www.kroneckerwallis.com/turing-machine-explained-the-1936-concept-that-created-computing/
3. https://link.springer.com/article/10.1007/s00146-018-0821-0
4. https://ka.council.science/blog/ai-was-born-at-a-us-summer-camp-68-years-ago-heres-why-that-event-still-matters-today/
5. https://www.solix.com/ka/products/answers/what-is-ai-winter/
6. https://cybernetics.ge/
7. https://news.samsung.com/global/samsung-electronics-announces-strategy-to-transition-global-manufacturing-into-ai-driven-

factories-by-2030

8. Zagaidze, V., & Karchava L. (2026) Artificial Intelligence and Data-Driven Policy in Economic Governance: Opportunities and Risks. The New Economist 21(1), 85-92. (In Georgian)

9. Gognadze T., (2025) The Analysis of the Advantages and Disadvantages of Using Artificial Intelligence in Football. The Economics 25-31. (In Georgian)

10. Chigladze, G., & Karchava, L. (2025). The revolutionary impact of digital technologies on financial architecture. The New Economist, 20(2), 92-104.

11. Karchava, L., Veshapidze, S., & Tsikelashvili, S. (2025). Georgia's Perspective in the Context of Developing Economic Relations between China and the European Union. The New Economist, 20(1), 8-23.

12. Karchava, L., Nanuashvili, I., Zoidze, G., & Veshapidze, S. (2025). Georgia's Strategic Role in Eurasian Transport and Digital Logistics Transformation. The New Economist, 20(2), 40-53.

13. Karchava, L., Chiabrishvili, K., Goroshidze, G., Mgeladze, L., & Veshapidze, S. (2026). Indicators of effective use of the rich experience of academic staff. The New Economist, 20(4), 21-35.

14. Veshapidze, S., & Karchava, L. (2022). Contradictions of Globalization under the COVID-19 Pandemic. Bull. Georg. Natl. Acad. Sci, 16(4), 152-157.

ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეები

თეიმურაზ გოგნაძე
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
საქართველოს სპორტის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ელ.ფოსტა:teimuraz.gognadze@sportuni.ge

აბსტრაქტი

განხილულია ხელოვნური ინტელექტის (AI) წარმოშობის, განვითარების და თანამედროვე ეტაპზე მისი ფართო გავრცელების ძირითადი ტენდენციები. კვლევის მიზანია ხელოვნური ინტელექტის გამოყენების დადებითი და უარყობითი მხარეების ანალიზი, მისი შესაძლებლობებისა და გამოწვევების შეფასება სხვადახვა სფეროში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა AI-ის როლს მონაცემთა დამუშავების, ანალიზის, პროგნოზირების, მოდელირებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესების გაუმჯობესებას.

კვლევა ეფუძნება სამეცნიერო ლიტერატურის, საერთაშორისო ანგარიშებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების პრაქტიკის ანალიზს. შესწავლილია ხელოვნური ინტელექტის გამოყენების სპეციფიკა განათლების, ჯანდაცვის, ბიზნესის, მრეწველობის, ფინანსების, ტრანსპორტის, სპორტის, მედიისა და საჯარო მმართველობის სფეროებში. გამოვლენილია AI-ის დანერგვით მიღებული ძირითადი სარგებელი, როგორიცაა სამუშაო პროცესების ავტომატიზაცია, დიდი მოცულობის მონაცემების სწრაფი დამუშავება, პროგნოზირების სიზუსტის ზრდა, რესურსების ოპტიმიზაცია და გადაწყვეტილებების მიღების ეფექტიანობის გაუმჯობესება. გაანალიზებულია ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებული გამოწვევები, როგორიცაა მონაცემთა კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების პრობლემები, ტექნოლოგიებზე გადაჭარბებული დამოკიდებულება, დეზინფორმაციის გავრცელების საფრთხე, შრომის ბაზარზე შესაძლო ზემოქმედება და ეთიკური საკითხები.

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ხელოვნური ინტელექტი წარმოადგენს თანამედროვე ციფრული ტრანსფორმაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომლის ეფექტური და სწორად გამოყენება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საზოგადოების განვითარებას.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ნაშრომის დასკვნით ნაწილში დასაბუთებულია ხელოვნური ინტელექტის უახლესი შესაძლებლობების ფართო მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა, რაც მრავალ სფეროში გადაწყვეტილების მიღების პროცესის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად ზრდის. ამასთან ხაზგასმულია AI-ის გამოყენების სამართლებრივი, ეთიკური და უსაფრთხოების ასპექტების გათვალისწინების აუცილებლობა მისი მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

საკვანძო სიტყვები: *ხელოვნური ინტელექტი, ინოვაცია, პროგნოზირება, მონაცემთა ანალიზი, მოდელირება.*

შესავალი

ანტიკურ ეპოქაში მანქანის აზროვნების შესაძლებლობების შესახებ მსჯელობაში ფილოსოფოსმა არისტოტელემ ჩამოაყალიბა ფორმალური ლოგიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც შემდგომში ალგორითმული აზროვნების თეორიულ საფუძვლად იქცა. ადამიანის მოქმედებათა იმიტაციის მქონე მექანიკური მოწყობილობების შექმნის მცდელობები შუა საუკუნეებშიც შეინიშნებოდა, რაც აზროვნების მექანიზაციის იდეის ისტორიულ წინაპირობად შეიძლება ჩაითვალოს**[1]**.

ხელოვნური ინტელექტის მეცნიერული კონცეპტუალიზაცია XX საუკუნეში დაკავშირებულია ალან ტიურინგი-ს სახელთან. 1936 წელს მან წარმოადგინა "ტიურინგის მანქანის" თეორიული მოდელი - უნივერსალური გამოთვლითი სისტემა, რომელსაც შეეძლო ნებისმიერი ლოგიკური ამოცანის შესრულება. 1950 წელს ტიურინგმა დასვა ფუნდამენტალური კითხვა: "შეუძლია თუ არა მანქანას აზროვნება?" და შემოიტანა ინტელექტის შეფასების მეთოდი, რომელიც ცნობილია როგორც ტიურინგის ტესტი**[2], [3]**.

ხელოვნური ინტელექტის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დარგის ჩამოყალიბება უკავშირდება 1956 წელს დარტმუთის **(Dartmouth)** კონფერენციას, სადაც პირველად გამოიყენეს ტერმინი **"Artificial Intelligence".** კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ ჯონ მაკკართი, მარვინ მინსკი, ალენ ნიუელი და ჰელბერტ საიმონი. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ხელოვნური ინტელექტის სისტემური კვლევა და პირველი ლოგიკური პროგრამების შექმნა**[4]**.

1970 – 1990 წლებში **AI** - ის განვითარება დროებით შენელდა, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია როგორც "AI Winter". აღნიშნული პერიოდი ხასიათდებოდა ფინანსური მხარდაჭერის შემცირებითა და გადაჭარბებული მოლოდინების კრიტიკით. თუმცა 1990-იანი წლებიდან კომპიუტერული სიმძლავრეების ზრდამ, დიდი მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობამ და მანქანური სწავლების ალგორითმების განვითარებამ განაპირობა ხელოვნური ინტელექტის აღორძინება. 2010 წლიდან დღემდე **AI** - ის განვითარება ეფუძნება ღრმა ნეირონულ ქსელებს, ბუნებრივი ენის დამუშავებას **(NLP)** და კომპიუტერულ ხედვას**[5]**.

ხელოვნური ინტელექტის განვითარების პროცესზე საქართველოში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საბჭოთა სამეცნიერო სკოლამ. ქვეყანაში ჩამოყალიბებულ კვლევით ცენტრებში (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) მიმდინარეობდა კვლევები ალგორითმული აზროვნების, ავტომატური მართვის სისტემების მოდელირებისა და მათემატიკური მოდელების გამოყენების მიმართულებით.

ამ სამეცნიერო ცენტრებში ჩამოყალიბებულმა ძლიერმა მათემატიკურმა და პროგრამირების სკოლამ მნიშვნელოვანი საფუძველი შექმნა ხელოვნური ინტელექტის კვლევის ახალი ეტაპისათვის, მათ შორის ბუნებრივი ენის დამუშავების მიმართულებით (NLP). აღნიშნული ინტერესის ზრდა მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო ქართული ენის რთული მორფოლოგიური სტრუქტურითა და მისი უნიკალური ანბანით.

ხელოვნური ინტელექტის განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კიბერნეტიკის ინსტიტუტს, სადაც კვლევები მიმდინარეობდა შემდეგ ძირითად მიმართულებებში**[6]**:

- სისტემების მართვის თეორია და მართვის ალგორითმები;
- მოდელირება და კომპიუტერული იმიტაცია;
- მნიშვნელოვანი მათემატიკური და კომპლექსური სისტემების კვლევა.

ჩამოთვლილი მიმართულებები ხელოვნური ინტელექტის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს, რადგან მისი განვითარება ეფუძნება ალგორითმების, მართვის სისტემებისა და გამოთვლითი თეორიის კვლევებს.

თანამედროვე ეტაპზე ხელოვნური ინტელექტი

გამოიყენება მრავალ სფეროში, მათ შორის:

- მედიცინაში;
- სპორტში;
- ფინანსური სექტორში;
- განათლებაში;
- ტრანსპოტსა და ლოჯისტიკაში;
- წარმოებასა და ინდუსტრიში;
- საცალო ვაჭრობასა და მარკეტინგში;
- სამართალდაცვასა და უსაფრთხოებაში;
- ხელოვნებასა და შემოქმედებაში.

AI არა მხოლოდ ადამიანის აზროვნების იმიტაციას ახდენს, არამედ მისი შესაძლებლობების გაფართოებასაც უწყობს ხელს.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენების დადებითი მხარეები

ხელოვნური ინტელექტის მიერ პროცესების ავტომატიზაცია მნიშვნელოვნად ამცირებს სამუშაოს შესასრულებლად საჭირო დროს, რის შედეგადაც იზრდება ადამიანური რესურსის ჩართულობა კრეატიულ და სტრატეგიულ საქმიანობაში. **AI** ტექნოლოგიები რთულ გამოთვლებს ასრულებენ მაღალი სიზუსტით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მედიცინაში — მონაცემთა ანალიზის საფუძველზე დაავადებების ადრეულ დიაგნოსტირებაში, ასევე ფინანსურ ოპერაციებსა და წარმოების პროცესებში. რადიოლოგიურ კვლევებში ხელოვნური ინტელექტი ეფექტურად ამოიცნობს კიბოს ადრეულ ნიშნებს, რომელთა აღმოჩენა ადამიანის მიერ ხშირად რთულია.

AI-ს შეუძლია მოკლე დროში დიდი მოცულობის მონაცემების **(Big Data)** სწრაფი ანალიზი, რაც ფართოდ გამოიყენება ფინანსურ ანალიზში, ვაჭრობაში, ჯანდაცვასა და სპორტულ ანალიტიკაში. იგი ამოიცნობს ისეთ კანონზომიერებებსა და ტენდენციებს, რომლებიც ადამიანისათვის რთულად შესამჩნევია, განსაკუთრებით ფასიანი ქაღალდების ფასის ცვლილების გრაფიკებში. მსგავსი ნიმუშების განმეორება ხშირად ბაზარზე ანალოგიურ რეაქციას იწვევს. სპორტულ ანალიტიკაში **AI** აანალიზებს მოთამაშეთა სტატისტიკას (გოლები, პასები, მოედანზე გადაადგილება) და თამაშების შედეგების პროგნოზირებას ახდენს. ინდივიდუალური მონაცემების ანალიზის საფუძველზე, განათლების სფეროში შესაძლებელია პერსონალური სასწავლო გეგმების შექმნა, ჯანდაცვაში — თითოეულ პაციენტზე მორგებული მკურნალობის პროცესის მონიტორინგი, ხოლო ონლაინ სერვისებში — მომხმარებლის ინტერესებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შეთავაზება.

AI სისტემები ფუნქციონირებენ უწყვეტ 24/7 რეჟიმში, რაც მნიშვნელოვანია სხვადასხვა სერვისის მხარდაჭერისა და კვლევითი საქმიანობისათვის. მაგალითად, ბანკებსა და ტექნიკური მხარდაჭერის სფეროში ვირტუალური ასისტენტები და ჩატბოტები მომხმარებლებს მუდმივად აწვდიან საჭირო ინფორმაციას.

ხელოვნური ინტელექტი მონაცემთა ანალიზის საფუძველზე სწრაფად წყვეტს რთულ პრობლემებს სამედიცინო დიაგნოსტიკაში, ტრანსპორტის ნაკადების ოპტიმიზაციაში, ეკონომიკურ და ფინანსურ პროგნოზირებაში, აგრეთვე სპორტული შედეგების ანალიზში. გარდა ამისა, **AI** ხელს უწყობს ახალი პროდუქტებისა და სერვისების შექმნას, როგორიცაა თვითმართვადი ავტომობილები, დრონები, ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემები, ვირტუალური ასისტენტები, რობოტები, გრაფიკული დიზაინის ინსტრუმენტები, მუსიკის და ვიდეოს გენერირება და ვირტუალური რეალობის ტექნოლოგიები.

AI სისტემები მუდმივად სწავლობენ, აგროვებენ და ამუშავებენ გამოცდილებას, რაც მათ საშუალებას აძლევს გააუმჯობესონ პროგნოზირების სიზუსტე და ოპტიმიზაცია. ხელოვნური ინტელექტის დანერგვა თვითმართვადი ავტომობილების, სამედიცინო მოწყობილობებისა და ფინანსური სერვისების სფეროში მნიშვნელოვნად ამცირებს ადამიანური შეცდომების რისკს და ხელს უწყობს ფინანსური დანაკარგების მინიმიზაციას. გარდა ამისა, **AI** მნიშვნელოვან როლს ასრულებს ახალი მედიკამენტების პროექტირებაში, კლიმატური პროცესების ანალიზში, კომპიუტერული არქიტექტურის განვითარებასა და ოპტიმიზაციაში, ასევე ენერგიის ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფაში.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენების უარყოფითი მხარეები

ხელოვნური ინტელექტის სისტემები იყენებენ პერსონალური, სამედიცინო, ფინანსური და ბიზნეს მონაცემების დიდ რაოდენობას, რაც ზრდის მონაცემთა გაჟონვისა და კიბერშეტევების რისკს. ინფორმაციის კატეგორიზაცია და დაცვა პრაქტიკაში ხშირად რთულია. ერთი და იგივე ინფორმაციით ორგანიზაციაში შეიძლება სარგებლობდნენ სხვადასხვა დანაყოფები, რომლებმაც შეიძლება იგი განსხვავებულ კატეგორიას მიაკუთვნოს. ინფორმაციის მნიშვნელობა და ღირებულება დროში

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

იცვლება და დამოკიდებულია როგორც მომხმარებელთა ჯგუფებზე, ასევე დამრღვევთა მხრიდან მისდამი ინტერესზე.

ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებულია სხვადასხვა სუბიექტები:

- მფლობელი - ორგანიზაცია ან პირი, რომელიც ფლობს ინფორმაციას;
- წყარო - ორგანიზაცია ან პირი, რომელიც ცდილობს ინფორმაციის მოპოვებას, შეცვლას ან განადგურებას.

აღნიშნული ჯგუფების დამოკიდებულება ინფორმაციისადმი შეიძლება იყოს კრიტიკულად მნიშვნელოვანი ან ნაკლებად მნიშვნელოვანი.

ინფორმაციის მნიშვნელობის განსაზღვრა დამოკიდებულია მის საიდუმლოების ხარისხზე. საიდუმლოობის დონეები ადმინისტრაციული ან საკანონმდებლო ზომებია, რომლებიც განსაზღვრავს პასუხისმგებლობას ინფორმაციის დაკარგვის ან გამჟღავნების შემთხვევაში, რაც რეგულირდება სპეციალური დოკუმენტით, რომელშიც გათვალისწინებულია სახელმწიფო, სამხედრო-სტრატეგიული, კომერციული, სამსახურეობრივი ან კერძო ინტერესები. შესაბამისად ინფორმაცია შეიძლება წარმოადგენდეს სახელმწიფო, სამხედრო, კომერციულ, სამსახურებრივ ან პირად საიდუმლოს.

შრომითი ბაზრის კუთხით, AI-ის ფართო დანერგვა მნიშვნელოვნად ცვლის სამუშაო გარემოს. ავტომატიზაცია იწვევს ადამიანური რესურსების ნაწილობრივ ჩანაცვლებას განსაკუთრებით საწარმოო სექტორში, საბანკო სისტემასა და მომხმარებელთა მომსახურების სფეროში. სადაც ადამიანთა მიერ შესრულებულ ფუნქციებს სულ უფრო ხშირად რობოტული სისტემები და ალგორითმები იკავებენ. შედეგად, იზრდება მოთხოვნა მაღალკვალიფიკაციურ სპეციალისტებზე, ხოლო რუტინული და მარტივი სამუშაო პოზიციები ეტაპობრივად მცირდება ან ქრება.

AI გადაწყვეტილებებს იღებენ წარსული მონაცემების მიხედვით. თუ მათში არის რაიმე მიკერძოება ან დისკრიმინაცია სისტემა მსგავს პრობლემებს კიდევ უფრო ამძაფრებს. გარდა ამისა არსებობს საფრთხე, რომ საზოგადოება ზედმეტად დამოკიდებული გახდეს ავტომატიზებულ გადაწყვეტილებებზე, რაც ადამიანის დამოუკიდებელი აზროვნებისა და კრიტიკული ანალიზის უნარის შემცირებას იწვევს.

ხელოვნური ინტელექტი ვერ უზრუნველყოფს აბსოლუტურად სანდო პროგნოზებს, რის გამოც ჯანმრთელობის, ფინანსური და სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღებისას დაშვებულმა შეცდომებმა შესაძლოა სერიოზული ზიანი გამოიწვიოს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობის საკითხი ავტომატიზებული ავტომობილების, სამხედრო დრონების ან სხვა მაღალი რისკის სისტემების გამოყენებისას, რადგან მრავალი ქვეყნისათვის სამართლებრივი ჩარჩოები ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არასრულყოფილია.

ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია შექმნას ახალი ტექსტები, სურათები, მუსიკა, იდეები. მისი "კრეატიულობა" ეფუძნება უკვე არსებულ მონაცემთა ანალიზს. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ AI არ ფიქრობს ადამიანივით, მას არ გააჩნია საკუთარი მიზნები ან ცნობიერება. ამ პროცესმა შეიძლება ადამიანის შემოქმედებითი უნარის ნაწილობრივ შეკვეცა გამოიწვიოს განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა ჟურნალისტიკა, დიზაინი და მუსიკა, სადაც იზრდება სტანდარტიზაციის რისკი და მცირდება ორიგინალობა.

უსაფრთხოების კუთხით, ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამოყენება სამხედრო, ჯანდაცვისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის სფეროებში მაღალი რისკის შემცველია, ვინაიდან თვითმართვადი იარაღის, ავტომატიზირებული თავდაცვითი სისტემების ან ენერგოსისტემების მართვაში დაშვებულმა შეცდომებმა შესაძლოა მასშტაბური ზიანი გამოიწვიოს.

AI-ს გამოყენება დეზინფორმაციის გავრცელებაში, კიბერშეტევებსა და სამხედრო კონტექსტში ქმნის მნიშვნელოვან გლობალურ საფრთხეებს, რაც საჭიროებს მკაცრ რეგულაციებსა და საერთაშორისო თანამშრომლობას.

დასკვნა

ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შექმნილი სპორტული კომენტატორი, რომელიც ასრულებს რეალური სპორტული კომენტატორის როლს, პირველად პირდაპირ გამოიყენება თამაშში, რაც ჩანს კონკურენტულ სპორტულ ვიდეოპროდუქტში. ციფრული 3D რუკები და ვირტუალური კამერები სპორტული გადაცემების პროდიუსერებს საშუალებას აძლევს, მექანიკური კამერების გამოყენების გარეშე გადაიღონ და ვიზუალიზაცია განახორციელონ ახალი ადრე მიუწვდომელი კუთხეებიდან. ხელოვნური ინტელექტზე დაფუძნებული სპორტული ანალიტიკური პლატფორმები აქტიურად გამოიყენება სპორტული შეჯიბრებების შედეგების

პროგნოზირებისათვის (ფეხბურთი, კალათბურთი და სხვა სპორტის სახეობები).

მედიცინის სფეროში მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური სიახლეა AI-ზე დაფუძნებული დიაგნოსტიკური სისტემა, რომელსაც შეუძლია სისხლში ოვარული კიბოს ადრეული ნიშნების ამოცნობა. აღნიშნულმა ტექნოლოგიამ შესაძლოა მნიშვნელოვნად შეცვალოს დაავადების ადრეული გამოვლენისა და მკურნალობის პრაქტიკა. ხელოვნური ინტელექტის ბაზაზე შექმნილი მობილური აპლიკაციების საშუალებით სმარტფონის გამოყენებით უკვე შესაძლებელია ქრონიკული ბრონქული დაავადებების, ასთმისა და სხვა რესპირატორული პრობლემების ადრეული გამოვლენა. მსგავსი შესაძლებლობა ადრე პრაქტიკულად შეუძლებელი იყო სპეციალიზებული სამედიცინო დაწესებულებების გარეშე. ეს ინოვაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ რეგიონების პაციენტებისათვის, სადაც სპეციალისტებთან წვდომა შეზღუდულია.

ფინანსურ სექტორში შექმნილი თანამედროვე AI პლატფორმები წარმატებით გამოიყენება ბანკებში მრავალსაფეხურიანი ოპერაციების ავტომატური შესრულებისათვის, მათ შორის:

- რისკების შეფასება;
- ფინანსური კრედიტების განხილვა;
- რეგულაციების კონტროლი და შესაბამისობის უზრუნველყოფა.

ფინანსური ოპერაციების დასაჩქარებლად ბანკები და ფინანსური პლატფორმები იყენებენ ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ მაღალი სიჩქარიან გადახდების სისტემებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ტრანზაქციების ანალიზს, თაღლითობის პრევენციას და გადარიცხვების ეფექტურ მართვას.

მსოფლიოში უკვე არსებობს პირველი სრულად AI-ინტეგრირებული ბანკი, სადაც თითქმის ყველა საბანკო ოპერაცია - მათ შორის ტრანსფერები, მომხმარებელთან კომუნიკაცია და სხვა მომსახურებები ხორციელდება ხელოვნურ ინტელექტთან პირდაპირი ინტერაქციის გზით. ასეთ სისტემებში AI პლატფორმები მართავენ როგორც ბანკის შიდა ოპერაციებს, ისე მომხმარებელთა მომსახურების პროცესს.

ხელოვნური ინტელექტი, როგორც თანამედროვე ტექნოლოგიური პლატფორმა, აქტიურად გამოიყენება ყოველდღიურ ოპერაციებში განათლების, ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის სფეროებში. AI-ზე დაფუძნებული სასწავლო სისტემები და "coach" პლატფორმები უკვე გამოიყენება სტუდენთა სასწავლო პროცესში, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სწავლების ეფექტიანობას და ხელს უწყობს ინდივიდუალური პროგრესის განვითარებას.

კომპანიები Waabi და Kodiak ავითარებენ ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ ავტონომიურ სატვირთო მართვის სისტემებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სატვირთო ტრანსპორტის დამოუკიდებლად ფუნქიონირებას და ამცირებენ მართვის პროცესში ადამიანის ჩარევის საჭიროებას.

2030 წლისათვის Samsung Electronics გეგმავს თავისი საწარმო ინფრასტრუქტურის ტრანსფორმაციას AI-ზე დაფუძნებულ და უსაფრთხო საწარმოებად. ამისათვის კომპანია იყენებს ისეთ ტექნოლოგიებს, როგორიცაა Agentic AI (სისტემები, რომლებიც დამოუკიდებლად ასრულებენ ამოცანებს და იღებენ გადაწყვეტილებებს) და Digital Twins ტექნოლოგია, რომელიც რეალური საწარმოო პროცესების ციფრულ მონიტორინგსა და მოდელირებას უზრუნველყოფს**[7]**.

ავტომობილების ინდუსტრიაში BMW-მ ოფიციალურად დაიწყო ჰუმანოიდური რობოტების გამოყენება საწარმოო ხაზზე, რომლებსაც შეუძლიათ რთული და მაღალი სიზუსტის ხელით შესასრულებელი ოპერაციების შეცვლა. ამავე დროს ნიდერლანდურმა კომპანიამ ASML Holding დაიწყო ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირება მიკროჩიპების წარმოების პროცესში.

AI მნიშვნელოვანი როლს ასრულებს საცალო ვაჭრობის სფეროშიც. იგი გამოიყენება მომხმარებელთა მოთხოვნის პროგნოზირებაში, ვიზუალურ ძიებაში და გაყიდვების ოპტიმიზაციაში. AI სისტემები ასევე მონაწილეობენ ტრანზაქციების მართვასა და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესებაში. AI ხმოვანი აგენტები საცალო ქსელებში იყენებენ ხმოვან ასისტენტებს მომხმარებელთან კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად, რაც ამცირებს პერსონალის დატვირთვას და უზრუნველყოფს მომხმარებლის სწრაფ დახმარებას.

დანაშაულთან ბრძოლის მიზნით პოლიციისთვის შექმნილი ხელოვნური ინტელექტის ცენტრი გაერთიანებულ სამეფოში (2026) სამართალდამცავ ორგანოებს ეხმარება მონაცემთა სწრაფ ანალიზში, კრიმინალური ქსელების გამოვლენასა და გამოძიების პროცესის დაჩქარებაში.

აქტიურად ვითარდება AI-ზე დაფუძნებული სახის ამოცნობის ტექნოლოგიებიც, რომლებიც გამოიყენება აეროპორტებში, მასობრივ ღონისძიებებსა და საჯარო სივრცეებში უსაფრთხოების გაძლიერებლად. AI-კამერების ქსელებს შეუძლიათ

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

მანქანების ნომრების ამოცნობა და საეჭვო ქცევის იდენტიფიცირება, რაც დანაშაულის პრევენციას მნიშვნელოვნად აძლიერებს.

პოლიციის საქმიანობაში ჩამოყალიბდა ახალი მიმართულება AI-ით მართვადი დრონების გამოყენება. ისინი გამოიყენება შემთხვევის ადგილის პირველადი დათვალიერებისათვის, დაკარგული ადამიანების ძებნისათვის და კატასტროფების დროს მონიტორინგისთვის.

ხელოვნური ინტელექტი ასევე აქტიურად გამოიყენება კიბერდანაშაულთან ბრძოლაში, კერძოდ კიბერშეტევების მონიტორინგისათვის, ფინანსური თაღლითობის გამოვლენისთვის და ინტერნეტში უკანონო კონტენტის აღმოჩენისათვის.

სწრაფად ვითარდება AI-ზე დაფუძნებული ხელოვნებაც. იქმნება ახალი სტილის ნამუშევრები, რომელთა ავტორებად ერთდროულად შეიძლება ჩაითვალონ ადამიანი და მანქანა. გამოჩნდა ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ვიდეო პლატფორმები, რომლებიც გამოიყენება როგორც დამოუკიდებელი კინოპროექტებისათვის, ასევე დოკუმენტური და მოკლე ფორმატის ვიდეოების შესაქმნელად. AI-ზე დაფუძნებული სისტემები უკვე ქმნიან სრულფასოვან მუსიკალურ კომპოზიციებს, ხოლო ვირტუალური ხელოვნების ბაზრებმა ჩამოაყალიბა ახალი AI არტისტები, რაც თანდათან იქცა რეალურ კულტურულ და ეკონომიკურ მოძრაობად.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

EDUCATION REFORM IN GEORGIA: CHALLENGES AND SOLUTIONS

Copyright © 2026 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: May 27, 2026
Published: June 11, 2026
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC21022026-35

Jamlet Janjgava
Doctor of Economics
Professor at SEU and invited professor at TSU
Orcid ID: 0009-0005-4797-4085
E-mail: j.janjgava@seu.edu.ge

ABSTRACT

The education reform was one of the most significant and successful changes implemented in Georgia in the 21st century. However, over time, it became evident that the aforementioned reform required certain updates and adjustments, the implementation of which has already partially begun.

Within the framework of the reform, one of the most important decisions was the initiative to merge Ivane Javakhishvili Tbilisi State University and the Georgian Technical University, which was followed by large-scale public protest. In response to the emerging circumstances, the government was forced to review the aforementioned decision, which was ultimately regarded as an appropriate and justified measure.

In my opinion, the removal of the faculties of Social Sciences, Business Technologies, and Law from the Georgian Technical University as a result of the aforementioned reform was a correct decision. Although the Georgian Technical University had represented the leading center for the preparation of engineering personnel in the country for many years, as a result of the introduction of the aforementioned faculties, the engineering fields gradually lost their priority positions.

This decision may also be regarded as justified, since in recent years the quality of education at the Georgian Technical University has failed to meet the desired standards. However, it should also be noted that a considerable number of highly qualified professors and academic staff members were employed by these faculties. I believe that the low quality of teaching was largely caused by the lack of objective and transparent selection procedures at the Technical University for many years. In addition, faculty deans were appointed in violation of the Law on Higher Education of Georgia, while standards of accountability and academic rigor were insufficiently maintained.

As for the Ilia State University, it is advisable to increase the student quota, which would enable the higher educational institution to expand admissions to unique programs, particularly in the fields of ecology and environmental protection.

Furthermore, within the framework of the Unified National Examinations, the proportion of applicants admitted through mathematics-based examinations in the fields of economics, business, tourism, and engineering should be increased to 50%.

The issue related to the tourism program also requires immediate attention. In recent years, within the National Qualifications Framework, tourism has no longer been categorized as a field of business, which, in my opinion, represents a serious mistake and and requires reconsideration and correction.

Furthermore, it is advisable to provide professors from different universities with the opportunity to participate in competitions for the positions of rector, dean, and other academic positions, which would significantly increase both competition and the transparency of the process.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

In state universities, commissions responsible for the selection of professors should be established in agreement with the Ministry of Education and Science, while membership in such commissions should be limited — the same person should be permitted to serve as a commission member no more than twice.

In state universities, the share of the final examination should be increased to 40% of the overall assessment, namely 16 points.

It is also necessary to restrict admissions to PhD programs, since the current number of doctoral candidates does not adequately correspond to the country's needs. In addition, a minimum B2 level of foreign language proficiency should be required for admission to doctoral programs.

In both state and private universities, professors should be limited to teaching no more than three subjects.

Furthermore, the state should consider the possibility of re-establishing branches at certain universities.

The aforementioned and other similar measures would contribute to the improvement of the higher education system and to enhancing the quality of training of qualified personnel.

Keywords: *Education reform, university program, examination commission, Professors' Competition Commission, qualified personnel.*

REFERENCES:

1. Mankiw, N. Gregory. Principles of Economics. Translated and published by Diogenes, 2017. (In Georgian)

2. Janjgava, Jamlet. The Role of Legislative Regulations in Ensuring the Quality of Education. SEU Publishing House, 2007. (In Georgian)

3. Karchava, L., Chiabrishvili, K., Goroshidze, G., Mgeladze, L., & Veshapidze, S. (2026). Indicators of effective use of the rich experience of academic staff. The New Economist, 20(4), 21-35. (In Georgian)

4. Chigladze, G., & Karchava, L. (2025). The revolutionary impact of digital technologies on financial architecture. The New Economist, 20(2), 92-104.

5. Zagaidze, V., & Karchava, L. (2026). Artificial Intelligence and Data-Driven Policy in Economic Governance: Opportunities and Risks. The New Economist, 21(1), 85-92.

6. Otinashvili, R., Veshapidze, S., & Zoidze, G. (2023). Impact of economic crime on the sustainable development of the state. Three Seas Economic Journal, 4(1), 10-17.

7. Karchava, L., Veshapidze, S., & Chiabrishvili, K. (2023). Economic perspective of establishing strategic partnership between China and Georgia. The New Economist, 18(3), 7-2.

8. Karchava, L., Nanuashvili, I., Zoidze, G., & Veshapidze, S. (2025). Georgia's Strategic Role in Eurasian Transport and Digital Logistics Transformation. The New Economist, 20(2), 40-53.

9. Veshapidze, S., & Karchava, L. (2022). Contradictions of Globalization under the COVID-19 Pandemic. Bull. Georg. Natl. Acad. Sci, 16(4), 152-157.

10. Karchava, L. (2014). Again about the investment environment in Georgia Or what kind of investor do we need? The New Economist, 9(3), 45-2.

11. Karchava, L., Veshapidze, S., & Tsikelashvili, S. (2025). Georgia's Perspective in the Context of Developing Economic Relations between China and the European Union. The New Economist, 20(1), 8-23.

MAIN TEXT

The restoration of such programs would significantly improve the quality of education. Based on my contacts with graduates of this program, I can state that 22–23 graduates are successfully employed both in Georgia and abroad. They hold responsible positions in various important institutions, including the National Bank of Georgia and the Parliament of Georgia. For example, program graduate Tiniko Akhvlediani obtained a PhD in economics in the United States and is currently a well-known EU expert. Also noteworthy is Beka Liluashvili, a former member of the Parliament of Georgia, along with other successful graduates.

საქართველოში ნარჩენების მართვა წარმოადგენს გარემოსდაცვითი და ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ცირკულარული ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებს. თანამედროვე ეკონომიკური განვითარების პირობებში ნარჩენები აღარ განიხილება მხოლოდ ეკოლოგიურ პრობლემად და ის სულ უფრო მეტად აღიქმება როგორც ეკონომიკური რესურსი, რომლის ეფექტიანი გამოყენება ზრდის ეკონომიკურ ეფექტიანობას და ამცირებს გარემოსდაცვით ზეწოლას (Ellen MacArthur Foundation, 2021).

საქართველოში მუნიციპალური ნარჩენების გენერაცია ბოლო წლებში სტაბილურად მზარდ ტენდენციას აჩვენებს. საქსტატის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 2023 წელს ქვეყანაში წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობა შეადგენდა დაახლოებით **1,184 ათას ტონას**, რაც წინა წელთან შედარებით დაახლოებით **7%-იანი ზრდაა** (Geostat, 2023). ეს მიუთითებს, რომ მოხმარებისა და ეკონომიკური აქტივობის ზრდა პირდაპირ აისახება ნარჩენების მოცულობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით ნაკლებ ნარჩენს წარმოქმნის ერთ სულ მოსახლეზე, პრობლემა მდგომარეობს არა რაოდენობაში, არამედ მართვის ხარისხში. ერთ სულ მოსახლეზე მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობა საქართველოში შეადგენს დაახლოებით **250–300 კილოგრამს წელიწადში**, მაშინ როდესაც ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელი აღემატება **500 კილოგრამს** (UNDP, 2022; European Environment Agency, 2020).

ამ მონაცემების ფონზე მნიშვნელოვანია ნარჩენების მართვის სტრუქტურის ანალიზი. საქართველოში წარმოქმნილი ნარჩენების უდიდესი ნაწილი კვლავ ნაგავსაყრელებზე ხვდება და მხოლოდ მცირე ნაწილი გადამუშავდება. არსებული შეფასებების მიხედვით, გადამუშავების დონე **10%-ზე ნაკლებია**, მაშინ როდესაც ევროკავშირის ქვეყნებში იგი **30–50%**-ს აღწევს (European Environment Agency, 2020). ეს განსხვავება ნათლად აჩვენებს სისტემურ ჩამორჩენას და ცირკულარული ეკონომიკის არასაკმარის განვითარებას.

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი საქართველოსა და ევროკავშირის შორის (იხ. ცხრილი 1):

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირის ქვეყნებს როგორც ნარჩენების გადამუშავების, ისე რესურსეფექტიანობის მიმართულებით, რაც მიუთითებს სისტემური რეფორმების აუცილებლობაზე.

ნარჩენების მართვის სისტემის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ინფრასტრუქტურული უთანაბრობაა. დიდ ქალაქებში შედარებით განვითარებულია ნარჩენების შეგროვების სისტემა, თუმცა რეგიონებში კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი ხარვეზები როგორც შეგროვების, ისე გადამუშავების მიმართულებით. განსაკუთრებით პრობლემურია ნარჩენების სეგრეგაციის დაბალი დონე, რაც პრაქტიკულად ზღუდავს ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების რეალიზაციას.

მსოფლიო ბანკის შეფასებით, საქართველოს ნარჩენების მართვის სისტემის სრულყოფილი განვითარებისთვის აუცილებელია მნიშვნელოვანი ინვესტიციები გადამუშავების ინფრასტრუქტურაში და თანამედროვე ნაგავსაყრელების განვითარებაში (World Bank, 2020). არსებული სისტემა ძირითადად ორიენტირებულია ნარჩენების შეგროვებასა და განთავსებაზე, მაშინ როდესაც გადამუშავების კომპონენტი ჯერ კიდევ სუსტად არის განვითარებული.

რესურსეფექტიანობის თვალსაზრისით საქართველო კვლავ მაღალი რესურსმოხმარების ეკონომიკად რჩება. საქსტატის მონაცემებით, საქართველოს რესურსპროდუქტიულობა 2023 წელს შეადგენდა დაახლოებით **1.19 ლარს თითო კილოგრამ რესურსზე**, რაც მიუთითებს შედარებით დაბალ ეფექტიანობაზე და ეკონომიკის მატერიალურ რესურსებზე მაღალ დამოკიდებულებაზე (Geostat, 2023).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემა, რომელიც ითვალისწინებს მწარმოებლის პასუხისმგებლობას პროდუქტის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. საქართველოში ამ სისტემის დანერგვა დაწყებულია, თუმცა მისი პრაქტიკული ეფექტი ჯერ კიდევ შეზღუდულია (Pavliashvili, 2023).

ევროკავშირის გამოცდილება აჩვენებს, რომ ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემა ეფუძნება სამ ძირითად კომპონენტს: მკაცრ რეგულაციებს, ეკონომიკურ სტიმულებს და განვითარებულ ინფრასტრუქტურას. სწორედ ამ კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან გამოყენებას და ნარჩენების გადამუშავების მაღალ დონეს.

ამრიგად, საქართველოში ნარჩენების მართვისა და რესურსეფექტიანობის არსებული მდგომარეობა მიუთითებს მნიშვნელოვან სტრუქტურულ გამოწვევებზე. მიუხედავად გარკვეული პროგრე-

ცხრილი1. ნარჩენების მართვისა და რესურსეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლები საქართველოში და ევროკავშირში

მაჩვენებელი	საქართველო	ევროკავშირი(საშუალო)
მუნიციპალური ნარჩენები მოსახლეობის ერთ სულზე	250–300 კგ/წ	500+ კგ/წელი
ნარჩენების გადამუშავების დონე	<10%	30–50%
ნაგავსაყრელებზე განთავსება	>90%	<40%
რესურსპროდუქტიულობა	1.19 ლარი/კგ	მნიშვნელოვნად მაღალი

წყარო* UNDP. (2022). *Municipal waste management in Georgia*.
წყარო* Geostat. (2023). *Environmental statistics of Georgia*. National Statistics Office of Georgia.
წყარო* European Environment Agency. (2020). *Circular economy and waste management in Europe*.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

სისა, სისტემა ჯერ კიდევ საჭიროებს სერიოზულ რეფორმებს, რათა სრულად გადავიდეს ცირკულარული ეკონომიკის პრინციპებზე და უზრუნველყოს ეკონომიკური განვითარების მდგრადობა.

ცირკულარული ეკონომიკის ინსტიტუციური საფუძვლები საქართველოში

საქართველოში ცირკულარული ეკონომიკის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული გარემოსდაცვითი მმართველობის ინსტიტუციურ ჩარჩოსთან, რომელიც განსაზღვრავს როგორც პოლიტიკის ფორმირებას, ისე მისი პრაქტიკული განხორციელების ეფექტიანობას. თანამედროვე გარემოსდაცვითი პოლიტიკა ეფუძნება მრავალდონიან მართვას, სადაც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, საკანონმდებლო ჩარჩო და საერთაშორისო ვალდებულებები ერთიან სისტემას ქმნის. ამ სისტემის ეფექტიანობა პირდაპირ განსაზღვრავს ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების დანერგვის შესაძლებლობას ქვეყანაში.

საქართველოში გარემოსდაცვითი მმართველობის ძირითადი პასუხისმგებელი ინსტიტუცია არის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, ნარჩენების მართვის სტრატეგიასა და შესაბამის რეგულაციებს. ამასთან, ადგილობრივი თვითმმართველობები პასუხისმგებელნი არიან მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებასა და მართვაზე, რაც ქმნის დეცენტრალიზებული მართვის სისტემას. თუმცა პრაქტიკაში ხშირად შეინიშნება კოორდინაციის ნაკლებობა ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებს შორის, რაც ამცირებს პოლიტიკის ეფექტიანობას (Tsotsoria, 2026).

საქართველოს გარემოსდაცვითი პოლიტიკა მნიშვნელოვანწილად ეფუძნება ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით აღებულ ვალდებულებებს, რაც გულისხმობს ნარჩენების მართვის სისტემის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის სტანდარტებთან. ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნარჩენების მართვის კოდექსს, რომელიც განსაზღვრავს ნარჩენების კლასიფიკაციას, მართვის პრინციპებსა და მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებებს. მიუხედავად საკანონმდებლო პროგრესისა, პრაქტიკული განხორციელება კვლავ გამოწვევად რჩება (Pavliashvili, 2023).

ინსტიტუციური ჩარჩოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მონიტორინგისა და აღსრულების სისტემა. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულაციების აღსრულება ხშირად სუსტია, რაც დაკავშირებულია როგორც ადამიანური რესურსების, ისე ტექნიკური შესაძლებლობების შეზღუდულობასთან. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ ვლინდება რეგიონებში, სადაც ნარჩენების მართვის კონტროლი ნაკლებად ეფექტიანია.

ცირკულარული ეკონომიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ასევე ეკონომიკური ინსტრუმენტების არსებობა, რომლებიც ქმნის სტიმულებს ბიზნესებისა და მოსახლეობისთვის. საქართველოში ასეთი ინსტრუმენტების გამოყენება ჯერ კიდევ შეზღუდულია. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემა წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ მექანიზმს, რომელიც მიზნად ისახავს ნარჩენების შემცირებასა და გადამუშავების ხელშეწყობას. თუმცა მისი დაფარვა ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი და საჭიროებს შემდგომ გაფართოებასა და გაძლიერებას (Pavliashvili, 2023).

ევროკავშირის გამოცდილება აჩვენებს, რომ ცირკულარული ეკონომიკის წარმატებული ინსტიტუციური მოდელი ეფუძნება სამ ძირითად ელემენტს: მკაფიო სამართლებრივ ჩარჩოს, ეფექტიან აღსრულებას და ეკონომიკურ სტიმულებს. ამ ელემენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს სისტემის მდგრადობას და ნარჩენების მაღალი დონის გადამუშავებას. საქართველოში კი აღნიშნული კომპონენტები ჯერ კიდევ არ არის სრულად ინტეგრირებული ერთიან სისტემაში, რაც აფერხებს ცირკულარული ეკონომიკის განვითარებას (European Environment Agency, 2021).

ინსტიტუციური ჩარჩოს გაუმჯობესების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საზოგადოებრივი ჩართულობა. ნარჩენების სეგრეგაციისა და გადამუშავების სისტემის წარმატება დიდწილად დამოკიდებულია მოსახლეობის ინფორმირებულობაზე და ჩართულობაზე. საქართველოში ამ მიმართულებით პროგრესი შეინიშნება, თუმცა საერთო დონე ჯერ კიდევ დაბალია, რაც საჭიროებს დამატებით საგანმანათლებლო და საინფორმაციო პოლიტიკის გაძლიერებას.

ამრიგად, საქართველოში ცირკულარული ეკონომიკის ინსტიტუციური საფუძვლები ფორმირების ეტაპზე იმყოფება. მიუხედავად საკანონმდებლო პროგრესისა და საერთაშორისო ვალდებულებების არსებობისა, პრაქტიკული განხორციელება კვლავ გამოწვევად რჩება. სისტემის ეფექტიანობის გასაზრდელად აუცილებელია ინსტიტუციური კოორდინაციის გაძლიერება, ეკონომიკური სტიმულების გაფართოება და მონიტორინგის მექანიზმების

გაუმჯობესება, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების სრულფასოვან დანერგვას საქართველოში.

ცირკულარული ეკონომიკის ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში

ცირკულარული ეკონომიკის განვითარება საქართველოში მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტებზე, რომლებიც განსაზღვრავს როგორც ბიზნეს სექტორის ქცევას, ისე მოსახლეობისა და სახელმწიფო სტრუქტურების ურთიერთობას გარემოსდაცვით საკითხებთან. ეკონომიკური პოლიტიკა წარმოადგენს იმ მექანიზმთა ერთობლიობას, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო ცდილობს რესურსების ეფექტიანი გამოყენების წახალისებას, ნარჩენების შემცირებას და გარემოსდაცვითი ზიანის მინიმიზაციას.

საქართველოში გარემოსდაცვითი ეკონომიკური პოლიტიკა ბოლო წლებში თანდათან ვითარდება, თუმცა მისი ეფექტიანობა ჯერ კიდევ შეზღუდულია. ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ის, რომ ეკონომიკური ზრდის მოდელი ნაწილობრივ კვლავ ეფუძნება რესურსების ინტენსიურ გამოყენებას, რაც აფერხებს ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების სრულფასოვან ინტეგრაციას ეკონომიკურ სისტემაში.

ეკონომიკური ინსტრუმენტებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არის ნარჩენების მართვის საფასო პოლიტიკა. საქართველოში ნარჩენების განთავსების საფასო სისტემა ჯერ კიდევ არ ასახავს სრულად გარემოსდაცვით ხარჯებს, რაც ნიშნავს, რომ ნაგავსაყრელებზე განთავსება ეკონომიკურად შედარებით იაფია და შესაბამისად ნაკლებად სტიმულირებს გადამუშავებას. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ ნარჩენების განთავსების გადასახადების ზრდა პირდაპირ უწყობს ხელს გადამუშავების სექტორის განვითარებას და ნარჩენების შემცირებას (European Environment Agency, 2021).

მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემა, რომელიც საქართველოში უკვე დანერგვის ეტაპზეა. ამ სისტემის მიზანია მწარმოებლის პასუხისმგებლობის გაზრდა პროდუქტის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, მათ შორის ნარჩენების მართვაზეც. მიუხედავად საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობისა, მისი პრაქტიკული ეფექტიანობა ჯერ კიდევ შეზღუდულია და არ მოიცავს ყველა სექტორს სრულად (Pavliashvili, 2023).

ცირკულარული ეკონომიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ასევე გადამუშავების ინდუსტრიის მხარდაჭერა. საქართველოში ეს სექტორი ჯერ კიდევ განვითარების ადრეულ ეტაპზეა და საჭიროებს სახელმწიფო მხარდაჭერას როგორც საგადასახადო შეღავათების, ისე გრანტებისა და ინვესტიციების სახით. გადამუშავების ბაზრის სუსტი განვითარება პირდაპირ ზღუდავს ნარჩენების ეკონომიკურ ღირებულებად გარდაქმნის შესაძლებლობას.

გარდა ამისა, მწვანე ინვესტიციები წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ინსტრუმენტს, რომელიც ხელს უწყობს ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების დანერგვას და ენერგოეფექტიანობის ზრდას. საქართველოში მწვანე ინვესტიციების წილი ეკონომიკაში ჯერ კიდევ დაბალია, რაც მიუთითებს ფინანსური ბაზრის არასაკმარის განვითარებაზე გარემოსდაცვითი მიმართულებით.

საგადასახადო პოლიტიკა ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცირკულარული ეკონომიკის განვითარებაში. განვითარებულ ქვეყნებში გამოიყენება ე.წ. ეკოლოგიური გადასახადები, რომლებიც ზრდის გარემოსდაცვითად მავნე ქცევის ღირებულებას და ამით ქმნის სტიმულს ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების გამოყენებისთვის. საქართველოში მსგავსი სისტემები ჯერ კიდევ შეზღუდულად არის განვითარებული.

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ ცირკულარული ეკონომიკის წარმატებული განვითარება დამოკიდებულია ეკონომიკური ინსტრუმენტების კომპლექსურ გამოყენებაზე. მხოლოდ ერთი პოლიტიკის მექანიზმი ვერ უზრუნველყოფს სისტემურ ცვლილებას; საჭიროა ერთდროულად რეგულაციები, ფინანსური სტიმულები და ინსტიტუციური მხარდაჭერა. ევროკავშირის გამოცდილება ცხადყოფს, რომ სწორედ ამ სამკომპონენტიანი მიდგომა უზრუნველყოფს ნარჩენების მაღალი დონის გადამუშავებას და რესურსეფექტიანობის ზრდას (European Environment Agency, 2020).

საქართველოში ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების როლი, რომლებიც მხარს უჭერენ გარემოსდაცვით პროექტებს. მსოფლიო ბანკისა და სხვა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტები ხელს უწყობს ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის განვითარებას, თუმცა ამ ინვესტიციების მოცულობა ჯერ კიდევ არასაკმარისია სისტემური გარდაქმნისთვის (World Bank, 2020).

ცირკულარული ეკონომიკის ეკონომიკური პო-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ლიტიკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ინოვაციების მხარდაჭერა. ეკოინოვაციები საშუალებას იძლევა შემცირდეს რესურსების მოხმარება და გაიზარდოს წარმოების ეფექტიანობა. საქართველოში ინოვაციური ეკოსისტემა ჯერ კიდევ ფორმირების ეტაპზეა და საჭიროებს დამატებით სახელმწიფო და კერძო სექტორის მხარდაჭერას (Zarnadze, 2023).

ამრიგად, საქართველოში ცირკულარული ეკონომიკის ეკონომიკური პოლიტიკა და ინსტრუმენტები განვითარების ეტაპზე იმყოფება. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული საკანონმდებლო და ინსტიტუციური საფუძვლები, მათი პრაქტიკული ეფექტიანობა ჯერ კიდევ შეზღუდულია. სისტემური გაუმჯობესებისთვის აუცილებელია ეკონომიკური სტიმულების გაძლიერება, საგადასახადო პოლიტიკის გამწვანება, ინვესტიციების ზრდა და ინოვაციების მხარდაჭერა, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების სრულფასოვან დანერგვას ქვეყანაში.

დასკვნა

საქართველოში ცირკულარული ეკონომიკის განვითარება წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებას, რომელიც მიზნად ისახავს რესურსების ეფექტიან გამოყენებას, ნარჩენების მინიმიზაციას და ეკონომიკური სისტემის მდგრადობის გაძლიერებას. ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ქვეყნის არსებული სისტემა ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზე იმყოფება და საჭიროებს როგორც ინსტიტუციურ, ისე ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურულ გარდაქმნებს.

ნარჩენების მართვის ანალიზმა ცხადყო, რომ საქართველოში მუნიციპალური ნარჩენების მოცულობა მზარდია და 2023 წელს დაახლოებით 1,184 ათას ტონას შეადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ერთ სულ მოსახლეზე ნარჩენების რაოდენობა ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე დაბალია, მთავარი პრობლემა დაკავშირებულია ნარჩენების მართვის ხარისხთან. ქვეყანაში ნარჩენების დიდი ნაწილი კვლავ ნაგავსაყრელებზე ხვდება, ხოლო გადამუშავების დონე მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს. ეს მიუთითებს სისტემური ინფრასტრუქტურული და ორგანიზაციული პრობლემების არსებობაზე.

კვლევამ აჩვენა, რომ რესურსეფექტიანობის დონე საქართველოში შედარებით დაბალია, რაც აისახება რესურსპროდუქტიულობის მაჩვენებელშიც. ეკონომიკა კვლავ მაღალი რესურსმოხმარების მოდელზეა დაფუძნებული, რაც ზღუდავს ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების სრულფასოვან ინტეგრაციას. აღნიშნული მდგომარეობა პირდაპირ უკავშირდება ტექნოლოგიური განვითარების, ინოვაციების და მწვანე ინვესტიციების არასაკმარის დონეს.

ინსტიტუციური ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ საქართველოში გარემოსდაცვითი მმართველობის სისტემა ფორმირების პროცესშია. მიუხედავად საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესებისა და ევროკავშირთან დაახლოების ვალდებულებებისა, კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები უწყებათაშორის კოორდინაციაში, მონიტორინგისა და აღსრულების მექანიზმებში, ასევე საზოგადოებრივი ჩართულობის დონეში. ეს ფაქტორები ამცირებს პოლიტიკის ეფექტიანობას და აფერხებს ცირკულარული ეკონომიკის განვითარებას.

ეკონომიკური პოლიტიკისა და ინსტრუმენტების შეფასებამ აჩვენა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ შეზღუდულად გამოიყენება ის მექანიზმები, რომლებიც განვითარებულ ქვეყნებში ცირკულარული ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს. ნარჩენების განთავსების საფასო სისტემა სრულად არ ასახავს გარემოსდაცვით ხარჯებს, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სისტემა მხოლოდ ნაწილობრივ არის დანერგილი, ხოლო მწვანე ინვესტიციებისა და ეკოლოგიური საგადასახადო პოლიტიკის გამოყენება ჯერ კიდევ შეზღუდულია. შესაბამისად, ეკონომიკური სტიმულები არასაკმარისია იმისათვის, რომ უზრუნველყოს მასშტაბური სისტემური ცვლილებები.

კვლევის შედეგების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ცირკულარული ეკონომიკის განვითარება საჭიროებს კომპლექსურ და ინტეგრირებულ მიდგომას. პირველ რიგში აუცილებელია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, განსაკუთრებით ნარჩენების სეგრეგაციისა და გადამუშავების მიმართულებით. მეორე მნიშვნელოვანი მიმართულებაა ეკონომიკური სტიმულების გაძლიერება, მათ შორის საგადასახადო პოლიტიკის გამწვანება და მწარმოებლის პასუხისმგებლობის სისტემის გაფართოება. მესამე მიმართულებას წარმოადგენს ინსტიტუციური კოორდინაციის გაუმჯობესება და მონიტორინგის მექანიზმების გაძლიერება.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

CRISIS MANAGEMENT AS A STRATEGIC COMPETITIVE ADVANTAGE FOR WINE COMPANIES

Copyright © 2026 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: June 01, 2026
Published: June 15, 2026
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC21022026-53

David Kbilashvili
Doctor of Business Administration
Assistant Professor at
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
https://orcid.org/0009-0007-2149-685X
Email: davitkbilashvili@tsu.ge

ABSTRACT

Research Objective: *The objective of this article is to examine crisis management as a strategic competitive advantage for wine companies and to analyse the growing relevance of crisis preparedness in the context of contemporary international and Georgian wine industry challenges.*

Methodological Approach: *The study employs an analytical and comparative approach, drawing on crisis management theory, strategic management, corporate culture analysis and a critical review of recent industry data. The article uses international wine industry statistics, case-based analysis of crisis situations, and the author's doctoral research on CSR integration in wine companies' international business strategies.*

Main Results and Implications: *The analysis demonstrates that climate change, declining wine consumption, market concentration, geopolitical risks, supply-chain disruptions, inflation, slow digital transformation and rising ESG expectations increase the probability and intensity of crises in the wine sector. The Georgian wine industry's experience with the Russian embargo illustrates that crises can generate severe short-term damage, but can also stimulate quality improvement, market diversification and stronger international positioning. The article argues that crisis management should be understood not as a reactive administrative function, but as a strategic capability based on scenario planning, market diversification, financial resilience, transparent communication, ESG integration and organisational learning.*

Keywords: *crisis management; wine industry; strategic competitive advantage; Georgian wine; Russian embargo; market diversification; corporate culture; ESG; CSR; international business strategy.*

REFERENCES:

1. Australian Government, Minister for Foreign Affairs. (2024). Resolution of wine dispute with China. https://www.foreignminister.gov.au/minister/penny-wong/media-release/resolution-wine-dispute-china

2. European University Scientific Journal. (2024). Russian market dependence and Georgian wine export trends. https://eugb.ge/index.php/111/article/view/454

3. Groysberg, B., Lee, J., Price, J., & Cheng, J. Y.-J. (2018). The leader's guide to corporate culture. Harvard Business Review, January–February 2018. https://hbr.org/2018/01/the-leaders-guide-to-corporate-culture

4. International Organisation of Vine and Wine (OIV). (2025). State of the world vine and wine sector in 2024. Dijon: OIV. https://www.oiv.int/sites/default/files/documents/OIV-State_of_the_World_Vine-and-Wine-Sector-in-2024.pdf

5. Kbilashvili, D. (2021). Integration of corporate social responsibility (CSR) into the international business strategies of wine companies. Doctoral disserta-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

tion. Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi.

6. Le Monde. (2025). French government unveils rescue plan for struggling wine industry. Le Monde, 25 November 2025. https://www.lemonde.fr/en/environment/article/2025/11/25/french-government-unveils-rescue-plan-for-struggling-wine-industry_6747819_114.html

7. Reuters. (2026). US tariffs weigh on world wine trade in 2025 while consumption slips to new low. Reuters, 12 May 2026. https://www.reuters.com/world/china/us-tariffs-weigh-world-wine-trade-2025-while-consumption-slips-new-low-2026-05-12/

8. National Wine Agency of Georgia. (2025). Georgian wine export data for European markets. Tbilisi: National Wine Agency of Georgia. https://wine.gov.ge/En/News/38364

კრიზისული მენეჯმენტი, როგორც ღვინის კომპანიების სტრატეგიული კონკურენტული უპირატესობა

დავით კბილაშვილი
ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი
ელ. ფოსტა: davitkbilashvili@tsu.ge

აბსტრაქტი

კვლევის მიზანი: სტატიის მიზანია კრიზისული მენეჯმენტის, როგორც ღვინის კომპანიების სტრატეგიული კონკურენტული უპირატესობის, გაანალიზება და იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც თანამედროვე საერთაშორისო და ქართულ ღვინის ინდუსტრიაში ზრდის კრიზისების ალბათობასა და კრიზისული მზადყოფნის მნიშვნელობას.

მეთოდოლოგიური მიდგომა: კვლევა ეფუძნება ანალიტიკურ და შედარებით მიდგომებს, კრიზისული მენეჯმენტის, სტრატეგიული მენეჯმენტის, კორპორაციული კულტურისა და ESG/CSR მიდგომების თეორიულ ანალიზს. ნაშრომში გამოყენებულია საერთაშორისო ღვინის ინდუსტრიის განახლებული სტატისტიკური მონაცემები, საერთაშორისო შემთხვევების ანალიზი და ავტორის სადისერტაციო კვლევის მიგნებები ქართული ღვინის კომპანიების სტრატეგიულ მართვასა და CSR-ის ინტეგრირებასთან დაკავშირებით.

ძირითადი შედეგები და იმპლიკაციები: ანალიზი აჩვენებს, რომ კლიმატური ცვლილებები, ღვინის მოხმარების გლობალური შემცირება, ბაზრების კონცენტრაცია, პოლიტიკური რისკები, მომარაგების ჯაჭვის შეფერხებები, ინფლაცია, ციფრული ტრანსფორმაციის სინელე და ESG მოთხოვნების ზრდა ღვინის ინდუსტრიაში კრიზისული მენეჯმენტის მნიშვნელობას არსებითად ზრდის. ქართული ღვინის ინდუსტრიისთვის რუსეთის ემბარგო წარმოადგენს მკაფიო მაგალითს იმისა, რომ კრიზისი მოკლევადიან პერიოდში შეიძლება იყოს მძიმე შოკი, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში იგი შეიძლება გადაიქცეს ხარისხის გაუმჯობესების, ბაზრების დივერსიფიკაციისა და საერთაშორისო პოზიციონირების კატალიზატორად. სტატია ასაბუთებს, რომ ღვინის კომპანიებისთვის კრიზისული მენეჯმენტი უნდა განიხილებოდეს არა როგორც რეაქტიული ადმინისტრაციული ფუნქცია, არამედ როგორც სტრატეგიული შესაძლებლობა, რომელიც ეფუძნება სცენარებზე დაფუძნებულ დაგეგმვას, ბაზრების დივერსიფიკაციას, ფინანსურ მდგრადობას, გამჭვირვალე კომუნიკაციას, ESG მიდგომების ინტეგრირებასა და ორგანიზაციულ სწავლას.

საკვანძო სიტყვები: კრიზისული მენეჯმენტი; ღვინის ინდუსტრია; სტრატეგიული კონკურენტული უპირატესობა; ქართული ღვინო; რუსეთის ემბარგო; ბაზრების დივერსიფიკაცია; კორპორაციული კულტურა; ESG; CSR; საერთაშორისო ბიზნეს სტრატეგია.

შესავალი

კვლევის აქტუალობა. თანამედროვე ბიზნესგარემო სულ უფრო მეტად ხასიათდება გაურკვევლობით, არაპროგნოზირებადობითა და ერთმანეთთან გადაჯაჭვული რისკებით. თუ ტრადიციულად კრიზისი აღიქმებოდა როგორც ერთჯერადი, გამონაკლისი და დროებითი მოვლენა, დღეს ის უკვე ბიზნესის მუდმივ კონტექსტად იქცა. პოლიტიკური დაძაბულობა, სავაჭრო შეზღუდვები, კლიმატური ცვლილებები, ინფლაცია, მომხმარებელთა ქცევის ცვლილება, ციფრული ტრანსფორმაციის დაგვიანება და მომარაგების ჯაჭვის შეფერხებები ქმნის გარემოს, სადაც კრიზისის ალბათობა აღარ არის თეორიული რისკი, არამედ ყოველდღიური მენეჯერული რეალობა.

კრიზისული მენეჯმენტი, როგორც ბიზნეს მენეჯმენტის დამოუკიდებელი და სისტემური ფუნქცია, განსაკუთრებით გაძლიერდა XX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც მსხვილმა ინდუსტრიულმა, ეკოლოგიურმა, რეპუტაციულმა და ფინანსურმა კრიზისებმა კომპანიებს აჩვენა, რომ მხოლოდ რეაქტიული მოქმედება საკმარისი აღარ იყო. 1980-იანი წლებიდან კრიზისული მენეჯმენტი თანდათან დაუკავშირდა რისკების მართვას, საზოგადოებასთან ურთიერთობას, რეპუტაციის დაცვას, ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფას და ორგანიზაციულ სწავლას. გლობალური ფინანსური კრიზისის, COVID-19-ის პანდემიისა და გეოპოლიტიკური დაძაბულობის შემდეგ კრიზისული მენეჯმენტი უფრო ფართოდ ინტეგრირდა კომპანიების სტრატეგიულ დაგეგმვაში, ბიზნეს მოდელებსა და კორპორაციულ კულტურაში.

მიუხედავად ამისა, ბევრი ინდუსტრია და კომპანია ჯერ კიდევ ვერ აფასებს ეფექტური კრიზისული მენეჯმენტის მნიშვნელობას. ხშირად კრიზისული გეგმა მხოლოდ ფორმალურ დოკუმენტად არსებობს, ან საერთოდ არ არსებობს. კომპანიები კრიზისის დადგომის შემდეგ იწყებენ გამოსავლის ძიებას, რაც ზრდის დანაკარგებს, აჭიანურებს რეაგირებას, აზიანებს პარტნიორებთან ურთიერთობას და ამცირებს ბაზარზე პოზიციის შენარჩუნების შესაძლებლობას. სწორედ აქ ჩნდება სტრატეგიული შესაძლებლობა წინდახედული კომპანიებისთვის: თუ კონკურენტები კრიზისს მხოლოდ საფრთხედ აღიქვამენ, კარგად მომზადებულ კომპანიას შეუძლია კრიზისული მენეჯმენტი აქციოს კონკურენტულ უპირატესობად.

ეს შესაძლებლობა განსაკუთრებით მკაფიოა ღვინის ინდუსტრიაში. ღვინო, ერთი მხრივ, ტრადიციასთან, კულტურასთან და ადგილწარმოშობასთან დაკავშირებული პროდუქტია, ხოლო მეორე მხრივ აგრობიზნესის, საერთაშორისო ვაჭრობის, მომხმარებლის ემოციური არჩევანისა და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე მაგალითი. ვენახი პირდაპირ არის დამოკიდებული კლიმატზე; ღვინის გაყიდვები დამოკიდებულია მომხმარებელთა გემოვნებაზე, შემოსავალზე, სოციალურ ტენდენციებსა და დისტრიბუციულ ქსელებზე; ექსპორტი კი დამოკიდებულია პოლიტიკურ ურთიერთობებზე, სატარიფო რეჟიმებზე, ლოგისტიკასა და ქვეყნის იმიჯზე. შესაბამისად, ღვინის კომპანიებისთვის კრიზისული მენეჯმენტი უნდა იქცეს სტრატეგიული მართვის, საერთაშორისო პოზიციონირებისა და გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის განუყოფელ ნაწილად.

კვლევის მიზანი, ამოცანები და მეთოდოლოგიური ჩარჩო

კვლევის ძირითადი მიზანია ღვინის ინდუსტრიაში კრიზისული მენეჯმენტის სტრატეგიული მნიშვნელობის შეფასება და იმ მოდელის ჩამოყალიბება, რომლის საშუალებითაც ღვინის კომპანიები შეძლებენ კრიზისული მზადყოფნის გარდაქმნას მდგრად კონკურენტულ უპირატესობად.

კვლევის ამოცანებია:

1. საერთაშორისო ღვინის ინდუსტრიის ამჟამინდელი კრიზისული გამოწვევების იდენტიფიცირება;
2. კრიზისული მენეჯმენტისა და ალტერნატიული სცენარების დაგეგმვის როლის განსაზღვრა ღვინის კომპანიების სტრატეგიულ მართვაში;
3. საერთაშორისო და ქართული ღვინის ინდუსტრიის კრიზისული შემთხვევების ანალიზი;
4. ქართული ღვინის ინდუსტრიისთვის რუსეთის ემბარგოს, როგორც კრიზისული გამოცდილების, სტრატეგიული გაკვეთილების შეფასება;
5. ღვინის კომპანიებისთვის ხუთსვეტიანი კრიზისული მდგრადობის მოდელის ჩამოყალიბება.

კვლევა ეფუძნება ანალიტიკურ და შედარებით მეთოდებს, საერთაშორისო ინდუსტრიული წყაროების კრიტიკულ მიმოხილვას, შემთხვევების ანალიზს და ავტორის სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილ მიგნებებს. მეთოდოლოგიურად ნაშრომი აერთიანებს საერთაშორისო ბიზნესის, კრიზისული მენეჯმენტის, კორპორაციული კულტურისა და ESG/CSR მიდგომების თეორიულ ანალიზს.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

საერთაშორისო ღვინის ინდუსტრია და კრიზისული გარემო

საერთაშორისო ღვინის ინდუსტრია 2021 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა. გლობალურ კონკურენტულ სივრცეში ძველი სამყაროს ღვინის მწარმოებელი ქვეყნები — საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია და გერმანია — კონკურენციას უწევენ ახალი სამყაროს მწარმოებლებს, როგორებიც არიან აშშ, ავსტრალია, ჩილე, ახალი ზელანდია და სამხრეთ აფრიკა. საერთაშორისო ბაზარზე წარმატება მხოლოდ ღვინის ხარისხით აღარ განისაზღვრება; ის მოითხოვს სტრატეგიულ ხედვას, მომხმარებელთან კომუნიკაციას, ბრენდის იდენტობას, CSR-ის ინტეგრირებას და ბაზრების სწორად შერჩევას (კბილაშვილი, 2021).

ბოლო წლების მონაცემები აჩვენებს, რომ ღვინის ინდუსტრიის გლობალური გარემო კიდევ უფრო რთული გახდა. 2024 წელს მსოფლიო ვენახების ფართობი შემცირდა დაახლოებით 7.1 მილიონ ჰექტრამდე. მსოფლიო ღვინის წარმოებამ შეადგინა დაახლოებით 225.8 მილიონი ჰექტოლიტრი, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ბოლო 60 წელზე მეტ პერიოდში. გლობალური მოხმარებაც შემცირდა და 2024 წელს დაახლოებით 214.2 მილიონ ჰექტოლიტრს გაუტოლდა. საერთაშორისო ღვინის ვაჭრობის მოცულობა დარჩა შედარებით დაბალ დონეზე — დაახლოებით 99.8 მილიონი ჰექტოლიტრი, თუმცა ექსპორტის ღირებულებამ მაინც შეადგინა 35.9 მილიარდი ევრო, რაც ნაწილობრივ მაღალი საშუალო ფასებით იყო განპირობებული (OIV, 2025).

2025 წლის მონაცემებით, სურათი კიდევ უფრო ამძაფრებს კრიზისული მენეჯმენტის მნიშვნელობას. გლობალური ღვინის ექსპორტი მოცულობით შემცირდა 94.8 მილიონ ჰექტოლიტრამდე, ხოლო ღირებულებით — 33.8 მილიარდ ევრომდე. მსოფლიო ღვინის მოხმარება შემცირდა დაახლოებით 208 მილიონ ჰექტოლიტრამდე, რაც ისტორიულად ერთ-ერთი ყველაზე დაბალი დონეა. ამავე დროს, სექტორი ცდილობს ადაპტაციას ღვინის ტურიზმის, მდგრადობის, დაბალალკოჰოლიანი და უალკოჰოლო ღვინოების განვითარების გზით (Reuters, 2026).

ეს მონაცემები ადასტურებს, რომ თანამედროვე ღვინის კომპანიები მოქმედებენ არა ზრდის კლასიკურ გარემოში, არამედ სტრუქტურული ცვლილებების პირობებში. ასეთ გარემოში წარმატებას აღწევენ არა მხოლოდ ის კომპანიები, რომლებიც კარგ ღვინოს აწარმოებენ, არამედ ისინიც, რომლებიც წინასწარ ხედავენ კრიზისის წყაროებს, გეგმავენ ალტერნატიულ სცენარებს და კრიზისის პერიოდში სწრაფად, გამჭვირვალედ და კოორდინირებულად მოქმედებენ.

საერთაშორისო ღვინის ინდუსტრიის ამჟამინდელი გამოწვევები

თანამედროვე ღვინის ინდუსტრიის კრიზისული ბუნება რამდენიმე ძირითადი ფაქტორით განისაზღვრება. პირველი გამოწვევა კლიმატური ცვლილებებია. გვალვა, ჭარბი ნალექი, გაზაფხულის ყინვები, სიცხის ტალღები და დაავადებების გავრცელება პირდაპირ მოქმედებს მოსავლიანობაზე, ყურძნის ხარისხსა და წარმოების სტაბილურობაზე. კლიმატი ღვინის ინდუსტრიაში აღარ არის მხოლოდ აგრონომიული საკითხი; ის გახდა ბიზნესის უწყვეტობის, ინვესტიციების, ფასებისა და ბაზარზე მიწოდების სტაბილურობის საკითხი.

მეორე გამოწვევაა ღვინის მოხმარების გლობალური ვარდნა. ახალგაზრდა თაობებში ალკოჰოლის მიმართ დამოკიდებულება იცვლება; ჯანმრთელობაზე ორიენტირებული ცხოვრების წესი ძლიერდება; მომხმარებლები უფრო ხშირად ირჩევენ დაბალალკოჰოლიან, უალკოჰოლო ან ალტერნატიულ სასმელებს. ეს ტენდენცია განსაკუთრებით რთულია ტრადიციული ღვინის მწარმოებელი რეგიონებისთვის, რომელთა ბიზნეს მოდელები წლების განმავლობაში სტაბილურ მოთხოვნაზე იყო აგებული.

მესამე გამოწვევაა მოსავლიანობისა და მიწოდების არასტაბილურობა. ღვინის წარმოების ციკლი სწრაფად ვერ ერგება მოთხოვნის ცვლილებას. ვენახის გაშენება, ჯიშის ცვლილება, ბრენდის პოზიციონირება და ბაზრის განვითარება ხანგრძლივი პროცესია. ამიტომ, როდესაც მოთხოვნა სწრაფად მცირდება, ინდუსტრია ხშირად დგება ჭარბი მიწოდების, ფასების ვარდნისა და მარაგების დაგროვების წინაშე. საფრანგეთში ბოლო წლებში სწორედ ამ მიზეზით გაჩნდა ვენახების ამოძირკვის სახელმწიფო პროგრამები, რაც მიანიშნებს არა მოკლევადიან, არამედ სტრუქტურულ კრიზისზე (Le Monde, 2025).

მეოთხე გამოწვევაა მომხმარებელთა პრეფერენციების ცვლილება. მომხმარებელი ეძებს ავთენტურობას, მდგრადობას, ადგილწარმოშობის ისტორიას, ახალ გემოვნურ გამოცდილებას, მაგრამ ამავე დროს ითხოვს გასაგებ კომუნიკაციას, ხელმისაწვდომობას და სანდოობას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ღვინის კომპა-

ნიებისთვის, რომლებსაც ხშირად აქვთ უნიკალური პროდუქტი, მაგრამ არ აქვთ საკმარისი რესურსი მისი საერთაშორისო კომუნიკაციისთვის.

მეხუთე გამოწვევაა ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციის სინელე. ღვინის ინდუსტრიაში ბევრი კომპანია კვლავ ეყრდნობა ტრადიციულ დისტრიბუციას, გამოფენებს, რესტორნებსა და იმპორტიორებს. თუმცა COVID-19-ის შემდეგ ციფრული კომუნიკაცია, ონლაინ გაყიდვები, მონაცემებზე დაფუძნებული მარკეტინგი და პირდაპირი ურთიერთობა მომხმარებელთან კონკურენტუნარიანობის აუცილებელ ელემენტებად იქცა.

მეექვსე გამოწვევაა მომარაგების ჯაჭვი და ინფლაცია. ბოთლი, საცობი, ეტიკეტი, ლოგისტიკა, ენერგია, შეფუთვა და ტრანსპორტირება ღვინის ღირებულებათა ჯაჭვის მნიშვნელოვანი კომპონენტებია. მათი გაძვირება ან შეფერხება პირდაპირ მოქმედებს ფასზე, მარჟასა და საექსპორტო კონტრაქტების შესრულებაზე.

მეშვიდე გამოწვევაა პოლიტიკური გარემო. ღვინის ინდუსტრია განსაკუთრებით მგრძნობიარეა ემბარგოების, ტარიფების, სანქციებისა და დიპლომატიური ურთიერთობების მიმართ. ქართული ღვინის შემთხვევაში ამის ყველაზე მკაფიო მაგალითი იყო რუსეთის ემბარგო, ხოლო საერთაშორისო დონეზე მსგავს რისკს კარგად აჩვენებს ჩინეთის მიერ ავსტრალიურ ღვინოზე დაწესებული მაღალი ტარიფები (Australian Government, Minister for Foreign Affairs, 2024).

მერვე გამოწვევაა მდგრადი განვითარების, CSR-ის და ESG მიდგომების ინტეგრირების აუცილებლობა. ღვინის ინდუსტრია გარემოსთან პირდაპირ კავშირშია და თანამედროვე მომხმარებელი ღვინის კომპანიებისგან ხარისხთან ერთად ითხოვს ეთიკურობას, გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას და სოციალური პასუხისმგებლობის პრაქტიკას. დღეს CSR უკვე აღარ არის მხოლოდ იმიჯის კომპონენტი; ის გადადის ESG სტრატეგიაში, რომელიც მოიცავს გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას, სოციალურ პასუხისმგებლობას, კორპორაციულ მართვას, გამჭვირვალობას და რისკების მართვას (კბილაშვილი, 2021).

დიაგრამა 1. კრიზისული მენეჯმენტის ძირითადი ეტაპები ღვინის კომპანიაში

1	რისკების იდენტიფიკაცია
	↓
2	სცენარების ანალიზი
	↓
3	ალტერნატიული გეგმების მომზადება
	↓
4	კრიზისის ადრეული სიგნალების მონიტორინგი
	↓
5	სწრაფი რეაგირება და რესურსების გადანაწილება
	↓
6	კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან
	↓
7	კონტროლი, კორექცია და შედეგების შეფასება
	↓
8	ორგანიზაციული სწავლა და გეგმის განახლება

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

კრიზისული მენეჯმენტი და ალტერნატიული სცენარების დაგეგმვა

ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად ეფექტური კრიზისული მენეჯმენტი აუცილებელია. კრიზისული მენეჯმენტი გულისხმობს კომპანიის უნარს, წინასწარ განსაზღვროს შესაძლო საფრთხეები, შეიმუშაოს ალტერნატიული გეგმები, სწრაფად მოახდინოს რეაგირება კრიზისის დროს და კრიზისის შემდეგ ისწავლოს მიღებული გამოცდილებიდან. მისი მიზანი მხოლოდ ზიანის შემცირება არ არის; ეფექტური კრიზისული მენეჯმენტი ქმნის კომპანიის ორგანიზაციულ იმუნიტეტს.

კრიზისული მენეჯმენტის ერთ-ერთი ცენტრალური კომპონენტია contingency planning — ალტერნატიული სცენარების დაგეგმვა. ღვინის კომპანიისთვის ეს შეიძლება გულისხმობდეს ალტერნატიულ საექსპორტო ბაზრებს, ალტერნატიულ დისტრიბუტორებს, მარაგების მართვის გეგმას, ლოგისტიკის ალტერნატიულ გზებს, ფინანსურ რეზერვს, კრიზისული კომუნიკაციის პროტოკოლს და კრიტიკული გადაწყვეტილებების მიღების მკაფიო წესს (იხ. დიაგრამა 1).

ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გამჭვირვალობას, სისწრაფეს, კომუნიკაციას და კონტროლს. კრიზისის დროს პარტნიორებმა, თანამშრომლებმა, დისტრიბუტორებმა და მომხმარებლებმა უნდა იცოდნენ, რას აკეთებს კომპანია, რა რისკებია მოსალოდნელი და როგორ აპირებს კომპანია მათ მართვას. დაგვიანებული ან წინააღმდეგობრივი კომუნიკაცია ხშირად თავად ხდება ახალი კრიზისის წყარო.

ამავე დროს, კრიზისული გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ოთხ ოპერაციულ ფაქტორს: ხარჯს, დროს, რისკს და უსაფრთხოებას. მაგალითად, თუ კომპანია რუსულ ბაზარზე ექსპორტის შეზღუდვის რისკს ხედავს, მხოლოდ ახალი ბაზრების ზოგადი სურვილი საკმარისი არ არის. მას უნდა ჰქონდეს გამოთვლილი, რა დაჯდება ალტერნატიულ ბაზარზე შესვლა, რამდენი დრო დასჭირდება რეგისტრაციასა და დისტრიბუტორის მოძიებას, რა რისკებია ფასის, ხარისხის, ეტიკეტირების ან მარაგის კუთხით და როგორ დაიცავს კომპანია თანამშრომლების, პარტნიორებისა და მომხმარებლების უსაფრთხოებას.

საერთაშორისო შემთხვევები: კრიზისული მენეჯმენტის არასაკმარისი მზადყოფნის ფასი

ავსტრალიური ღვინო და ჩინეთის ტარიფები. ავსტრალიური ღვინის ინდუსტრიისთვის ჩინეთი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საექსპორტო ბაზარი იყო. როდესაც 2020–2021 წლებში ჩინეთმა ავსტრალიურ ღვინოზე ძალიან მაღალი ტარიფები დააწესა, ბაზარი მრავალი მწარმოებლისთვის პრაქტიკულად დაიხურა. პრობლემა მხოლოდ ტარიფი არ იყო; პრობლემა იყო მაღალი დამოკიდებულება ერთ მთავარ ბაზარზე. შედეგად, კომპანიებს მოუწიათ ალტერნატიული ბაზრების მოძიება, მარაგების მართვა, ფასების გადახედვა და საერთაშორისო სტრატეგიის შეცვლა (Australian Government, Minister for Foreign Affairs, 2024).

საფრანგეთი და ჭარბი წარმოების კრიზისი. საფრანგეთი, როგორც ღვინის ძველი სამყაროს ლიდერი ქვეყანა, ბოლო წლებში აღმოჩნდა სტრუქტურული კრიზისის წინაშე. მოთხოვნის შემცირებამ, წითელი ღვინის გაყიდვების ვარდნამ და ჭარბმა წარმოებამ გამოიწვია ფასების შემცირება და მარაგების დაგროვება. სახელმწიფო დონეზე საჭირო გახდა ფინანსური მხარდაჭერა და ვენახების ამოძირკვის პროგრამები. ეს მაგალითი აჩვენებს, რომ კრიზისული მენეჯმენტი არ ეხება მხოლოდ მოულოდნელ შოკებს. ზოგჯერ კრიზისი ნელა ვითარდება, მომხმარებელი იცვლება, ბაზარი მცირდება, მაგრამ კომპანიები და ინდუსტრია ძველი მოდელით აგრძელებენ მუშაობას. ასეთ შემთხვევაში დაგვიანებული რეაგირება ძალიან ძვირი ჯდება (Le Monde, 2025).

ქართული ღვინო და რუსეთის ემბარგო. ქართული ღვინის ინდუსტრიისთვის ყველაზე მძიმე კრიზისული გამოცდილება იყო რუსეთის მიერ 2006 წელს დაწესებული ემბარგო. ემბარგომ გამოავლინა ქართული ღვინის ინდუსტრიის ერთ-ერთი მთავარი სისუსტე: ბაზრის უკიდურესი კონცენტრაცია. იმ პერიოდში ქართული ღვინის ექსპორტის 90%-ზე მეტი რუსეთის ბაზარზე იყო დამოკიდებული. ემბარგომ გამოიწვია კომპანიების კრახი, ფინანსური დანაკარგები და ინდუსტრიის მძიმე შოკი. თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში ამ კრიზისმა დადებითი შედეგებიც მოიტანა: ხარისხის გაუმჯობესება, ახალი ბაზრების ძიება, საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა, მარკეტინგის გაძლიერება, ქვეყნის ღვინის იმიჯის განვითარება და ინდუსტრიის ადაპტაციის უნარის ზრდა (კბილაშვილი, 2021).

მაგრამ კრიზისიდან მიღებული გაკვეთილი სრულად გათვალისწინებული არ არის. დღესაც ქართული ღვინის ექსპორტში რუსეთის ბაზრის წილი კვლავ ძალიან მაღალია — 60%-ზე მეტი. ეს

ნიშნავს, რომ ქართული ღვინის ინდუსტრია ისევ დგას იმავე სტრატეგიული რისკის წინაშე, რომელმაც 2006 წელს მძიმე კრიზისი გამოიწვია (European University Scientific Journal, 2024).

ეფექტური კრიზისული მენეჯმენტი: ღვინის ინდუსტრიის ხუთსვეტიანი მდგრადობის მოდელი

ღვინის კომპანიებისთვის ეფექტური კრიზისული მენეჯმენტი შეიძლება ჩამოყალიბდეს ხუთსვეტიან მოდელად.

1. ბაზრების დივერსიფიკაცია. არცერთი საექსპორტო ბაზარი არ უნდა იყოს იმდენად დომინანტური, რომ მისი დაკარგვა კომპანიის არსებობას დაემუქროს. ქართული ღვინის შემთხვევაში ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსეთის ბაზართან მიმართებით. დივერსიფიკაცია გულისხმობს სტრატეგიული ბაზრების შერჩევას, თითოეულ ბაზარზე ბრენდის თანმიმდევრულ განვითარებას და გრძელვადიანი პარტნიორების მოძიებას.

2. სცენარებზე დაფუძნებული დაგეგმვა. კომპანიამ წინასწარ უნდა შეიმუშაოს რამდენიმე შესაძლო სცენარი: ემბარგო, ლოგისტიკური შეფერხება, მოსავლის შემცირება, ფასების ზრდა, დისტრიბუტორის დაკარგვა, რესტორნების ქსელის დახურვა, ვალუტის მერყეობა ან რეპუტაციული კრიზისი.

3. ფინანსური და ოპერაციული მდგრადობა. კრიზისის დროს გადარჩებიან ის კომპანიები, რომლებსაც აქვთ საკმარისი ფინანსური ბუფერი, მოქნილი ხარჯების სტრუქტურა, მარაგების მართვის სისტემა და ალტერნატიული გაყიდვების არხები.

4. ძლიერი ბრენდი და კომუნიკაცია. კრიზისის დროს ძლიერი ბრენდი კომპანიის დაცვის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმია. მომხმარებელი და პარტნიორი უფრო მეტად ენდობა კომპანიას, რომელსაც აქვს მკაფიო იდენტობა, ხარისხის რეპუტაცია, გამჭვირვალე კომუნიკაცია და ღირებულებებზე დაფუძნებული პოზიციონირება.

5. ESG, CSR და ინოვაცია. მდგრადობა, სოციალური პასუხისმგებლობა და კორპორაციული მართვა ღვინის კომპანიებისთვის უნდა გახდეს არა მხოლოდ კომუნიკაციის თემა, არამედ ბიზნესის მართვის სისტემა. ინოვაცია შეიძლება გამოიხატოს ციფრულ მარკეტინგში, მონაცემებზე დაფუძნებულ გაყიდვებში, ღვინის ტურიზმში, დაბალალკოჰოლიან პროდუქტებში და ახალი შეფუთვის ან დისტრიბუციის მოდელებში.

კორპორაციული კულტურა და კრიზისული მენეჯმენტი

კრიზისული მენეჯმენტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, მაგრამ ხშირად უგულებელყოფილი ფაქტორია კორპორაციული კულტურა. კომპანია შეიძლება ფლობდეს ფორმალურ კრიზისულ გეგმას, მაგრამ თუ მისი კულტურა არ უწყობს ხელს სწრაფ გადაწყვეტილებას, პასუხისმგებლობის აღებას, გამჭვირვალე კომუნიკაციას და შეცდომებიდან სწავლას, კრიზისული გეგმა პრაქტიკაში არ იმუშავებს.

Harvard Business Review-ის მოდელის მიხედვით, კორპორაციული კულტურა შეიძლება შეფასდეს ორი ძირითადი განზომილებით: როგორ ურთიერთობენ ადამიანები ორგანიზაციაში და როგორ რეაგირებს ორგანიზაცია ცვლილებაზე. ამ მოდელში გამოიყოფა კულტურის რამდენიმე ტიპი, მათ შორის შედეგზე ორიენტირებული, ავტორიტეტზე ორიენტირებული, უსაფრთხოებაზე ორიენტირებული, წესრიგზე ორიენტირებული, სწავლაზე ორიენტირებული და მიზანზე ორიენტირებული კულტურები (Groysberg et al., 2018).

კრიზისული მენეჯმენტის ინტეგრირებისას კომპანიამ უნდა გააანალიზოს თავისი კულტურის ძლიერი და სუსტი მხარეები. ავტორიტარულ კულტურაში გადაწყვეტილებები შეიძლება სწრაფად მიიღებოდეს, რაც კრიზისის მწვავე ეტაპზე სასარგებლოა, მაგრამ არსებობს რისკი, რომ თანამშრომლები პრობლემების ადრეულ სიგნალებს ვერ გააჟღერებენ. უსაფრთხოებაზე და წესრიგზე ორიენტირებული კულტურა უკეთესად ამზადებს კომპანიას პროცედურების, კონტროლისა და რისკების შემცირებისთვის, თუმცა შეიძლება ნაკლებად მოქნილი იყოს სწრაფად ცვალებად ბაზარზე.

ღვინის კომპანიებისთვის ოპტიმალური მიდგომა არის დაბალანსებული კულტურა: წესრიგი და უსაფრთხოება კრიზისის პრევენციისთვის; სწავლა და მოქნილობა ადაპტაციისთვის; შედეგზე ორიენტაცია შესრულებისთვის; და მიზანზე დაფუძნებული კულტურა ბრენდის გრძელვადიანი სანდოობისთვის.

ქართული ღვინის კომპანიები და კრიზისული მენეჯმენტი

ქართული ღვინის კომპანიების მნიშვნელოვანი ნაწილი კრიზისის მიმართ რეაქტიულია. კომპანიების ნაწილი პირდაპირ აღნიშნავს, რომ კრიზისული გეგმა არ აქვს და კრიზისის მოგვარებაზე ზრუნვა მისი დადგომის შემდეგ იწყება. კომპანიების კომუ-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ნიკაციაში ხშირად მეორდება მიდგომა „კრიზისზე მორგება“, რაც გულისხმობს არა წინასწარ მომზადებას, არამედ კრიზისის პირობებში ფუნქციონირების სწავლას (კბილაშვილი, 2021).

ეს მიგნება მნიშვნელოვანია, რადგან ქართულ ღვინის ინდუსტრიას უკვე აქვს მძიმე კრიზისული გამოცდილება — რუსეთის ემბარგო. რესპონდენტების აღქმით, ეს იყო ინდუსტრიისთვის ძალიან დიდი შოკი, რადგან ქართული ღვინის დიდი ნაწილი სწორედ რუსეთის ბაზარზე იყიდებოდა. თუმცა ამავე დროს, ემბარგო იქცა ერთგვარ გარდამტეხ გამოცდილებად: კომპანიებმა დაიწყეს ხარისხის გაუმჯობესება, ახალი ბაზრების მოძიება, მარკეტინგზე მუშაობა და საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობის განვითარება.

რუსეთის ემბარგოს გრძელვადიანი დადებითი შედეგები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

1. ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობის გააზრება;
2. ახალი საექსპორტო ბაზრების ძიება;
3. საერთაშორისო მარკეტინგისა და გამოფენების მნიშვნელობის ზრდა;
4. ქართული ღვინის უნიკალურობის უფრო მკაფიო პოზიციონირება;
5. ღვინის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო-კერძო თანამშრომლობის როლის გაძლიერება;
6. კომპანიების ადაპტაციის ფსიქოლოგიური უნარის ზრდა;
7. დასავლურ ბაზრებზე შესვლის სტრატეგიული მნიშვნელობის გააზრება.

თუმცა, როგორც ჩანს, ეს გაკვეთილი სრულად არ არის გათვალისწინებული. რუსეთის ბაზარზე მაღალი დამოკიდებულება კვლავ რჩება ქართული ღვინის ინდუსტრიის ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ რისკად. ქართული ღვინის კომპანიებისთვის მთავარი ამოცანაა არა ერთ ბაზარზე სწრაფი გაყიდვების მაქსიმიზაცია, არამედ გრძელვადიანი მდგრადობის შექმნა. რუსეთში გაყიდვები შეიძლება იყოს შემოსავლის წყარო, მაგრამ არ უნდა იყოს სტრატეგიული უსაფრთხოების საყრდენი.

ქართული ღვინის კომპანიებისთვის კრიზისული მენეჯმენტის პრაქტიკული ინტეგრაცია შეიძლება დაიწყოს რამდენიმე ნაბიჯით: საექსპორტო ბაზრების რისკების რუკის შექმნა; თითოეული ბაზრის პოლიტიკური, ეკონომიკური და დისტრიბუციული რისკების შეფასება; ალტერნატიული ბაზრების განვითარების გეგმა; კრიზისული კომუნიკაციის პროტოკოლი; დისტრიბუტორებთან ურთიერთობის მონიტორინგი; ციფრული გაყიდვებისა და ბრენდის კომუნიკაციის გაძლიერება; ფინანსური რეზერვის შექმნა; ESG სტრატეგიის ეტაპობრივი დანერგვა.

დასკვნა

კრიზისული მენეჯმენტი ღვინის კომპანიებისთვის აღარ არის მხოლოდ საგანგებო სიტუაციებში გამოსაყენებელი ინსტრუმენტი. თანამედროვე ღვინის ინდუსტრიაში ის უნდა განიხილებოდეს როგორც სტრატეგიული კონკურენტული უპირატესობა. კლიმატური ცვლილებები, მოხმარების ვარდნა, ბაზრების არასტაბილურობა, გეოპოლიტიკური რისკები, ციფრული ტრანსფორმაცია და ESG მოთხოვნები ქმნის გარემოს, სადაც კრიზისისადმი მზადყოფნა პირდაპირ უკავშირდება კომპანიის გადარჩენას, ზრდასა და საერთაშორისო პოზიციონირებას.

ქართული ღვინის ინდუსტრიის გამოცდილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მაგალითია. რუსეთის ემბარგომ აჩვენა, რომ ბაზრის კონცენტრაცია შეიძლება იქცეს არსებობისთვის საფრთხედ. ამავე დროს, მან აჩვენა, რომ კრიზისი შეიძლება გახდეს სტრატეგიული ტრანსფორმაციის კატალიზატორი. სწორედ კრიზისმა უბიძგა ქართულ ღვინის კომპანიებს ხარისხის გაუმჯობესების, ახალი ბაზრების ძიებისა და საერთაშორისო მარკეტინგის გაძლიერებისკენ.

კრიზისისგან მიღებული გამოცდილება მხოლოდ მაშინ იქცევა კონკურენტულ უპირატესობად, თუ ის გადაიქცევა სისტემად, რომელიც მოიცავს სცენარებზე დაფუძნებულ დაგეგმვას, ბაზრების დივერსიფიკაციას, ფინანსურ მდგრადობას, ძლიერ ბრენდს, ESG სტრატეგიას და შესაბამის კორპორაციულ კულტურას. ღვინის კომპანიებისთვის მომავალი ეკუთვნის არა მათ, ვინც კრიზისს მხოლოდ გადაურჩება, არამედ მათ, ვინც კრიზისს წინასწარ ითვლის, მისგან სწავლობს და მას სტრატეგიული განვითარების შესაძლებლობად აქცევს.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

FROM POTENTIAL TO ECONOMIC IMPACT: COMPARATIVE ASSESSMENT OF RURAL TOURISM BASED ON THE RTEI AND MDPI MODELS

Copyright © 2026 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: April 22, 2026
Published: May 13, 2026
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC21022026-61

Teona Taboridze
PHD student at Georgian Technical University
Associate Professor
https://orcid.org/0009-0000-6324-7607
Email: Ttaboridze@cu.edu.ge

ABSTRACT

Research Objective :*In modern conditions, rural tourism is considered an important instrument for regional economic development, employment growth, and the integration of local resources into the economic system. The importance of rural tourism is particularly increasing in regions where opportunities for economic diversification are limited and the strengthening of local economic activity requires additional development mechanisms. However, relatively little attention has been paid in rural tourism studies to the relationship between already realized economic impacts and still underutilized development potential. The objective of the study is to conduct a comparative assessment of the economic impact and development potential of rural tourism based on the example of Akhmeta Municipality and the Maghraani community through the use of composite indices — Rural Tourism Economic Impact Index (RTEI) and Maghraani Development Potential Index (MDPI). The study also aims to identify the economic, infrastructural, and institutional factors that limit the full economic integration of existing resources and the realization of development potential.*

Methodological Approach:*The research is based on the theoretical and practical analysis of the economic impact and development potential of rural tourism, including the study of international and Georgian scientific literature, regional development policy documents, and tourism-related research. The study applies both quantitative and qualitative research methods, including structured questionnaires, index-based analysis, comparative and descriptive analysis methods. Particular attention is paid to such components as income diversification, employment growth, local economic activity, resource potential, infrastructure readiness, human capital, and market access. The analytical framework of the study is based on two composite indices — RTEI and MDPI — which are used for the integrated assessment of both economic impact and development potential.*

Main Findings and Practical Application:*The research findings revealed that the economic impact of rural tourism in Akhmeta Municipality is characterized by positive dynamics, and the RTEI index increased from approximately 0.48 to 0.60, indicating the growth of economic efficiency, strengthening of local economic activity, and expansion of employment opportunities. At the same time, the MDPI analysis demonstrated that the development potential of the Maghraani community ranges between 0.66 and 0.71, significantly exceeding the currently realized economic effect. The findings confirm that the main challenge of rural tourism development is related not to the lack of resources, but to the insufficient economic integration of the existing potential. The research results represent an important resource both for academic studies and economic analysis of rural tourism, as well as for the formation of regional development policies, municipal strategies, and tourism sector development programs.*

Keywords*: Rural tourism; economic impact; development potential; RTEI; MDPI; regional development; composite indices; Akhmeta Municipality; Maghraani community.*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

REFERENCES:

1. Apkhriani, T. (2018). Tourism economics. Tbilisi: Universali.
2. Apkhriani, T. (2019). Tourism sector impact on the rural economy of Georgia. Economic Review, 101–115.
3. Beridze, N. (2019). Fundamentals of rural tourism development in Georgia. Tbilisi: Universali.
4. Beridze, N., & others. (2021). The role of rural tourism in the process of regional economic development. Economics and Business, 45–58.
5. Bojnec, Š. (2010). Rural tourism, rural economy diversification, and sustainable development.
6. Cawley, M., & Gillmor, D. A. (2008). Integrated rural tourism: Concepts and practice. Annals of Tourism Research, 35(2), 316–337.
7. Gartner, W. (2005). A perspective on rural tourism development.
8. Gogichaishvili, M. (2017). Sustainable tourism development. Tbilisi: Meridiani.
9. Gogichaishvili, M. (2020). Sustainable tourism challenges and perspectives in Georgia. Journal of Social Sciences, 77–89.
10. Kvachadze, L. (2020). Agro-tourism and regional development. Tbilisi: Ganatleba.
11. Kvachadze, L., & others. (2022). Trends of agro-tourism development in Kakheti region. Regional Development Studies, 101–115.
12. Karchava, L., & Kutaladze, E. (2020). Tourism as One of the Priority Directions in Georgia. The New Economist / ახალი ეკონომისტი, № 3 (58), 45–51. https://neweconomist.com.ge/media/documents/Eko-3-2020-45-51.pdf
13. Karchava, L. (2014). Again about the investment environment in Georgia Or what kind of investor do we need?/ისევ საინვესტიციო გარემოს შესახებ საქართველოში ანუ როგორი ინვესტორი გვჭირდება?. The New Economist, 9(3), 45-2.
14. Karchava, L., Veshapidze, S., & Tsikelashvili, S. (2025). Georgia's Perspective in the Context of Developing Economic Relations between China and the European Union. The New Economist, 20(1), 8-23.
15. Karchava, L., Chiabrishvili, K., Goroshidze, G., Mgeladze, L., & Veshapidze, S. (2026). Indicators of effective use of the rich experience of academic staff. The New Economist, 20(4), 21-35.
16. Karchava, L., Nanuashvili, I., Zoidze, G., & Veshapidze, S. (2025). Georgia's Strategic Role in Eurasian Transport and Digital Logistics Transformation. The New Economist, 20(2), 40-53.
17. Karchava, L., Veshapidze, S., & Chiabrishvili, K. (2023). Economic perspective of establishing strategic partnership between China and Georgia. The New Economist, 18(3), 7-2.
18. Lane, B. (1994). What is rural tourism? Journal of Sustainable Tourism, 2(1–2), 7–21.
19. Long, P., & Lane, B. (2000). Rural tourism development.
20. Mitchell, J., & Ashley, C. (2010). Tourism and poverty reduction: Pathways to prosperity. London: Earthscan.
21. OECD. (2020). Tourism trends and policies 2020. Paris: OECD Publishing.
22. Petelca, A., & Garbuz, A. (2020). Social and economic effects of rural tourism on the development of rural areas.
23. UNWTO. (2019). Rural tourism and local economic development. Madrid: UNWTO.
24. Vatsadze, I. (2017). Perspectives of rural tourism development in Georgia. Tbilisi: Universali.
25. World Bank. (2021). Tourism for development: An economic analysis. Washington, DC: World Bank.
26. WTTC. (2023). Economic impact report: Georgia. World Travel & Tourism Council.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

პოტენციალიდან ეკონომიკურ გავლენამდე: სოფლის ტურიზმის შედარებითი შეფასება RTEI და MDPI მოდელების საფუძველზე

თეონა თაბორიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - დოქტორანტი
ალტე უნივერსიტეტი - ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

კვლევის მიზანი: *თანამედროვე პირობებში სოფლის ტურიზმი განიხილება როგორც რეგიონული ეკონომიკური განვითარების, დასაქმების ზრდისა და ადგილობრივი რესურსების ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. სოფლის ტურიზმის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება იმ რეგიონებში, სადაც ეკონომიკური დივერსიფიკაციის შესაძლებლობები შეზღუდულია და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის გაძლიერება საჭიროებს დამატებით განვითარების მექანიზმებს. მიუხედავად ამისა, სოფლის ტურიზმის კვლევებში შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი კავშირი უკვე რეალიზებულ ეკონომიკურ გავლენასა და განვითარების ჯერ კიდევ აუთვისებელ პოტენციალს შორის. კვლევის მიზანია სოფლის ტურიზმის ეკონომიკური გავლენისა და განვითარების პოტენციალის შედარებითი შეფასება ახმეტის მუნიციპალიტეტისა და მაღრაანის თემის მაგალითზე კომპოზიტური ინდექსების — Rural Tourism Economic Impact Index (RTEI) და Maghraani Development Potential Index (MDPI) — გამოყენების საფუძველზე. კვლევა ასევე მიზნად ისახავს იმ ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული და ინსტიტუციური ფაქტორების გამოვლენას, რომლებიც ზღუდავს არსებული რესურსების სრულფასოვან ეკონომიკურ ინტეგრაციას და განვითარების პოტენციალის რეალიზაციას.*

მეთოდოლოგიური მიდგომა: *კვლევა ეფუძნება სოფლის ტურიზმის ეკონომიკური გავლენისა და განვითარების პოტენციალის შეფასების თეორიულ და პრაქტიკულ ანალიზს, მათ შორის საერთაშორისო და ქართული სამეცნიერო ლიტერატურის, რეგიონული განვითარების პოლიტიკის დოკუმენტებისა და ტურიზმის სექტორთან დაკავშირებული კვლევების შესწავლას. კვლევის ფარგლებში გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები, სტრუქტურირებული კითხვარი, ინდექსური ანალიზი, შედარებითი და აღწერითი ანალიზის მეთოდები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა შემოსავლების დივერსიფიკაცია, დასაქმების ზრდა, ადგილობრივი ეკონომიკური აქტივობა, რესურსული პოტენციალი, ინფრასტრუქტურული მზაობა, ადამიანური კაპიტალი და ბაზარზე წვდომა. კვლევის ანალიტიკურ საფუძველს წარმოადგენს ორი კომპოზიტური ინდექსი — RTEI და MDPI, რომლებიც გამოიყენება როგორც ეკონომიკური გავლენის, ისე განვითარების პოტენციალის ინტეგრირებული შეფასებისათვის.*

ძირითადი შედეგები და გამოყენება: *კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სოფლის ტურიზმის ეკონომიკური გავლენა ახმეტის მუნიციპალიტეტში ხასიათდება დადებითი დინამიკით და RTEI ინდექსის მაჩვენებელი გაიზარდა დაახლოებით 0.48-დან 0.60-მდე, რაც მიუთითებს ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდაზე, ადგილობრივი ეკონომიკური აქტივობის გაძლიერებასა და დასაქმების გაფართოებაზე. ამასთანავე, MDPI-ის ანალიზმა აჩვენა, რომ მაღრაანის თემის განვითარების პოტენციალი მერყეობს 0.66–0.71 დიაპაზონში, რაც მნიშვნელოვნად აღემატება უკვე რეალიზებულ ეკონომიკურ ეფექტს. კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ სოფლის ტურიზმის განვითარების მთავარი გამოწვევა დაკავშირებულია არა რესურსების დეფიციტთან, არამედ არსებული პოტენციალის არასაკმარის ეკონომიკურ ინტეგრაციასთან. კვლევის მიგნებები წარმოადგენს მნიშვნელოვან რესურსს როგორც აკადემიური კვლევებისა და სოფლის ტურიზმის ეკონომიკური ანალიზისთვის, ისე რეგიონული განვითარების პოლიტიკის, მუნიციპალური სტრატეგიებისა და ტურიზმის სექტორის განვითარების პროგრამების ფორმირების პროცესში.*

საკვანძო სიტყვები: *სოფლის ტურიზმი; ეკონომიკური გავლენა; განვითარების პოტენციალი; RTEI; MDPI; რეგიონული განვითარება; კომპოზიტური ინდექსები; ახმეტის მუნიციპალიტეტი; მაღრაანის თემი.*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

შესავალი

თანამედროვე გლობალური ეკონომიკა ხასიათდება რეგიონული განვითარების არათანაბარი ტემპებით, ეკონომიკური დივერსიფიკაციის მზარდი საჭიროებითა და ადგილობრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენების აუცილებლობით. ამ პირობებში სოფლის ტურიზმი განიხილება როგორც ეკონომიკური განვითარების ალტერნატიული მოდელი, რომელიც ადგილობრივ ბუნებრივ, კულტურულ და სოციალურ რესურსებს ეკონომიკურ აქტივობასთან აკავშირებს და დამატებითი ღირებულების ფორმირების შესაძლებლობას ქმნის. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება იმ რეგიონებში, სადაც ტრადიციული ეკონომიკური სექტორები შეზღუდულია და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური გაძლიერება განვითარების ახალ ინსტრუმენტებს საჭიროებს.

საერთაშორისო კვლევები ადასტურებს, რომ სოფლის ტურიზმი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადგილობრივი ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე. მისი ეკონომიკური ეფექტი ვლინდება შემოსავლების დივერსიფიკაციაში, მცირე და საშუალო ბიზნესების განვითარებაში, დასაქმების ზრდასა და ადგილობრივი ღირებულებათა ჯაჭვების ფორმირებაში. OECD-ის მიხედვით, სოფლის ტურიზმი რეგიონული განვითარების ერთ-ერთ მოქნილ და მდგრად ეკონომიკურ მიმართულებად განიხილება, რადგან იგი ადგილობრივ რესურსებს ეკონომიკურ შესაძლებლობებად გარდაქმნის და ტერიტორიული უთანასწორობის შემცირებას უწყობს ხელს. ამავე დროს, თანამედროვე მიდგომები ტურიზმს განიხილავს არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სოციალურ და სივრცით პროცესად, რომელიც გავლენას ახდენს თემის განვითარების დინამიკასა და ადგილობრივი იდენტობის შენარჩუნებაზე.

საქართველოს შემთხვევაში სოფლის ტურიზმის როლი განსაკუთრებით გაიზარდა ბოლო წლებში, რაც დაკავშირებულია როგორც ტურიზმის სექტორის განვითარებასთან, ისე რეგიონული განვითარების პოლიტიკის გაძლიერებასთან. ქვეყნის მრავალფეროვანი ბუნებრივი და კულტურული რესურსები ქმნის სოფლის ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობებს, განსაკუთრებით კახეთის რეგიონში, სადაც ტურიზმი ინტეგრირდება აგრარულ საქმიანობასთან, ღვინის კულტურასთან, ეკოტურიზმსა და ადგილობრივ მეწარმეობასთან. ამ კონტექსტში ახმეტის მუნიციპალიტეტი და მაღრაანის თემი საინტერესო კვლევით სივრცეს წარმოადგენს, რადგან აღნიშნულ ტერიტორიებზე სოფლის ტურიზმი ეტაპობრივად ყალიბდება ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან მიმართულებად.

მიუხედავად სოფლის ტურიზმის მზარდი მნიშვნელობისა, არსებული კვლევების დიდი ნაწილი ძირითადად ფოკუსირებულია ან უკვე მიღწეული ეკონომიკური შედეგების შეფასებაზე, ან რესურსული პოტენციალის აღწერით ანალიზზე. შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი კავშირი რეალიზებულ ეკონომიკურ ეფექტსა და განვითარების აუთვისებელ შესაძლებლობებს შორის. სწორედ აღნიშნული კვლევითი ხარვეზის ანალიზის მიზნით, წარმოდგენილ სტატიაში გამოყენებულია ორი ურთიერთშემავსებელი კომპოზიტური ინდექსი — Rural Tourism Economic Impact Index (RTEI) და Maghraani Development Potential Index (MDPI). RTEI აფასებს სოფლის ტურიზმის უკვე რეალიზებულ ეკონომიკურ გავლენას, ხოლო MDPI ორიენტირებულია განვითარების პოტენციალის შეფასებაზე.

სტატიის მთავარი კვლევითი იდეა ეფუძნება მოსაზრებას, რომ სოფლის ტურიზმის ეფექტიანი შეფასება შეუძლებელია მხოლოდ ეკონომიკური შედეგების ან მხოლოდ რესურსული შესაძლებლობების ანალიზით. სწორედ ამიტომ, RTEI და MDPI ინდექსების შედარებითი გამოყენება ქმნის სოფლის ტურიზმის შეფასების ინტეგრირებულ ანალიტიკურ ჩარჩოს, რომელიც შესაძლებელს ხდის როგორც უკვე მიღწეული ეკონომიკური შედეგების, ისე განვითარების აუთვისებელი შესაძლებლობების შეფასებას.

კვლევის მიზანია სოფლის ტურიზმის ეკონომიკური გავლენისა და განვითარების პოტენციალის შედარებითი ანალიზი ახმეტის მუნიციპალიტეტისა და მაღრაანის თემის მაგალითზე RTEI და MDPI მოდელების გამოყენებით. კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ პირველად განხორციელდა სოფლის ტურიზმის ეკონომიკური გავლენისა და განვითარების პოტენციალის ინტეგრირებული შეფასება ორი კომპოზიტური ინდექსის ერთობლივი გამოყენების საფუძველზე, რაც ქმნის სოფლის ტურიზმის კვლევის ახალ მეთოდოლოგიურ ჩარჩოს რეგიონული განვითარების კონტექსტში.

სოფლის ტურიზმის ეკონომიკური გავლენა და განვითარების პოტენციალი: თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

სოფლის ტურიზმი თანამედროვე ტურიზ-

მის ერთ-ერთ სწრაფად მზარდ მიმართულებად განიხილება და მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონული ეკონომიკის განვითარებაში. Lane (1994) სოფლის ტურიზმს განმარტავს როგორც ტურისტულ საქმიანობას, რომელიც ვითარდება სოფლის სივრცეში და ეფუძნება ადგილობრივ იდენტობასა და ტრადიციულ გარემოს.

OECD-ის (2020) მიხედვით, ტურიზმი ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკური აქტივობის ზრდას, მცირე ბიზნესების განვითარებას და ეკონომიკური კავშირების გაძლიერებას. Mitchell და Ashley (2010) ტურიზმს განიხილავენ როგორც სიღარიბის შემცირებისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოების ინსტრუმენტს.

Community-Based Tourism (CBT) მიდგომა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობაზე (Cawley & Gillmor, 2008). ამ მიდგომის მიხედვით, ტურიზმის წარმატება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია თემის აქტიურ მონაწილეობაზე.

ქართულ სამეცნიერო სივრცეში სოფლის ტურიზმის საკითხები ბოლო წლებში უფრო აქტუალური გახდა. აპქრიანი (2018) სოფლის ტურიზმს განიხილავს როგორც რეგიონული განვითარების საშუალებას, ხოლო ბერიძე (2019) ყურადღებას ამახვილებს ინფრასტრუქტურისა და ადამიანური კაპიტალის მნიშვნელობაზე.

მიუხედავად არსებული კვლევებისა, კვლავ ნაკლებად არის შესწავლილი განსხვავება უკვე რეალიზებულ ეკონომიკურ ეფექტსა და განვითარების აუთვისებელ შესაძლებლობებს შორის, რაც კვლევის ძირითად საფუძველს წარმოადგენს.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ეფუძნება რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს. მონაცემთა შეგროვების ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენდა სტრუქტურირებული კითხვარი, რომლის მეშვეობითაც გამოიკითხა სოფლის ტურიზმში ჩართული რესპონდენტები ახმეტის მუნიციპალიტეტსა და მაღრაანის თემში.

კვლევის ფარგლებში შეფასდა:

- შემოსავლების დინამიკა;
- დასაქმება;
- ეკონომიკური აქტივობა;
- ინფრასტრუქტურული მდგომარეობა;
- ადამიანური კაპიტალი;
- ბაზარზე წვდომა.

კვლევის ანალიტიკურ საფუძველს წარმოადგენდა ორი კომპოზიტური ინდექსი:

- Rural Tourism Economic Impact Index (RTEI);
- Maghraani Development Potential Index (MDPI).

RTEI მოდელი და ეკონომიკური გავლენის შეფასება

RTEI წარმოადგენს სოფლის ტურიზმის ეკონომიკური გავლენის შეფასების კომპოზიტურ ინდექსს. იგი აერთიანებს შემდეგ კომპონენტებს:

- შემოსავლის ეფექტი (Income Effect – IE);
- დასაქმების ეფექტი (Employment Effect – EE);
- ადგილობრივი ეკონომიკური აქტივობა (Local Economic Activity – LEA);
- პროდუქციის რეალიზაციის ზრდა (Product Sales Growth – PSG).

ინდექსი გამოითვლება ფორმულით:



კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სოფლის ტურიზმის ეკონომიკური გავლენა ახმეტის მუნიციპალიტეტში დადებითი დინამიკით ხასიათდება. ინდექსის მაჩვენებელი გაიზარდა დაახლოებით 0.48-დან 0.60-მდე.

აღნიშნული შედეგი მიუთითებს:

- შემოსავლების დივერსიფიკაციაზე;
- მცირე ბიზნესების გააქტიურებაზე;
- ადგილობრივი ეკონომიკური კავშირების გაძლიერებაზე;
- დასაქმების ზრდაზე.

MDPI მოდელი და განვითარების პოტენციალის შეფასება

MDPI წარმოადგენს მაღრაანის თემის განვითარების პოტენციალის შეფასების კომპოზიტურ ინდექსს. იგი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- რესურსული პოტენციალი (RP);

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

- ინფრასტრუქტურული მზაობა (IR);
- ეკონომიკური აქტივობა (EA);
- ადამიანური კაპიტალი (HC);
- ბაზარზე წვდომა (MA).

ინდექსი გამოითვლება ფორმულით:



კვლევის შედეგად მიღებული შეფასებების მიხედვით:

- RP = 0.85
- IR = 0.55
- EA = 0.70
- HC = 0.65
- MA = 0.55

შედეგად:
MDPI=0.66

გარდა ამისა, სხვადასხვა შეფასების სცენარის გამოყენებისას ინდექსის მნიშვნელობა მერყეობს 0.66–0.71 დიაპაზონში.

შედარებითი ანალიზი: RTEI და MDPI

კვლევის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა RTEI და MDPI ინდექსების შედარებითი ანალიზი.

შედეგებმა აჩვენა, რომ:

- ეკონომიკური გავლენის ინდექსი (RTEI) შეადგენს დაახლოებით 0.60-ს;
- განვითარების პოტენციალის ინდექსი (MDPI) მნიშვნელოვნად მაღალია — 0.66–0.71.

აღნიშნული განსხვავება მიუთითებს, რომ მაღრაანის თემას გააჩნია უფრო მაღალი განვითარების პოტენციალი, ვიდრე ამჟამად რეალიზებული ეკონომიკური ეფექტია.

ეს ნიშნავს, რომ:

- რესურსული ბაზა ძლიერია;
- ტურისტული შესაძლებლობები სრულად არ არის გამოყენებული;
- ინფრასტრუქტურული და მარკეტინგული ბარიერები აფერხებს პოტენციალის რეალიზაციას.

ამრიგად, კვლევა ადასტურებს, რომ სოფლის ტურიზმის განვითარების მთავარი პრობლემა არ არის რესურსების ნაკლებობა, არამედ არსებული შესაძლებლობების არასაკმარისი ეკონომიკური ინტეგრაცია.

დასკვნა

კვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ სოფლის ტურიზმი ახმეტის მუნიციპალიტეტში წარმოადგენს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

RTEI-ის ანალიზმა აჩვენა, რომ ტურიზმის ეკონომიკური გავლენა იზრდება და ხელს უწყობს შემოსავლების დივერსიფიკაციას, მცირე ბიზნესების განვითარებასა და დასაქმების ზრდას.

ამასთანავე, MDPI-ის შედეგებმა ცხადყო, რომ მაღრაანის თემის განვითარების პოტენციალი მნიშვნელოვნად აღემატება უკვე რეალიზებულ ეკონომიკურ ეფექტს.

ინდექსების შედარებითი ანალიზი ადასტურებს, რომ განვითარების ძირითადი პრობლემა დაკავშირებულია არა რესურსების დეფიციტთან, არამედ მათი ეკონომიკური ინტეგრაციის არასაკმარის დონესთან.

კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს სოფლის ტურიზმის ეკონომიკური გავლენისა და განვითარების პოტენციალის ინტეგრირებულ შეფასებაში RTEI და MDPI მოდელების ერთობლივი გამოყენების საფუძველზე.

რეკომენდაციები:

- ინფრასტრუქტურის განვითარების გაძლიერება;
- ბაზარზე წვდომისა და ციფრული მარკეტინგის გაუმჯობესება;
- ადგილობრივი ღირებულებათა ჯაჭვების განვითარება;
- თემზე დაფუძნებული ტურიზმის მხარდაჭერა;
- ადამიანური კაპიტალის განვითარება;
- RTEI და MDPI ინდექსების გამოყენების გაგრძელება მონიტორინგის ინსტრუმენტებად.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

OPTIMIZING STEM INTEGRATION WITHIN INNOVATION POLICY FRAMEWORKS

Copyright © 2026 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: May 22, 2026
Published: June 15, 2026
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC21022026-67

Giorgi Mikanadze
PhD Student at
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
https://orcid.org/0009-0003-6067-5990
Email: mikanadze@gmail.com

ABSTRACT

Our paper explores the ways to optimize and enhance the efficacy of innovative economic policy within the context of contemporary reality. The work aims to analyze standard approaches, propose hypotheses, and discuss methods and opportunities for their optimization. Analyzing the paths for optimizing the actors of innovative economic policy and discussing the perspectives of refining the STEM approach will allow policy implementers to develop strategies that ensure their decisions are actionable and their toolkits are optimized. We believe this is essential for creating an environment tailored to modern challenges, fostering social welfare, and improving the management process of the innovative economy. The publication examines economic policy actors in the context of an innovative economy and presents a concept intended for further discussion and analysis. Within the framework of the modern global economy, economic policy itself is viewed through the lens of innovative economic policy, where the innovativeness of the economy emerges as the central concept.

In the contemporary era, the accessibility of technology and information, as well as the opportunities afforded by scientific and technological progress, is unprecedented. Nations are currently confronted with the critical challenge of ensuring a high quality of life for their populations amidst conditions of pervasive uncertainty.

In the modern economic landscape, the mere abundance of resources, whether material or intangible, no longer serves as the primary determinant for achieving a competitive advantage in the efficient production and distribution of goods and services. Furthermore, should a national economy fail to integrate elements of an innovative economic policy, it is likely to fall behind in the global arena, rendering its long-term economic viability precarious.

Consequently, economic policymakers must formulate coherent strategies that define the essential tools and mechanisms required to effectively identify systemic challenges and implement robust solutions.

In the contemporary era, as Artificial Intelligence (AI) increasingly permeates economic and social structures, its impact on the labor market has become both inevitable and multifaceted. Innovation-driven economies, which are fundamentally anchored in technological progress, are the first to experience these structural shifts; automation is displacing traditional occupations, generating demand for novel skill sets, and raising critical questions regarding labor equity and inclusivity. Against this backdrop, analyzing the interaction between AI and the labor market is not merely a matter of academic interest but a prerequisite for formulating policies that ensure long-term economic resilience and social equity.

A central issue in this discourse is how technological advancement can foster inclusive economic growth without precipitating labor market polarization or exacerbating poverty, thereby ensuring that the transition remains manageable and robust. Leading innovative economies—such as the United States, South Korea, and

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

Estonia—have already demonstrated divergent approaches to AI integration; in some instances, they have successfully synergized technology and human labor, while in others, significant structural challenges persist.

In the contemporary landscape, an innovation-driven economy is no longer just merely a sub-sector of the broader economy; rather, innovation itself has become so intrinsic to economic activity that discussing the latter in isolation from the former has lost much of its relevance. Science, Technology, and Innovation (STI) policies have gained significant prominence in recent years—a trend largely catalyzed by the COVID-19 pandemic—thereby elevating the imperative for robust innovation-led economic governance to unprecedented levels. During a 2023 panel discussion at Stanford University, economic experts identified the role of innovation and the implementation of proactive innovation policies as the primary determinants of economic growth and national security.

In addressing the aforementioned challenges, it is argued that primary efforts should be directed toward the configuration and optimization of adaptive systems, thereby ensuring that subsequent processes remain both manageable and highly efficient. This paper presents an eight-component matrix management model, designed to be implemented in alignment with our proposed conceptual framework for the STEM approach.

Keywords: *Innovation, innovative economic policy, actors of innovative economic policy, and the necessity of their optimization in accordance with modern challenges, modern technologies, artificial intelligence, modern industrial revolution, STEM approach, and the necessity of its optimization.*

REFECENCES:

1. Giorgi Nikuradze (2026) „Artificial Intelligence and Economic Policy: Risk Analysis and Governance Challenges in the modern state ". "The New Economist" N1 Vol 21 (in Georgian)

2. Uri Gabai "Innovation policy: The new core of economic strategy" (2025) RISE-Israel. https://www.gisreportsonline.com/r/innovation-policy/

3. World Economic Forum (2025) – „Artificial Intelligence for Efficiency, Sustainability and Inclusivity in Trade Tech", INSIGHT REPORT JANUARY, In collaboration with the Ministry of Economy of the United Arab Emirates and Abu Dhabi Department of Economic Development

4. Ozge Demirci, Jonas Hannane and Xinrong Zhu, November 11, 2024, How Gen AI Is Already Impacting the Labor Market, Harvard Business Review Research

5. Walter Frick May 27, 2024, AI Is Making Economists Rethink the Story of Automation, HBR

6. Marc Gilbert, Nikolaus Lang, Michael McAdoo, Jessi Olsen, Rami Rafih, and Takeshi Konomi (2024) - Which Economies Benefit the Most from Free Trade Agreements? "BCG has analyzed the free trade agreements of over 100 economies and major trade blocks. (https://www.bcg.com/publications/2024/economies-benefiting-most-from-free-trade-agreements?form=MG0AV3)

7. Mohamed Ali Trabelsi (2024) - "The impact of artificial intelligence on economic development", Journal of Electronic Business & Digital Economics, Vol. 3 No. 2, pp. 142-155 (https://www.emerald.com/insight/content/doi/10.1108/jebde-10-2023-0022/full/html?form=MG0AV3)

8. Innovation Policy Effectiveness in Emerging Countries: Lessons from Impact Evaluation Studies David - Pluvia, 12/20/2023 ZUNIGA, PhD. United Nations University and Maastricht University, Summary paper, Washington, D. C. Autor Working Paper (30074), July 2022, THE LABOR MARKET IMPACTS OF TECHNOLOGICAL CHANGE: FROM UNBRIDLED ENTHUSIASM TO QUALIFIED OPTIMISM TO VAST UNCERTAINTY NATIONAL BUREAU OF ECONOMIC RESEARCH 1050 Massachusetts Avenue Cambridge, MA 02138 Revised http://www.nber.org/papers/w30074

9. Mazzucato, M. (2021). Mission Economy: A Moonshot Guide to Changing Capitalism. Allen Lane.

10. Henry A. Kissinger, Eric Shmidt, Daniel Hittenlocher (2021) - "The Age of AI - and Our Human Future "- Little, Brown and Company, New York, London, Boston

11. Clayton M. Christensen, Efosa Ojomo, and Karen Dillon (2019) - „The Prosperity Paradox – How Innovation Can Lift Nations Out Of Poverty "(2019) Harper Collins Publishers, New York

12. Klaus Shwab (2017) – "The Fourth Industrial Revolution" Penguin Random House, New York LLC

13. Robert D. Atkinson, Stephen J. Ezell (2012) – "Innovation Economics", Yale University Press New haven and London

14. Daron Acemoglu, James A. Robinson (2012) – "Why Nations Fail" Currency, New York

15. https://www.weforum.org/publications/artificial-intelligence-for-efficiency-sustainability-and-inclusivity-in-tradetech/?form=MG0AV3

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლების მიერ STEM მიდგომის ოპტიმიზაციის გზები

გიორგი მიქანაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკის დოქტორანტი
ელ. ფოსტა: mikanadze@gmail.com

აბსტრაქტი

ნაშრომში გაანალიზებულია ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკის ოპტიმიზაციისა და ქმედითობის გზები. მისი მიზანია სტანდარტული მიდგომების განხილვის კვალდაკვალ წამოაყენოს ჰიპოთეზები და იმსჯელოს მათი ოპტიმიზაციის შესაძლებლობებზე. ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლების მიერ ოპტიმიზაციის გზების ანალიზი და STEM მიდგომის დახვეწის პერსპექტივებზე მსჯელობა იმის საშუალებას მოგვცემს, რომ ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებს სტრატეგიების შემუშავებისას ჰქონდეთ ქმედუნარიანი გადაწყვეტილების მიღებისა და შესაბამისი ინსტრუმენტარიუმის განსაზღვრის შესაძლებლობა. აღნიშნული აუცილებლია, რათა საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და ინოვაციური ეკონომიკის მართვის პროცესის გაჯანსაღებისთვის თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი გარემო შეიქმნას. სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებს ინოვაციური ეკონომიკის კონტექსტში და წარმოდგენილია კონცეფცია, რომელიც შემდგომი მსჯელობისა და ანალიზის საგანს წარმოადგენს. თანამედროვე გლობალური ეკონომიკის გამომწვევებიდან გამომდინარე, თავად ეკონომიკური პოლიტიკა განხილულია ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკის ჭრილში და ეკონომიკის ინოვაციურობა მთავარ კონცეფციად გვევლინება.

დღეს ტექნოლოგიებისა და ინფორმაციების ხელმისაწვდომობა მაღალია, ასევე მაღალია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობაც. ქვეყნები დგანან გამოწვევების წინაშე, როგორ უნდა შეძლონ გაურკვევლობის პირობებში საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა.

სხვადასხვა ქვეყნებში რესურსების სიუხვე, ეს იქნება მატერიალური თუ არამატერიალური, აღარ გახლავთ პროდუქციისა და მომსახურების ეფექტიანი წარმოებისა და მისი რეალიზების უპირატესობის მოპოვების გზა. უფრო მეტიც, თუ ნაციონალურ ეკონომიკას არ აქვს შემუშავებული ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკის ელემენტები ის ცალსახად ჩამორჩება გლობალურ კონტექსტს და მისი ეკონომიკა განწირულია მარცხისთვის. სწორედ ამიტომ, აუცილებელია ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებს ჰქონდეთ შემუშავებული შესაბამისი პოლიტიკა თუ რა უნდა იყოს ინსტრუმენტები და როგორი მექანიზმით უნდა ხელმძღვანელობდნენ გამტარებლები, რათა მოხდეს პრობლემის გამოვლენა და დაძლევის გზების ძიება.

დღეს, როდესაც ხელოვნური ინტელექტი (AI) სულ უფრო ღრმად იჭრება ეკონომიკურ და სოციალურ სტრუქტურებში, მისი გავლენა შრომის ბაზარზე გარდაუვალი და მრავალმხრივია. ინოვაციური ეკონომიკები, რომლებიც ტექნოლოგიურ პროგრესზეა დაფუძნებული, პირველ რიგში განიცდიან ამ ცვლილებებს — ავტომატიზაცია ცვლის ტრადიციულ პროფესიებს, ქმნის ახალ უნარებზე მოთხოვნას და აჩენს კითხვებს შრომის სამართლიანობისა და ინკლუზიურობის შესახებ. ამ ფონზე, AI-ისა და შრომის ბაზრის ურთიერთქმედების გაანალიზება არა მხოლოდ აკადემიური ინტერესის საგანია, არამედ აუცილებელი ნაბიჯია პოლიტიკის შემუშავებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ მდგრადობასა და სოციალური თანასწორობის შენარჩუნებას.

ამ პროცესში ცენტრალურ მნიშვნელობას იძენს კითხვა: როგორ შეიძლება ტექნოლოგიურმა პროგრესმა ხელი შეუწყოს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას, ისე, რომ არ მოხდეს შრომის ბაზრის პოლარიზაცია ან სიღარიბის გამწვავება, გარდამავალი პროცესი იყოს ნაკლებად მტკივნეული და მაქსიმალურად ჯან-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

საღი. ინოვაციური ეკონომიკები, მაგალითისათვის როგორიცაა აშშ, სამხრეთ კორეა, ჩინეთი, შვეიცარია, შვედეთი, სინგაპური, ფინეთი, დანია და ესტონეთი, უკვე აჩვენებენ სხვადასხვა მიდგომებს ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციისას — ზოგ შემთხვევაში, წარმატებით ათავსებენ ტექნოლოგიას და შრომას ერთ სივრცეში, ხოლო სხვაგან გამოწვევები ძალაში რჩება.

თანამედროვე რეალობაში ინოვაციური ეკონომიკა არამც თუ ეკონომიკის ნაწილია, თავად ინოვაციურობა იმდენად მნიშვნელოვანი ნაწილია ეკონომიკისა, რომ ეკონომიკა ამ კონტექსტის გარეშე დღეს უკვე ნაკლებად კონტექსტური და აქტუალურია. სამეცნიერო, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების პოლიტიკა (STI policies = Science, Technology, and Innovation policy) უკანასკნელ წლებში იმდენად აქტუალური გახდა, იმდენად დიდი მოთხოვნა და მოლოდინია მათ მიმართ, რომელიც ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანწილად კოვიდ-19 პანდემიით იყო განპირობებული, - ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკის მართვა გახადა აქტუალური ისე, როგორც არასდროს. 2023 წელს სტენფორდის უნივერსიტეტში ეკონომიკის ექსპერტების პანელურ დისკუსიაზე ეკონომიკური ზრდისა და უსაფრთხოების განმაპირობებელ მთავარ ფაქტორად ეკონომიკაში ინოვაციების როლი და ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკა განისაზღვრა.

ჩვენს მიერ ზემოთ ხსენებული გამოწვევების გადაჭრასთან დაკავშირებით ვფიქრობთ, რომ მთავარი ძალისხმევა ადაპტაციური სისტემის კონფიგურაციასა და ოპტიმიზაციაზე უნდა დაიხარჯოს, რომ შემდგომ პროცესები, მაღალი ეფექტურობის შენარჩუნებით, ადვილი სამართავი გახდეს. ნაშრომში წარმოდგენილია რვა კომპონენტიანი მატრიცული მართვის მოდელი, რომელიც გატარებული უნდა იყოს STEM მიდგომის ჩვენს მიერ წარმოდგენილი კონცეფციის შესაბამისად.

საკვანძო სიტყვები: *ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკა, ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები, თანამედროვე ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი, ინდუსტრიული რევოლუცია, STEM მიდგომა.*

შესავალი

მეცნიერება ქმედუნარიანია თუ მისი გამოყენება საზოგადოებრივი სარგებლიანობისა და კეთილდღეობის ზრდას ხმარდება. შესაბამისად, ახალი მიღწევები, მიგნებები და გამოგონებები, ინოვაციები და ზოგადად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ამა თუ იმ რეგიონსა თუ ქვეყანაში საბოლოო ჯამში, როგორც კონკრეტულ საზოგადოებებსა და ეკონომიკებს, ისე გლობალურ კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს. ეს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თანამედროვე მსოფლიო ასე გლობალურია. ადამიანი და მასთან დაკავშირებული ყველა პროცესი შესაბამისად ინტერნაციონალური ხდება. მეცნიერების ქმედითობა სწორედ მის საზოგადოებრივ კეთილდღეობაში, იმპლემენტაციაში ვლინდება. გასული საუკუნის მიწურულს და მიმდინარე საუკუნეში სულ უფრო მეტად შეიმჩნევა წყვეტა და გამიჯვნა მეცნიერულ ტექნიკური პროგრესისა ერთი რიგითი ადამიანის კეთილდღეობასთან. ან, უარეს შემთხვევაში, მისი იმპლემენტაცია ქაოტურია როგორც რეგიონული, ისე გლობალური მასშტაბით. აღნიშნული კიდევ უფრო აღრმავებს კრიზისს და ზრდის უთანასწორობას საზოგადოებრივ კეთილდღეობაში. შესაბამისად, სულ უფრო აქტუალური ხდება მაღალი გაურკვევლობის პირობებში რომელი მმართველობა შეძლებს რესურსების ყველაზე ეფექტიან გამოყენებას, და ვინ თავიანთი საზოგადოებებისთვის მოახერხებს კეთილდღეობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას. თუმცა, თანამედროვე მეცნიერული პროგრესი არნახული მასშტაბის ტრანსფორმაციული გამოწვევების წინაშე გვაყენებს, რაც რადიკალურად ცვლის შრომის ბაზრის აღქმას და შრომის კულტურას.

ნაციონალური ეკონომიკებისთვის ინოვაციები ერთადერთი კონკურენტული უპირატესობის მოპოვების საშუალება გახდა თანამედროვე მსოფლიოში. როდესაც ამა თუ იმ ქვეყანაში იქმნება პროდუქტი ან მომსახურება ის თავის თავში აუცილებლად გულისხმობს გლობალურობას. დღევანდელი ეკონომიკა გლობალურია, რადგან თავად მსოფლიო გახდა გლობალური. ტურიზმითა და ბაზრების ინტერნაციონალიზაციით განპირობებულმა ფაქტორებმა გამოიწვია ის, რომ ჩვენს მიერ წარმოებული პროდუქტი რაღაც თვალსაზრისით უკვე გლობალური ბაზრის ნაწილია. ეკონომიკური პოლიტიკა ქმნის გარემოებებსა და ფაქტორებს, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში მომხმარებლებისა და მიმწოდებლების კეთილდღეობას უზრუნველყოფს, რაც საბოლოო ჯამში სიცოცხლის ხარისხთან არის დაკავშირებული. დღევანდელი განვითარებული და ქაოტური მსოფლიოსთვის უმნიშვნელოვანესი ხდება ინოვაციური ეკონომიკის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის მართვა, რადგან აღნიშნული პირდაპირ კავშირშია საქონლისა და

მომსახურეობის წარმოების პროცესთან, რესურსების ოპტიმალური გამოყენების აუცილებლობასთან, რაციონალური და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების სტილთან და ტაქტიკებთან, რადგან უზრუნველყოფილი იყოს როგორც მოკლევადიანი, ისე საშუალო და გრძელვადიანი სტაბილურობა. „ინოვაციურობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახლავთ, რადგან ის ამოძრავებს ეკონომიკას, უზრუნველყოფს ადამიანების დასაქმებასა და შემოსავლის ზრდას; აუმჯობესებს ცხოვრების დონეს და უზრუნველყოფს საზოგადოების კონკურენტულ უპირატესობას“ [Robert D. Atkinson and Stephen J. Ezell “innovation Economics” 2012, Yale College, Page: 130]. თუმცა, აქ დგება მნიშვნელოვანი სოციალური გამოწვევები. ინოვაცია ყოველთვის დაკავშირებულია სამუშაო ადგილების ოპტიმიზაციასთან, გადამზადებასთან და კვალიფიკაციის ამაღლებასთან. ერთის მხრივ, აუცილებელია ქვეყნებმა მიმართონ ინოვაციურ ეკონომიკურ პოლიტიკას, რადგან არ ჩამორჩნენ ბაზარს და მეორეს მხრივ, ადაპტაციის პროცესში აუცილებელია გამოწვევებთან გამკლავება. თუმცა, ეს უკვე ინოვაციებისადმი მოძველებული მიდგომაა. ხელოვნური ინტელექტი ადამიანის შრომას ანაცვლებს და ეკონომიკური პოლიტიკის შემქმნელები მზად უნდა დახვდნენ ამ რეალობას ბაზარზე.

AI-ისა და ტრადიციული შრომის თანაარსებობა გვკარნახობს საჭიროებას სტრატეგიული პოლიტიკების, გადამზადების ინიციატივებისა და სამართლიანი გადანაწილების მექანიზმების შექმნისკენ. ამიტომ, თემის გაანალიზება არა მხოლოდ აკადემიური ინტერესია, არამედ პრაქტიკული გზამკვლევიც მომავლის ეკონომიკური განვითარებისთვის. სწორედ აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მივიჩნევთ ჩვენს ნაშრომში ყურადღება გავამახვილოთ ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებზე, რა არის მისი ოპტიმიზაციის გზები, განვიხილავთ STEM მიდგომის მთავარ აქცენტებს, რაც ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკის გატარების ქვაკუთხედად ითვლებოდა ათწლეულების განმავლობაში და გავაანალიზებთ მისი ოპტიმიზაციის გზების აუცილებლობას თანამედროვე რეალობასთან შესაბამისობაში.

ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლების მიერ STEM მიდგომის გამოყენება

ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებზე საუბრისას, ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევების ჭრილში, - აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ თანამედროვე კონტექსტი და რეალობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, კონკრეტულად ხელოვნური ინტელექტის, ავტომატიზაციის და ზოგადად ტრანსფორმაციული რეალობის ფაზები. შესაბამისად, როდესაც საუბარს ვიწყებთ ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებზე, სტანდარტული დამკვიდრებული თეორიული მიდგომები აღარ გამოგვადგება და საკითხები გარდამავალი რეალობის კონტექსტით უნდა განვიხილოთ.

ვინ შეიძლება მოიაზრებოდეს ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლად, ზოგადად ვინ შეიძლება იყვნენ ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები და რა გახლავთ ამ პროცესებში ინოვაციურობის კომპონენტი? დღეს ჩვენ ფაქტობრივად ყველა სამთავრობო, არასამთავრობო, თუ კერძო ინსტიტუციის ძირეული ტრანსფორმაციის პროცესების მომსწრე ვხდებით. იცვლება პროდუქტები, წარმოებისა და მართვის პროცესი, მოხმარება, ტრანსპორტირებისა და მიტანის სერვისები. კოვიდ-პანდემიამ სრულად ახალი გამოწვევების წინაშე დაგვაყენა და თანამედროვე ადამიანმა აღმოაჩინა, რომ აღარაა საჭირო ძვირადღირებული ოფისები და საოფისე ხარჯები, ყველაფერი ელექტრონული წარმოების სისტემაში გადავიდა. შეიცვალა კომუნიკაციის სისტემები, ინფორმაციის მიღების, გამოხატვის, განათლების მიღების, გართობის ფორმები. ზოგადად იცვლება ადამიანის აზროვნების კულტურა, იდენტობის აღქმები და შესაბამისად, - საზოგადოების კულტურა, რომელიც მთლიანად ეკონომიკური პოლიტიკის შესწავლისა და მოქმედების არეალის საგანია. შესაბამისად, ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს აღნიშნული ტრანსფორმაციული ცვლილებების პროცესში. ამ ცვლილებების გააზრება და გაცნობიერება საკმაოდ დრამატულ შედეგებს გვაძლევს. ამიტომ, ამ პროცესებში იმარჯვებს ის საზოგადოება, რომელიც მეტ კეთილგონიერებასა და პროცესების მართვის ცოდნას გამოავლენს, რომ კონკურენტული უპირატესობა მოიპოვოს. რა თქმა უნდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონკურენტული უპირატესობა არ გახლავთ თვითმიზანი და უპრიანი იქნებოდა მთელი გლობალური საზოგადოება ჰარმონიასა და კეთილდღეობაში ცხოვრობდეს, თუმცა ეს მოცემულ ეტაპზე ფანტასტიკის სფეროა. ფაქტია, კეთილდღეობის ხარისხის ამაღლებას ის საზოგადოებები ახდენენ, რომლებიც ახერხებენ ეფექტიან კომუნიკაციას, კოორდინაციასა და კონსოლიდაციას გამოწვევების წინაშე.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

დიაგრამა 1. გლობალური რეალური მშპ ზრდა საბაზისო 2022-2026



წყარო: Euromonitor International - გლობალური ბაზრების, ინდუსტრიების, ეკონომიკისა და მომხმარებელთა კვლევებისა და ანალიზის ბრიტანული ცენტრი

შენიშვნა: 2024 წლის 28 ოქტომბრის მიმდინარე მონაცემები და პროგნოზები PPP მეთოდის გათვალისწინებით

Euromonitor International

საგულისხმოა Euromonitor International გამოქვეყნებული ანალიზი, როგორც ეს **დიაგრამა 1** გახლავთ წარმოდგენილი, სადაც ამერიკის შეერთებული შტატები, ჩინეთი, ევროზონა, განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების და ასევე მსოფლიო ზოგადად შედარებულია ერთმანეთთან წლების მიხედვით. თუ, როგორია მიმდინარე და მოსალოდნელი რეალური მშპ 2022-2026 წლებში. მონაცემებიდან აშკარად ჩანს ჩინეთის მკვეთრი დომინაცია და ევროზონის, ასევე აშშ ბაზრების კლების ტენდენცია. ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ და ზოგადად ამას ბევრი სხვა კვლევებიც ცხადყოფენ, რომ აზიური ბაზრების სწრაფი განვითარების და სტაბილურობის განმაპირობებელი ფაქტორები სწორედ თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფი ადაპტაცია და იმპლემენტაცია გახდა.[1] სწორედ 2023 წლიდან ფიქსირდება მაჩვენებლების მკვეთრი მატება აზიურ ბაზარზე და მეორეს მხრივ, განვითარებული ეკონომიკების მქონე ქვეყნებში თითქმის მაჩვენებლების განახევრება და კონკრეტულად ევროზონის მაჩვენებლები კიდევ უფრო დაბალ თითქმის 80%-იან ვარდნას აფიქსირებენ. ეს წლები სწორედ ის პერიოდია, როდესაც აგრესიულად იწყება ხელოვნური ინტელექტისა და თანამედროვე ტექნოლოგიების იმპლემენტაცია წარმოებისა თუ მომსახურების სფეროებში. თავისუფალი ბაზრის არსებული ტრადიციული პრინციპების დაცვა აღარ ხდება ეფექტური და ქვეყნები ადაპტაციურ, პროტექციონისტულ პოლიტიკას არჩევენ. თუმცა, შედეგები და ტენდენციები მაინც თავისას მეტყველებენ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესოა როგორ უნდა გაართვან თავი სხვადასხვა ქვეყნებმა/საზოგადოებებმა არსებულ გამოწვევებს ამგვარად ცვალებად გარემოში რა არის მთავარი ფაქტორები და როგორ შეიძლება მივაღწიოთ შესაძლებლობებთან ადაპტაციის და მათი მაქსიმალური ეფექტურობით გამოყენების შანსებს. საკითხი საკმაოდ რთულია და გადაწყვეტის გზებიც შესაბამისად კომპლექსური.

ჩვენს მიერ ზემოთ ხსენებული გამოწვევების გადაჭრასთან დაკავშირებით ვფიქრობთ, რომ მთავარი ძალისხმევა ადაპტაციური სისტემის კონფიგურაციასა და ოპტიმიზაციაზე უნდა დაიხარჯოს, რომ შემდგომ პროცესები მაღალი ეფექტურობის შენარჩუნებით ადვილი სამართავი გახდეს. როგორც **სქემა 1** გვიჩვენებს მართვა მატრიცულად, ჰორიზონტალური, დეცენტრალიზებული მმართველობის მიდგომით უნდა მოხდეს და მთავარი აქ ჰარმონიზაციის ელემენტების უზრუნველყოფაა მეცნიერებას, განათლებას, ბიზნესს, საზოგადოებას, მთავრობასა და საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტს შორის. ამ საბაზისო მონაცემების მიღმა, მნიშვნელოვნად მივიჩნევთ ასევე საავტორო

1 https://www.adb.org/publications/asias-journey-to-prosperity?form=MG0AV3
https://academic.oup.com/book/35386/chapter-abstract/301771048?redirectedFrom=fulltext

სქემა 1. ცვალებად გარემოში კონკურენტული უპირატესობის განმაპირობებელი მთავარი ფაქტორები და მათი



უფლებების დაცვის, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მართვის, სამოქალაქო სექტორისა და გამომდინარე თანამედროვე მსოფლიოს გლობალურობისა, - დიასპორული ინიციატივების ჩართულობის საკითხებს.

მივიჩნევთ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების ერაში არაერთი ქვეყნის მაგალითმა აჩვენა, რომ თუ ამ რგოლს რომელიმე კომპონენტის ჩართულობა აკლია შედეგი ვერ მიიღწევა. ჩართულობაც თავისთავად არ არის საკმარისი, აუცილებელია კოორდინაციის ჰარმონიულობა. ვინ უნდა იყოს ამ პროცესებში მთავარი პასუხისმგებლობის ამღები? ჩვენს მიერ ზემოთ შემოთავაზებული სისტემის მართვა უნდა გახლდეთ მატრიცული, სწორედ იმიტომ, რომ პასუხისმგებლობა გადანაწილდეს თანაბრად. ჩვენი საუბრის თემა და კვლევის საგანი არ იქნება აღნიშნული სისტემის დეტალური ანალიზი. თუმცა, გვსურს შესაბამისი მექანიზმი კონცეფციის დონეზე წარმოვადგინოთ და მომდევნო კვლევებისა თუ მსჯელობის საგნად ვაქციოთ. რადგან სამყარო ასე ცვალებადი და სწრაფად განვითარებადია, უნდა შემუშავდეს უფრო ეფექტიანი მართვის სისტემა, რომელიც ცვალებადი გარემოს ადაპტაციაზე იქნება ორიენტირებული. მაგალითისთვის ინოვაციური პროცესების მართვისა და იმპლემენტაციის სააგენტო, რომელიც იქნება ორიენტირებული კვლევისა და განვითარების სახელმწიფო ხელშეწყობის პოლიტიკის შემუშავებაზე, კონკურენტული უპირატესობის მოპოვების, იმპლემენტაციის, განათლებისა და გადამზადების მიმართულებით. ფაქტობრივად იქნება პასუხისმგებელი ზემოთ წარმოდგენილი სქემის გამართულ ფუნქციონირებაზე. აუცილებლად მივიჩნევთ ასევე, ემიგრაციის მაქსიმალურ ჩართულობას პროცესების მართვის საკითხებში, რომელიც შესაძლოა შეუცვლელი ფუნქციის განმახორციელებელი აღმოჩნდეს მართვის თანამედროვე სისტემასთან ადაპტაციის შემთხვევაში. ვინაიდან, მივიჩნევთ ეს რესურსი საკმაოდ მნიშვნელოვანი ძალის მატარებელი გახდა როგორც საქართველოსთვის, ისე გლობალური მასშტაბით და თანამედროვე ტექნოლოგიებმა მოგვცა პროცესების დისტანციური მართვის საშუალება და ამ შესაძლებლობების გამოყენება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანად მიგვაჩნია. საკითხს ვსვამთ აქ ჰიპოთეტურად პროცესების მართებული გააზრებისთვის და მივიჩნევთ, რომ ეს თემები ჩვენი მომდევნო კვლევისა და შრომის საგანია.

ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილი (იხ. **სქემა 1)** კონცეფციის თითოეული კომპონენტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ინოვაციურ ეკონომიკურ პოლიტიკასთან დაკავშირებით სასურველი დადებითი შედეგის დადგომისთვის. ინოვაციებს ტრადიციულად თან ახლავს გარდაქმნების შიში. თუმცა, გარდაქმნების და უპირველესად ინსტიტუციური ოპტიმიზაციის გარეშე სასურველი შედეგი ვერ მიიღწევა. როგორც ნობელიანტი ავტორების ცნობილ პუბლიკაციაშია ხაზგასმული „პოლიტიკური ინსტიტუციების და პოლიტიკური ძალაუფლების ოპტიმიზაციის გარეშე, რომელიც 1688 წელს ინგლისში განხორციელდა, მცირე შანსი იყო სხვა ქვეყნებისთვის, რომ სარგებელი მიეღოთ ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიებისაგან, ინდუსტრიული რევოლუციის დროს.“ [Daron Acemoglu, James A. Robinson (2012) – “Why Nations Fail” Currency,

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

New York Page: 222] ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მივიჩნევთ სწორედ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკური პროცესების მართვას. ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა, როგორც მოგეხსენებათ გახლავთ ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთი მოდელი, რომელიც ეფუძნება ცოდნასა და ინფორმაციის გადაცემას, გამოყენებასა და შესწავლას. ასეთ ეკონომიკაში უმთავრესი რესურსები გახლავთ ადამიანი და მისი ცოდნა, როგორც ტექნოლოგიური, ისე ეკონომიკური პროგრესის და სისტემის მუშაობის ეფექტურობის თვალსაზრისით. მის მახასიათებლებად შეიძლება მივიჩნიოთ: ინოვაცია - ახალი იდეების, პროდუქტებისა და სერვისების შექმნა; განათლება - ფართო და ხარისხიანი განათლების და გადამზადების სისტემის უზრუნველყოფა; ინფორმაციული ტექნოლოგიები - კომუნიკაციის, ადაპტაციის, ინფორმაციის დამუშავებისა და გავრცელების არხები; კვლევა და განვითარება - ახალ ცოდნაზე და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საქმიანობა. მივიჩნევთ, რომ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა გახლავთ სწორედ ჩვენს მიერ ზემოთ ხსენებული მატრიცული მოდელის მართვის მთავარი უზრუნველმყოფი ფაქტორი, რომლის მთავარი მიზანიც გახლავთ ცოდნისა და ინფორმაციის გავრცელებითა და გააზრებით სისტემის მართვის ეფექტიანობის უზრუნველყოფა მოკლევადიან, საშუალო ვადიან და გრძელვადიან პერიოდში, რადგან ის აუცილებლად ითვალისწინებს ადაპტაციის საკითხებს და საბოლოო ჯამში მაქსიმალური სარგებლის, კეთილდღეობის უზრუნველყოფას.

ვფიქრობთ, სწორედ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა უზრუნველყოფს იმ გამოწვევებთან ადაპტაციის შესაძლებლობებს, რომელ გამოწვევებზე ჩვენ ვისაუბრეთ და თან ახლავს ყოველთვის ტრანსფორმაციულ პროცესებს, მითუმეტეს ისეთი მასშტაბებისა, როგორთანაც დღეს გვაქვს ჩვენ საქმე ე.წ. მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის ფარგლებში, რომელიც თამამად შეიძლება უკვე ითქვას, რომ გასცდა ყველა წინამორბედ ინდუსტრიული რევოლუციის მასშტაბებს მისი ხასიათიდან და ბუნებიდან გამომდინარე. სწორედ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა უზრუნველყოფს ციფრულ გადატვირთვას, აქცენტურად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას და ცოცხალი სასწავლო გარემოს, მუდმივი სწავლებისა და ცოდნის განახლების შესაძლებლობის უზრუნველყოფას. მატრიცული სისტემის მართვის შემთხვევაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი მექანიზმების შექმნა იქნება სწორედ ის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი, რომელიც ინოვაციების ადაპტაციის პროცესებს გააადვილებს.

განსაზღვრების სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ცოდნის ეკონომიკა არის ეკონომიკური სისტემა, სადაც ცოდნა, კვლევა, ინოვაცია და ადამიანური კაპიტალი გახლავთ მთავარი საწარმოო რესურსი - უფრო მნიშვნელოვანი ვიდრე სხვა ჩვენთვის კარგად ცნობილი მატერიალური თუ არამატერიალური რესურსები და აქტივები. ეს არის საზოგადოებრივი სისტემა, რომელიც სულდგმულობს გამართული ეკონომიკური პოლიტიკის დადებითი ეფექტებით და სადაც მთავარ ღირებულებას ქმნის გონებრივი შესაძლებლობები და არა ფიზიკური. ამასთან, აუცილებელია ვახსენოთ ეთიკის, ზნეობისა და მორალის კატეგორიები, სოციალური პასუხისმგებლობები და მათი მნიშვნელობა ახალ რეალობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ახალ რეალობაშიც სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება ისევ საფრთხის ქვეშ დგება. მოგეხსენებათ გასული საუკუნეების გამოცდილებამ აჩვენა, რომ კრიზისები მნიშვნელოვან წილად გამოწვეული იყო კონკრეტული პიროვნებების ემოციური ინტელექტის კრიზისებით - არაკვალიფიციურობა, არაკეთილსინდისიერება, ნეპოტიზმი, კორუფცია, რასაც საბოლოო ჯამში მივყავართ სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების კრიზისებთან. ახალმა გარემოებებმა უნდა წარმოშვას ახლებურად მოაზროვნე ფსიქოტიპები, რომლებიც იქნებიან ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკის ჯანსაღი ნაწილი.

ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის პირობებში ზრდა მოდის ახალი იდეებიდან, ტექნოლოგიებიდან, კვლევა და განვითარება, სტარტაპები, საგანმანათლებლო ინსტიტუციები, ინტელექტუალური საკუთრებისა და საავტორო უფლებების დაცვა რჩება მთავარი გამოწვევა.

ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებზე საუბრის შეჯამებისთვის შეიძლება ვთქვათ, რომ მთლიანი სისტემა შეიძლება განვიხილოთ არა როგორც სტატიკური ერთეულების მოდელი, არამედ როგორც დინამიკური ეკოსისტემის ნაწილი. მიმდინარე გამოწვევები როგორიცაა, ციფრული ტრანსფორმაცია, ავტომატიზაცია, კლიმატის ცვლილება და გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციები აიძულებს ამ სუბიექტებს ადაპტირდნენ და კონტექსტურად გააცნობიერონ საკუთარი ტრადიციული როლები. ჩვენს შემთხვევაში ისინი პირობითად შეიძლება დავყოთ სამ დონედ მაკრო-დონე, მეზო დონე და მიკრო დონე.

1. **მაკრო-დონე: სახელმწიფო და საერთაშორისო ინსტიტუტები**

ესენი არიან სუბიექტები, რომლებიც განსაზღვრავენ სტრატეგიულ ჩარჩოს და „თამაშის წესებს“.

- **დახასიათება:** სამინისტროები, ცენტრალური ბანკები, ინოვაციების სააგენტოები და საერთაშორისო ორგანიზაციები (მაგ.: OECD, ევროკომისია). მათი ძალა ლეგიტიმაციასა და რესურსების კონცენტრაციაშია.
- **თანამედროვე გამოწვევები:**
  - o **ბიუროკრატიული სიმყარე - ტექნოლოგიური სისწრაფე:** ტექნოლოგიები (მაგ: AI) უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე სახელმწიფო ასწრებს მათ რეგულირებას.
  - o **რეგიონული კონკურენცია და კოორდინაცია**
  - o **სტრატეგიული ავტონომია:** გლობალიზაციის პირობებში ქვეყნებს უწევთ ბალანსირება ღია ბაზარსა და კრიტიკული ტექნოლოგიების (ნახევარგამტარები, ენერგია) შიდა დაცვას შორის.
  - o **მისიაზე ორიენტირებული პოლიტიკა (Mission-Oriented Policy):** მარიანა მაზუკატოს თეორიის მიხედვით, სახელმწიფოს გამოწვევაა, იყოს არა მხოლოდ „ხარვეზების გამსწორებელი“, არამედ ბაზრის შემქმნელი.[1]

2. მეზო-დონე: შუამავალი და ხელშემწყობი ინსტიტუტები

ეს სუბიექტები უზრუნველყოფენ კავშირს იდეასა და ბაზარს შორის.

- **დახასიათება:** უნივერსიტეტები, კვლევითი ცენტრები, ტექნოპარკები, ბიზნეს-აქსელერატორები და სავაჭრო პალატები.
- **თანამედროვე გამოწვევები:**
  - o **აკადემიური იზოლაცია:** გამოწვევაა სამეცნიერო კვლევების კომერციალიზაცია
  - o **კოორდინაციის სისუსტეები**
  - o **ტალანტების გლობალური ომი:** გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები დგანან კვალიფიციური კადრების გადინების საფრთხის წინაშე უცხოეთში და უფრო მაღალანაზღაურებად კერძო სექტორში - მათ შორის უნივერსიტეტებიდან.
  - o **ციფრული ინფრასტრუქტურის ხარჯი:** კვლევითი ცენტრებისთვის სულ უფრო ძვირი ხდება თანამედროვე გამოთვლითი სიმძლავრეების შენარჩუნება.

3. მიკრო-დონე: კერძო სექტორი და სამოქალაქო საზოგადოება

ესენი არიან პოლიტიკის უშუალო „მომხმარებლები“ და აღმსრულებლები.

- **დახასიათება:** მცირე და საშუალო საწარმოები (SMEs), მულტინაციონალური კორპორაციები, სტარტაპები და სოციალური მეწარმეები (ე.წ. ენთერპრენერები)
- **თანამედროვე გამოწვევები:**
  - o **ESG სტანდარტებთან შესაბამისობა:** კომპანიებს მოეთხოვებათ არა მხოლოდ მოგება, არამედ გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობა, რაც დამატებით ინოვაციურ ხარჯებს მოითხოვს.
  - o **კიბერ-უსაფრთხოება:** ციფრულ ეკონომიკაში გადასვლა კომპანიებს მოწყვლადს ხდის გლობალური კიბერ-შეტევების მიმართ.
  - o **კვალიფიკაციის დეფიციტი:** ბიზნესის გამოწვევაა თანამშრომელთა მუდმივი გადამზადება რათა მათ არ დაკარგონ აქტუალობა ავტომატიზაციის ეპოქაში.

ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლების ეფექტურობა თანამედროვე პირობებში იზომება არა მათი ცალკეული მოქმედებით, არამედ კოორდინაციით. განსაკუთრებული მნიშვნელობისა ამ პროცესებში და თანამედროვე გამოწვევაა გადასვლა „იერარქიული მართვიდან“ „ქსელურ მართვაზე“, რაზეც ზემოთ მოგახსენებდით, - სადაც სახელმწიფო აღარ არის ერთადერთი დომინანტი გამტარებელი, არამედ ის მოქმედებს როგორც პლატფორმა, რომელიც აკავშირებს ბიზნესს, მეცნიერებასა, მოქალაქეებს იმ კონტექსტური აქცენტებით, როგორიც ჩვენს მიერ ზემოთ სქემაში იყო წარმოდგენილი.

ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკის სისტემის გამართული მუშაობისთვის, ვიდრე გამტარებლები დაიწყებენ საკუთარი ფუნქციის განხორციელებას, უნდა შემუშავდეს შესაბამისი სტრატეგია, რომლის განხორციელებისთვის აუცილებელია მნიშვნელოვან კომპონენტების კომპლექსზე გამახვილდეს ყურადღება. თუმცა, ჩვენ აქ შევეხებით მხოლოდ ერთ და მნიშვნელოვან კომპონენტს **ადამიანური კაპიტალის განვითარება:** განათლების სისტემის ოპტიმიზაცია ე.წ. STEM (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია, მათემატიკა) მიმართულებების პრიორიტეტულობა და კვალიფიციური

1 Mazzucato, M. (2021). Mission Economy: A Moonshot Guide to Changing Capitalism. Allen Lane.
მაზუკატო იყენებს „აპოლოს“ პროგრამის მაგალითს (Moonshot), რომ აჩვენოს, თუ როგორ შეუძლია სახელმწიფოს დასახოს ამბიციური მიზნები (მაგ: კლიმატის ცვლილების შეჩერება) და მოახდინოს კერძო სექტორის მობილიზება მათ გარშემო.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

კადრების მომზადება.[1] მიგვაჩნია, რომ არსებული STEM მიდგომის კომპონენტი ქმედუნარიანობისთვის არასრულია, რადგან თუ არ მოხდება მთავარი კომპონენტისთვის ყურადღების მიქცევა თავად აბრევიატურა არაფრის მთქმელია. ჩვენს ნაშრომს სწორედ იმ აქცენტით ვიწყებთ, რომ მეცნიერება მაშინ გახლავთ მნიშვნელოვანი, როცა ის ქმედუნარიანია და ხმარდება საზოგადოებრივ კეთილდღეობას. შესაბამისად, თუ საუბარი გვაქვს ინოვაციებზე, ტექნოლოგიაზე, მეცნიერებაზე და კონკრეტულად STEM მიდგომაზე, რომელიც სათავეს აშშ იღებს და გახდა ამერიკის პოლიტიკის ნაწილი 2000 წლებიდან, - უნდა აღინიშნოს, რომ მისი ქმედუნარიანობა მნიშვნელოვანია. STEM მიდგომა კი ქმედუნარიანი ხდება ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებით. ზემოთ აღნიშნული აბრევიატურის თითოეული კომპონენტის ქმედუნარიანობისთვის აუცილებელია შემუშავდეს გარკვეული პოლიტიკა, მათი აღიარების შემდეგ როგორ ხდება მოქმედებათა ციკლის შემუშავება, გადაწყვეტილებების მიღება, იმპლემენტაცია და ა.შ. ამას ვხედავთ სწორედ დღეს, როდესაც ყველა თანამედროვე ეკონომისტი აღიარებს ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკის განსაკუთრებულობას ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების მართვის თვალსაზრისით. როდესაც ამ საკითხებზე ვმსჯელობთ, ყურადღება უნდა მიექცეს გენერაციული ხელოვნური ინტელექტის მნიშვნელობას და მის პოტენციალს ამ პროცესებში. მეცნიერები აღარ დაობენ იმაზე, რომ ინოვაციას სჭირდება გარდაქმნები „სწორედ ამიტომ, AI ინტეგრაცია ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ ეფექტიანობის გაუმჯობესების საშუალებად, არამედ ინსტიტუციური ტრანსფორმაციის ნაწილად" [Giorgi Nikuradze (2026) „Artificial Intelligence and Economic Policy: Risk Analysis and Governance Challenges in the modern state ". "The New Economist" N1 Vol 21, Page 110] (in Georgian)]. შესაბამისად, ინჟინერინგი და მათემატიკა ამ თვალსაზრისით გათვალისწინებული უნდა იყოს კონტექსტურად გენერაციული ხელოვნური ინტელექტის კონტექსტში და არა ცალკე გამოყოფილად. მეცნიერები ამახვილებენ ყურადღებას და ძირითადად STEM + Policy მოიხსენიება, რაც ვფიქრობთ არასაკმარისია და პრობლემას არ წყვეტს. ვფიქრობთ, აუცილებელია დაემატოს ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკის კომპონენტი და ასევე რისკ-ფაქტორების მართვის სტრატეგიები. მაგალითისთვის ასეთი შეიძლება იყოს STUMP (Science, Technology, Universe, Man/Human, Policy) კონცეფცია, რომელიც ჩვენი შემდგომი სამეცნიერო კვლევის საგანს წარმოადგენს და ასევე შეიძლება კიდევ უფრო ოპტიმალურად დაიხვეწოს და ადაპტირდეს. თუმცა ფაქტია, რომ ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკის კომპონენტის კონტექსტურად გამოყენება საკითხის რაციონალურ გააზრებაში და ქმედუნარიანობაში გვეხმარება.

დასკვნა

ინოვაციური პოლიტიკა გულისხმობს ეკონომიკური პოლიტიკისადმი კომპლექსურ მიდგომას. სახელმწიფო ეკონომიკებისათვის ინოვაციებთან და გლობალურ გამოწვევებთან ადაპტაცია და საზოგადოების მაღალი კეთილდღეობის სტანდარტების მიღწევა უდიდესი გამოწვევაა, რადგან ისინი მრავალმხრივ ფაქტორებთან და რისკებთან არის დაკავშირებული. საერთაშორისო ორგანიზაციები წლებია ამ საკითხებზე მსჯელობენ.

მივიჩნევთ, რომ თანამედროვე რეალობის გამოწვევებიდან გამომდინარე ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებმა ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავებისას უნდა გაითვალისწინონ შემოთავაზებული კონცეფციის ოპტიმალური ვარიანტი, რაც დამატებით სამეცნიერო პუბლიკაციებსა და ანალიზს საჭიროებს, რომ შესაბამისად დაიგეგმოს ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტარიუმის ეფექტიანი გამოყენება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მეცნიერება გახდება უფრო ქმედითუნარიანი და ის გაცილებით დიდ როლს ითამაშებს საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლების სამსახურში.

1 STEM = Science, Technology, Engineering, Mathematics (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია, მათემატიკა) 1990-იან წლებში აშშ-ის National Science Foundation-მა (NSF) დაიწყო ტერმინის გამოყენება. თავდაპირველი ვერსია იყო SMET, მაგრამ სწრაფად შეიცვალა, რადგან „STEM" უფრო ბუნებრივად ჟღერდა და კომუნიკაციურად ეფექტური იყო. 2000-იანი წლებიდან ტერმინი გახდა ოფიციალური პოლიტიკის ნაწილი აშშ-ში, შემდეგ კი გავრცელდა მთელ მსოფლიოში. საინტერესოა რატომ გაჩნდა ასეთი ფორმულირების საჭიროება: ტექნოლოგიური სექტორი სწრაფად იზრდებოდა; ინოვაციაზე დაფუძნებული ეკონომიკა გახდა მთავარი; ქვეყნებს სჭირდებოდათ მეტი ინჟინერი, პროგრამისტი, მეცნიერი; განათლების სისტემები ვერ ასწრებდნენ მოთხოვნის დაკმაყოფილებას. STEM გახლავთ ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ცენტრალური ქვაკუთხედი, განსაკუთრებით კი ინოვაციებზე დაფუძნებულ ეკონომიკებში.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

CONSUMER INTERESTS PROTECTION POLICY IN GEORGIA'S UNREGULATED MARKETS

Copyright © 2026 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: May 17, 2026
Published: June 15, 2026
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC21022026-77

Lasha Gogaladze
MA student at Ivane Javakhishvili
Tbilisi State University
ORCID ID: 0009-0009-3170-9016
Email: lashagogaladze768@gmail.com

ABSTRACT

Research objective: *In the process of purchasing goods and services, consumers have less bargaining power compared to companies. Companies often exploit this imbalance to the detriment of consumers' interests, which creates the need for consumer protection. Since markets differ from one another across many dimensions, the existence of only one authority for consumer protection is insufficient; therefore, several regulatory bodies are established, including some that operate in specific sectors. The main objective of the study is to assess consumer interest protection policy in Georgia based on the activities of regulatory authorities and to develop recommendations for improving this policy. Particular emphasis is placed on identifying effective ways of providing consumers with information about regulators.*

Research methodology: *To examine the existing framework for protecting consumer interests in unregulated markets, the study employs a review and analysis of Georgian normative acts, annual reports of consumer protection authorities, academic articles, and other official documents. Based on logical and comparative analysis, modern approaches to informing consumers about regulators are identified.*

Research results: *The study shows that the framework for protecting consumer interests in Georgia is gradually improving. These changes are largely driven by the process of harmonization with relevant European Union legislation. Regulatory authorities are working to refine the legislative framework, disseminate information about consumer rights, and undertake related initiatives. Considering global digitalization trends, regulators will need to keep pace with ongoing changes. To achieve this, the study proposes using dedicated groups to collect complaints expressed on social networks, placing information about regulators on key company documents, websites, social media platforms, and applications, and developing regulations in forms that are easily understandable and usable for consumers. These measures are expected to increase the number of complaints registered with regulators and, alongside a rise in cases resolved in favor of consumers, encourage companies to adopt more consumer-oriented policies.*

Keywords: *consumers' interests; consumer education; accessibility of information.*

REFERENCES:

1. Gognadze, T. (2024). Social networks and issues of their security protection. Journal The New Economist, N4, p. 32-37.

2. Jganjghava, K. (2023). The role of E-commerce tools in the global market, Journal The New Economist, N3, p. 45-48.

3. Oliko, K. (2024). Misleading advertising as an unfair commercial practice in the context of consumer rights protection. https://gcca.gov.ge/uploads_script/user_rights/tmp/phpiMMLRc.pdf - last checked - 25.02.2026

4. Todua, N., & Robakidze, G. (2023). Georgian con-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

sumers' perception of brand placement in social media, Journal The New Economist, N3, p. 16-28.

5. European Commission. (2025). 2030 consumer agenda and action plan for consumers in the single market: A new impulse for consumer protection, competitiveness and sustainable growth.

6. European Union. (2018). Online dispute resolution: Web-scraping of EU traders' websites.

7. Georgian Competition and Consumer Protection Agency. (2024). National consumer protection strategy 2024–2027.

8. Georgian Competition and Consumer Protection Agency. (2025). Case of LLC "El.Biletebi".

9. Georgian Competition and Consumer Protection Agency. (2025). Case of LLC "Airlines Travels".

10. Georgian Competition and Consumer Protection Agency. (2025). Guidelines on price indication for goods and services.

11. Geraci, M., Carletti, G., Gasperini, M., Truc, M., Cantarelli, A., & Hassan, E. (2023). Market surveillance for effective consumer protection in the EU: The role of market surveillance authorities and their cross-border cooperation. European Parliament. https://www.europarl.europa.eu/thinktank/en/document/IPOL_STU(2023)754190 – last checked - 25.02.2026.

12. National Food Agency of Georgia. (2022). Annual report 2022.

13. National Food Agency of Georgia. (2023). Annual report 2023.

14. National Food Agency of Georgia. (2024). Annual report 2024.

15. National Food Agency of Georgia. (2025). State program of food safety control.

16. Parliament of Georgia. (1998). Law of Georgia on Advertising. Legislative Herald of Georgia.

17. Parliament of Georgia. Law of Georgia on Broadcasting. (2004). Legislative Herald of Georgia

18. Parliament of Georgia. Law of Georgia on Consumer Rights Protection. (2022) Legislative Herald of Georgia.

19. Parliament of Georgia. Law of Georgia on Electronic Commerce. (2023). Legislative Herald of Georgia.

მომხმარებელთა ინტერესების დაცვის პოლიტიკა საქართველოს არარეგულირებად ბაზრებზე

ლაშა გოგალაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მაგისტრანტი

აბსტრაქტი

კვლევის მიზანი: *საქონლისა და მომსახურების შეძენის პროცესში მომხმარებლები კომპანიასთან შედარებით დაბალი ძალაუფლების მქონენი არიან. აღნიშნულს კომპანიები მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ იყენებენ, რაც მომხმარებელთა დაცვის საჭიროებას აჩენს. იმის გამო რომ ბაზრები ერთმანეთისგან მრავალი მაჩვენებლით განსხვავდებიან, მომხმარებლების დაცვისათვის მხოლოდ ერთი ორგანოს არსებობა არაა საკმარისი, ამის გამო იქმნება რამდენიმე მარეგულირებელი, მათ შორის ზოგიერთი, კონკრეტული სექტორებისთვის. კვლევის მთავარი მიზანია საქართველოში მომხმარებელთა ინტერესების დაცვის პოლიტიკის შეფასება მარეგულირებელი ორგანოების საქმიანობის საფუძველზე და პოლიტიკის გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციების შემუშავება. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მომხმარებლებისთვის მარეგულირებლის შესახებ ინფორმაციის მიწოდების გზების ძიებაზე.*

კვლევის მეთოდოლოგია: *არარეგულირებად ბაზრებზე მომხმარებელთა ინტერესების დაცვის არსებული ჩარჩოს შესასწავლად გამოყენებულია ქართული ნორმატიული აქტების, მომხმარებელთა ინტერესების დამცველი ორგანოების წლიური ანგარიშების, სტატიების და სხვა ოფიციალური დოკუმენტების მიმოხილვა და ანალიზი. ლოგიკური და შედარებით ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია მომხმარებლებისთვის მარეგულირებლების შესახებ ინფორმაციის მიწოდების თანამედროვე გზები.*

კვლევის შედეგები: *კვლევის შედეგად ჩანს, რომ საქართველოში მომხმარებელთა ინტერესების დაცვის ჩარჩო თანდათან იხვეწება. ცვლილებები მნიშვნელოვნადაა განპირობებული ევროკავშირის შესაბამის*

კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესით. მარეგულირებელი ორგანოები ზრუნავენ საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაზე, მომხმარებელთა უფლებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაზე და სხვა. მსოფლიოში მიმდინარე ციფრიზაციის ტენდენციების გათვალისწინებით, მარეგულირებლებს მოუწევთ ფეხი აუწყონ ცვლილებებს, რის მისაღწევადაც შემოთავაზებულია სოციალურ ქსელებში გამოთქმული საჩივრების შეგროვებისთვის შესაბამისი ჯგუფების გამოყენება, კომპანიებისთვის მნიშვნელოვან დოკუმენტებზე, ვებსაიტებზე, სოციალურ ქსელებსა და აპლიკაციებში მარეგულირებლის შესახებ ინფორმაციის განთავსება და რეგულაციების მომხმარებლებისათვის მარტივად აღქმადი და გამოყენებადი ფორმების შემუშავება. აღნიშნულმა მარეგულირებლებთან დაფიქსირებული საჩივრების რაოდენობა უნდა გაზარდოს და მომხმარებელთა სასარგებლოდ გადაწყვეტილი საქმეების რაოდენობის ზრდის ფონზე კომპანიებს მომხმარებელზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარებისკენ უბიძგოს.

საკვანძო სიტყვები: *მომხმარებელთა ინტერესები; მომხმარებელთა განათლება; ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.*

შესავალი

საქართველოში მომხმარებლების დაცვისთვის პარლამენტმა 1996 წელს პირველი კანონი მიიღო მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ და მის აღმასრულებელ ორგანოდ ანტიმონოპოლიური სამსახური დააწესა. 2005 წელს გაუქმდა ანტიმონოპოლიური სამსახური, ხოლო კანონი 2012 წელს ძალადაკარგულად გამოცხადდა. 2022 წელს ხელახლა იქნა მიღებული კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ და მის აღმასრულებელად 2014 წელს ჩამოყალიბებული კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის სააგენტო იქცა.

მომხმარებელთა ინტერესების დაცვის პოლიტიკა მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებასთან, რითაც საქართველომ აიღო ვალდებულება საკუთარი სამართლებრივი ბაზა ევროპულთან დაეახლოებინა. ამის გათვალისწინებით, ქართული კანონმდებლობა ევროპული გამოცდილების საფუძველზე და მის მსგავს პრინციპებზე შენდება. არარეგულირებად ბაზრებზე მომხმარებელთა ინტერესებს კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის სააგენტო და სურსათის ეროვნული სააგენტო იცავენ. დამატებით ცალკე მარეგულირებლები არსებობენ რეგულირებადი ბაზრებისთვის, რომლებიც მოიცავს: საბანკო, სადაზღვევო, კომუნიკაციების, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორებს.

მომხმარებელთა ინტერესების დაცვა არარეგულირებად ბაზრებზე

ევროკავშირის მიდგომის მსგავსად, საქართველოშიც მომხმარებელი სავაჭრო ურთიერთობებში ნაკლები საბაზრო ძალაუფლების მქონე ეკონომიკურ აგენტად განიხილება, რაც მისი დაცვის მორალურ საფუძველს ქმნის. კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ აყალიბებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის ზოგად პრინციპებს, რომელიც არეგულირებს სავაჭრო ურთიერთობებში მყიდველსა და გამყიდველს შორის წარმოშობილ დავებს. აღნიშნული კანონი განმარტავს მომხმარებლისა და მოვაჭრის ცნებას, მათ უფლებებსა და ვალდებულებებს, სააგენტოს ფუნქციონირების საფუძვლებს და უშუალოდ ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებს. კანონი მოიცავს დოკუმენტურად და ელექტრონულად დადებული ხელშეკრულების, მასში უსამართლო სტანდარტული პირობების მითითების, ხელშეკრულებიდან გასვლის, გარანტიის, არასამართლიან კომერციულ პრაქტიკასა და აგრესიულ კომერციასთან დაკავშირებულ და სხვა წესებს.

მოვაჭრეებს აქვთ ვალდებულება, რომ მომხმარებლებს საქონლის და საკუთარი თავის შესახებ სრული, უტყუარი და მკაფიო ინფორმაცია მიაწოდონ. მომხმარებელთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება სააგენტოს 2024-2027 წლების სტრატეგიის ერთ ერთი პრიორიტეტია. დაგეგმილია სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის, შესაბამისი სპეციფიკის გათვალისწინებით შექმნილი პოლიტიკის განხორციელება და მათი, როგორც მომხმარებლების, განათლების დონის ამაღლება.

საქონლის ან მომსახურების უშუალოდ გაყიდვის ობიექტში, ან ონლაინ შეძენისას, მომხმარებლის არჩევანზე მთავარი გავლენა უმეტესად მის ფასს აქვს, სწორედ ამიტომ აუცილებელია მომხმარებელი მოვაჭრის მიერ პროდუქტის ფასის შესახებ შეცდომაში არ იქნეს შეყვანილი. მოვაჭრეები ვალდებულნი არიან პროდუქტის ფასი გასაგები და მარტივი სახით მიაწოდონ მომხმარებლებს. ნახსენები ვალდებულება საკმაოდ პრობლემატუ-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

რია ონლაინ ვაჭრობის დროს, სოციალური ქსელის გამოყენებით საქონლის ან მომსახურების შეთავაზებისას. ასეთ დროს ხშირია ფასის დაფარვა და მის გასაგებად გამყიდველთან კომუნიკაციაა საჭირო. ხსენებული პრაქტიკა აკრძალულია, თუმცა მისი აღსრულება მომხმარებელთა დაბალი ცნობიერების და ონლაინ ვაჭრობის მნიშვნელოვნად მზარდი ტენდენციების გამო საკმაოდ რთული იქნება.

გადაწყვეტილების უკეთ მისაღებად აუცილებელია, რომ მომხმარებელმა იცოდეს პროდუქტის საბოლოო ფასი, დღგ-ს, სხვა გადასახადების და ა.შ ჩათვლით. აღნიშნულის მისაღწევად ერთ ერთი ნაბიჯი ბარებისა და რესტორნებისთვის მენიუს ფასებში, საბოლოო ფასის მითითების ვალდებულების გაჩენა იყო. გამყიდველებს ასევე მოეთხოვებათ, ფასდაკლების დროს პროდუქტის ყიდვისას ხელმისაწვდომი იყოს აქციამდე და მის შემდგომი ფასები და ბოლო 30 დღის მანძილზე საქონლის ყველაზე დაბალი ფასი.

მსოფლიო ეკონომიკის ციფრიზაციის შედეგად, სულ უფრო და უფრო იზრდება ონლაინ ვაჭრობის მაჩვენებლები, როგორც ვებსაიტების, ისე სოციალური ქსელების და აპლიკაციების გამოყენებით. დღეისათვის ციფრული მედია აქტიურად გამოიყენება კომპანიების მიერ სხვადასხვა მარკეტინგული საქმიანობის განსახორციელებლად, მათ შორის პროდუქტის განთავსებისათვის [3, გვ.21] მომხმარებელთა ინტერესების დასაცავად საჭირო ხდება რეგულირების ახლებური მეთოდების შემუშავება, რასაც ვხვდებით როგორც მომხმარებელთა უფლებების შესახებ ისე კომერციის შესახებ კანონში. ორივე მათგანი აწესრიგებს ონლაინ ვაჭრობისას კონტრაქტის დადების, მომხმარებელთა გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის არასამართლიან ხერხებს და სხვა.

ონლაინ ვაჭრობის დროს კომპანიები ცდილობენ მომხმარებელზე სხვადასხვა გზებით მოახდინონ გავლენა, მათ შორის შეცდომაში შემყვანი ღონისძიებებით. რეკლამა მომხმარებლის მიზიდვის გავრცელებული ხერხია, თუმცა ის გარკვეულ სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს. არ შეიძლება რეკლამა ცრუ, ან გადაჭარბებულ წარმოდგენას ქმნიდეს პროდუქტის შესახებ. მომხმარებლებისთვის ლიმიტირებული დროით მოქმედი აქციის ილუზიის შექმნა, პროდუქტისთვის უფასო დასახელების მიცემა, თუმცა მის მისაღებად დამატებითი ხარჯების გაწევის საჭიროება და სხვა შეცდომაში შემყვანი ქმედებები აკრძალულია.

კონკურენციის სააგენტოს მიერ გატარებული მომხმარებელთა დაცვის პოლიტიკის შესაფასებლად, შესწავლილ იქნა პირობითი ხელშეკრულებების და ჯარიმის დაკისრების სტატისტიკა. სააგენტომ 2024 წელს წლიური ანგარიშის მიხედვით 261 მოვაჭრეს დააკისრა პირობითი ვალდებულება, იგივე მაჩვენებლები წინა ორ წელს შესაბამისად 98 და 4 იყო. ანგარიშის მიხედვით, 2024 წელს 67 მოვაჭრეს ჯამურად 81 283 ლარის ჯარიმა დაეკისრა. 2024 წელს კომპანიების მიერ მომხმარებლების სასარგებლოდ 1 000 000 ლარამდე იქნა გადახდილი, ხოლო 2023 წელს 500 000 მდე.

კონკურენციის და მომხმარებელთა დაცვის სააგენტოს მიერ მომხმარებლების უფლებების უკეთ დასაცავად, მიზანშეწონილია დარღვევების აღმოსაჩენად სოციალური ქსელების უფრო აქტიური გამოყენება. სოციალურ ქსელ Facebook-ში არსებული ღია ჯგუფი - „სასოწარკვეთილ მომხმარებელთა ჯგუფი" ამის კარგი მაგალითია. სოციალურ ქსელში აღნიშნული დასახელების 2 ჯგუფი არსებობს, რომლებშიც ჯამურად 350 000 (267 000 + 83 000) მომხმარებელია გაწევრიანებული, სადაც ყოველდღიურად ქვეყნდება მომხმარებლების საჩივრები კომპანიების მიმართ. 13-დან 23 თებერვლამდე ჯგუფების აქტივობაზე დაკვირვებამ გამოავლინა, რომ მათში ჯამურად ყოველდღე 10 პოსტზე ნაკლები არ იწერებოდა, რაც დარღვევათა მნიშვნელოვანი სიდიდის ბაზას აყალიბებს. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის მიზანი ინფორმაციის სხვა მომხმარებლებისთვის გაზიარებაა, სააგენტომ ის დარღვევების აღმოსაჩენად უნდა გამოიყენოს და დაზარალებულ მომხმარებლებს თვითონ შეეხმიანოს.

რეგულირების ერთ ერთი გზა კომპანიებისთვის საგარანტიო ფურცლებზე კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის სააგენტოს შესახებ ინფორმაციის დატანის ვალდებულების შემოღებაა, სადაც ჩაწერილი იქნება სააგენტოს დასახელება, მის მიერ მომხმარებლების დაცვის უფლებამოსილება და საკონტაქტო ინფორმაცია. ელექტრონული გარანტიის შემთხვევაში, იგივე ინფორმაცია ლინკთან ერთად უნდა მიეთითოს, რომელიც სააგენტოს გვერდის საჩივრის დაწერის ადგილზე გადაამისამართებს მომხმარებელს. ევროკავშირში კომპანიებისთვის ODR-ის (ონლაინ დავის გადამწყვეტი სისტემა) ლინკის მითითების ვალდებულების გამოცდილება გვიჩვენებს, კომპანიები შეეცდებიან ვალდებულების ფორმალურად შესრულებას და ინფორმაციის მომხმარებლებისთვის ნაკლებად შესამჩნევ ადგილას განთავსებას. ამის გათვალისწი-

ნებით უმჯობესი იქნება თუ მოთხოვნა დააკონკრეტებს ინფორმაციის გარანტიის პირველ გვერდზე, არანაკლებ მთელ ტექსტში გამოყენებული უმაღლესი შრიფტის ზომით, სააგენტოს დასახელების მუქი ნაბეჭდით ჩაწერას და სხვა დოკუმენტებთან (ძირითადად ქვითრის დასტეპლერება) ერთად გაცემის შემთხვევაში, მათ მიერ სააგენტოს შესახებ ინფორმაციის დაუფარველობის.

მსგავსი ინფორმაცია ასევე უნდა განთავსდეს ბეჭდურ და ელექტრონულ ბილეთებზეც. კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის სააგენტოს უკვე ჰქონდა საქმე ბილეთების გამყიდველ ვებგვერდთან www.biletebi.ge, სადაც დაადგინა, რომ ღონისძიების გაუქმების შემთხვევაში ბილეთის გამყიდველმა ორგანიზაციამ მომხმარებელს თანხა საკომისიოს ჩათვლით უნდა დაუბრუნოს. „აირლინეს თრაველის" საქმეში სააგენტომ ტურისტულ ავიაკომპანიას, რომელიც მომხმარებლებისთვის ბილეთების შეძენას უზრუნველყოფდა, დაავალა რეისის გადადების შემთხვევაში, მომხმარებლის მოთხოვნის საფუძველზე თანხა სრულად, მომსახურების საკომისიოს ჩათვლით დაებრუნებინა. დოკუმენტურ და ელექტრონულ ბილეთებზე მკაფიო და მარტივი სახით სააგენტოს შესახებ ინფორმაციის მითითებას შეუძლია მსგავსი დარღვევების შემთხვევაში მომხმარებელთა უფლებების დაცვა უზრუნველყოს, სააგენტოსადმი მიმართვიანობის გაზრდის საფუძველზე.

მარეგულირებლის შესახებ ინფორმაცია კომპანიებმა საკუთარ ვებგვერდებზეც უნდა მიუთითონ, თუმცა იმისათვის რომ თავიდან ავირიდოთ კომპანიების მიერ ასეთი ინფორმაციის ნაკლებად ხელმისაწვდომ/ხილვად ადგილას განთავსება, ვალდებულება მეტად უნდა აკონკრეტებდეს მისი განთავსების ადგილს. ასეთ ადგილად შეიძლება გამოდგეს, კომპანიის საკონტაქტო ინფორმაციის გვერდითა ველი. დამატებით მოთხოვნად შესაძლებელია ინფორმაციის ისეთ ადგილას განთავსება დაწესდეს, რომლის წასაკითხადაც მომხმარებელს ვებგვერდზე შესვლისას, მისი დათვალიერების დაწყება არ დასჭირდება და გახსნისთანავე იქნება მხედველობის არეალში მოცემული. რადგან მობილურით ვებგვერდზე შესვლისას მისი სახე იცვლება, მობილურის ეკრანის ზომებზე მოსარგებად, ასეთი შემთხვევისთვის განსხვავებული რეგულირება იქნება საჭირო. ასეთ გზად შესაძლოა ინფორმაციის ვებგვერდის მენიუში წარდგენა გამოდგეს.

ასევე, განხილული უნდა იყოს აღნიშნული ინფორმაციის სოციალურ ქსელებსა და მობილურ აპლიკაციებში მომხმარებლისთვის ადვილად ხელმისაწვდომი ფორმით განთავსების ვალდებულებაც. ზემოაღნიშნულის მიღწევის ერთ ერთ გზად შეიძლება კომპანიების მიერ სოციალური ქსელების/აპლიკაციების ჩატებში ავტომატური გაგზავნის მესიჯებით სააგენტოს შესახებ ინფორმაციის ვალდებულება შემოვიღოთ. უნდა აღინიშნოს რომ ასეთი ვალდებულების შემოწმება საკმაოდ მარტივი იქნება და დიდი დრო არ დაჭირდება, ამისთვის მხოლოდ კომპანიის სოციალური ქსელის გვერდის/აპლიკაციის ჩატის გახსნა იქნება საჭირო. კომპანიები ნაკლებად შეეცდებიან მომხმარებელთა უფლებების შელახვას, თუკი ეცოდინებათ, რომ მომხმარებლისთვის, მისი უფლებადამცველი ორგანოს შესახებ, ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომი იქნება.

სურსათის უვნებლობა

მომხმარებლებისთვის ერთ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქტი სურსათია, სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ქვეყანაში სურსათის უვნებლობის ეფექტური კონტროლი. საქართველოში ამ მიზნის მიღწევაში მთავარი როლი 2018 წელს ჩამოყალიბებულ სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს აკისრია. სააგენტო იმ ბიზნეს ოპერატორების კონტროლს ახორციელებს, რომლებიც ჩართული არიან საკვების მომხმარებლამდე მისვლის ყველა სტადიაზე.

სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად, სააგენტოს შემდეგი ბერკეტები გააჩნია: გეგმური და არაგეგმური ინსპექტირება, მონიტორინგი, ნიმუშის აღება, ზედამხედველობა, დოკუმენტური შემოწმება, გეგმური და არაგეგმური აუდიტი. სააგენტო ყოველი მომდევნო წლისთვის განსაზღვრავს საორიენტაციო კონტროლის მექანიზმების გამოყენების მაჩვენებლებს.

სააგენტო პრიორიტეტად მიიჩნევს სკოლებისა და ბაგა ბაღების კონტროლს, ასევე ნედლი რძის მწარმოებელი და სასაკლაოების მფლობელი ბიზნესოპერატორების შემოწმებას. პირველი განპირობებულია იმით რომ ბავშვები მოწყვლად ჯგუფად ითვლებიან, ხოლო მეორე დარღვევების შემთხვევაში დაავადებების სწრაფად გავრცელების წყარო შეიძლება გახდეს. ასეთ ობიექტებში კონტროლი ხორციელდება უფრო ხშირად. რძის საწარმოების და სასაკლაოების შემთხვევაში კონტროლი წელიწადში რამდენჯერმეც შეიძლება განხორციელდეს.

იმისათვის რომ შევაფასოთ სურსათის ეროვნული სააგენტოს საქმიანობა, შევისწავლეთ ბოლო

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

5 წლის მანძილზე ჩატარებული სახელმწიფო კონტროლის რაოდენობა და გამოვლენილ დარღვევათა პროცენტული წილი. 2024 წელს სააგენტომ ჩაატარა 36 395 სახელმწიფო კონტროლი, მაშინ როცა 2020 წელს იგივე მაჩვენებელი 23 403 იყო. 2024 წელს გამოვლენილ დარღვევათა წილი მთლიან კონტროლში 9.5% იყო, 2023 წელს 12%, ხოლო წინა სამი წლის მანძილზე, შესაბამისად 13.6%, 9.5% და 9.8%. ვხედავთ რომ მიუხედავად კონტროლის რაოდენობის ზრდისა, დარღვევათა მაჩვენებლის შემცირება საბოლოო ჯამში არ შეინიშნება.

სააგენტო ასევე ზედამხედველობას უწევს ხორცის და ხორცპროდუქტების, სხვა მყარი სურსათის, თხევადი საქონლის და კვერცხის განადგურებას. კატეგორიების მიხედვით, განადგურებული სურსათის რაოდენობას შორის, რაიმე ტენდენცია არ იკვეთება. სავარაუდოა რომ გასანადგურებელი სურსათის რაოდენობა მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ცალკეულ მსხვილ შემთხვევებზე. მაგალითისთვის, 2024 წელს განადგურდა 6713 ლიტრი თხევადი სურსათი, წინა ორ წელს ეს მაჩვენებელი შესაბამისად 599 ლიტრი და 693 ლიტრი იყო.

სააგენტოს მუშაობის სხვა მიმართულებებია ცხოველთა იდენტიფიკაცია და მათი ვაქცინაციის მონაცემთა ბაზაში შეყვანა, ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის შემოწმება და ცხოველთა პროფილაქტიკური თუ იძულებითი აცრების უზრუნველყოფა. 2024 წელს სხვადასხვა დაავადებებზე აიცრა 5 290 000 ცხოველი, 2023 წელს ეს მაჩვენებელი 3 323 000 იყო, ხოლო წინა სამი წლის მაჩვენებლები 4.4-4.6 მლნ-ის ფარგლებში .

პოლიტიკის წარმატებისთვის, აუცილებელია მოქალაქეთა ჩართულობა და დარღვევებზე რეაგირება. 2024 წელს სურსათის სააგენტოში 1469 შეტყობინება შევიდა, საიდანაც მოქალაქეთა მიერ განხორციელებული შეტყობინებების რაოდენობა 1370 იყო. 2023 წელს იგივე მაჩვენებლები 1357 და 1274 იყო, ხოლო 2022 წელს 895 და 863.

მომხმარებლების მიერ მიმართვიანობის გასაზრდელად, სააგენტომ ასევე უნდა გამოიყენოს facebook ჯგუფი - „სასოწარკვეთილ მომხმარებელთა ჯგუფი", რადგან მასში ერთ ერთი ყველაზე პრობლემური მიმართულება სურსათთან დაკავშირებული პრეტენზიებია. ასევე, საკვებ ობიექტებსა და სუპერმარკეტებში უნდა განთავსდეს ინფორმაცია სურსათის სააგენტოს შესახებ. ასეთი ადგილი სუპერმარკეტებისთვის შემთხვევაში შეიძლება სალარო ტერმინალის გვერდითა სივრცე აღმოჩნდეს. რადგანაც გასვლამდე ყველა მომხმარებელს უწევს იქ მისვლა, ინფორმაცია თვალშისაცემი იქნება. რესტორნებისა და კაფეებისთვის აღნიშნული ინფორმაციის განთავსება მენიუზე უნდა მოხდეს, რადგან იქ ხშირად გადახდა მაგიდასთანვე ხორციელდება და სალაროსთან მისვლა არაა საჭირო. ასევე უნდა შემუშავდეს ნახსენები ინფორმაციის ონლაინ მენიუებში განთავსების წესი, რისთვისაც შესაძლოა QR კოდის დასკანერების შემდეგ სააგენტოს შესახებ ინფორმაციის შემცველი ამომხტარი ფანჯრის (pop-up window) ჩაშენება იყოს საჭირო. იმის გათვალისწინებით, რომ სააგენტო ყოველწლიურად ათასობით კონტროლს ატარებს, მისთვის რთული არ უნდა იყოს ზემოხსენებული ვალდებულებების შესრულების კონტროლი.

დასკვნა

საქართველოს არარეგულირებად ბაზარზე მომხმარებელთა ინტერესების დაცვას ორი ძირითადი მარგულირებელი უზრუნველყოფს. მათი საქმიანობა ბაზრის მონიტორინგის, მომხმარებელთა საჩივრებზე რეაგირების, მომხმარებელთა განათლების და სხვა მიმართულებებზეა კონცენტრირებული.

მომხმარებელთა ინტერესების უკეთ დასაცავად შესაბამისმა სამსახურებმა ფეხი უნდა აუწყონ ციფრიზაციის პროცესს და მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის წარმოშობილი ახალი ტიპის ურთიერთობების და დარღვევების დარეგულირების მექანიზმები შეიმუშაონ, რისთვისაც აუცილებელი იქნება უცხოური ქვეყნების გამოცდილების გამოყენება.

მარეგულირებლის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მომხმარებელთა ინტერესების დაცვას აადვილებს, ვინაიდან ის ზრდის საჩივრების რაოდენობას და კომპანიებს მომხმარებელზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარებისკენ უბიძგებს. ასეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის გამოყენებული უნდა იყოს კომპანიის მიერ მისი თვითწარდგენის მექანიზმები. მარეგულირებელმა ორგანოებმა აღნიშნული მექანიზმები განხილვების და დახვეწის შემდგომ ვალდებულებებად უნდა აქციონ, რაც მომხმარებელთა ინტერესების დაცვისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ECONOMIC POLICY FOR THE DEVELOPMENT OF WOMEN'S ENTREPRENEURSHIP IN GEORGIA

Copyright © 2026 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: April 22, 2026
Published: May 11, 2026
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC21022026-83

Ketevan Balanchivadze
MA student at Ivane Javakhishvili Tbilisi State University
https://orcid.org/0009-0004-4670-5070
Email: ketiqeti65@gmail.com

ABSTRACT

Research Objective: *The contemporary global economy is characterized by dynamism and rapid development, in which entrepreneurship represents one of the key drivers of economic growth and structural transformation. For Georgia, the promotion of women's entrepreneurship acquires particular importance in the context of existing economic and geopolitical challenges. The aim of this study is to analyze the instruments, programs, and strategies that facilitate the development of women's entrepreneurship, including an assessment of initiatives implemented within the framework of state policy. The research examines the effectiveness and accessibility of existing financial, educational, and advisory support mechanisms, as well as identifies the structural, socio-cultural, and economic barriers faced by women entrepreneurs. In addition, the study reviews successful international experiences and explores the possibilities for their adaptation to Georgia's socio-economic context.*

Methodological Approach: *The study is based on the analysis of economic policy for the development of women's entrepreneurship in Georgia, including the examination of the legislative framework, state programs, and strategic documents, as well as a review of contemporary economic and gender-related research literature.*

During the analysis, special attention is paid to key issues such as women's access to financial resources, the development of entrepreneurial education and skills, the economic aspects of gender inequality, the impact of social stereotypes on business activity, regional development characteristics, and the opportunities for inclusive economic growth.

The research applies descriptive and comparative analysis methods, the interpretation of statistical data, logical-analytical reasoning, and synthesis.

Main Findings and Practical Implications: *The study shows that the economic policy for the development of women's entrepreneurship in Georgia has gradually progressed in recent years; however, a number of structural challenges still remain. Programs implemented by the public and private sectors contribute to women's economic participation, especially at the level of small and medium-sized enterprises.*

The research findings represent an important resource for academic research and scholarly analysis, as well as for the formulation of economic policy and the development of strategic approaches to social development.

Keywords: *Women's entrepreneurship; small and medium-sized enterprises; challenges; economic policy.*

REFERENCES:

1. Erkomaishvili G. (2019). Rational Economic Policy: The Driving Force from Business Entrepreneurship to Social Entrepreneurship, Tbilisi, Universali Publishing House.

2. Feng, J., Ahmad, Z., & Zheng, W. (2023). Factors influencing women's entrepreneurial success: A multi-analytical approach. Frontiers in Psychology. https://doi.org/10.3389/fpsyg.2022.1099760 .

3. Feng, J., Ahmad, Z., & Zheng, W. (2023). Factors influencing women's entrepreneurial success: A multi-analytical approach. Frontiers in Psychology. https://doi.org/10.3389/fpsyg.2022.1099760 .

4. S. Knox et al. (2025). Empowering women's en-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

trepreneurship: An evidence synthesis of policy and practice in developing countries. International Journal of Entrepreneurship and Small Business. https://www.tandfonline.com/doi/epdf/10.1080/08985626.2025.2503145?needAccess=true

5. Welter, F., & Smallbone. Institutional perspectives on entrepreneurial behavior in challenging environments. Journal of Small Business Management. https://doi.org/10.1111/j.1540-627X.2010.00317.x Uploaded December 29, 2010

6. Fetelava S. (2021), ECONOMIC POLICY ORDER IN GEORGIA, "THE NEW ECONOMIST", Tbilisi, Uploaded 11 April, 2021, https://neweconomist.com.ge/media/documents/1-2021-15-22-slava.pdf

7. N. Tatulashvili & M. Kharebashvili, Women's Economic Empowerment as an Important Component of Substantive Equality. (PDF – Tbilisi State University). https://constcourt.ge/files/9/4%29%20Tandulashvili%2C%20Kharebashvili%20ENG.pdf

8. Women's Entrepreneurship Policy (ICSB overview of global OECD policy insights). Uploaded October 13, 2022.

9. Okrotsvaridze L.(2023), New visions and approaches for the development of Georgia's economy, "THE NEW ECONOMIST", Tbilisi, Uploaded 31 March, 2023 https://neweconomist.com.ge/media/documents/01-2023_axali.pdf

10. World Bank. (2025). Empowering Women Tech Entrepreneurs in Georgia Unleashes Innovation. Uploaded March 3, 2025.

11. World Economic Forum. (2025). Global Gender Gap Report 2025. Retrieved from https://reports.weforum.org/docs/WEF_GGGR_2025.pdf . Uploaded June, 2025

12. Parliament of Georgia. (2024). On the Approval of the State Concept for the Economic Empowerment of Women. Legislative Herald of Georgia. https://matsne.gov.ge/ka/document/view/5755428?publication=0 Uploaded March 23, 2023

13. UN Women & ILO. (2023). National Assessment of Women's Entrepreneurship Development in Georgia. United Nations in Georgia. National Assessment of Women's Entrepreneurship Development in Georgia.

14. Progress Report of SME Development Strategy of Georgia – 2024, https://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/sme_strategy/2024/progress_report_of_sme_development_strategy_of_georgia_2024_2.pdf Uploaded May, 2025

15. UN Women & ILO. (2023). Survey of Women Entrepreneurs in Georgia. United Nations in Georgia. https://georgia.un.org/en/254720-survey-women-entrepreneurs-georgia . Uploaded May 23, 2023

16. Vekua D. (2021), THE DIFFICULTIES AND PROSPECTS OF ATTRACTING VENTURE CAPITAL TO GEORGIA, "THE NEW ECONOMIST", Tbilisi, Uploaded 11 April, 2021 https://neweconomist.com.ge/media/documents/3.%E1%83%95%E1%83%94%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%90.pdf

17. World Economic Forum. (2025). Global Gender Gap Report 2025. Retrieved from https://reports.weforum.org/docs/WEF_GGGR_2025.pdf. Uploaded June, 2025

18. OECD. (2024). Georgia: Small Business Act country profile: SME policy index (Women's entrepreneurship section). Retrieved from https://www.oecd.org/en/publications/sme-policy-index-eastern-partner-countries-2024_3197420e-en/full-report/component-18.html Uploaded December 13, 2023

ქალთა მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში

ქეთევან ბალანჩივაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი

აბსტრაქტი

კვლევის მიზანი: *თანამედროვე გლობალური ეკონომიკა ხასიათდება დინამიკურობითა და სწრაფი განვითარებით, სადაც მეწარმეობა ეკონომიკური ზრდისა და სტრუქტურული ტრანსფორმაციის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს. საქართველოსთვის ქალთა მეწარმეობის მხარდაჭერა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არსებული ეკონომიკური და გეოპოლიტიკური გამოწვევების პირობებში. კვლევის მიზანია ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი ინსტრუმენტების, პროგრამებისა*

და სტრატეგიების ანალიზი, მათ შორის სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული ინიციატივების შეფასება. კვლევა მოიცავს არსებული ფინანსური, საგანმანათლებლო და საკონსულტაციო მხარდაჭერის მექანიზმების ეფექტიანობისა და ხელმისაწვდომობის შეფასებას, ასევე ქალ მეწარმეთა წინაშე არსებული სტრუქტურული, სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური ბარიერების გამოვლენას. დამატებით, განიხილება საერთაშორისო წარმატებული გამოცდილება და მისი ადაპტირების შესაძლებლობები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტში.

მეთოდოლოგიური მიდგომა: *კვლევა ეფუძნება ქალთა მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზს საქართველოში, მათ შორის საკანონმდებლო ჩარჩოს, სახელმწიფო პროგრამებისა და სტრატეგიული დოკუმენტების შესწავლას, ასევე თანამედროვე ეკონომიკური და გენდერული კვლევების ლიტერატურის გაანალიზებას. ანალიზის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორიცაა ქალთა ხელმისაწვდომობა ფინანსურ რესურსებზე, მეწარმეობრივი განათლებისა და უნარების განვითარება, გენდერული უთანასწორობის ეკონომიკური ასპექტები, სოციალური სტერეოტიპების გავლენა ბიზნესსაქმიანობაზე, რეგიონული განვითარების თავისებურებები და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობები. კვლევაში გამოყენებულია აღწერითი და შედარებითი ანალიზის მეთოდები, სტატისტიკური მონაცემების ინტერპრეტაცია, ლოგიკურ-ანალიტიკური მსჯელობა და სინთეზი.*

ძირითადი შედეგები და გამოყენება: *კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ქალთა მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა ბოლო წლებში ეტაპობრივად პროგრესირებს, თუმცა კვლავაც რჩება რიგი სტრუქტურული გამოწვევები. სახელმწიფო და კერძო სექტორის მიერ განხორციელებული პროგრამები ხელს უწყობს ქალთა ეკონომიკურ ჩართულობას, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის დონეზე. კვლევის მიგნებები წარმოადგენს მნიშვნელოვან რესურსს როგორც სამეცნიერო კვლევებისა და აკადემიური ანალიზისთვის, ისე ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისა და საზოგადოებრივი განვითარების სტრატეგიული მიდგომების განსაზღვრის პროცესში.*

საკვანძო სიტყვები: *ქალთა მეწარმეობა; მცირე და საშუალო მეწარმეობა; გამოწვევები; ეკონომიკური პოლიტიკა.*

შესავალი

თანამედროვე გლობალური ეკონომიკა გამოირჩევა მაღალი ცვალებადობითა და ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარებული ტემპით, სადაც მეწარმეობა განიხილება როგორც ეკონომიკური განვითარების, შრომის პროდუქტიულობის ზრდისა და სტრუქტურული ცვლილებების ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი. მეწარმეობის მხარდაჭერა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი აძლიერებს ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობას, სტიმულირებს ინოვაციურ საქმიანობას და ქმნის დასაქმების ახალ შესაძლებლობებს.

ამ კონტექსტში, ქალთა მეწარმეობის გაძლიერება დუალური მნიშვნელობის ფენომენად განიხილება. ერთი მხრივ, იგი ხელს უწყობს სოციალური და გენდერული თანასწორობის განმტკიცებას, ქალთა ეკონომიკური ავტონომიის ზრდასა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (Sustainable Development Goals), განსაკუთრებით SDG მე-5 მიზნის მიღწევას. მეორე მხრივ, მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები ადასტურებენ, რომ ქალთა აქტიური ეკონომიკური ჩართულობა დადებითად აისახება მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე, ბაზრის დივერსიფიკაციასა და ინკლუზიურ ეკონომიკურ განვითარებაზე. ამასთან, ქალი მეწარმეების მიერ მიღებული შემოსავლების ოჯახისა და ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე მიმართვა გრძელვადიან სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელს ქმნის.

საქართველოსთვის ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობა განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია ქვეყნის ევროპული ინტეგრაციისა და არსებული ეკონომიკური გამოწვევების ფონზე. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ეკონომიკურ სფეროში წარმოადგენს არა მხოლოდ საერთაშორისო ვალდებულებას, არამედ მდგრადი განვითარების აუცილებელ წინაპირობას. შესაბამისად, ქალთა მეწარმეობის მხარდაჭერა ქვეყნის ეროვნული ინტერესის განუყოფელ კომპონენტს წარმოადგენს და ხელს უწყობს ეკონომიკური პოტენციალის სრულფასოვან რეალიზაციას.

ქალთა მეწარმეობა თანამედროვე გამოწვევების წინაშე

მიუხედავად ქალთა მზარდი ჩართულობისა ბიზნეს საქმიანობაში, საქართველოში ქალთა მეწარმეობის განვითარება კვლავ მრავალი სისტემური ბარიერის წინაშე დგას, რაც განაპირობებს მათ დაბალ წარმომადგენლობას ბიზნესის მფლობელებსა და მენეჯერულ რგოლებში, ეს კი ზღუდავს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის სრულად გამოყენებას. აღნიშნული ბარიერები კომპლექსურ ხასიათს ატარებენ და მოიცავენ ფინანსურ,

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

საგანმანათლებლო, სოციალურ-კულტურულ, ინფრასტრუქტურულ, სამართლებრივ, ქსელურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს.

ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული წვდომა კვლავ რჩება ქალთა მეწარმეობის განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს ბარიერად. ეს კი მოიცავს როგორც საბანკო სესხების მიღების სირთულეს, ასევე საინვესტიციო კაპიტალის სიმცირეს. ამასთან, ბიზნესის მართვის, ფინანსური დაგეგმვისა და მარკეტინგის სფეროში არსებული ცოდნისა და უნარების დეფიციტი, განსაკუთრებით რეგიონებში, მნიშვნელოვნად აფერხებს ქალთა მეწარმეობის ზრდას და კონკურენტუნარიანობას.

სოციალური და კულტურული ნორმები, მათ შორის ტრადიციული გენდერული როლები და საოჯახო პასუხისმგებლობების არათანაბარი გადანაწილება, ზღუდავს ქალების დროსა და შესაძლებლობებს პროფესიული განვითარებისათვის. აღნიშნულს ემატება მეწარმეობის სტერეოტიპული აღქმა, როგორც „მამაკაცური საქმიანობის", რაც განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება რეგიონებში. დამატებით შემაფერხებელ ფაქტორებს წარმოადგენს ინფრასტრუქტურული და რეგულაციური ხარვეზები, როგორიცაა ციფრულ ინფრასტრუქტურაზე შეზღუდული წვდომა და ბაზრებიდან გეოგრაფიული იზოლაცია.

ქალ მეწარმეთა შეზღუდული ჩართულობა პროფესიულ ქსელებში, ასევე მენტორობისა და იურიდიული მხარდაჭერის ნაკლებობა, უარყოფითად აისახება როგორც ახალი შესაძლებლობების ათვისებაზე, ისე ბიზნესის გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველყოფაზე. ამ ფონზე სოციალური ზეწოლა ხშირად წარმოშობს ფსიქოლოგიურ ბარიერებს, მათ შორის საკუთარი შესაძლებლობების დაბალ თვითშეფასებასა და მარცხის შიშს, რაც ზღუდავს რისკზე წასვლისა და ამბიციური ბიზნეს მოდელების არჩევის მზადყოფნას.

ქალთა მეწარმეობის მხარდაჭერა თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლება, განსაკუთრებით განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ქალთა ეკონომიკური ჩართულობის ზრდა ხელს უწყობს ინოვაციებს, დასაქმებასა და სოციალურ კეთილდღეობას. შესაბამისად, საქართველოში არსებული სისტემური ბარიერების შემცირება აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ქალთა ეკონომიკური პოტენციალის სრულფასოვანი რეალიზაციისთვის.

ქალთა მეწარმეობის განვითარების ტენდენციები საქართველოში

მიუხედავად ბოლო წლებში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით განხორციელებული სახელმწიფო და კერძო ინიციატივებისა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2018–2024 წლების მონაცემები მიუთითებს (იხ. დიაგრამა 1), რომ ქალებს მეწარმეობის სფეროში კვლავ შედარებით მცირე წილი უკავიათ როგორც რეგისტრირებული საწარმოების რაოდენობით, ასევე მათ მიერ გენერირებული ეკონომიკური სარგებელით. აღნიშნული უთანასწორობა გავლენას ახდენს არა მხოლოდ სოციალურ სამართლიანობაზე, არამედ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპების სრულფასოვან რეალიზებაზეც, რაც ქალ მეწარმეებზე ორიენტირებული პოლიტიკისა და

დიაგრამა 1. რეგისტრირებულ ახალ საწარმოთა რაოდენობა მფლობელის სქესის მიხედვით (ერთეული)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

N2 (81) 2026, Vol. 21, Issue 2.

მხარდამჭერი მექანიზმების გაძლიერების აუცილებლობას უსვამს ხაზს.

საერთო ჯამში, წარმოდგენილი მონაცემები ადასტურებენ, რომ საქართველოში ქალთა ბიზნესაქტივობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება და კრიზისული ვითარებების მიმართ მზარდ გამძლეობას ავლენს. თუმცა, არსებული პროგრესის მიუხედავად, ქალთა წილის სტრუქტურული ჩამორჩენა კვლავ გამოწვევად რჩება, რაც მიზნობრივი პოლიტიკისა და ინსტიტუციური მხარდაჭერის გაგრძელებას საჭიროებს.

ქალთა მეწარმეობის საერთაშორისო გამოცდილება

ქალთა მეწარმეობის მხარდაჭერა როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში ხორციელდება კომპლექსური პოლიტიკის ფარგლებში, რომელიც აერთიანებს ფინანსურ ხელმისაწვდომობას, საგანმანათლებლო და მენტორულ პროგრამებს, ბიზნესინკუბატორებსა და სამართლებრივი გარემოს გაუმჯობესებას. საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის ევროკავშირი, მსოფლიო ბანკი და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, აქტიურად უწყობენ ხელს ქალ მეწარმეთა წინაშე არსებული სტრუქტურული ბარიერების შემცირებას და მათი ეკონომიკური პოტენციალის სრულ რეალიზაციას.

"ინოვაციურ აზროვნებას არ აქვს გეოგრაფიული ჩარჩო და დღეს გლობალური ბიზნესი მსოფლიოს განიხილავს, როგორც ერთიან ფინანსურ, შრომით და სასაქონლო ბაზარს" [16, გვ. 42]. ამ ჰარმონიის შესანარჩუნებლად კი რეკომენდირებულია სხვადასხვა ქვეყნის საერთაშორის გამოცდილების გამოყენება ქალთა მეწარმეობის პოლიტიკის ხელშეწყობის მიმართულებით.

იტალიის მაგალითი აჩვენებს, რომ ქალთა მეწარმეობა განიხილება როგორც სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიმართულება. სახელმწიფო პოლიტიკა ორიენტირებულია ქალთა ეკონომიკური გააქტიურების ზრდაზე, განსაკუთრებით მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროებში. პროგრამა „ქალთა მეწარმეობა", მიზნად ისახავს მეწარმეობრივი კულტურის გავრცელებას, გენდერული ბარიერების შემცირებას და STEM (science, technology, engineering and mathematics) მიმართულებებში ქალთა ჩართულობის ზრდას. ინიციატივა ინტეგრირებულია ეროვნული აღდგენისა და მდგრადობის გეგმაში (PNRR), რაც ხაზს უსვამს ქალთა ეკონომიკური მონაწილეობის მნიშვნელობას როგორც სტრუქტურული რეფორმის კომპონენტს.

გერმანიაში ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მცირე და საშუალო მეწარმეობის (SME) განვითარების პოლიტიკასთან. ქალების მიერ მართულ საწარმოებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ინოვაციებში, დასაქმებასა და მწვანე და ციფრული ტრანსფორმაციის პროცესებში. ფედერალური ეკონომიკისა და კლიმატის დაცვის სამინისტროს ინიციატივით შემუშავებული სამოქმედო გეგმა „მეტი ქალი მეწარმე SME-ისთვის" ეფუძნება მრავალსექტორულ თანამშრომლობას და ითვალისწინებს ქალთა რეალურ საჭიროებებს, მათ შორის სამუშაოსა და პირადი ცხოვრების ბალანსს. გერმანიის პრაქტიკა ადასტურებს, რომ ქალთა მეწარმეობის მხარდაჭერა აერთიანებს ეკონომიკური ზრდის, მდგრადი განვითარების და გენდერული თანასწორობის მიზნებს.

ხორვატიაში ქალთა მეწარმეობა განიხილება როგორც ეკონომიკური ეფექტიანობისა და ინკლუზიური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი. მიუხედავად იმისა, რომ ქალთა მეწარმეობის დონე ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე დაბალია, ეროვნული და რეგიონული ინიციატივები ხელს უწყობენ ფინანსურ ხელმისაწვდომობას, ტრენინგებსა და მენტორინგს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია Split-Dalmatia რეგიონის 2025 წლის გრანტების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ქალი მეწარმეების ფინანსური ბარიერების შემცირებას, დამწყები ბიზნესების მხარდაჭერასა და სამუშაოსა და ოჯახური ცხოვრების ბალანსის ხელშეწყობას. პროგრამა სრულ შესაბამისობაშია როგორც ხორვატიის ეროვნულ სტრატეგიებთან, ისე ევროკავშირის გენდერული თანასწორობისა პოლიტიკასთან.

გლობალური გენდერული უთანასწოროების ინდექსი

გლობალური გენდერული უთანასწორობის ინდექსი (Global Gender Gap Index) წარმოადგენს საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ ანალიტიკურ ინსტრუმენტს, რომელიც ყოველწლიურად აფასებს ქალებსა და მამაკაცებს შორის გენდერული თანასწორობის დონეს. ინდექსი ქვეყნებს შორის შედარებით ანალიზს ახორციელებს ოთხი ძირითადი განზომილების მიხედვით: ეკონომიკური მონაწილეობა და შესაძლებლობები, განათლების მიღწევები, ჯანმრთელობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა, პოლიტიკური გაძლიერება.

გლობალურ რეიტინგში საქართველო 63-ე ადგილზეა, ხოლო რეგიონში მეორე პოზიციას იკავებს. ინდექსის ქულა (0.729) მიუთითებს გარკვეულ პროგრესზე, განსაკუთრებით განათლებისა და ჯანმრთელობის სფეროებში, თუმცა ქალთა ეკონომიკური მონაწილეობა და პოლიტიკური წარმომადგენლობა კვლავ რჩება მნიშვნელოვან გამოწვევებად.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ცხრილი: ქვეყნების სარეიტინგო ადგილები

ქვეყანა	სარეიტინგო ადგილი (მსოფლიო)	სარეიტინგო ადგილი (რეგიონში)	ქულა
გერმანია	9	7	0.803
საქართველო	63	2	0.729
ხორვატია	64	27	0.728
იტალია	85	35	0.704

წყარო: https://reports.weforum.org/docs/WEF_GGGR_2025.pdf

ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში

„ხედვა 2030“ წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად პრიორიტეტებსა და მიზნობრივ მიმართულებებს 2030 წლამდე პერიოდში. დოკუმენტი ეფუძნება შიდა და გარე განვითარების ფაქტორების ანალიზს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მეწარმეობისა და საინვესტიციო საქმიანობის განვითარებას, როგორც ეკონომიკური ზრდისა და მდგრადი განვითარების მთავარ საფუძველს.

ასევე, მნიშვნელოვანი დოკუმენტია „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021–2025“, რომელიც ორიენტირებულია მცირე და საშუალო მეწარმეობის როლის გაძლიერებაზე და მოიცავს ინოვაციური საქმიანობის მხარდაჭერას, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაფართოებას, ბიზნესგარემოს გაუმჯობესებასა და ადამიანური კაპიტალის განვითარებას. სტრატეგიის მე-6 პრიორიტეტია "ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა", რომელშიც გათვალისწინებულია 15 აქტივობა. სამოქმედო გეგმის შესრულების 2024 წლის ანგარიშის მიხედვით კი სრულად განხორციელდა 13 აქტივობა, ხოლო მეტწილად და ნაწილობრივ შესრულდა 1-1 აქტივობა.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო წარმოადგენს სახელმწიფო ინსტიტუციას, რომელიც მიზნად ისახავს ინოვაციური ეკონომიკისა და სტარტაპ ეკოსისტემის განვითარებას. სააგენტო ქალ მეწარმეებს სთავაზობს ფინანსურ მხარდაჭერას გრანტების, სუბსიდირებული სესხებისა და ინვესტიციების სახით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტექნოლოგიურ და მაღალრისკიან სექტორებში ქალთა ჩართულობის ზრდისთვის. პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ კი მიზნად ისახავს ადგილობრივი წარმოებისა და მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერას ფინანსური, ტექნიკური და ინფრასტრუქტურული ინსტრუმენტების მეშვეობით. პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობას, როგორც ინკლუზიური და სამართლიანი ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას.

ასევე, გაეროს ქალთა ორგანიზაცი (UN Women) საქართველოში ახორციელებს ქალთა მეწარმეობის მხარდამჭერ პროექტებს, რომლებიც მიმართულია ქალთა ეკონომიკური გაძლიერების, პროფესიული უნარების განვითარების და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდისკენ. აღნიშნული ინიციატივები, განსაკუთრებით რეგიონებში მცხოვრები ქალებისათვის, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროცესში.

დასკვნა

ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დღის წესრიგში. ქალთა აქტიური ჩართულობა სამეწარმეო საქმიანობაში დადებითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე, ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის გაფართოებას და ამცირებს სოციალურ და გენდერულ უთანასწორობას. ქალთა მეწარმეობა არა მხოლოდ ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის წყაროა, არამედ სოციალური ინკლუზიისა და მდგრადი განვითარების მნიშვნელოვან მექანიზმადაც გვევლინება.

საერთაშორისო გამოცდილება და არსებული ეროვნული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ქალთა მეწარმეობის წარმატებული განვითარება საჭიროებს სისტემურ და მიზნობრივ მხარდაჭერას, მათ შორის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, განათლებისა და პროფესიული გადამზადების ხელშეწყობას, ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერებასა და ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შექმნას.

საქართველოში განხორციელებული სახელმწიფო პროგრამები და საერთაშორისო თანამშრომლობა ქმნის დადებით წინაპირობებს ქალთა ეკონომიკური პოტენციალის რეალიზებისთვის. შედეგად, ქალთა მეწარმეობა ყალიბდება ქვეყნის მდგრადი, ინოვაციური და კონკურენტუნარიანი განვითარების ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

THE PATH OF DEVELOPMENT OF LEGISLATION ON THE PROTECTION OF OWNERSHIP RIGHTS OVER IMMOVABLE PROPERTY AND CERTAIN INTANGIBLE PROPERTY BENEFITS

Copyright © 2026 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: June 09, 2026
Published: June 25, 2026
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC21022026-89

Giorgi Baramidze
Doctoral Candidate of David Aghmashenebeli University of Georgia, Lawyer
ORCID ID: 0009-0005-7375-1061
E-mail: glc.lawoffice@gmail.com

ABSTRACT

The studies conducted in the process of creating the present paper confirmed that, after the regaining of independence by Georgia, at the very initial stage, a number of important steps were taken in order to ensure the protection of the right to property, to which the legislative activities carried out during that period made their contribution.

However, instead of continuing the positive tendency of protecting property rights, especially the rights to immovable property and certain intangible property benefits, a whole series of legislative acts adopted later, in a number of cases, resulted in the infringement of the rights of owners, which gave rise to the problem of exercising the right of ownership over immovable property as well as certain intangible property benefits.

For this very reason, the issue of the necessity for the further improvement and development of the existing legislation in relation to immovable property and certain intangible benefits still remains on the agenda..

***Keywords**: immovable, movable, intangible, property, right, protection.*

REFERENCES:

1. Chanturia L., Ownership of Immovable Property (on the Example of German Law). Tbilisi, 1994, p. 182. (in Georgian);

2. Shengelia R., Issues of Georgian Financial Law. No. 1, Tbilisi, 1992, p. 23. (in Georgian);

3. Zoidze B., Property Law. Tbilisi, 1999, pp. 63–64. (in Georgian);

4. Liluashvili T., Khrustali V., Commentary on the Civil Procedure Code of Georgia. Second Edition. Publishing House "Samartali", Tbilisi, 2007, p. 45. (in Georgian);

5. Winter G., Adeishvili Z., Kitoshvili D., Commentary on the General Administrative Code of Georgia. Tbilisi, 2002, p. 13. (in Georgian);

6. Veshapidze, Sh., "Ilia Chavchavadze's Concept of Universal Welfare Oriented toward European Values," Journal: "New Economist" #47, 2017, p. 35.

Decision of the Constitutional Court of Georgia of 2 July 2007, Case N1/2/384. (in Georgian);

7. Judgment of the European Court of Human Rights of 21 February 1986, in the case of James and Others v. the United Kingdom, paragraph 54.

8. Tbilisi City Court, Civil Cases Panel, Case #2.2466-14 (3/433-14), Ruling of 14 February 2014. (in Georgian);

9. The Economist Intelligence Unit, Country Report, Georgia, September 2007, "Controversy over Property Rights Continues," p. 14.

10. Annual Report of the Public Defender of Georgia, 2006, p. 383. (in Georgian);

11. Annual Report 2007 of the Georgian Young Lawyers' Association (Rule of Law for Justice), pp. 35–36. (in Georgian);

12. Judgment of the European Court of Human

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

Rights of 23 September 1982, in the case of Sporrong and Lönnroth v. Sweden.

13. Decision of the Constitutional Court of Georgia #2/1-370, 382, 390, 402, 404 of 18 May 2007 (Citizens of Georgia Zaur Elashvili, Suliko Mashia, Rusudan Gogia and others v. the Parliament of Georgia). (in Georgian);

14. Judgment of the European Court of Human Rights of 7 July 1989, in the case of Tre Traktörer Aktiebolag v. Sweden.

15. Judgment of the European Court of Human Rights of 26 June 1986, in the case of Van Marle and Others v. the Netherlands.

უძრავ ნივთებზე და ცალკეულ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე საკუთრების უფლების დაცვის შესახებ კანონმდებლობის განვითარების გზა

გიორგი ბარამიძე
საქართველოს დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტის
დოქტორანტი, იურისტი
ORCID ID: 0009-0005-7375-1061
ელ.ფოსტა: glc.lawoffice@gmail.com

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომის შექმნის პროცესში ჩატარებული კვლევებით დადასტურდა, რომ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვების შემდეგ, საწყის ეტაპზევე, არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა საკუთრების უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად, რაშიც თავისი წვლილი შეიტანა იმ პერიოდში განხორციელებულმა საკანონმდებლო აქტივობებმა.

თუმცა, მოგვიანებით მიღებულმა მთელმა რიგმა საკანონმდებლო აქტებმა ნაცვლად იმისა, რომ გაგრძელებულიყო საკუთრების, განსაკუთრებით კი უძრავ ნივთებზე და ცალკეულ არამატერიალურ ქონებრივ სუკეთეებზე უფლების დაცვის დადებითი ტენდენცია, მთელ რიგ შემთხვევებში მოხდა მესაკუთრეთა უფლებების ხელყოფას, რამაც წარმოშვა უძრავ ქონებასა თუ ცალკეულ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე საკუთრების უფლების განხორციელების პრობლემა.

სწორედ ამიტომაც, კვლავ დღის წესრიგში დგას უძრავ ქონებასა და ცალკეულ არამატერიალურ სიკეთეებთან მიმართებით არსებული კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა-განვითარების აუცილებლობის საკითხი.

საკვანძო სიტყვები: *უძრავი, მოძრავი, არამატერიალური, ქონება, უფლება, დაცვა.*

შესავალი

ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საკუთრებასთან მიმართებაში თუ რაიმე რჩებოდა უცვლელი ისაა, რომ საკუთრების ფუნქცია იყო და არის მესაკუთრის ეკონომიკური მოთხოვნების დაკმაყოფილება. ამდენად, ეჭვგარეშეა, რომ საკუთრების უფლება სამართლით დაცული ერთ-ერთი ყველაზე ძველი უფლებაა და ნებისმიერი პირის სურვილია, რომ არსებობდეს ისეთი კანონმდებლობა, რომლითაც მესაკუთრეს შეეძლება საკუთარი ნების შესაბამისად შეუზღუდავად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს თავის ქონებას.

თუმცა, რეალობა ადასტურებს, რომ ქონების მესაკუთრე, ვინაიდან საზოგადოების ნაწილია, საზოგადოების ინტერესები მოითხოვს, რომ მესაკუთრის უფლებები დაექვემდებაროს გარკვეულ შეზღუდვებს, მაგრამ იმ პირობით, რომ საკუთრების შეზღუდვამ მესაკუთრეებს თავისუფლების განსაზღვრული დონე უნდა დაუტოვოს, რადგან სხვაგვარად შეზღუდვა საკუთრების ჩამორთმევის ტოლფასი ხდება.[1] საქართველოში კი, ხშირად ჰქონდა ადგილი საკუთრების უფლების ხელყოფას და/ან საკუტრების უფლების განხორციელება პრობლემატურია, მათი შედეგები ან/და რეციდივები კი,

1 იხ. ევროსასამართლოს 1982 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმეზე: "სპორონგი და ლორონთი შვედეთის წუნააღმდეგ" (CASE OF SPORRONG AND LÖNNROTH v. SWEDEN) - https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-57580%22]};

ჯერაც სრულად აღმოფხვრილი ვინაიდან არ არის, წინამდებარე ნაშრომის შექმნა მიზნად ისახავს ქართულ სინამდვილეში საკუთრებაზე უფლების ხელშემშლელი, მათ შორის საკანონმდებლო ხარვეზების წარმოჩენას, ანალიზს და მათი აღმოფხვრის თაობაზე ზოგიერთი მოსაზრების საზოგადოებისათვის მიწოდებას.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1991 წელი) დაიწყო კონსტიტუციის შესაქმნელად მოსამზადებელი სამუშაოები, მაგრამ ქვეყნის უმთავრეს პრიორიტეტებს შორის, ვინაიდან მუდმივად სახელდებოდა ეკონომიკური განვითარების აუცილებლობა,[1], [2] ამიტომაც იყო, რომ საქართველოში, ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვების საწყის ეტაპზე, გადაიდგა გარკვეული საკანონმდებლო ნაბიჯები საკუთრების უფლების და ამ უფლების დაცვასთან დაკავშირებით. მათ შორის, უმთავრესი გახლდათ 1993 წლის 15 ივლისს მიღებული საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საკუთრების უფლების შესახებ, რომელიც 1997 წლის 25 ნოემბრამდე მოქმედებდა.

ამ კანონის მნიშვნელობაზე პირველივე მუხლი მეტყველებს, რომელმაც განსაზღვრა საკუთრების საფუძვლები საქართველოში, ხოლო მე-2 მუხლში ჩამოთვლილი იყო ის ობიექტები, რომლებიც დაცვას ექვემდებარეობდა და მათ განეკუთვნებოდა - მიწა და მისი წიაღი, წყლები, კონტინენტური შელფის რესურსები, ფლორა და ფაუნა, საწარმოები, წარმოების, ტრანსპორტისა და ინფორმაციის საშუალებები, საცხოვრებელი სახლები, აგარაკები, მატერიალური და სულიერი კულტურის საგნები, ფული, ფასიანი ქაღალდები, ძვირფასი ლითონები და ქვები, აგრეთვე სხვა მოძრავი და უძრავი ქონება;

რაც შეეხება საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების უფლების მქონე სუბიექტებს, მათში მოიაზრებოდნენ: საქართველოს და უცხო ქვეყნების მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, იურიდიული პირები და სახელმწიფო, ანუ ეს კანონი იურიდიულ პირთა კატეგორიას არ მიაკუთვნებდა სახელმწიფოს.

უნდა ითქვას ისიც, რომ „საკუთრების უფლების შესახებ" კანონის მიღების გარდა ვიდრე საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია იქნებოდა მიღებული, 1992 წლიდან მოყოლებული განხორციელდა არაერთი რეფორმა, რომლებიც, ძირითადად მოქალაქეებისათვის მიწის სარგებლობაში გადაცემას ითვალისწინებდა, მათ შორის მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე იმდაგვარად, რომ კერძო პირს მისცემოდა მასზე გადაცემული უძრავი ქონების გასხვისების შესაძლებლობა.

თუმცა, იმ პერიოდის საკანონმდებლო აქტებისთვის, საერთო მახასიათებელი ის გახლდათ, რომ საკუთრების უფლების ობიექტებს წარმოადგენდა მხოლოდ ნივთები, ხოლო არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არ განეკუთვნებოდა ქონების კატეგორიას. შესაბამისად, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი, დღეს მოქმედი სკ-ის მე-7 მუხლისგან განსხვავებით, წარმოდგენილი იყო მხოლოდ უძრავი და მოძრავი ნივთების სახით.

ამდენად, 1997 წლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე არსებული კანონმდებლობა, გარკვეულწილად წინააღმდეგობაში იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მთელ რიგ გადაწყვეტილებებთან, რადგან ევროსასამართლომ არაერთ საქმეზე იმსჯელა რა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დამატებითი N1 ოქმით დაცული საკუთრების უფლების შესაძლო დარღვევაზე და მიიჩნია, რომ სხვადასხვა სახის ნებართვა/ლიცენზია, რომლებიც თავისი არსით არამატერიალური ქონებრივი სიკეთეებია, წარმოადგენს ქონებას/საკუთრებას ევროკონვენციის დამატებითი N1 ოქმის პირველი მუხლის მიზნებისათვის. კერძოდ, ერთ-ერთ საქმეზე ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ ლიცენზია სპირტიანი სასმელების გაყიდვაზე რესტორნისთვის მნიშვნელოვანია, რის გამოც მისი ჩამორთმევა კონვენციის N1 ოქმის პირველი მუხლით დაცულ სიკეთეთა ჩამონათვალში ხვდება.[3]

მეტიც, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები ცხადყოფს იმასაც, რომ „კარგი სახელი" ანუ საქმიანი რეპუტაცია, რომელიც 1997 წელს მიღებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 18.2 მუხლის თანახმად, პირადი

1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება #2/1-370, 382, 390, 402, 404. 18 მაისი 2007 (საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ);

2 დამატებით იხ. და შეადარეთ: , შ., „ილია ჭავჭავაძის ევროპულ ღირებულებებზე ორიენტირებულისაყოველთაო კეთილდღეობის კონცეფცია", ჟურნალი: „ახალი ეკონომისტი" #47, 2017 წელი, გვ.35. - http://loi.com.ge/ka/eco/online/;

3 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, "თრეი თრაქთერ AKTIEBOLAG შვედეთის წინააღმდეგ (CASE OF TRE TRAKTÖRER AKTIEBOLAG v. SWEDEN) საქმეზე - https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-57586%22%5D%7D;

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

არაქონებრივი უფლებაა, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დამატებითი N1 ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებულ ქონებას/საკუთრებას. მაგალითად, ევროსასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „კარგი სახელი" ზოგიერთი გარემოებების გამო შეიძლება განიხილებოდეს, როგორც საკუთრება N1 ოქმის 1-ლი მუხლის თანახმად.[1]

ზემოთქმული ადასტურებს, რომ საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს ქართული სახელმწიფო მხოლოდ ცალკეული საკანონმდებლო აქტების მიღებით ვერ გადაწყვეტდა, რადგან საკუთრების სოციალური ბუნებიდან გამომდინარე არ შეიძლება გარკვეულ სოციალურ ჩარჩოებში არ მოქცეულიყო საკუთრება, რადგან მას ანგარიში უნდა გაეწია საზოგადოებრივი ინტერესებისათვის.[2] ანუ, საკუთრებას არა მხოლოდ კერძო ინტერესი უნდა დაეკმაყოფილებინა, არამედ საზოგადოების მოთხოვნებიც და, რომ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის შესაძლებელი გამხდარიყო ამ უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში.[3] თუმცა, მეორე მხრივ, სახელმწიფოს ისეთი გარანტიები უნდა უზრუნველეყო მესაკუთრისთვის, რომლითაც იგი შესძლებდა ქონების სანაცვლოდ სათანადო კომპენსაციის მიღებას[4].

შესაბამისად, მესაკუთრეს თავი დაცულად რომ ეგრძნო, ყოველივე ზემოთქმული უნდა ასახულიყო ქვეყნის პირველ (ძირითად) კანონში. კერძოდ, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში საკუთრებას დაეთმო სპეციალური - 21-ე მუხლი, რომელიც დღეის მდგომარეობით კონსტიტუციის (2018 წლის რედაქციით) მე-19 მუხლის სახით საბოლოოდ ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით:

ა). საკუთრების უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია (კონსტიტუციის 19.1-ე მუხლი); **ბ).** საკუთრების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა საკუთრების უფლების შეზღუდვის შესახებ მითითებულია შესაბამის კანონში და იმავე კანონში განერილია, ანუ დადგენილია შეზღუდვის წესი (19.2-ე მუხლი); **გ).** საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, თანაც ამისთვის უნდა არსებობდეს სასამართლოს გადაწყვეტილება ან/და ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობა და საკუთრების ჩამორთმევას წინ უნდა უსწრებდეს ჩამორთმეული საკუთრების სამართლიანი და წინასწარი, სრული ანაზღაურება, რომელიც განთავისუფლებულია ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან (19.3-ე მუხლი); **დ).** სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, წარმოადგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსს, რომელიც შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფოს, თვითმმართველი ერთეულის, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანების საკუთრებაში, ამ წესიდან გამონაკლისი შემთხვევები შეიძლება დადგინდეს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით მიღებული ორგანული კანონით.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ საქართველოს კონსტიტუციის ადრე არსებული 21-ე და ამჟამად კი, მე-19 მუხლი გარკვეულწილად შესაბამისობაში იქნა მოყვანილი საკუთრების უფლებათა შესახებ ისეთ საერთაშორისო საბაზისო დოკუმენტთან, როგორიცაა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის რომის 1950 წლის ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმის (N1) პირველი მუხლი.

ყოველივე ამით კი, საქართველომ თავისი იურისდიქციის ფარგლებში, საკუთარ თავზე აიღო საკუთრების უზრუნველყოფის ის ვალდებულება, რომ დაიცავს დამატებითი ოქმის (N1) პირველ მუხლს, რომელშიც ნათქვამია, რომ „ყოველ ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებლად სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისთვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში. კერძოდ, ეს შინაარსია ჩადებული საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის მე-19 მუხლში, რომელიც ევროკონვენციის დამატებითი ოქმის (N1) პირველი მუხლის მსგავსად, ერთი მხრივ, უშვებს საკუთრების შეზღუდვის შესაძლებლობას, რითაც საკუთრების უფლებას არ მიაკუთვნებს აბსოლუტურ უფლებათა რიცხვს, თუმცა, მეორე მხრივ, მესაკუთრის უფლე-

1 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1986 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება, „ვან მარლე და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ" (CASE OF VAN MARLE AND OTHERS v. THE NETHERLANDS) საქმეზე - https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-57590%22]};

2 ჭანტურია, ლ., უძრავი ნივთების საკუთრება (გერმანული სამართლის მაგალითზე). თბილისი. 1994 წ. გვ. 182.

3 ზოიძე, ბ., სანივთო სამართალი. თბილისი. 1999 წელი. გვ. 63-64.

4 შენგელია, რ., საქართველოს საფინანსო სამართლის საკითხები. ნ. 1. თბილისი. 1992 წ. გვ. 23.

ბის დასაცავად ადგენს მთელ რიგ გარანტიებს, მათ შორის იმას, რომ საკუთრების უფლება შეიძლება შეეზღუდოს ან/და საკუთრება ჩამოერთვას მესაკუთრეს მხოლოდ ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორებიცაა - ორგანული კანონით პირდაპირ გათვალისწინებული საზოგადოებრივი საჭიროება, ან/და სასამართლოს გადაწყვეტილება და მხოლოდ წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების გზით. ანუ, აშკარაა, რომ სახელმწიფოს ვალდებულება უზრუნველყოს მესაკუთრის საკუთრების უფლება პირდაპირ კავშირშია ისეთ სავალდებულო მოთხოვნასთან, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს მიერ საკუთრების უფლების შეზღუდვა, როცა ამის განსაკუთრებული აუცილებლობა, ანუ საზოგადოებრივი საჭიროება არსებობს, უნდა განხორციელდეს მხოლოდ თანაზომიერების პრინციპის დაცვით. რაც გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება არ დააწესოს შეზღუდვები იმაზე მეტად, ვიდრე ამას კონკრეტული, საზოგადოებრივი საჭიროება მოითხოვს.[1]

იგივე მიზანს, ანუ მესაკუთრის უფლების დაცვას ემსახურება ისიც, რომ თუ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი საჭიროება სახელმწიფოს მხრიდან საკუთრების უფლებაში ჩარევისა, სახელმწოფომ საკუთრების ღირებულება სრულად, თანაც წინასწარ და სამართლიანად უნდა აუნაზღაუროს მესაკუთრეს. შესაბამისად, საკუთრების შეზღუდვის ან ჩამორთმევის სანაცვლო კომპენსაცია, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად მესაკუთრის დაცვის ერთ-ერთი უმთავრესი და მყარი გარანტიაა მაშინ, როცა ევროკონვენციის დამატებითი ოქმის (N1) პირველი მუხლისაგან განსხვავებით, სადაც სიტყვა ანაზღაურება/კომპენსაცია ნახსენებიც კი არ არის, რის გამოც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გახდა იძულებული ეზრუნა, ამ მხრივ, არსებული ხარვეზის გამოსწორებაზე და აღნიშნულის შედეგია ევროსასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში პირდაპირ მითითება მასზედ, რომ ქონების ჩამორთმევა კომპენსაციის გარეშე საკუთრების უფლების გაუმართლებელი ხელყოფაა.[2]

თუმცა, არც იმის უთქმელობა ივარგებს, რომ წინააღმდეგობა კომპენსაციის ოდენობის თაობაზე, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლსა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას შორის დღემდე სათანადოდ აღმოფხვრილი არ არის, რადგან, როგორც უკვე ითქვა, საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის ან/და სხვაგვარად შეზღუდვის შემთხვევაში საქართველოს კონსტიტუცია ითხოვს მიყენებული ზიანის სრულ, სამართლიან და წინმსწრებ კომპენსაციას, ევროსასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით კი, კომპენსაციის ოდენობა „გონივრულ დამოკიდებულებაში" უნდა იყოს ჩამორთმეული ქონების ღირებულებასთან, ანუ შესაძლებელია, რომ ანაზღაურება არ იყოს სრული.

ამდენად, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ საქართველოს კონსტიტუცია თავისი შინაარსობრივი დატვირთვიდან გამომდინარე მეტ შესაძლებლობას იძლევა, რათა უკეთ იყოს დაცული მესაკუთრის უფლებები, რადგან „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 7.3 მუხლის ა). ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუცია სხვა სახის, მათ შორის საერთაშორისო ნორმატიულ აქტებს შორის იერარქიით ყველაზე მაღლა მდგომი სამართლებრივი აქტია და მისი შესრულება სავალდებულოა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. შესაბამისად, საკუთრების დაცვისადმი კონსტიტუციის სავალდებულო მოთხოვნები, თანაბრად უნდა ვრცელდებოდეს, როგორც ფიზიკურ ისე იურიდიულ პირთა საკუთრებაზე, რადგან საქართველოს კონსტიტუციის 34.1-ე მუხლი შეიცავს იმპერატიულ დანაწესს იმასთან დაკავშირებით, რომ კონსტიტუციაში მითითებული ადამიანის ძირითადი უფლებები მათი შინაარსის გათვალისწინებით ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე.

საქართველოს კონსტიტუციის მიღების შემდეგ, თავის მხრივ არაერთი საკანონმდებლო აქტი იქნა მიღებული საკუთრების უფლების დაცვასთან დაკავშირებით, მათ შორის კი, უდავოდ გამორჩეული ადგილი უკავია 1997 წლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსს, რომლითაც ახალი სიტყვა ითქვა ქართულ კანონმდებლობაში და შესაბამისად საკუთრების დაცვის მიმართებით, რადგან ამ კოდექსის 1505-ე და 1506-ე მუხლებით ძალადაკარგულად ჩაითვალა ადრე არსებული მთელი რიგი საკანონ-

1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N1/2/384 - https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=291;

2 უფლებათა ევროპული სასამართლოს 1986 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება, „ჯეიმსი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ" (CASE OF JAMES AND OTHERS v. THE UNITED KINGDOM) საქმეზე, პარაგრაფი 54. - https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-57507%22]};

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

მდებლო და კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც უკვე აღარ შეესაბამებოდა საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსს.

თავის მხრივ, სამოქალაქო კოდექსის უდიდესი დამსახურებაა ის, რომ 1513-ე მუხლის თანახმად, ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც ინდივიდუალური სახლებია განლაგებული, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებისთანავე ჩაითვალა ამ პირთა საკუთრებად და მათზე გავრცელდა სამოქალაქო კოდექსით უძრავი ნივთებისთვის გათვალისწინებული წესები. წინგადადგმული ნაბიჯი იყო ისიც, რომ კერძოსამართლებრივი ურთიერთობების ობიექტად გამოცხადდა არამატერიალური ქონებრივი სიკეთეებიც.

თუმცა, არაერთ მნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტთან ერთად, არც თუ ისე იშვიათად, კონსტიტუციით გათვალისწინებული გარანტიები თუ წარმატებით მუშაობდა უცხოელ ინვესტორებზე მაშინ, როცა საქართველოს მოქალაქეთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილის საკუთრების უფლება ფაქტობრივად დაუცველი იყო, რისი მიზეზიც სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად განპირობებულია კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებით. მეტიც, ისეთი საკანონმდებლობლო აქტების მიღებით, რომლებიც ხელოვნურ ბარიერებს ქმნის საკუთრების (უმთავრესად მაშინ თუ სახეზეა უძრავი ქონება და ისეთი არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები, როგორებიცაა ლიცენზიები, ნებართვები და ა.შ.) უფლების განხორციელებისას, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს 1999 წლის 23 ივნისს მიღებული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (ამოქმედდა 2000 წლის 1-ლი იანვრიდან), ცალკეული დებულებები და ამავე დროიდან ამოქმედებული საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ცალკეული დებულებები, მათ შორის განხორციელებული ცვლილებების შემდგომაც.

საქმე ისაა, რომ ამ კოდექსის მიღებამდე სახელმწიფო ორგანოებსა და მოქალაქეებს შორის არსებული, მათ შორის საკუთრებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდებოდა კერძო სამართლის ნორმებით, რამაც ასახვა ჰპოვა კიდეც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24.4-ე მუხლში, სადაც ნათქვამია, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ანუ სახელმწიფო და სკ-ის 1509.1-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა სუბიექტები სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები.

თავის მხრივ, ამ საკითხისადმი მსგავსი მიდგომა დამახასიათებელი იყო ბრიტანული და ამერიკულ სამართალისთვის, რომლებიც ინგლისური საერთო სამართლის ბაზაზე შეიქმნა.[1] ქართული კერძო სამართალი კი, ვინაიდან განეკუთვნებოდა კონტინენტური სამართლის, ანუ რომანო-გერმანული სამართლის ოჯახს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შემქმნელებმა, როგორც ჩანს ადვილად შესძლეს საკანონმდებლო ორგანოს და საზოგადოების დარწმუნება მასში, რომ საერთო სამართლის ქვეყნებისგან განსხვავებით უფრო ეფექტური და მოსახერხებელი იქნებოდა ის, რომ იმ ურთიერთობებში სადაც მონაწილეობდა ადმინისტრაციული ორგანო მას მისცემოდა გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, რადგან მათი მტკიცებით სახელმწიფო ორგანოებსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობა, როცა წესრიგდება კერძო სამართლის ნორმებით ეს არის პრობლემის გადაწყვეტის რთული და ხანგრძლივი გზაა, რაც ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესის დაუყონებლივ დაცვის მოთხოვნას.

ანუ, ერთი შეხედვით ჩანდა, რომ გარკვეულწილად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პროექტმა თითქოსდა გაიზიარა ფრანგულ სამართალში დამკვიდრებული ე.წ ,,ადმინისტრაციული რაციონალე"-ს პრინციპი, რომელიც იძლევა საჯარო ინტერესების რეალიზაციის პროცესში კერძო ინტერესების დაცვის მექანიზმსაც და, რაც საფრანგეთიდან გავრცელდა ჯერ გერმანიაში, სადაც მას დაემატა კერძო ინტერესების დაცვის მექანიზმი სპეციალური ადმინისტრაციული სასამართლოების შექმნის გზით, შემდეგში კი, თავის მხრივ, გახდა ჰოლანდიური ადმინისტრაციული სამართლის შექმნის საფუძველი.[2]

თუმცა, ჩამოთვლილი ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც საჯარო ინტერესების დაცვის კონტროლის სპეციალური წესების არსებობა გამორიცხავს კერძო ინტერესის ხელყოფის შესაძლებლობას,

1 ვინტერი, გ., ადეიშვილი, ზ., ქიტოშვილი, დ., საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი. თბილისი. 2002 წ. გვ.13. - https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/444346/1/SaqartvelosZogadiAdministraciuliKodeqsisKomentari.pdf?utm_source=chatgpt.com;

2 ვინტერი, გ., ადეიშვილი, ზ., ქიტოშვილი, დ., საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი. თბილისი. 2002 წ. გვ.14. - https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/444346/1/SaqartvelosZogadiAdministraciuliKodeqsisKomentari.pdf?utm_source=chatgpt.com;

საქართველოს ზოგადმა ადმინისტრაციულმა კოდექსმა აირჩია საკითხის გადაწყვეტის ფორმალურ კრიტერიუმებზე დამყარებული და პრაქტიკაში გამოსაყენებლად მარტივი გზა. კერძოდ, თითქმის ყველა ის სამართლებრივი ურთიერთობა, რომელშიც მონაწილეობს ადმინისტრაციული ორგანო მიაკუთვნა ადმინისტრაციული სამართლის რეგულირების სფეროს, რითაც მწვანე შუქი აუნთო უპირატესად ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნორმების გამოყენებას ყველა ისეთ შემთხვევაში, რომელიც თუმცა სამოქალაქო სამართლებრივი ბუნებისაა, მაგრამ ადმინისტრაციული ორგანო მონაწილეობს.[1]

კიდევ უფრო მარტივად, რომ ვთქვათ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გამოსაყენებელ ადმინისტრაციულ საკანონმდებლო აქტებად არის მიჩნეული ყველა ის კონკრეტული ნორმა, რომელიც თუმცა კერძო სამართალს განეკუთვნება, მაგრამ სახელმწიფო ორგანოებს ეხება, ასე მაგალითად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი განსაზღვრავს სახელმწიფო მოხელის პასუხისმგებლობას სამსახუროებრივი ვალდებულების დარღვევისათვის, ანუ ეს ნორმა, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის დელიქტური ვალდებულებების შესახებ მე-3 კარშია შეტანილი, როგორც წესი უნდა გამოიყენებოდეს კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში, მაგრამ რეალურად მათი გამოყენება ხდება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში. კონკრეტულად კი, ამასვე ადასტურებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლი, სადაც ნათქვამი, რომ თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესები.

ანუ, როგორც ზემოთქმული ცხადყოფს საქართველოს ზოგადმა ადმინისტრაციულმა კოდექსმა დაუშვა კერძო სამართლის ნორმისთვის ადმინისტრაციული სამართლის სტატუსის მინიჭების შესაძლებლობა.[2] შესაბამისად, კერძო სამართლის ნორმა მართალია კვლავინდებურად რჩება კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმად, მაგრამ, როგორც ამას აღიარებენ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შემქმნელები საქართველოში, ანალოგიით ხდება მისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებზე გავრცელება ადმინისტრაციული კანონმდებლობის გვერდით.

უნდა ითქვას იმის თაობაზეც, რომ ქართველმა კანონმდებელმა, როცა ამ ვარიანტს მიანიჭა უპირატესობა, აღნიშნული ახსნილი იქნა იმითაც, რომ თითქოსდა თავიდან იქნა აცილებული სამართლის ნორმის ორმაგი ბუნების შესახებ თეორიის მოშველების აუცილებლობა. თუმცა, რეალურად სახელმწიფოს მიეცა შესაძლებლობა, რომ კერძო სამართლის ნორმების ინტერპეტაცია მოახდინოს ადმინისტრაციული სამართლის სპეციფიკის გათვალისწინებით. რის შედეგადაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული გარიგება იწოდება ადმინისტრაციულ გარიგებად, რადგან მასში მონაწილეობს სახელმწიფო ორგანო და არა გარიგებით რეგულირებული სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის გამო.[3]

სამწუხაროდ, კერძო სამართლის ნორმების ადმინსტრაციულ სამართალწარმოებაში გადატანის ამ და სხვადასახის ნოვაციებმა ვერ უზრუნველყო მესაკუთრეთა უფლებების სწრაფი და ეფექტური დაცვა, რადგან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიღების შემდეგ ამ კოდექსის მე-2.1 მუხლის ზ) ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობით დადებული ყველა გარიგება გახდა რა ადმინისტრაციული გარიგება, მასთან დაკავშირებულ დავებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2.1-ე მუხლის ბ) ქვეპუნქტის თანახმად, თითქოსდა უნდა იხილავდეს ადმინისტრაციული სასამართლო, თუმცა ეს წესი არცთუ იშვიათად ირღვევა. ასე მაგ. 2014 წლის 10 თებერვალს შპს „ს.---ა" საჯარო სამართლის იურიდიული პირის (ს.მ.გ.ფ-ს) წინააღმდეგ ადმინისტრაციული სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, სადაც ითხოვდა მხარეებს შორის არსებული ხელშეკრულების შესრულებას, კერძოდ როგორც შესრულებული სამუშაოების ღირებულების, ისე მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

თავიდან, აღნიშნული საქმე წარმოებაში მიიღო ადმინისტრაციულმა სასამართლომ, ანუ ჩაითვალა, რომ ეს საქმე მას მიღებული ჰქონდა განსჯადობის წესების დაცვით თუმცა, შემდეგ, თანაც დიდი ხნის დაგვიანებით, იგი განსჯადობით გადაიგზავნა

1 იხ. იგივე ნაშრომი. გვ. 16.

2 ვინტერი, გ., ადეიშვილი, ზ., ქიტოშვილი, დ., საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი. თბილისი. 2002 წ. გვ.17. - https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/444346/1/SaqartvelosZogadiAdministraciuliKodeqsisKomentari.pdf?utm_source=chatgpt.com;

3 იხ. იგივე ნაშრომი. გვ. 18.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში,[1] რაც დასაბუთდა იმით, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების მხარეები არ არიან აღჭურვილნი საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით და სარგებლობენ სამოქალაქო ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელი ნების ავტონომიურობის პრინციპით, რის გამოც სარჩელი განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

ყოველივე ამით კი, დაირღვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმადაც სასამართლომ განსჯადობის წესების დაცვით თავის წარმოებაში მიღებული საქმე უნდა განიხილოს და არსებითად გადაწყვიტოს, თუნდაც ეს საქმე შემდგომში სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს. აღნიშნულმა გამოიწვია მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების რამდენიმე წლის დაგვიანებით მიღება. შესაბამისად აზრი დაკარგა კანონმდებლის სურვილმა დასახელებული ნორმის მიღებით თავიდან აეცილებინა საქმის განხილვის გაჭიანურება.[2]

დასკვნა

კვევის შედეგად დადასტურდა, რომ მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებში არაერთი გაუაზრებელი ნორმის შეტანამ ხელი შეუწყო საქართველოს სინამდვილეში ისეთი ერთიანი სახელმწიფო იუსტიციის შექმნას, სადაც ადვილი გახდა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ძირითადი, მათ შორის საკუთრების უფლების ტოტალური ხელყოფა და რასაც არაერთი ავტორიტეტული საერთაშორისო კვლევაც ადასტურებს. ასე მაგ. ბრიტანული ორგანიზაციის „Economist Intelligence Unit"-ის 2007 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ უკანასკნელი წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა საკუთრების უფლების დარღვევის მთელ რიგ შემთხვევებს, რომლებმაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საქართველოს მთავრობის მზადყოფნა საკუთრების უფლების აღიარებასთან დაკავშირებით.[3]

სახალხო დამცველმა 2006 წლის ანგარიშში კი მიუთითა, რომ მიუხედავად საკანონმდებლო გარანტიებისა საქართველოში „საკუთრების უფლების დანაშაულებრივი ხელყოფის რიცხვი არათუ კლებულობს, არამედ საგრძნობლად მატულობს".[4]

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე სასურველია, რომ კერძო საკუთრებაში არსებულ ქონებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის შემთხვევაში საქმე, მაშინაც კი თუ ამ პროცესში ჩართულია ადმინისტრაციული ორგანო, განხილული იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამ მიზნით კი, შესაბამისი ცვლილებები იქნეს შეტანილი მოქმედ საკანონმდებლო აქტებში, ან/და პირებს, რომლებიც თვლიან, რომ დაირღვა მათი საკუთრების უფლება, ჰქონდეს შესაძლებლობა თავადვე აირჩიოს (ჰქონდეს ალტერნატივა) სასამართლოში სარჩელის შეტანამდე გამოიყენებს თუ არა ადმინისტრაციული აქტის ერჯერადად გასაჩივრების უფლებას.

1 იხ. საქმე #2.2466-14 (3/433-14), 2014 წლის 14 თებერვლის განჩინება.

2 ლილუაშვილი, თ., ხრუსტალი, ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდესის კომენტარი. მეორე გამოცემა. გამომცემლობა „სამართალი", თბილისი. 2007 წ. გვ. 45.

3 The Economist Intellgence Unit, Countru Report, Georgia, September 2007, Controveru over Property Rights Contineus, p. 14. („The Economist Intellgence Unit", ქვეყნის ანგარიში, საქართველო, 2007 წლის სექტემბერი. საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული დავა კვლავ გრძელდება, გვ. 14.);

4 სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიში, 2006 წელი. გვ. 383.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

AGRICULTURAL LAND FRAGMENTATION AND ITS ECONOMIC CONSEQUENCES IN GEORGIA

Copyright © 2026 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: May 16, 2026
Published: June 15, 2026
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC21022026-97

Ani Otarashvili
PhD Student at Ivane Javakhishvili
Tbilisi State University
ORCID: https://orcid.org/0009-0008-9212-409X
Email: ani.otarashvili@tsu.ge

ABSTRACT

Research Objective: *The objective of this study is to examine the economic consequences of agricultural land fragmentation in Georgia and to assess its impact on agricultural productivity, farm efficiency, and rural economic development. The research focuses on identifying the main causes of land fragmentation, evaluating its effects on production costs and competitiveness, and exploring policy measures that can mitigate its negative economic consequences.*

Methodological Approach: *The study employs a mixed research methodology that combines quantitative and qualitative analysis. Statistical data on land ownership structure, average farm size, agricultural output, and productivity indicators are analyzed to assess the relationship between land fragmentation and economic performance. Comparative regional analysis is used to identify differences in the degree of fragmentation across regions of Georgia. In addition, relevant policy documents and international experiences are reviewed to evaluate potential approaches to land consolidation and sustainable land management. General scientific methods, including analysis, synthesis, comparison, and logical reasoning, are applied throughout the research.*

Main Results and Implications: *The findings indicate that excessive land fragmentation remains one of the major structural challenges facing Georgian agriculture. Fragmented land holdings reduce production efficiency, limit the adoption of modern agricultural technologies, increase operational costs, and hinder economies of scale. As a result, agricultural productivity and farm profitability are negatively affected, reducing the sector's overall competitiveness. The study demonstrates that land consolidation policies, improved land market mechanisms, and institutional support for cooperative farming can contribute to more efficient land use and enhanced economic performance. The results provide valuable insights for policymakers, agricultural stakeholders, and researchers seeking to promote sustainable agricultural development and strengthen rural economies in Georgia.*

Key Words: *Agricultural land fragmentation, land consolidation, agricultural productivity, farm efficiency, rural development, Georgia.*

REFERENCES:

1. Archvadze, I., & Mekvabishvili, E. (2010). Current state of agriculture in Georgia and development prospects. Economics and Business, 6.
2. Demetriou, D. (2014). The development of an integrated planning and decision support system for land consolidation. Springer.
3. European Commission. (2021). Land fragmentation and agricultural competitiveness in Eastern Partnership countries. European Commission.
4. Food and Agriculture Organization. (n.d.). Land consolidation and rural development.
5. Food and Agriculture Organization. (n.d.). The design of land consolidation pilot projects in Central

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

and Eastern Europe.

6. Food and Agriculture Organization. (2019). Opportunities to mainstream land consolidation in rural development programmes. FAO.

7. Food and Agriculture Organization. (2022). Agricultural land fragmentation and consolidation: International experiences and policy lessons. FAO.

8. Food and Agriculture Organization. (2023). Land tenure and land consolidation for sustainable rural development. FAO.

9. Georgia's Agriculture and Rural Development Strategy 2021–2027. (n.d.). Retrieved from https://eu4georgia.eu

10. Gnomon Wise. (n.d.). Georgia's agricultural sector: Analyzing indicators and challenges. Retrieved from https://gnomonwise.org

11. Government of Georgia. (2018). Regional development programme of Georgia 2018–2021.

12. Government of Georgia. (2021). Program for 2021–2024: Towards building a European state.

13. Gvelesiani, R. (2012). Economic policy of agricultural sector development. In Proceedings of the International Scientific-Practical Conference "Priorities of Sustainable Agricultural Development".

14. Gvelesiani, R. (2012). Economic policy. Universali Publishing House.

15. Hartvigsen, M. (2014). Land reform and land fragmentation in Central and Eastern Europe. Land Use Policy, 36, 330–341.

16. Kharaishvili, E. (2011). Problems of competition and competitiveness in Georgia's agri-food sector. Universali Publishing House.

17. Koguashvili, P., & Zibzibadze, G. (2010). Agricultural economics. Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

18. Karchava, L. (2014). Again about the investment environment in Georgia Or what kind of investor do we need?/ისევ საინვესტიციო გარემოს შესახებ საქართველოში ანუ როგორი ინვესტორი გვჭირდება?. The New Economist, 9(3), 45-2.

19. Karchava, L., Veshapidze, S., & Tsikelashvili, S. (2025). Georgia's Perspective in the Context of Developing Economic Relations between China and the European Union. The New Economist, 20(1), 8-23.

20. Karchava, L., Chiabrishvili, K., Goroshidze, G., Mgeladze, L., & Veshapidze, S. (2026). Indicators of effective use of the rich experience of academic staff. The New Economist, 20(4), 21-35.

21. Karchava, L., Nanuashvili, I., Zoidze, G., & Veshapidze, S. (2025). Georgia's Strategic Role in Eurasian Transport and Digital Logistics Transformation. The New Economist, 20(2), 40-53.

22. Karchava, L., Veshapidze, S., & Chiabrishvili, K. (2023). Economic perspective of establishing strategic partnership between China and Georgia. The New Economist, 18(3), 7-2.

23. Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia. (2019). Agriculture and rural development strategy of Georgia 2021–2027.

24. Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia. (2023). Annual report.

25. Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia. (2024). Agriculture and rural development strategy 2021–2027: Action plan for 2024–2027.

26. Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia. (2024). Monitoring report on the implementation of the 2023 action plan of the agriculture and rural development strategy 2021–2027.

27. Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia. (2023). Monitoring report on the implementation of the 2022 action plan of the agriculture and rural development strategy 2021–2027.

28. Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia. (2022). Monitoring report on the implementation of the 2021 action plan of the agriculture and rural development strategy 2021–2027.

29. Organisation for Economic Co-operation and Development. (2020). Agricultural land markets and farmland consolidation in transition economies. OECD Publishing.

30. Otarashvili, A. (2026). Economic impact of soil degradation and assessment of restoration efficiency in the agricultural sector. The New Economist, 127–133. https://neweconomist.com.ge/media/documents/01-2026-127-133-%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf

31. Otarashvili, A. (2026). Regional problems of agricultural development and economic policy measures for their resolution. The New Economist, 20(4), 103–109. https://neweconomist.com.ge/media/documents/04-2025-95-102-%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90.pdf

32. Tsotsoria, N. (2026). Analysis of the institutional arrangement for environmental protection in Georgia. The New Economist, 118–126. https://neweconomist.

com.ge/media/documents/01-2026-118-126-%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90.pdf-11.pdf

33. Tsotsoria, N. (2026). Economic policy of waste management and utilization in Georgia. The New Economist, 20(4), 95–102. https://neweconomist.com.ge/journal/article/economic-policy-of-waste-management-and-utilization-in-georgia-1769512567/

34. Van Dijk, T. (2003). Scenarios of Central European land fragmentation. Land Use Policy, 20(2), 149–158.

35. Veshapidze, S., Otinashvili, R., Gvarutsidze, A., Abuselidze, G., & Zoidze, G. (2022). Modern technologies to overcome the challenges of globalization. Entrepreneurship, 10(2), 22-32. https://neweconomist.com.ge/media/documents/19-33.pdf

36. Veshapidze, S., Kereselidze, L., & Tsirdava, N. (2024). Decarbonization of energy and challenges of sustainable development of Georgia.

37. Veshapidze, S., & Karchava, L. (2022). Contradictions of Globalization under the COVID-19 Pandemic. Bull. Georg. Natl. Acad. Sci, 16(4), 152-157.

38. Zagaidze, V., & Karchava, L. (2026). Artificial Intelligence and Data-Driven Policy in Economic Governance: Opportunities and Risks. The New Economist, 21(1), 85-92.

39. Chigladze, G., & Karchava, L. (2025). The revolutionary impact of digital technologies on financial architecture. The New Economist, 20(2), 92-104.

40. World Bank. (2003). Land policy for growth and poverty reduction. World Bank.

41. World Bank. (2023). Georgia agriculture sector review: Challenges and opportunities for growth. World Bank.

42. Agriculture and Rural Development Strategy 2021–2027: Action Plan for 2024–2027. (2024).

სასოფლო-სამეურნეო მიწების ფრაგმენტაცია და მისი ეკონომიკური შედეგები საქართველოში

ანი ოთარაშვილი
ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკის დოქტორანტი
ელ. ფოსტა: ani.otarashvili@tsu.ge

აბსტრაქტი

კვლევის მიზანი: *კვლევის მიზანია საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწების ფრაგმენტაციის ეკონომიკური შედეგების შესწავლა და მისი გავლენის შეფასება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობაზე, ფერმერული მეურნეობების ეფექტიანობასა და სოფლის ეკონომიკურ განვითარებაზე. კვლევა ფოკუსირებულია მიწების ფრაგმენტაციის ძირითადი მიზეზების იდენტიფიცირებაზე, მისი გავლენის შეფასებაზე წარმოების ხარჯებსა და კონკურენტუნარიანობაზე, ასევე იმ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების განსაზღვრაზე, რომლებიც ხელს შეუწყობს აღნიშნული პრობლემის უარყოფითი შედეგების შემცირებას.*

მეთოდოლოგიური მიდგომა: *კვლევა ეფუძნება შერეულ მეთოდოლოგიურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს რაოდენობრივ და თვისებრივ ანალიზს. გაანალიზებულია სტატისტიკური მონაცემები მიწის საკუთრების სტრუქტურის, სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების საშუალო ზომის, აგრარული წარმოებისა და პროდუქტიულობის მაჩვენებლების შესახებ, რათა შეფასდეს კავშირი მიწების ფრაგმენტაციასა და ეკონომიკურ შედეგებს შორის. საქართველოს რეგიონების შედარებითი ანალიზი გამოიყენება ფრაგმენტაციის მასშტაბებსა და თავისებურებებში არსებული განსხვავებების გამოსავლენად. ასევე განხილულია შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტები და საერთაშორისო გამოცდილება მიწების კონსოლიდაციისა და მიწის მდგრადი მართვის მიმართულებით. კვლევის პროცესში გამოყენებულია ზოგადსამეცნიერო მეთოდები: ანალიზი, სინთეზი, შედარება და ლოგიკური მსჯელობა.*

ძირითადი შედეგები და მნიშვნელობა: *კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მიწების გადაჭარბებული ფრაგმენტაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრუქტურულ პრობლემას წარმოადგენს. დანაწევრებული მიწის ნაკვეთები ამცირებს წარმოების ეფექტიანობას, ზღუდავს თანამე-*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

დროვე აგროტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას, ზრდის საოპერაციო ხარჯებს და აფერხებს მასშტაბის ეკონომიის მიღწევას. შედეგად, უარყოფითად მოქმედებს როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობაზე, ისე ფერმერული მეურნეობების მომგებიანობაზე, რაც ამცირებს სექტორის საერთო კონკურენტუნარიანობას. კვლევა ადასტურებს, რომ მიწების კონსოლიდაციის პოლიტიკა, მიწის ბაზრის მექანიზმების გაუმჯობესება და კოოპერაციული მეურნეობების მხარდაჭერა ხელს შეუწყობს მიწის რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებას და ეკონომიკური შედეგების გაუმჯობესებას. მიღებული შედეგები მნიშვნელოვან პრაქტიკულ რეკომენდაციებს სთავაზობს პოლიტიკის შემმუშავებლებს, აგროსექტორის წარმომადგენლებსა და მკვლევრებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისა და სოფლის ეკონომიკის გაძლიერების საკითხებით.

საკვანძო სიტყვები: *მიწების ფრაგმენტაცია, მიწების კონსოლიდაცია, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობა, ფერმერული მეურნეობების ეფექტიანობა, სოფლის განვითარება, საქართველო.*

შესავალი

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა წარმოადგენს აგრარული წარმოების ძირითად საწარმოო რესურსს, რომლის ეფექტიანი გამოყენება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობაზე, ფერმერული მეურნეობების შემოსავლებსა და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებაზე. საქართველოში აგროსექტორის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო მიწების ფრაგმენტაცია, რაც გულისხმობს მიწის ნაკვეთების დანაწევრებას მცირე ზომის და ერთმანეთისგან განცალკევებულ ერთეულებად. აღნიშნული პროცესი მნიშვნელოვნად აფერხებს აგროსექტორის განვითარებას და ამცირებს მისი ეკონომიკური პოტენციალის სრულფასოვან გამოყენებას.

თანამედროვე პირობებში, როდესაც გლობალიზაცია, ტექნოლოგიური პროგრესი და საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენციის ზრდა მოითხოვს ეფექტიან და მაღალპროდუქტიულ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, მიწების ფრაგმენტაცია კიდევ უფრო აქტუალურ პრობლემად იქცევა. მცირე და დანაწევრებული მიწის ნაკვეთები ზღუდავს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მექანიზაციის გამოყენების შესაძლებლობას, ზრდის საწარმოო და სატრანსპორტო ხარჯებს, ამცირებს შრომის პროდუქტიულობას და ხელს უშლის მასშტაბის ეკონომიის მიღწევას. შედეგად, ფერმერთა ეკონომიკური მდგომარეობა უარესდება, ხოლო აგროსექტორის კონკურენტუნარიანობა მცირდება.

მიწების ფრაგმენტაციის გავლენა მხოლოდ ეკონომიკური ეფექტებით არ შემოიფარგლება. იგი გავლენას ახდენს სოფლის მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე, ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებზე, მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და რეგიონულ განვითარებაზე. დანაწევრებული მიწის საკუთრების პირობებში ფერმერებს უჭირთ მსხვილი პროექტების განხორციელება, რაც აფერხებს სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციას და სოფლის ტერიტორიების ეკონომიკურ გაძლიერებას. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ ვლინდება იმ რეგიონებში, სადაც მიწის ნაკვეთები მცირე ზომისა და გეოგრაფიულად გაფანტულია.

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, მიწების კონსოლიდაციის პროგრამები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობა და მიწის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფრაგმენტაციის უარყოფითი შედეგების შემცირებაში. ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები ხელს უწყობს მიწის რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებას, ინვესტიციების ზრდას, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასა და აგროსექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. ასევე მნიშვნელოვანია რეგიონული სპეციფიკის გათვალისწინება, რათა პოლიტიკის ღონისძიებები მაქსიმალურად იყოს მორგებული ადგილობრივ საჭიროებებსა და განვითარების შესაძლებლობებზე.

აღნიშნული თემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ მიწების ფრაგმენტაცია კვლავ რჩება საქართველოს აგროსექტორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრუქტურულ პრობლემად, რომელიც აფერხებს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდას, რეგიონული უთანასწორობის შემცირებასა და მდგრად ეკონომიკურ განვითარებას. შესაბამისად, აუცილებელია პრობლემის გამომწვევი მიზეზების, მისი ეკონომიკური შედეგებისა და შესაძლო გადაჭრის მექანიზმების სიღრმისეული ანალიზი.

წინამდებარე სტატიის მიზანია საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწების ფრაგმენტაციის ეკონომიკური შედეგების შეფასება, მისი გავლენის

ანალიზი აგრარული სექტორის განვითარებაზე და იმ პოლიტიკის მიმართულებების განსაზღვრა, რომლებიც ხელს შეუწყობს მიწის რესურსების ეფექტიან გამოყენებას, სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ზრდასა და ქვეყნის აგრარული პოტენციალის სრულფასოვან რეალიზებას.

სასოფლო-სამეურნეო მიწების ფრაგმენტაციის ფორმები და მისი გავლენა აგროპროდუქტიულობაზე: სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

სასოფლო-სამეურნეო მიწების ფრაგმენტაცია წარმოადგენს მიწის საკუთრებისა და სარგებლობის ისეთ ფორმას, რომლის დროსაც ერთი მეურნეობის საკუთრებაში არსებული მიწა დაყოფილია რამდენიმე მცირე ზომის და ხშირად ერთმანეთისგან დაშორებულ ნაკვეთად. აღნიშნული პროცესი ისტორიულ, სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებთან არის დაკავშირებული და მრავალი ქვეყნის აგროსექტორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. მიწების ფრაგმენტაცია განსაკუთრებით გავრცელებულია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, სადაც მიწის რეფორმების შედეგად სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მრავალ მცირე მესაკუთრეს შორის გადანაწილდა.

მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ მიწების გადაჭარბებული ფრაგმენტაცია მნიშვნელოვნად ამცირებს აგრარული წარმოების ეფექტიანობას. მცირე ზომის ნაკვეთებზე რთულდება თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენება, იზრდება საწარმოო და ლოგისტიკური ხარჯები, ხოლო მიწის რესურსების მართვა ნაკლებად ეფექტიანი ხდება. FAO-სა და OECD-ის კვლევების მიხედვით, ფრაგმენტირებული მიწის სტრუქტურა წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს, რომელიც აფერხებს სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციას და ფერმერული მეურნეობების კონკურენტუნარიანობის ზრდას.

საქართველოში მიწების ფრაგმენტაცია აგროსექტორის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სტრუქტურულ პრობლემად მიიჩნევა. მიწის რეფორმის შედეგად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები ათასობით მცირე მესაკუთრეს შორის განაწილდა, რის გამოც მეურნეობების უმრავლესობა ფლობს მცირე ფართობის და ერთმანეთისგან დაშორებულ ნაკვეთებს. არსებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ფერმერული მეურნეობების დიდი ნაწილი 1–2 ჰექტარზე ნაკლებ ფართობს ფლობს, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს წარმოების გაფართოების შესაძლებლობას და ამცირებს რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

მიწების ფრაგმენტაციის ძირითადი ფორმებია:

- მცირე ზომის მიწის ნაკვეთებად დანაწევრება;
- ერთი მესაკუთრის კუთვნილი ნაკვეთების ტერიტორიული გაფანტულობა;
- სასოფლო-სამეურნეო მიწების არათანაბარი განაწილება;
- მემკვიდრეობით მიღებული მიწების მრავალჯერადი დაყოფა;
- არასრულყოფილი მიწის ბაზარი და მიწების კონსოლიდაციის დაბალი დონე.

აღნიშნული ფაქტორების ერთობლიობა მნიშვნელოვნად ამცირებს აგრარული წარმოების ეფექტიანობას. მცირე და გაფანტული ნაკვეთების პირობებში იზრდება ტექნიკის გადაადგილებისა და მომსახურების ხარჯები, რთულდება სარწყავი და სადრენაჟო სისტემების მოწყობა, ხოლო თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა ეკონომიკურად ნაკლებად გამართლებული ხდება. შედეგად, ფერმერები ვერ აღწევენ მასშტაბის ეკონომიას, რაც უარყოფითად აისახება წარმოების მოცულობასა და მომგებიანობაზე.

მიწების ფრაგმენტაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აგროპროდუქტიულობაზეც. საერთაშორისო კვლევები აჩვენებს, რომ მსხვილი და კონსოლიდირებული მიწის ნაკვეთების მქონე მეურნეობები, როგორც წესი, უფრო მაღალ პროდუქტიულობას და უკეთეს ფინანსურ შედეგებს აღწევენ, ვიდრე მცირე და დანაწევრებული მეურნეობები. საქართველოში ეს პრობლემა განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმ რეგიონებში, სადაც სასოფლო-სამეურნეო მიწები მცირე ფართობებად არის დაყოფილი და ფერმერებს შეზღუდული აქვთ ტექნოლოგიური რესურსების გამოყენების შესაძლებლობა.

გარდა ეკონომიკური დანაკარგებისა, მიწების ფრაგმენტაცია აფერხებს საინვესტიციო პროცესებსაც. ინვესტორებისთვის ნაკლებად მიმზიდველია მცირე და დანაწევრებული მიწის ნაკვეთები, რაც ამცირებს კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობას და აფერხებს სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიურ განახლებას. ამასთანავე, ფრაგმენტაცია ზღუდავს კოოპერაციისა და თანამედროვე ბიზნესმოდელების განვითარების შესაძლებლობას, რაც დამატებით უარყოფით გავლენას ახდენს სექტორის კონკურენტუნარიანობაზე.

სტატისტიკური მონაცემები და საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, რომ მიწების კონსო-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ლიდაცია წარმოადგენს აგროსექტორის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას. იმ ქვეყნებში, სადაც განხორციელდა მიწების გაერთიანების პოლიტიკა, მნიშვნელოვნად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობა, შემცირდა ხარჯები და გაუმჯობესდა ფერმერთა ეკონომიკური მდგომარეობა. შესაბამისად, საქართველოსთვის მიწების ფრაგმენტაციის პრობლემის გადაჭრა მნიშვნელოვანია როგორც აგროპროდუქტიულობის ზრდის, ისე სოფლის ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

აგროსექტორის ეფექტიანი ფუნქციონირება მოითხოვს არა მხოლოდ მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებას, არამედ ისეთი ინსტიტუციური მექანიზმების განვითარებასაც, რომლებიც ხელს შეუწყობს მიწების კონსოლიდაციას, კოოპერაციის გაძლიერებას და თანამედროვე აგროტექნოლოგიების ფართო დანერგვას.

სასოფლო-სამეურნეო მიწების ფრაგმენტაციის ეკონომიკური შედეგების შეფასება

სასოფლო-სამეურნეო მიწების ფრაგმენტაცია იწვევს მრავალმხრივ ეკონომიკურ დანაკარგებს, რომლებიც აისახება როგორც ცალკეული ფერმერული მეურნეობების საქმიანობაზე, ისე მთლიანად აგროსექტორის განვითარებაზე. მისი გავლენა არ შემოიფარგლება მხოლოდ წარმოების ეფექტიანობის შემცირებით და მოიცავს საწარმოო ხარჯების ზრდას, ფერმერთა შემოსავლების შემცირებას, საინვესტიციო აქტივობის შეზღუდვას, მიწის რესურსების არაეფექტიან გამოყენებასა და რეგიონული ეკონომიკური განვითარების შეფერხებას.

1. პირდაპირი ეკონომიკური დანაკარგები

პირდაპირი ეკონომიკური დანაკარგები დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის შემცირებასთან. მცირე და ერთმანეთისგან დაშორებული მიწის ნაკვეთების პირობებში რთულდება თანამედროვე ტექნიკის გამოყენება, იზრდება სამუშაო დრო და საწარმოო რესურსების დანახარჯი. ფერმერებს ხშირად უწევთ სხვადასხვა ნაკვეთზე ცალკეული ოპერაციების განხორციელება, რაც ზრდის საწვავის, შრომისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს.

მიწების ფრაგმენტაცია ასევე ზღუდავს მასშტაბის ეკონომიის მიღწევის შესაძლებლობას. მსხვილი მეურნეობებისგან განსხვავებით, მცირე და დანაწევრებული მიწის ნაკვეთების მფლობელებს ნაკლები შესაძლებლობა აქვთ შეამცირონ ერთეულ პროდუქციაზე გაწეული ხარჯები, რაც საბოლოოდ ამცირებს მათ კონკურენტუნარიანობას და მოგებიანობას.

2. არაპირდაპირი ეკონომიკური დანაკარგები

არაპირდაპირი ეკონომიკური დანაკარგები მოიცავს:

- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების დაბალ ეფექტიანობას;
- საწვავისა და სატრანსპორტო ხარჯების ზრდას;
- სარწყავი და სადრენაჟო ინფრასტრუქტურის მოწყობის სირთულეს;
- მიწის რესურსების ნაწილობრივ გამოუყენებლობას;
- საინვესტიციო აქტივობის შემცირებას;
- კოოპერაციისა და ბიზნესგაფართოების შეზღუდვას.

ფრაგმენტირებული მიწის ნაკვეთები ნაკლებად მიმზიდველია როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტორებისთვის. ასეთ პირობებში იზრდება საინვესტიციო რისკები, მცირდება კაპიტალდაბანდების მოცულობა და ფერხდება სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიური მოდერნიზაცია. შედეგად, აგროსექტორი ვერ ახერხებს განვითარების იმ ტემპის მიღწევას, რომელიც აუცილებელია თანამედროვე ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად.

3. მაკროეკონომიკური გავლენა

მიწების ფრაგმენტაცია გავლენას ახდენს ქვეყნის აგრარული სექტორის საერთო ეკონომიკურ მაჩვენებლებზეც. დაბალი პროდუქტიულობა და წარმოების მაღალი ხარჯები ამცირებს ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობას როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზრებზე. შედეგად იზრდება გარკვეული სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტზე დამოკიდებულება და უარესდება საგარეო სავაჭრო ბალანსი.

გარდა ამისა, მიწების ფრაგმენტაცია აფერხებს სოფლის რეგიონების ეკონომიკურ განვითარებას. მცირე ფერმერული მეურნეობების დომინირება ხშირად ვერ უზრუნველყოფს საკმარისი შემოსავლების გენერირებას, რაც ზრდის სოფლიდან ქალაქებში მიგრაციის რისკს და აძლიერებს რეგიონულ სოციალურ-ეკონომიკურ უთანასწორობას.

4. შეფასების მეთოდოლოგიური მიდგომები

მიწების ფრაგმენტაციის ეკონომიკური შედეგე-

ბის შეფასება შესაძლებელია რამდენიმე ძირითადი მეთოდით:

• პროდუქტიულობის ანალიზის მეთოდი – აფასებს ფრაგმენტაციის გავლენას მოსავლიანობასა და წარმოების მოცულობაზე;

• ხარჯ-სარგებლის ანალიზი (Cost-Benefit Analysis) – ადგენს, რამდენად აღემატება კონსოლიდაციის შედეგად მიღებული სარგებელი განხორციელებული ღონისძიებების ხარჯებს;

• შედარებითი ანალიზი – ადარებს ფრაგმენტირებულ და კონსოლიდირებულ მეურნეობათა ეკონომიკურ მაჩვენებლებს;

• დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი – აფასებს ფრაგმენტაციის გრძელვადიან ეკონომიკურ შედეგებს.

აღნიშნული მეთოდები საშუალებას იძლევა განისაზღვროს, თუ რამდენად ამცირებს მიწების დანაწევრება აგროსექტორის ეკონომიკურ ეფექტიანობას და რა ეკონომიკური სარგებლის მიღებაა შესაძლებელი კონსოლიდაციის პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში.

5. რეგიონული პერსპექტივა

საქართველოში მიწების ფრაგმენტაციის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია იმ რეგიონებში, სადაც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა მოსახლეობის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს. მცირე და დანაწევრებული მიწის ნაკვეთები ზღუდავს ფერმერთა შესაძლებლობას, განავითარონ კომერციულ მასშტაბებზე ორიენტირებული მეურნეობები. შედეგად, მცირდება დასაქმების შესაძლებლობები, იზრდება სიღარიბის რისკი და ნელდება რეგიონების ეკონომიკური განვითარება.

განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში არიან მცირე ფერმერები, რომელთაც არ გააჩნიათ საკმარისი ფინანსური რესურსები დამატებითი ტექნოლოგიების, ინფრასტრუქტურისა და ინოვაციების დასანერგად. შესაბამისად, მიწების ფრაგმენტაცია არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სოციალურ პრობლემადაც გვევლინება.

ამრიგად, სასოფლო-სამეურნეო მიწების ფრაგმენტაციის ეკონომიკური შედეგების შეფასება აუცილებელია ეფექტიანი აგრარული პოლიტიკის შემუშავებისთვის. პრობლემის მასშტაბისა და ეკონომიკური დანაკარგების ზუსტი განსაზღვრა ქმნის საფუძველს მიწების კონსოლიდაციის პროგრამების, კოოპერაციული მეურნეობების მხარდაჭერისა და მიწის რესურსების უფრო ეფექტიანი მართვის მექანიზმების დანერგვისთვის, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს აგროსექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდასა და მდგრად განვითარებას.

მიწების კონსოლიდაციის ღონისძიებები და მათი ხარჯთეფექტიანობა

სასოფლო-სამეურნეო მიწების ფრაგმენტაციის შემცირება და მიწის რესურსების ეფექტიანი გამოყენება თანამედროვე აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. მიწების გადაჭარბებული დანაწევრება ამცირებს აგროპროდუქტიულობას, ზრდის საწარმოო ხარჯებს და აფერხებს სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ზრდას. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმატებით გამოიყენება მიწების კონსოლიდაციის სხვადასხვა მექანიზმი, რომლებიც მიზნად ისახავს მიწის ნაკვეთების გაერთიანებას, რესურსების ოპტიმიზაციასა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის ზრდას.

მიწების კონსოლიდაციის ძირითადი მიმართულებები მოიცავს:

1. მიწების ნებაყოფლობითი კონსოლიდაცია (Voluntary Land Consolidation) – აღნიშნული მიდგომა ეფუძნება მიწის მესაკუთრეებს შორის შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც ხდება მცირე და გაფანტული ნაკვეთების გაცვლა ან გაერთიანება. ევროპული ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ ასეთი ღონისძიებები ამცირებს მიწების დანაწევრების დონეს, აუმჯობესებს მიწის რესურსების მართვას და ზრდის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკურ ეფექტიანობას. მიწების ნებაყოფლობითი კონსოლიდაციის შედეგად მნიშვნელოვნად მცირდება სატრანსპორტო და საოპერაციო ხარჯები.

2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება – იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მიწის საკუთრების ფორმა უცვლელი რჩება, ფერმერთა თანამშრომლობა და კოოპერაციული საქმიანობა საშუალებას იძლევა ერთობლივად იქნეს გამოყენებული ტექნიკა, ინფრასტრუქტურა და სხვა რესურსები. კოოპერატივების მეშვეობით მცირე ფერმერები აღწევენ მასშტაბის ეკონომიას, ამცირებენ ერთეულ პროდუქციაზე დანახარჯებს და ზრდიან ბაზარზე კონკურენტუნარიანობას.

3. მიწის ბაზრის განვითარება და რეგისტრაციის სრულყოფა – მიწის ეფექტიანი ბაზარი წარმოადგენს კონსოლიდაციის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას. მიწის საკუთრების უფლებების

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

მკაფიო რეგისტრაცია, საკადასტრო მონაცემების სრულყოფა და მიწის ტრანზაქციების გამარტივება ხელს უწყობს მიწის რესურსების უფრო რაციონალურ გადანაწილებას. საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, რომ გამართული მიწის ბაზარი ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო მიწების კონცენტრაციას უფრო პროდუქტიულ მეურნეობებში.

4. ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება – კონსოლიდაციის პროცესის წარმატება ხშირად დაკავშირებულია დამატებითი ინფრასტრუქტურის განვითარებასთან, როგორიცაა სარწყავი სისტემები, სასოფლო გზები, სადრენაჟო ქსელები და ლოჯისტიკური ობიექტები. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ზრდის მიწების ეკონომიკურ ღირებულებას და ხელს უწყობს ფერმერული მეურნეობების ეფექტიან ფუნქციონირებას.

5. სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები – სხვადასხვა ქვეყანაში მიწების კონსოლიდაციის პროცესს აქტიურად უწყობს ხელს სახელმწიფო ფინანსური და ინსტიტუციური მხარდაჭერის მეშვეობით. სუბსიდიები, შეღავათიანი კრედიტები, საკონსულტაციო მომსახურება და ტექნიკური დახმარება მნიშვნელოვნად ამარტივებს კონსოლიდაციის პროცესს და ზრდის ფერმერთა დაინტერესებას.

ხარჯთეფექტიანობის ანალიზი

მიწების კონსოლიდაციის ეკონომიკური ეფექტიანობა განიხილება როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან ჭრილში. საწყის ეტაპზე საჭიროა გარკვეული ფინანსური რესურსების გამოყოფა საკადასტრო სამუშაოების, იურიდიული პროცედურების, ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ადმინისტრაციული ხარჯების დასაფინანსებლად. თუმცა, გრძელვადიან პერიოდში მიღებული ეკონომიკური სარგებელი მნიშვნელოვნად აღემატება განხორციელებულ ინვესტიციებს.

კონსოლიდაციის შედეგად მცირდება საწარმოო ხარჯები, იზრდება შრომის პროდუქტიულობა, უმჯობესდება ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობა და ფართოვდება საინვესტიციო აქტივობა. კვლევების მიხედვით, მიწების კონსოლიდაციის შემდეგ ფერმერული მეურნეობების ეფექტიანობა საშუალოდ 15–30%-ით იზრდება, ხოლო საოპერაციო ხარჯები მნიშვნელოვნად მცირდება. გარდა ამისა, იზრდება მიწის საბაზრო ღირებულებაც, რადგან მსხვილი და ერთიანად განლაგებული ნაკვეთები უფრო მიმზიდველია როგორც ფერმერებისთვის, ისე ინვესტორებისთვის.

შეფასების მეთოდოლოგიური მიდგომები

მიწების კონსოლიდაციის ეფექტიანობის შეფასება შესაძლებელია რამდენიმე ეკონომიკური მეთოდით:

- **ხარჯ-სარგებლის ანალიზი (Cost-Benefit Analysis)** – აფასებს, რამდენად აღემატება მიღებული ეკონომიკური სარგებელი განხორციელებულ ხარჯებს;
- **დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი (DCF)** – განსაზღვრავს კონსოლიდაციის გრძელვადიან ფინანსურ ეფექტს დროის ფაქტორის გათვალისწინებით;
- **პროდუქტიულობის შედარებითი ანალიზი** – იკვლევს განსხვავებას ფრაგმენტირებულ და კონსოლიდირებულ მეურნეობებს შორის;
- **ინვესტიციის უკუგების მაჩვენებელი (ROI)** – აფასებს ინვესტიციის ეფექტიანობას და მისი ამოღების პერიოდს.

საერთაშორისო გამოცდილება

ევროპის არაერთ ქვეყანაში, მათ შორის ნიდერლანდებში, დანიაში, გერმანიასა და პოლონეთში, მიწების კონსოლიდაციის პროგრამებმა მნიშვნელოვანი შედეგები მოიტანა. განხორციელებული რეფორმების შედეგად გაიზარდა აგროპროდუქტიულობა, გაუმჯობესდა მიწათსარგებლობის სტრუქტურა და შემცირდა საწარმოო ხარჯები. განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა კონსოლიდაციის დაკავშირება რეგიონული განვითარების პოლიტიკასთან, ინფრასტრუქტურულ პროექტებთან და ფერმერთა მხარდაჭერის პროგრამებთან.

საქართველოსთვის აღნიშნული გამოცდილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ქვეყნის აგროსექტორის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას სწორედ მიწების მაღალი ფრაგმენტაცია წარმოადგენს. შესაბამისად, კონსოლიდაციის პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელება ხელს შეუწყობს მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებას, აგროპროდუქტიულობის ზრდას, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებასა და სოფლის ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

გლობალური პრაქტიკა აჩვენებს, რომ მიწების კონსოლიდაციაში განხორციელებული ყოველი ინვესტიცია გრძელვადიან პერსპექტივაში მრავალჯერად ეკონომიკურ სარგებელს ქმნის. სწორედ ამიტომ, მიწების კონსოლიდაცია დღეს განიხილება არა მხოლოდ აგრარული, არამედ რეგიონული და ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად.

მიწების ფრაგმენტაციის შემცირების სახელმწიფო პოლიტიკა და საერთაშორისო გამოცდილება

სასოფლო-სამეურნეო მიწების ფრაგმენტაცია მრავალი ქვეყნის აგროსექტორის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, სადაც მიწის რეფორმების შედეგად მიწის საკუთრება მცირე და დანაწევრებულ ნაკვეთებად ჩამოყალიბდა. საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ მიწების ფრაგმენტაციის შემცირება შეუძლებელია მხოლოდ საბაზრო მექანიზმების გამოყენებით და მოითხოვს სახელმწიფოს აქტიურ მონაწილეობას.

ევროპის ქვეყნებში მიწების კონსოლიდაცია აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად განიხილება. ნიდერლანდებში, გერმანიაში, დანიასა და საფრანგეთში სახელმწიფო სპეციალური პროგრამების საშუალებით ხელს უწყობს მიწების გაერთიანებას, ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მიწის ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას. აღნიშნული პოლიტიკის შედეგად გაიზარდა ფერმერული მეურნეობების ზომა, შემცირდა საწარმოო ხარჯები და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აგროპროდუქტიულობა.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მიწების კონსოლიდაციის პროგრამები განსაკუთრებით აქტუალური გახდა ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში. პოლონეთის, ჩეხეთისა და ლიტვის გამოცდილება აჩვენებს, რომ მიწების გაერთიანებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობა და გაზარდა სოფლის რეგიონების ეკონომიკური აქტივობა. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ევროკავშირის ფინანსურმა მხარდაჭერამ და რეგიონული განვითარების პროგრამებმა.

საქართველოში მიწების ფრაგმენტაცია კვლავ მნიშვნელოვან სტრუქტურულ პრობლემად რჩება. სასოფლო-სამეურნეო მიწების დიდი ნაწილი მცირე ფართობის და ერთმანეთისგან დაშორებული ნაკვეთების სახით არის წარმოდგენილი, რაც აფერხებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებასა და ინვესტიციების მოზიდვას. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში განხორციელდა მიწის რეგისტრაციის რეფორმა და გაუმჯობესდა საკადასტრო სისტემა, მიწების კონსოლიდაციის მიმართულებით ჯერ კიდევ საჭიროა უფრო აქტიური სახელმწიფო პოლიტიკის გატარება.

მნიშვნელოვანი მიმართულებაა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა, რადგან კოოპერაცია მცირე ფერმერებს საშუალებას აძლევს ერთობლივად გამოიყენონ ტექნიკა, ინფრასტრუქტურა და ფინანსური რესურსები. ამასთანავე, აუცილებელია მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა, მიწის გაცვლის მექანიზმების გამარტივება და ისეთი სამართლებრივი გარემოს შექმნა, რომელიც კონსოლიდაციის პროცესს დააჩქარებს.

სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობა დიდწილად დამოკიდებულია რეგიონული სპეციფიკის გათვალისწინებაზე. სხვადასხვა რეგიონში მიწების ფრაგმენტაციის მასშტაბი და მიზეზები განსხვავებულია, შესაბამისად, პოლიტიკის ინსტრუმენტებიც უნდა იყოს მორგებული ადგილობრივ სოციალურ და ეკონომიკურ პირობებზე.

ამრიგად, საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, რომ მიწების ფრაგმენტაციის შემცირება შესაძლებელია მხოლოდ კომპლექსური პოლიტიკის განხორციელების გზით, რომელიც აერთიანებს სამართლებრივ, ეკონომიკურ და ინსტიტუციურ მექანიზმებს. საქართველოსთვის ამ გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანი წინაპირობაა აგროსექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და სოფლის ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

დასკვნა

წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწების ფრაგმენტაცია საქართველოში აგროსექტორის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრუქტურულ პრობლემას წარმოადგენს. მცირე ზომის და ერთმანეთისგან დაშორებული მიწის ნაკვეთები აფერხებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობას, ზღუდავს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მექანიზაციის გამოყენების შესაძლებლობას და ზრდის საწარმოო ხარჯებს. შედეგად, მცირდება ფერმერული მეურნეობების პროდუქტიულობა, შემოსავლები და კონკურენტუნარიანობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე.

კვლევის ფარგლებში განხორციელებულმა ანალიზმა დაადასტურა, რომ მიწების ფრაგმენტაცია უარყოფითად აისახება არა მხოლოდ ცალკეული ფერმერების ეკონომიკურ მდგომარეობაზე, არამედ მთლიანად აგროსექტორის განვითარებაზე. ფრაგმენტირებული მიწის რესურსები ართულებს მასშტაბის ეკონომიის მიღწევას, ამცირებს საინვესტიციო მიმზიდველობას და აფერხებს

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიურ მოდერნიზაციას. ამასთანავე, აღნიშნული პრობლემა ხელს უწყობს რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შენარჩუნებას და ზღუდავს სოფლის განვითარების შესაძლებლობებს.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ მიწების კონსოლიდაცია წარმოადგენს ფრაგმენტაციის უარყოფითი შედეგების შემცირების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან მექანიზმს. მიწის ნაკვეთების გაერთიანება, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარება, მიწის ბაზრის სრულყოფა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მნიშვნელოვნად ზრდის აგროპროდუქტიულობას, ამცირებს წარმოების ხარჯებს და ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას. საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, რომ მიწების კონსოლიდაციის პროგრამების წარმატებით განხორციელება დადებით გავლენას ახდენს როგორც სოფლის მეურნეობის ეფექტიანობაზე, ისე რეგიონულ ეკონომიკურ განვითარებაზე.

საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებას, მიწების კონსოლიდაციის პროცესის წახალისებას და ფერმერთა თანამშრომლობის გაძლიერებას. ამ მიმართულებით აუცილებელია სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმების დახვეწა, მიწის ბაზრის განვითარება, საკადასტრო სისტემის სრულყოფა და აგროსექტორში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის მხარდაჭერა.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მიწების კონსოლიდაციის ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამების გაფართოება, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის გაძლიერება და მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მცირე ფერმერული მეურნეობების ეკონომიკურ გაძლიერებასა და თანამედროვე აგროტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის ზრდას. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს აგროსექტორის პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

LEGALITY AND EKONOMIC EFFICIENCY OF THE REFORM OF SPECIAL TAX REGIME FOR SMALL BUSINESSES IN THE CONSTRUCTION SECTOR

Copyright © 2026 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: June 12, 2026
Published: June 25, 2026
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC21022026-107

Tsira Barthia
Executive Manager, Standards, Innovation and Professional Development Committee, Federation of Auditors, Accountants and Financial Managers
https://orcid.org/0009-0008-7671-2553
E-mail: cira.bartia@gmail.com

ABSTRACT

The amendment introduced by Decree No. 436 of the Government of Georgia on 23 December 2024 substantially altered the scope of the special tax regime applicable to small businesses in the construction sector. Under the new regulation, self-employed individuals holding small business status who provide construction and repair services to entrepreneurial entities were, in practice, excluded from the benefits of the special tax regime.

This reform has triggered significant debate regarding its tax law legitimacy, economic efficiency, and social fairness, giving rise to sharply divergent viewpoints among policymakers, practitioners, and scholars.

The purpose of this study is to assess the legal, economic, and social implications of the regulation introduced by Decree No. 436, examine its consistency with the fundamental principles of tax law, and explore alternative regulatory approaches capable of achieving the declared policy objectives.

The research is based on the analysis of normative legal acts, comparative legal assessment, and economic reasoning. The findings indicate that the amendment has weakened the capacity of the special tax regime to fulfill its traditional social and economic functions, particularly in promoting employment, self-employment, and entrepreneurial activity. The study demonstrates that the objectives pursued by the state could have been achieved through less restrictive and more proportionate legal instruments.

The paper approaches the special tax regime for small businesses not merely as a fiscal mechanism but also as an integral component of social and employment policy. Such a perspective enables a comprehensive evaluation of the reform and its consequences across legal, economic, and social dimensions.

Keywords: *small business; special tax regime; self-employment; tax legality; tax incentives.*

REFERENCES

1. Constitution of Georgia. Tbilisi, 1995 (as amended). (In Georgian).
2. Tax Code of Georgia. Tbilisi, 2010 (as amended). (In Georgian).
3. Law of Georgia on Normative Acts. Tbilisi, 2009 (as amended). (In Georgian).
4. Government of Georgia Resolution No. 415 of December 29, 2010, *On Special Tax Regimes*. (In Georgian).
5. Government of Georgia Resolution No. 436 of December 23, 2024, *On Amendments to Government of Georgia Resolution No. 415 of December 29, 2010, On Special Tax Regimes*. (In Georgian).
6. National Classification of Economic Activities (SEC 006-2016). National Classification of Georgia. (In Georgian).

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

7. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. *SME Development Strategy of Georgia 2021–2025*. Tbilisi, 2021. (In Georgian).

8. National Statistics Office of Georgia (Geostat). *Employment and Self-Employment Statistical Indicators*. Tbilisi, 2024. (In Georgian).

9. National Statistics Office of Georgia (Geostat). *Small and Medium Business Statistics*. Tbilisi, 2024. (In Georgian).

10. Kakulia, M. *Tax Law*. Tbilisi: Meridiani, 2021. (In Georgian).

11. Abesadze, R. Economic Aspects of Small and Medium Enterprise Development. *Economics and Business*, No. 3, 2021. (In Georgian).

12. Qoqiauri, L. Self-Employment and Small Entrepreneurship in Georgia: Contemporary Challenges. *Social Economy*, No. 2, 2022. (In Georgian).

13. Papava, V. *Economic Policy and the Challenges of Small Entrepreneurship Development*. Tbilisi: Universali, 2019. (In Georgian).

14. Abesadze, R. Economic Policy and Entrepreneurship Development in Georgia. The New Economist, 2024.

15. OECD. Taxation and SMEs: Key Policy Issues. Paris: OECD Publishing, 2015.

16. OECD. Tax Policy Reforms 2024. Paris: OECD Publishing, 2024.

17. OECD. Strengthening SMEs and Entrepreneurship for Productivity and Inclusive Growth. Paris: OECD Publishing, 2023.

18. International Labour Organization (ILO). Transition from the Informal to the Formal Economy Recommendation No. 204. Geneva: ILO, 2015.

19. International Labour Organization (ILO). World Employment and Social Outlook 2024. Geneva: ILO, 2024.

20. World Bank. Informality, Employment and Economic Development. Washington, D.C.: World Bank, 2023.

სამშენებლო სექტორში მცირე ბიზნესის სპეციალური საგადასახადო რეჟიმის ცვლილების კანონიერება და ეკონომიკური ეფექტიანობა

ცირა ბართია
აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის სტანდარტების, ინოვაციებისა და პროფესიული განვითარების კომიტეტის აღმასრულებელი მენეჯერი
https://orcid.org/0009-0008-7671-2553
E-mail: cira.bartia@gmail.com

აბსტრაქტი

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 დეკემბრის №436 დადგენილებით განხორციელებულმა ცვლილებამ სამშენებლო სექტორში მცირე ბიზნესის სპეციალური საგადასახადო რეჟიმის მოქმედების ფარგლები არსებითად შეცვალა. ცვლილების თანახმად, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე თვითდასაქმებული პირი, რომელიც სამშენებლო და სარემონტო მომსახურებას უწევს სამეწარმეო სუბიექტს, ფაქტობრივად, გამოირიცხა სპეციალური საგადასახადო რეჟიმის მოქმედების სფეროდან.

აღნიშნულმა ცვლილებამ მისი საგადასახადო კანონიერება, ეკონომიკური ეფექტიანობა, სოციალური სამართლიანობა სადავო გახდა და მოსაზრებათა მკვეთრი დაპირისპირება წარმოშვა.

კვლევის მიზანია №436 დადგენილებით შემოღებული რეგულირების სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური შედეგების შეფასება, საგადასახადო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან მისი შესაბამისობის ანალიზი და ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა.

კვლევა ეფუძნება ნორმატიული აქტების ანალიზის, შედარებითი სამართლებრივი შეფასებისა და ეკონომიკური ლოგიკის მეთოდებს.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ შემცირდა მცირე ბიზნესის სპეციალური საგადასახადო რეჟიმის სოციალური და ეკონომიკური ფუნქციის, დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობის რეალიზების შე-

საძლებლობა. კვლევით დასტურდება, რომ სახელმწიფოს მიერ დასახული მიზნების მიღწევა შესაძლებელი იყო ნაკლებად შემზღუდავი და უფრო პროპორციული სამართლებრივი ინსტრუმენტების გამოყენებით.

ნაშრომში მცირე ბიზნესის სპეციალური საგადასახადო რეჟიმი განხილულია არა მხოლოდ საგადასახადო, არამედ სოციალური და დასაქმების პოლიტიკის შემადგენელი, რაც საშუალებას იძლევა ცვლილების შედეგები შეფასდეს კომპლექსურად – სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური განზომილებების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: *მცირე ბიზნესი; სპეციალური საგადასახადო რეჟიმი; თვითდასაქმება; საგადასახადო კანონიერება; საგადასახადო შეღავათები.*

შესავალი

მცირე და საშუალო მეწარმეობა თანამედროვე ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს [13; 16]. მისი როლი განსაკუთრებით იზრდება იმ ქვეყნებში, სადაც დასაქმების შესაძლებლობები შეზღუდულია და მოსახლეობის უმეტესობა ეკონომიკურ აქტივობას თვითდასაქმების ფორმით ახორციელებს. ასეთ პირობებში, მცირე ბიზნესის სპეციალური საგადასახადო რეჟიმი არა მხოლოდ ფისკალური ინსტრუმენტია, არამედ ის ეკონომიკური აქტივობის წახალისების, არაფორმალური ეკონომიკის შემცირების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფის წინაპირობად განიხილება;

საქართველოში მცირე ბიზნესის სპეციალური საგადასახადო რეჟიმი შემოღებული იყო, როგორც მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის ეფექტიანი ფორმა. გამარტივებული ადმინისტრირება და დაბალი საგადასახადო ტვირთი ათასობით თვითდასაქმებულ პირსა და მცირე მეწარმეს შესაძლებლობას აძლევდა ლეგალურად განეხორციელებინა ეკონომიკური საქმიანობა და შეექმნა დამატებითი შემოსავლის წყარო.

2024 წლის 23 დეკემბერს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულმა №436 დადგენილებამ სამშენებლო სექტორში განსაკუთრებული საგადასახადო რეჟიმის მოქმედი წესრიგი არსებითად შეცვალა. რეგულაციის მიხედვით, თუ მომსახურების მიმღებს წარმოადგენს საწარმო, ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი, სამშენებლო საქმიანობის გარკვეული სახეებიდან მიღებული შემოსავალი აწუკვე იბეგრება საერთო 20%-იანი განაკვეთით. ცვლილების მიზნად დასახელდა ფიქტიური თვითდასაქმების პრაქტიკის შეზღუდვა და საგადასახადო ბაზის დაცვა, თუმცა პრაქტიკოსები მიიჩნევენ, რომ მისი ამოქმედების შედეგად დაზარალდნენ რეალური თვითდასაქმებული პირები და მცირე მეწარმეები, **აშკარად გაიზარდა მცირე სამშენებლო ბიზნესის საგადასახადო ტვირთი, თვითდასაქმებულთა ნაწილის ბაზრიდან გასვლისა და ჩრდილოვან ეკონომიკაში გადასვლის რისკები, გართულდა აგრეთვე გადასახადის ადმინისტრირება, მასში ახალი ხარვეზები და გაურკვევლობები გაჩნდა. ცვლილება ვერ ანსხვავებს რეალურ დამოუკიდებელ კონტრაქტორსა და ფიქტიურ მცირე ბიზნესს.**

ნაშრომის მიზანია აღნიშნული ცვლილების სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური შედეგების კომპლექსური შეფასება, საგადასახადო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან მისი შესაბამისობის ანალიზი და ისეთი ალტერნატიული მიდგომის იდენტიფიცირება, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს ფისკალური ინტერესებისა და მცირე მეწარმეობის განვითარების უფრო ეფექტიან დაბალანსებას.

კვლევის ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს მთავრობის №436 დადგენილებით განხორციელებულმა ცვლილებამ, მიუხედავად ფიქტიური თვითდასაქმების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნისა, არაპროპორციულად შეზღუდა მცირე ბიზნესის სპეციალური საგადასახადო რეჟიმის მოქმედების სფერო, რის შედეგადაც დაზარალდნენ რეალური თვითდასაქმებული პირები და მცირე მეწარმეები, ხოლო დეკლარირებული მიზნის მიღწევა შესაძლებელი იყო ნაკლებად შემზღუდავი სამართლებრივი და საგადასახადო მექანიზმების გამოყენებით.

კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური ანალიზის ინტეგრირებულ მეთოდოლოგიურ მიდგომას. კვლევის პროცესში გამოყენებულია ნორმატიული აქტების ანალიზის, შედარებითი შეფასების, ლოგიკური მსჯელობისა და ეკონომიკური მოდელირების მეთოდები.

კვლევის ინფორმაციულ ბაზას წარმოადგენს საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, საგადასახადო სამართლისა

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

და საგადასახადო პოლიტიკის სფეროში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები, აგრეთვე საკუთარი გამოცდილებით განხორციელებული ანალიტიკური შეფასებები და ეკონომიკური მოდელირება.

1. მცირე ბიზნესის სპეციალური საგადასახადო რეჟიმის ეკონომიკური და სოციალური დანიშნულება

1.1. მცირე ბიზნესის სპეციალური საგადასახადო რეჟიმის არსი და ფუნქციები

მცირე და საშუალო მეწარმეობა თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ძალაა. საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მცირე ბიზნესი ეკონომიკური ზრდის, დასაქმების, ინოვაციების განვითარებისა და რეგიონული ეკონომიკური აქტივობის გაძლიერების პროცესში უდიდეს როლს ასრულებს. მცირე საწარმოები ქმნიან სამუშაო ადგილების ძირითად ნაწილს და ხელს უწყობენ კონკურენტული ბაზრის ფორმირებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოთა უმრავლესობა მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის მიზნით იყენებს სხვადასხვა სახის საგადასახადო და ადმინისტრაციულ შეღავათებს. ასეთ მექანიზმებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია სპეციალურ საგადასახადო რეჟიმებს, რომელთა მთავარი დანიშნულებაა მცირე ეკონომიკური სუბიექტებისთვის საქმიანობის დაწყებისა და განვითარების ხელშეწყობა. ამგვარი რეჟიმები, როგორც წესი, ეფუძნება დაბალ საგადასახადო განაკვეთებს, გამარტივებულ აღრიცხვასა და შემცირებულ ადმინისტრაციულ ვალდებულებებს.

სპეციალური საგადასახადო რეჟიმის მნიშვნელობა მხოლოდ ფისკალური ტვირთის შემცირებით არ შემოიფარგლება. მისი დანიშნულებაა ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვის ბარიერების შემცირება, არაფორმალური ეკონომიკის ლეგალურ სივრცეში გადმოტანის ხელშეწყობა და თვითდასაქმების წახალისება. ეკონომიკურ ლიტერატურაში ასეთი რეჟიმები ხშირად განიხილება, როგორც მცირე მეწარმეობის განვითარების ინსტრუმენტი [14; 15] და არა მხოლოდ საგადასახადო შეღავათი.

ეკონომიკური თეორიის მიხედვით, მცირე ბიზნესის მხარდაჭერა გამართლებულია მაშინაც კი, როდესაც იგი მოკლევადიან პერიოდში სახელმწიფოს გარკვეულ ფისკალურ დანაკარგებს უქმნის. გრძელვადიან პერსპექტივაში ასეთი პოლიტიკა ხელს უწყობს ეკონომიკური აქტივობის, დასაქმების, მოსახლეობის შემოსავლების ზრდასა და საგადასახადო ბაზის სტაბილურ განვითარებას. შესაბამისად, მცირე ბიზნესის სპეციალური რეჟიმები ეკონომიკური პოლიტიკის ისეთი ინსტრუმენტია, რომლის ეფექტიანობა ფასდება არა მხოლოდ ბიუჯეტში მობილიზებული თანხების მოცულობით, არამედ ეკონომიკური და სოციალური გავლენის შედეგებით.

მცირე ბიზნესის სპეციალური საგადასახადო რეჟიმის ეფექტიანობის შეფასებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროპორციულობის პრინციპს. სახელმწიფოს მიერ დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს და ამ მიზნის მისაღწევად არ უნდა ქმნიდეს იმაზე მეტ ტვირთს, ვიდრე ეს ობიექტურად აუცილებელია. სწორედ აღნიშნული მიდგომა წარმოადგენს იმ კრიტერიუმს, რომლის საფუძველზეც უნდა შეფასდეს მცირე ბიზნესის რეჟიმში განხორციელებული ნებისმიერი საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციული ცვლილება.

1.2. მცირე ბიზნესის სპეციალური საგადასახადო რეჟიმი საქართველოში როგორც დასაქმებისა და სოციალური პოლიტიკის ინსტრუმენტი

საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა კვლავ სტაბილური და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების დეფიციტია. ბოლო წლებში ეკონომიკური აქტივობის ზრდის მიუხედავად, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი შემოსავლის მიღებას დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობისა და თვითდასაქმების გზით ცდილობს. აღნიშნული გარემოება განსაკუთრებით თვალსაჩინოა რეგიონებში, სადაც ფორმალური დასაქმების შესაძლებლობები შედარებით შეზღუდულია და მცირე მეწარმეობა ოჯახების ეკონომიკური კეთილდღეობის შენარჩუნების ძირითად საშუალებად რჩება [8; 12].

ამ პირობებში, მცირე ბიზნესის სპეციალური საგადასახადო რეჟიმი მხოლოდ საგადასახადო ადმინისტრირების გამარტივების ფორმა არ არის. მისი მნიშვნელობა გაცილებით ფართოა და მოიცავს დასაქმების, სოციალური სტაბილურობისა და ეკონომიკური აქტივობის წახალისების ფუნქციებს. დაბალი საგადასახადო განაკვეთი და გამარტივებული საგადასახადო ვალდებულებები საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, საკუთარი პროფესიული ცოდნის, გამოცდილებისა და შრომის საფუძველზე განახორციელონ ეკონომიკური საქმიანობა, შექმნან დამატებითი შემოსავალი და შეინარჩუნონ

ფინანსური დამოუკიდებლობა.

მცირე ბიზნესის სტატუსით მოსარგებლე პირთა უმეტესი ნაწილი საქმიანობს ისეთ სფეროებში, რომლებიც არ საჭიროებს მსხვილ კაპიტალდაბანდებებს, ეფუძნება პირის პროფესიულ უნარებსა და შრომას. მათ შორის, განსაკუთრებული ადგილი უკავია სამშენებლო და სარემონტო მომსახურებებს, სადაც საქმიანობენ ელექტრიკოსები, სანტექნიკოსები, შემდუღებლები, მღებავები და სხვა პროფესიების წარმომადგენლები. აღნიშნული პირები, როგორც წესი, არ ფლობენ მნიშვნელოვან საწარმოო რესურსებს. მათი ძირითადი ეკონომიკური აქტივი საკუთარი შრომა და პროფესიული გამოცდილებაა.

მცირე ბიზნესის სპეციალური რეჟიმი ამ კატეგორიის მეწარმეებისთვის ქმნის ლეგალური საქმიანობის განხორციელების სტიმულს. გამარტივებული საგადასახადო ვალდებულებები და დაბალი საგადასახადო ტვირთი ხელს უწყობს ეკონომიკური საქმიანობის ოფიციალურ რეგისტრაციას, შემოსავლების დეკლარირებასა და არაფორმალური ეკონომიკური ურთიერთობების შემცირებას. შედეგად, სახელმწიფო იღებს უფრო ფართო საგადასახადო ბაზას, ხოლო მოქალაქეები – ლეგალური ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობას.

უნდა შევნიშნოთ, რომ მცირე ბიზნესის სპეციალური რეჟიმის სოციალური ფუნქცია განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება ეკონომიკური არასტაბილურობისა და დასაქმების პრობლემების პირობებში. ასეთ გარემოში იგი ასრულებს ერთგვარი ეკონომიკური უსაფრთხოების მექანიზმის როლს, რომელიც მოქალაქეებს აძლევს შესაძლებლობას, ფორმალური დასაქმების არარსებობის შემთხვევაშიც შეინარჩუნონ ეკონომიკური აქტიურობა და მიიღონ კანონიერი შემოსავალი.

შესაბამისად, მცირე ბიზნესის სპეციალური საგადასახადო რეჟიმის შეფასება მხოლოდ ფისკალური ეფექტიანობის კრიტერიუმით არ უნდა მოხდეს. მისი რეალური მნიშვნელობა გამოიხატება იმ სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებში, რომლებიც დაკავშირებულია თვითდასაქმების ხელშეწყობასთან, მცირე მეწარმეობის განვითარებასთან, სიღარიბის შემცირებასთან და რეგიონებში ეკონომიკური აქტივობის შენარჩუნებასთან. სწორედ აღნიშნული გარემოებები განაპირობებს იმას, რომ მცირე ბიზნესის რეჟიმში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება შეფასდეს არა მხოლოდ საგადასახადო, არამედ სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის ჭრილშიც.

2. №436 დადგენილებით განხორციელებული ცვლილების სამართლებრივი ანალიზი

2.1. ცვლილების შინაარსი და დეკლარირებული მიზნები

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 დეკემბრის №436 დადგენილებით „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებაში შევიდა ცვლილება, რომლის საფუძველზეც სპეციალური დაბეგვრის რეჟიმიდან გამოირიცხა სამშენებლო სექტორში განხორციელებული საქმიანობის გარკვეული სახეებიდან მიღებული შემოსავალი. კერძოდ, ცვლილება შეეხო საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის (სეკ 006-2016) 41.2 ჯგუფით გათვალისწინებულ საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობას, 42-ე განყოფილებით გათვალისწინებულ სამოქალაქო მშენებლობასა და 43-ე განყოფილებით გათვალისწინებულ სპეციალიზებულ სამშენებლო მომსახურებებს იმ შემთხვევაში, როდესაც მომსახურების მიმღებს წარმოადგენს საწარმო, ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი.

შედეგად, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირები, რომლებიც აღნიშნულ საქმიანობას ახორციელებენ იურიდიული პირების, ორგანიზაციების ან მეწარმე ფიზიკური პირების სასარგებლოდ, ვეღარ ისარგებლებენ მცირე ბიზნესის სპეციალური საგადასახადო რეჟიმით და მათი შემოსავალი იბეგრება საერთო წესით. პრაქტიკული თვალსაზრისით, აღნიშნული ცვლილება მნიშვნელოვნად ცვლის სამშენებლო სექტორში მოქმედი მცირე მეწარმეების საგადასახადო მდგომარეობას, ზრდის მათ საგადასახადო და ადმინისტრაციულ ტვირთს.

რეგულაციის მიღების ოფიციალურ საფუძვლად განიხილებოდა ფიქტიური თვითდასაქმების პრაქტიკის შეზღუდვა და საგადასახადო ბაზის დაცვა. წლების განმავლობაში სამშენებლო სექტორში არსებობდა შემთხვევები, როდესაც პირები ფორმალურად რეგისტრირებულნი იყვნენ მცირე ბიზნესის სტატუსით, თუმცა ფაქტობრივად, ერთ კონკრეტულ კომპანიასთან შრომითი ურთიერთობის მსგავსი ფორმით საქმიანობდნენ. სახელმწიფოს შეფასებით, აღნიშნული გარემოება საგადასახადო ტვირთის ხელოვნურად შემცირების შესაძლებლობას ქმნიდა, შრომითი ურთიერთობებისა და სამეწარმეო საქმიანობის სხვადასხვა ფორმებს შორის უთანასწორო კონკურენციას იწვევდა.

სავსებით ლოგიკურია, რომ ფიქტიური თვით-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

დასაქმების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს ლეგიტიმურ საჯარო ინტერესს. სახელმწიფოს უფლება აქვს და ვალდებულიცაა უზრუნველყოს საგადასახადო სისტემის სამართლიანობა, აღკვეთოს საგადასახადო კანონმდებლობის ბოროტად გამოყენება და დაიცვას ბიუჯეტის შემოსავლები. შესაბამისად, ცვლილების მიზნის ლეგიტიმურობა აქ ეჭვს არ იწვევს. თუმცა სამართლებრივი შეფასებისას გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს არა მხოლოდ მიზანი, არამედ ის სამართლებრივი საშუალებები, რომლითაც აღნიშნული მიზნის მიღწევა ხდება. სწორედ ამ კუთხით განსხვავებული მოსაზრებები ცვლილების პროპორციულობის, საგადასახადო კანონიერების პრინციპთან შესაბამისობისა და მისი გავლენის შესახებ იმ პირებზე, რომელთა საქმიანობა რეალურ დამოუკიდებელ სამეწარმეო საქმიანობას წარმოადგენს და არ შეიცავს ფიქტიური თვითდასაქმების ნიშნებს.

ამდენად, სრულიად ლეგიტიმურია ობიექტურად შეფასდეს, რამდენად შეესაბამება განხორციელებული ცვლილება საგადასახადო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს, რამდენად დაბალანსებულია სახელმწიფოს ფისკალური ინტერესები მცირე მეწარმეობის მხარდაჭერისა და ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნებთან.

სქემა 1 ასახავს №436 დადგენილებით განხორციელებული ცვლილების გავლენის ძირითად მიმართულებებს და აჩვენებს, რომ რეგულაციის შედეგები არ შემოიფარგლება მხოლოდ საგადასახადო ადმინისტრირების სფეროთი, ერთდროულად მოიცავს სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ განზომილებებს. სამართლებრივი ეფექტები უკავშირდება საგადასახადო კანონიერების, თანასწორობისა და პროპორციულობის პრინციპების დაცვას, ეკონომიკური ეფექტები – მცირე მეწარმეთა ხარჯებს, კონკურენტულ გარემოსა და ბაზრის სტრუქტურას, ხოლო სოციალური ეფექტები – თვითდასაქმების, შემოსავლებისა და სოციალური სტაბილურობის პრობლემატიკას. კვლევის ძირითად ამოცანას სწორედ ამ ურთიერთდაკავშირებული ეფექტების კომპლექსური შეფასება წარმოადგენს.

2.2. ცვლილების საგადასახადო კანონიერების, თანასწორობისა და პროპორციულობის პრინციპების შეფასება

საგადასახადო სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური საფუძველია კანონიერების პრინციპი [2; 10], რომლის თანახმადაც გადასახადის დაწესება, შეცვლა და გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრა კანონს უნდა ემყარებოდეს. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-5 მუხლი ადგენს, რომ პირი ვალდებულია გადაიხადოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული გადასახადები და დაუშვებელია საგადასახადო ვალდებულების დაკისრება კანონით გაუთვალისწინებელი ფორმით. ეს პრინციპი უზრუნველყოფს სამართლებრივ განსაზღვრულობასა და გადამხდელთა ლეგიტიმური მოლოდინის დაცვას. საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული მცირე ბიზნესის სპეციალურ საგადასახადო რეჟიმი ეფუძნება გამარტივებული დაბეგვრის პრინციპს.

სქემა 1. №436 დადგენილების გავლენის ძირითადი მიმართულებები



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ.

N2 (81) 2026, Vol. 21, Issue 2.

ამ რეჟიმის არსებობის მიზანია მცირე მეწარმეობის წახალისება, თვითდასაქმების მხარდაჭერა და ადმინისტრაციული ბარიერების შემცირება. სწორედ ამიტომაა საჭირო იმის შეფასება, რამდენად დასაშვებია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე საგადასახადო კოდექსის ნორმების არსებითი შეზღუდვა.

ფორმალურად, №436 დადგენილებას ახალი გადასახადი არ დაუწესებია და არც გადასახადის განაკვეთი შეცვლილა. თუმცა რეგულაციის პრაქტიკული შედეგი იმაში გამოიხატება, რომ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირთა გარკვეული კატეგორია, ფაქტობრივად, გამოირიცხა სპეციალური რეჟიმის მოქმედების სფეროდან. შესაბამისად, არის ვარაუდი, რომ მოხდა კანონით დადგენილი საგადასახადო შეღავათის შინაარსის არსებითი მოდიფიკაცია კანონქვემდებარე აქტის მეშვეობით. თავის მხრივ, ეს კავშირშია

სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპის დარღვევასთან. გადამხდელს უნდა შეეძლოს წინასწარ განსაზღვროს საკუთარი საგადასახადო მდგომარეობა და იმ პირობების სტაბილურობა, რომლებზეც იგი თავისი ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმვისას იყო ორიენტირებული. როდესაც კანონქვემდებარე აქტით სპეციალური საგადასახადო რეჟიმის მოქმედების სფერო იზღუდება, ბუნებრივად ჩნდება დისკუსია გადამხდელთა ლეგიტიმური მოლოდინის დაცვის საკითხზეც.

ცვლილების შეფასებისას, არანაკლებ საყურადღებოა თანასწორობის პრინციპიც. რეგულაციის შედეგად ერთი და იგივე პროფესიული საქმიანობის განმახორციელებელი პირები განსხვავებულ საგადასახადო რეჟიმებში ექცევიან მხოლოდ იმის მიხედვით, თუ ვინ წარმოადგენს მათი მომსახურების მიმღებს. თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ელექტრიკოსი ან სანტექნიკოსი მომსახურებას უწევს ფიზიკურ პირს, იგი ინარჩუნებს სპეციალური დაბეგვრის რეჟიმს, ხოლო ანალოგიური მომსახურების საწარმოსთვის ან მეწარმე ფიზიკური პირისთვის გაწევის შემთხვევაში კარგავს აღნიშნულ უფლებას. ამგვარი დიფერენცირებული მიდგომა ბადებს კითხვას, რამდენად არსებობს საკმარისად მყარი და ობიექტური საფუძველი მსგავსი საგადასახადო განსხვავების დასაშვებად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროპორციულობის პრინციპის შეფასება. სახელმწიფოს მიერ დასახული მიზანი – ფიქტიური თვითდასაქმების შეზღუდვა და საგადასახადო ბაზის დაცვა, უდავოდ ლეგიტიმურია. თუმცა სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში ლეგიტიმური მიზნის არსებობა თავისთავად არ ამართლებს ნებისმიერი სახის შეზღუდვას. გამოყენებული საშუალება უნდა იყოს მიზნის მიღწევისათვის აუცილებელი, შესაბამისი და იმაზე მეტად არ ზღუდავდეს პირის უფლებებსა და ეკონომიკურ ინტერესებს, ვიდრე ამას კონკრეტული მიზანი მოითხოვს.

სწორედ ამ კუთხით იკვეთება მოქმედი რეგულაციის ყველაზე ცხადი პრობლემა. ცვლილება არ განასხვავებს ფიქტიური თვითდასაქმების შემთხვევებს რეალური დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობისგან. შედეგად, შეზღუდვა თანაბრად ვრცელდება როგორც იმ პირებზე, რომლებიც შრომითი ურთიერთობის პირობებში საქმიანობდნენ, ასევე იმ მცირე მეწარმეებზე, რომლებიც რეალურად ემსახურებიან სხვადასხვა დამკვეთს და დამოუკიდებელ ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ.

პროპორციულობის პრინციპის არსი სწორედ იმაშია, რომ სამართლებრივი შეზღუდვა მიმართული უნდა იყოს პრობლემის წყაროსკენ და არა იმ სუბიექტთა ფართო წრისკენ, რომლებიც აღნიშნული პრობლემის წარმოშობაში არ მონაწილეობენ.

ამგვარ პირობებში, შეიძლება ითქვას, რომ რეგულაციამ პრობლემური შემთხვევების მიზნობრივი იდენტიფიცირების ნაცვლად მთელი ეკონომიკური სექტორის მნიშვნელოვანი ნაწილი მოაქცია შეზღუდვის ქვეშ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფომ პრობლემის გადაჭრისას „ქირურგიული ოპერაციის“ ნაცვლად მთელი კიდურის „ამპუტაცია“ აირჩია. სწორედ ეს გარემოება წარმოადგენს იმ ძირითად სამართლებრივ არგუმენტს, რომელიც საგადასახადო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან რეგულაციის პროპორციულობასა და მის შესაბამისობაზე ეჭვს აჩენს.

3. ცვლილების ეკონომიკური და სოციალური ეფექტები

3.1. გავლენა თვითდასაქმებულ პირებსა და მცირე მეწარმეებზე

№436 დადგენილებით განხორციელებული ცვლილების ეკონომიკური ეფექტების შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმ პირთა კატეგორიას, რომელთათვისაც მცირე ბიზნესის სპეციალური საგადასახადო რეჟიმი წარმოადგენდა დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ძირითად სამართლებრივ და ფინანსურ საფუძველს.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

პრაქტიკაში სამშენებლო სექტორში მოქმედი მცირე მეწარმეების უმეტესობა არ გამოირჩევა მაღალი ბრუნვით. მათი წლიური შემოსავალი ხშირ შემთხვევაში 10 000 – 20 000 ლარის ფარგლებშიც კი მერყეობს. ასეთ პირობებში მცირე ბიზნესის სპეციალური საგადასახადო რეჟიმი უზრუნველყოფდა საქმიანობის ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას, რადგან დაბალი საგადასახადო ტვირთი მათ საშუალებას აძლევდა შეენარჩუნებინათ კონკურენტუნარიანობა და მიეღოთ საქმიანობის გაგრძელებისთვის საკმარისი ფინანსური რესურსი.

მაგალითად, ოთხკაციანი სარემონტო ბრიგადის შემთხვევაში, რომლის წლიური ბრუნვა დაახლოებით 60 000 ლარს შეადგენს, თითოეულ წევრზე საშუალოდ მოდის 15 000 ლარის ფარგლებში შემოსავალი. ასეთი მოცულობის ეკონომიკური აქტივობის პირობებში საგადასახადო და ადმინისტრაციული ტვირთის ზრდა არსებით გავლენას ახდენს საქმიანობის საბოლოო ეკონომიკურ შედეგზე. შემოსავლიდან გადასახადების, საქმიანობისათვის საჭირო მასალების, ტრანსპორტირების, აღჭურვილობისა და სხვა საოპერაციო ხარჯების გამოკლების შემდეგ დარჩენილი ფინანსური რესურსი ხშირად მინიმალურ დონემდე მცირდება.

ცხრილიდან 1, ჩანს, რომ ერთი და იმავე ეკონომიკური აქტივობის პირობებში საგადასახადო ტვირთი მრავალჯერ იზრდება, რაც განსაკუთრებულ გავლენას ახდენს დაბალბრუნვიან მცირე მეწარმეებზე.

აღნიშნული გარემოება განსაკუთრებით მწვავედ აისახება იმ მეწარმეებზე, რომელთა საქმიანობა მხოლოდ ერთ ან ორ სპეციალიზებულ მომსახურებას მოიცავს და რომელთაც არ გააჩნიათ მასშტაბის ეკონომიის მიღწევის შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევებში გაზრდილი საგადასახადო ტვირთი შეიძლება იქცეს არა მხოლოდ შემოსავლების შემცირების, არამედ საქმიანობის შეწყვეტის ან არაფორმალურ სექტორში გადანაცვლების მიზეზად.

სპეციალური საგადასახადო რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება მცირე ეკონომიკური სუბიექტების ბაზარზე შენარჩუნებაა. როდესაც რეგულაცია თანაბრად ვრცელდება, შედარებით მსხვილ კონტრაქტორებსა და დაბალბრუნვიან თვითდასაქმებულ პირებზე, იქმნება რისკი, რომ შეზღუდვის ნეგატიური ეფექტი ყველაზე მეტად სწორედ ეკონომიკურად მოწყვლად ჯგუფებზე აისახოს.

საყურადღებოა ისიც, რომ ცვლილების შედეგად მსხვილ კომპანიებთან მცირე მეწარმეთა კონკურენტუნარიანობა აშკარად მცირდება. თუ მანამდე ინდივიდუალურ ხელოსნებსა და მცირე ბრიგადებს შეეძლოთ შედარებით დაბალი ხარჯებით მომსახურების შეთავაზება, ახალი პირობების ფონზე მათი საგადასახადო ტვირთი მნიშვნელოვნად იზრდება. ამასთან, სამშენებლო მომსახურების ბაზარზე კონკურენტული უპირატესობა მსხვილი ბიზნესის სასარგებლოდ ინაცვლებს.

ცხრილი 1. მცირე მეწარმის საგადასახადო დატვირთვის შედარება ცვლილებამდე და ცვლილების შემდეგ

მაჩვენებელი	ცვლილებამდე (1%)	ცვლილების შემდეგ (საერთო რეჟიმი)
წლიური შემოსავალი	60 000 ლარი	60 000 ლარი
გადასახადი	600 ლარი	12 000 ლარი
წმინდა დარჩენილი თანხა	59 400 ლარი	48 000 ლარი
საგადასახადო ტვირთი	1%	20%

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ (საანალიზო მოდელირება).

ცხრილი 2. სხვადასხვა ბრუნვის მქონე მცირე მეწარმის საგადასახადო ტვირთის ცვლილება

წლიური შემოსავალი	1%-იანი რეჟიმი	საერთო რეჟიმი (20%)
20 000 ლარი	200 ლარი	4 000 ლარი
40 000 ლარი	400 ლარი	8 000 ლარი
60 000 ლარი	600 ლარი	12 000 ლარი
100 000 ლარი	1 000 ლარი	20 000 ლარი

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ (საანალიზო მოდელირება).

ცხრილი 2-დან ჩანს, რომ რეგულაციის გავლენა საგადასახადო ტვირთზე განსაკუთრებით მწვავედ აისახება დაბალბრუნვიან მცირე მეწარმეებზე. თუ სპეციალური საგადასახადო რეჟიმის პირობებში 20 000 ლარის წლიური შემოსავლის მქონე პირის საგადასახადო ვალდებულება მხოლოდ 200 ლარს შეადგენდა, მოქმედი რეგულაციის პირობებში იგი 4 000 ლარამდე იზრდება. ანალოგიური ტენდენცია შეინიშნება სხვა შემოსავლების შემთხვევაშიც. **მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო ტვირთის ზრდა პროცენტული თვალსაზრისით ყველა შემთხვევაში ერთნაირია, მისი სოციალური და ეკონომიკური ეფექტი განსხვავებულია. კერძოდ, 4 000 ლარის დამატებითი საგადასახადო ტვირთი 20 000 ლარის წლიური შემოსავლის მქონე მეწარმისთვის გაცილებით მძიმე შედეგს იწვევს, ვიდრე იგივე პროპორციული ზრდა შედარებით მაღალი შემოსავლის მქონე ეკონომიკური სუბიექტისთვის.** გამოცდილება მოწმობს, რომ საგადასახადო ტვირთის ზრდის აბსოლუტური მოცულობა ყველაზე მეტად სწორედ იმ კატეგორიის მეწარმეებს აწვება, რომელთაც შეზღუდული ფინანსური რესურსები და ბაზარზე ადაპტაციის ნაკლები შესაძლებლობები გააჩნიათ. აღნიშნული გარემოება ადასტურებს, რომ რეგულაციის ეკონომიკური ეფექტი არ არის ერთნაირი ყველა სუბიექტისთვის და შედარებით მძიმე ტვირთად აწვება მცირე ეკონომიკურ ერთეულებს, რომელთა საქმიანობა ხშირად თვითდასაქმებისა და ოჯახის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს.

ამდენად, ცხადია, რომ რეგულაციის ეკონომიკური შედეგები მხოლოდ საგადასახადო შემოსავლების შესაძლო ზრდით არ უნდა შეფასდეს. აუცილებლად გასათვალისწინებელია მისი გავლენა მცირე მეწარმეობის განვითარებაზე, თვითდასაქმების შესაძლებლობებზე, კონკურენტულ გარემოსა და ეკონომიკური აქტივობის სტრუქტურაზე. სწორედ ამ ფაქტორების ერთობლიობა განსაზღვრავს რეგულაციის რეალურ ეკონომიკურ ეფექტს და მის გრძელვადიან გავლენას ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

3.2. გავლენა დასაქმებაზე, კონკურენტულ გარემოსა და არაფორმალური ეკონომიკის რისკებზე

მცირე ბიზნესის სპეციალური საგადასახადო რეჟიმის მნიშვნელობა სცილდება ცალკეული მეწარმის საგადასახადო მდგომარეობას და პირდაპირ უკავშირდება დასაქმების, კონკურენციისა და ეკონომიკური აქტივობის ფართო საკითხებს. სწორედ ამიტომ, №436 დადგენილებით განხორციელებული ცვლილების შეფასება მხოლოდ ფისკალური ეფექტის ან ცალკეული გადამხდელის საგადასახადო ტვირთის ცვლილებით არ უნდა შემოიფარგლოს. აუცილებელია მისი გავლენის ანალიზი შრომის ბაზარზე, მცირე მეწარმეობის განვითარებასა და ეკონომიკის არაფორმალურ სექტორზე.

საქართველოს შრომის ბაზრის ერთ-ერთ გამოწვევას კვლავ წარმოადგენს ხარისხიანი და სტაბილური სამუშაო ადგილების დეფიციტი [8]. მსგავსი ვითარების პირობებში თვითდასაქმება და მცირე მეწარმეობა ხშირად განიხილება როგორც დასაქმების ალტერნატიული ფორმა და სოციალური მდგრადობის მნიშვნელოვანი ფაქტორი [18]. ასეთ პირობებში თვითდასაქმება და მცირე მეწარმეობა მრავალი მოქალაქისთვის წარმოადგენს არა მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობის ფორმას, არამედ შემოსავლის მიღებისა და ოჯახის კეთილდღეობის უზრუნველყოფის ძირითად საშუალებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს გარემოება რეგიონებში, სადაც ფორმალური დასაქმების შესაძლებლობები შედარებით შეზღუდულია და მცირე მეწარმეობა ეკონომიკური აქტივობის ერთადერთი რეალური ალტერნატივაა.

ჩვეულებრივ, მცირე ბიზნესის სპეციალური საგადასახადო რეჟიმი უნდა განიხილებოდეს, როგორც დასაქმების ხელშემწყობი მექანიზმი. იგი მოქალაქეებს აძლევს შესაძლებლობას საკუთარი პროფესიული ცოდნისა და შრომის საფუძველზე დამოუკიდებლად შექმნან სამუშაო ადგილი, მიიღონ კანონიერი შემოსავალი და ჩაერთონ ეკონომიკურ საქმიანობაში. შესაბამისად, აღნიშნული რეჟიმის მოქმედების სფეროს ნებისმიერი შეზღუდვა პირდაპირ ან ირიბ გავლენას ახდენს თვითდასაქმების შესაძლებლობებზე.

ცვლილების ერთ-ერთ შესაძლო შედეგს წარმოადგენს მცირე მეწარმეთა ნაწილის ეკონომიკური აქტივობის შემცირება ან ბაზრიდან გასვლა. როდესაც საქმიანობის განხორციელების ხარჯი იზრდება, ხოლო მიღებული შემოსავალი შედარებით მცირეა, ეკონომიკური საქმიანობის გაგრძელების მოტივაცია მცირდება. ეს განსაკუთრებით შეეხება იმ პირებს, რომელთა წლიური შემოსავალი შედარებით დაბალია და რომელთაც არ გააჩნიათ დამატებითი ფინანსური რესურსები გაზრდილი საგადასახადო, აგრეთვე ადმინისტრაციული ხარჯების ასანაზღაურებლად.

რეგულაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ეკონომიკური ეფექტი შესაძლოა კონკურენტული გარემოს ცვლილებაში გამოვლინდეს. მცირე მეწარმეთა კონკურენტუნარიანობის შემცირება, ბუნებრივად აძლიერებს მსხვილი და საშუალო ზომის სამშენებლო კომპანიების პოზიციებს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შედეგი, შესაძლოა, არ წარმოადგენდეს რეგულაციის პირდაპირ მიზანს, პრაქტიკაში იგი ქმნის ბაზრის კონცენტრაციის ზრდის რისკს. რაც უფრო ნაკლებია მცირე დამოუკიდებელი მომსახურების მიმწოდებელი, მით უფრო იზრდება ბაზარზე მსხვილი მოთამაშეების გავლენა.

ამასთანავე, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს არაფორმალური ეკონომიკის ზრდის საფრთხე. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ მცირე ეკონომიკური სუბიექტების საგადასახადო ტვირთის მკვეთრი ზრდა ხშირად იწვევს საქმიანობის ნაწილის არაფორმალურ სექტორში გადანაცვლებას. როდესაც ლეგალური საქმიანობის ღირებულება იზრდება, ჩნდება ეკონომიკური სტიმული, რომ შემოსავლების ნაწილი არ იყოს დეკლარირებული ან საქმიანობა სრულად განხორციელდეს ოფიციალური აღრიცხვის ფარგლებს გარეთ. შედეგად, სახელმწიფო შეიძლება აღმოჩნდეს პარადოქსული სიტუაციის წინაშე, როდესაც ფიქტიური თვითდასაქმების შემცირების მიზნით მიღებული გადაწყვეტილება ნაწილობრივ ზრდის არაფორმალური ეკონომიკის მასშტაბებს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ მცირე ბიზნესის სპეციალური რეჟიმი წლების განმავლობაში წარმოადგენდა არაფორმალური ეკონომიკური საქმიანობის ლეგალიზაციის ერთ-ერთ ეფექტიან მექანიზმს. დაბალი საგადასახადო განაკვეთი და გამარტივებული ადმინისტრირება მოქალაქეებს აძლევდა სტიმულს ოფიციალურად დაერეგისტრირებინათ საქმიანობა და შემოსავლები. შესაბამისად, აღნიშნული ინსტრუმენტის მოქმედების სფეროს შემცირება, შესაძლოა, გარკვეულ შემთხვევებში საპირისპირო შედეგის მომტანი აღმოჩნდეს. საერთაშორისო კვლევებიც ადასტურებს, რომ მცირე ეკონომიკური სუბიექტებისთვის ხელმისაწვდომი და გამარტივებული საგადასახადო რეჟიმები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ არაფორმალური ეკონომიკის შემცირებასა და ეკონომიკური საქმიანობის ლეგალიზაციის პროცესში [17; 19].

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ №436 დადგენილების გავლენა მნიშვნელოვნად სცილდება საგადასახადო ადმინისტრირების სფეროს და უკავშირდება დასაქმების, მცირე მეწარმეობის, კონკურენტული გარემოსა და ეკონომიკის ლეგალიზაციის საკითხებს. სწორედ ამიტომ მისი ეფექტიანობის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ ბიუჯეტში დამატებით მობილიზებული შემოსავლების მოცულობას, არამედ იმ სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებსაც, რომლებიც რეგულაციის პრაქტიკულ მოქმედებას მოჰყვება.

4. პრობლემის ალტერნატიული გადაწყვეტის შესაძლებლობები და რეგულაციის სრულყოფის მიმართულებები

წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს მთავრობის №436 დადგენილებით განხორციელებული ცვლილება ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს – ფიქტიური თვითდასაქმების პრაქტიკის შეზღუდვასა და საგადასახადო ბაზის დაცვას. თუმცა, ამავე დროს, გამოვლინდა, რომ არჩეულმა რეგულირების მოდელმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა იმ მცირე მეწარმეებსა და თვითდასაქმებულ პირებზე, რომელთა საქმიანობა რეალურ დამოუკიდებელ ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენდა. აღნიშნული გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ პრობლემის არსებობის მიუხედავად, მისი გადაწყვეტისათვის გამოყენებული ინსტრუმენტი შესაძლოა არ აღმოჩნდა ყველაზე ოპტიმალური და დაბალანსებული.

რეგულაციის სრულყოფის ერთ-ერთ შესაძლო მიმართულებას წარმოადგენს დაბალბრუნვიანი მცირე მეწარმეებისათვის სპეციალური საგადასახადო რეჟიმის ნაწილობრივი შენარჩუნება. პრაქტიკა აჩვენებს, რომ სამშენებლო სექტორში მოქმედი მრავალი თვითდასაქმებული პირისა და მცირე ბრიგადის წლიური ბრუნვა შედარებით დაბალია და ხშირად არ აღემატება 50 000 – 100 000 ლარს. ასეთ პირობებში მათი გათანაბრება შედარებით მსხვილ ეკონომიკურ სუბიექტებთან ვერ უზრუნველყოფს არც საგადასახადო სამართლიანობას და არც ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევას. შესაბამისად, მიზანშეწონილი შეიძლება იყოს გარკვეული ბრუნვის ზღვრამდე სპეციალური რეჟიმის შენარჩუნება, მაგალითად, 100 000 ლარამდე შემოსავლის შემთხვევაში 1%-იანი ან 3%-იანი დაბეგვრის გამოყენება.

პრობლემის გადაჭრის კიდევ ერთ შესაძლებლობას წარმოადგენს ეტაპობრივი საგადასახადო მოდელის დანერგვა. მოქმედი რეგულაცია პრაქტიკულად მკვეთრ გადასვლას იწვევს სპეციალური

რეჟიმიდან საერთო დაბეგვრის სისტემაზე, რაც განსაკუთრებით მძიმე ტვირთად აწვება დაბალშემოსავლიან მეწარმეებს. გაცილებით დაბალანსებული იქნებოდა ისეთი მოდელის გამოყენება, რომელიც ბრუნვის ზრდასთან ერთად ეტაპობრივად გაზრდიდა საგადასახადო ტვირთს და თავიდან აიცილებდა მცირე ეკონომიკური სუბიექტებისთვის საგადასახადო გარემოს მკვეთრ გაუარესებას.

ფიქტიური თვითდასაქმების წინააღმდეგ ბრძოლისთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ეკონომიკური დამოკიდებულების კრიტერიუმის გამოყენება. რეგულაციის ამოქმედების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი იყო შემთხვევები, როდესაც პირები ფორმალურად მცირე ბიზნესის სტატუსით საქმიანობდნენ, თუმცა რეალურად მხოლოდ ერთ დამკვეთზე იყვნენ დამოკიდებულნი და მათი საქმიანობა არსობრივად შრომით ურთიერთობას უახლოვდებოდა. ასეთ ვითარებაში უფრო მიზნობრივი იქნებოდა შეზღუდვების დაკავშირება არა საქმიანობის სფეროსთან, არამედ ეკონომიკური დამოკიდებულების ხარისხთან. მაგალითად, თუ პირის შემოსავლის ძირითადი ნაწილი ერთი დამკვეთიდან მიიღება, შესაძლებელია სპეციალური შეფასების მექანიზმის გამოყენება, ხოლო მრავალ დამოუკიდებელ დამკვეთთან საქმიანობის შემთხვევაში – სპეციალური რეჟიმის შენარჩუნება.

რეგულაციის ალტერნატიულ მოდელად შეიძლება განიხილებოდეს სამშენებლო სექტორისათვის სპეციალური საგადასახადო ქვერეჟიმის შემუშავებაც. აღნიშნული მიდგომა საშუალებას მისცემდა სახელმწიფოს, ერთი მხრივ, შეემცირებინა ფიქტიური თვითდასაქმების გამოყენებით საგადასახადო ოპტიმიზაციის შესაძლებლობა, ხოლო მეორე მხრივ, შეენარჩუნებინა მცირე მეწარმეთა საქმიანობის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა. ასეთი მოდელი შესაძლოა დაეფუძვნოს სპეციალურ, თუმცა მოქმედ 1%-იან რეჟიმზე უფრო მაღალ საგადასახადო განაკვეთს, რაც უზრუნველყოფდა ფისკალური და სოციალური ინტერესების შედარებით დაბალანსებულ თანხვედრას.

ცხრილი 3 ასახავს მოქმედი რეგულაციისა და კვლევის ფარგლებში შემოთავაზებული ალტერნატიული მოდელის შედარებას. წარმოდგენილი მიდგომა ეფუძნება დიფერენცირებული დაბეგვრის პრინციპს, რომლის თანახმადაც საგადასახადო ტვირთი იზრდება ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბის ზრდასთან ერთად. აღნიშნული მოდელი საშუალებას იძლევა დაბალბრუნვიანი მეწარმეებისთვის შენარჩუნდეს ეკონომიკურად მისაღები საგადასახადო გარემო, ხოლო შედარებით მსხვილი საქმიანობის შემთხვევაში ეტაპობრივად შემცირდეს სპეციალური რეჟიმის გამოყენების შესაძლებლობა. შედეგად მიიღწევა სახელმწიფოს ფისკალური ინტერესებისა და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის მიზნების უფრო დაბალანსებული თანხვედრა.

წარმოდგენილი ალტერნატიული მოდელის პრაქტიკული ეფექტიანობის შეფასების მიზნით მიზანშეწონილია მისი შედარება მოქმედ რეგულაციასთან ძირითადი ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი კრიტერიუმების მიხედვით.

ცხრილი 4-ის მონაცემები აჩვენებს, რომ ალტერნატიული მოდელი უზრუნველყოფს ფიქტიური თვითდასაქმების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნის შენარჩუნებას, თუმცა ამავე დროს მნიშვნელოვნად ამცირებს მცირე მეწარმეებზე ნეგატიური ზემოქმედების მასშტაბს. მოქმედი რეგულაციისგან განსხვავებით, ალტერნატიული მიდგომა უკეთ პასუხობს პროპორციულობის პრინციპის მოთხოვნებს, ხელს უწყობს თვითდასაქმებისა და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერას, ამცირებს არაფორმალურ ეკონომიკაში გადასვლის სტიმულს და უზრუნველყოფს კონკურენტული გარემოს შენარჩუნების უფრო მაღალ ხარისხს. აღნიშნული

ცხრილი 3. სამშენებლო სექტორში მცირე მეწარმეთა დაბეგვრის მოქმედი და ალტერნატიული მოდელების შედარებითი შეფასება

წლიური შემოსავალი	მოქმედი რეგულაცია (№436 დადგენილების შემდეგ)	ალტერნატიული მოდელი
60 000 ლარი	საერთო რეჟიმი (20%)	სპეციალური რეჟიმი (1%)
100 000 ლარი	საერთო რეჟიმი (20%)	სპეციალური რეჟიმი (3%)
200 000 ლარი	საერთო რეჟიმი (20%)	სპეციალური რეჟიმი (5%)
500 000 ლარი და მეტი	საერთო რეჟიმი (20%)	საერთო რეჟიმი (20%)

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ (საანალიზო მოდელირება)

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ცხრილი 4. მოქმედი და ალტერნატიული რეგულირების მოდელების ეკონომიკური და სოციალური ეფექტების შედარებითი შეფასება

შეფასების კრიტერიუმი	მოქმედი მოდელი	ალტერნატიული მოდელი
ფიქტიური თვითდასაქმების შეზღუდვა	მაღალი	მაღალი
მცირე მეწარმეთა დაცვა	დაბალი	მაღალი
თვითდასაქმების მხარდაჭერა	დაბალი	მაღალი
კონკურენტული გარემოს შენარჩუნება	საშუალო	მაღალი
არაფორმალური ეკონომიკის რისკი	მაღალი	დაბალი
სოციალური ეფექტი	უარყოფითი	დადებითი
პროპორციულობის პრინციპთან შესაბამისობა	შეზღუდული	მაღალი

წყარო: ავტორის შეფასება.

გარემოებები ადასტურებს, რომ ფისკალური და სოციალური ინტერესების დაბალანსება შესაძლებელია ნაკლებად შემზღუდავი და უფრო მიზნობრივი რეგულირების პირობებშიც.

საჭიროა ითქვას, რომ თანამედროვე საგადასახადო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს მიზნობრივი რეგულირება. ეფექტიანი საგადასახადო მექანიზმი უნდა იყოს ორიენტირებული უშუალოდ პრობლემის წყაროზე და არა მთლიან ეკონომიკურ სექტორზე. იმ შემთხვევაში, როდესაც რეგულაცია თანაბრად ვრცელდება როგორც პრობლემურ, ისე კეთილსინდისიერ ეკონომიკურ სუბიექტებზე, იზრდება რისკი, რომ მიღებული შედეგი არაპროპორციული აღმოჩნდეს დასახულ მიზანთან.

შესაბამისად, რეგულაციის შემდგომი სრულყოფა მიზანშეწონილია განხორციელდეს ისეთი მოდელის საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს ფიქტიური თვითდასაქმების ეფექტიან პრევენციას, მაგრამ ამავე დროს შეინარჩუნებს მცირე ბიზნესის სპეციალური რეჟიმის სოციალურ და ეკონომიკურ ფუნქციას. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს როგორც საგადასახადო სისტემის სამართლიანობის განმტკიცებას, ისე თვითდასაქმების, მცირე მეწარმეობისა და კონკურენტული ეკონომიკური გარემოს განვითარებას.

დასკვნები და წინადადებები

ამრიგად, გვაქვს საუძველი შევჯერდეთ მასზე, რომ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 დეკემბრის №436 დადგენილებით განხორციელებულმა ცვლილებამ არსებითად შეცვალა მცირე ბიზნესის სპეციალური საგადასახადო რეჟიმის მოქმედების ფარგლები სამშენებლო სექტორში.

მცირე ბიზნესის სპეციალური საგადასახადო რეჟიმი საქართველოში არ წარმოადგენს მხოლოდ საგადასახადო შეღავათს. იგი წლების განმავლობაში ასრულებდა მცირე მეწარმეობის განვითარების, თვითდასაქმების წახალისების, არაფორმალური ეკონომიკის ლეგალიზაციისა და სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ფუნქციას. აღნიშნული მიდგომის მნიშვნელობა ხაზგასმულია როგორც საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის, ისე მსოფლიო ბანკისა და OECD-ის კვლევებშიც, სადაც მცირე მეწარმეობის მხარდაჭერა განიხილება ეკონომიკური ჩართულობისა და ინკლუზიური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად [17; 18; 19]. შესაბამისად, მისი მოქმედების სფეროში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არა მხოლოდ გადასახადის გადამხდელთა ცალკეულ კატეგორიებზე, არამედ ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის უფრო ფართო მიმართულებებზეც.

სამართლებრივი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ რეგულაცია აჩენს მნიშვნელოვან კითხვებს საგადასახადო კანონიერების, სამართლებრივი განსაზღვრულობის, თანასწორობისა და პროპორციულობის პრინციპებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ დადგენილებით ახალი გადასახადი არ დაწესებულა, სპეციალური საგადასახადო რეჟიმის მოქმედების სფეროს არსებითმა შევიწროებამ პრაქტიკაში მნიშვნელოვნად შეცვალა სამშენებლო სექტორში მოქმედი მცირე მეწარმეების საგადასახადო მდგომარეობა. ამასთანავე, რეგულაცია არ განასხვავებს ფიქტიური თვითდასაქმების შემთხვევებს რეალური დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობისგან, რის

გამოც შეზღუდვა თანაბრად გავრცელდა როგორც პრობლემურ, ისე კეთილსინდისიერ ეკონომიკურ სუბიექტებზე.

ეკონომიკური და სოციალური ეფექტების შეფასებამ აჩვენა, რომ ცვლილების ნეგატიური გავლენა განსაკუთრებით საგრძნობია დაბალბრუნვიანი თვითდასაქმებული პირებისა და მცირე ბრიგადებისთვის, რომელთა ეკონომიკური საქმიანობა ხშირად ემყარება მხოლოდ პირად შრომასა და პროფესიულ უნარებს. გაზრდილი საგადასახადო და ადმინისტრაციული ტვირთი ამცირებს მათი საქმიანობის ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას, აუარესებს კონკურენტულ პოზიციებს მსხვილ კომპანიებთან მიმართებით და ზრდის არაფორმალურ სექტორში გადანაცვლების რისკს. შედეგად, რეგულაციის ფაქტობრივი გავლენა სცილდება ფისკალურ მიზნებს და უკავშირდება დასაქმების, მცირე მეწარმეობისა და კონკურენტული გარემოს განვითარების საკითხებს.

კვლევამ ასევე დაადასტურა, რომ სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული მიზნების მიღწევა შესაძლებელი იყო ნაკლებად შემზღუდავი და უფრო მიზნობრივი სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით. ასეთ მექანიზმებად შეიძლება განხილულ იქნეს დაბალბრუნვიანი მეწარმეებისათვის სპეციალური რეჟიმის შენარჩუნება, ეტაპობრივი დაბეგვრის მოდელის გამოყენება, ეკონომიკური დამოკიდებულების კრიტერიუმების დანერგვა ან სამშენებლო სექტორისთვის სპეციალური საგადასახადო ქვერეჟიმის შექმნა. აღნიშნული მიდგომები სახელმწიფოს მისცემდა შესაძლებლობას, ეფექტიანად შეეზღუდა ფიქტიური თვითდასაქმება ისე, რომ არ დაზარალებულიყვნენ რეალური მცირე მეწარმეები.

კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიგნება მდგომარეობს იმაში, რომ ფიქტიური თვითდასაქმების პრობლემა ნამდვილად არსებობდა და საჭიროებდა სამართლებრივ რეაგირებას, თუმცა არჩეული რეგულირების მოდელი აღმოჩნდა არაპროპორციულად ფართო. შედეგად, შეზღუდვის მოქმედება გასცდა პრობლემური შემთხვევების ფარგლებს და შეეხო იმ პირებსაც, რომელთა საქმიანობა რეალურ დამოუკიდებელ სამეწარმეო საქმიანობას წარმოადგენდა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ განხილული ცვლილება უფრო მეტად წარმოადგენს საგადასახადო პოლიტიკის გამკაცრების მაგალითს, ვიდრე მიზნობრივი რეგულირების წარმატებულ მოდელს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მცირე ბიზნესის სპეციალური საგადასახადო რეჟიმის შემდგომი სრულყოფა უნდა ეფუძნებოდეს პროპორციულობის, ეკონომიკური მიზანშეწონილობისა და სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი სახელმწიფოს ფისკალური ინტერესებისა და მცირე მეწარმეობის განვითარების ინტერესების დაბალანსება, რაც თანამედროვე საგადასახადო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს.

კვლევის შედეგების გამოყენება შეიძლება, როგორც საგადასახადო პოლიტიკის შემდგომი სრულყოფის, ისე მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის მიმართულებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

კვლევის საერთო შეფასებით, სახელმწიფომ რეალური პრობლემის გადაჭრის პროცესში აირჩია ისეთი რეგულირების მოდელი, რომელმაც პრობლემური პრაქტიკის აღმოფხვრასთან ერთად არსებითად შეზღუდა კეთილსინდისიერი მცირე მეწარმეების ინტერესებიც. ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ ფიქტიური თვითდასაქმების წინააღმდეგ ბრძოლისას სახელმწიფომ „ქირურგიული ოპერაციის“ ნაცვლად „ამპუტაცია“ აირჩია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს საგადასახადო რეგულირების პროცესში პროპორციულობისა და მიზნობრივი მიდგომების განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

პროფესორი იური ანანიშვილი 75 წლისაა

ჩვენი ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორს, **იური ანანიაშვილს** 75 წელი შეუსრულდა. 48 წლის პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის განმავლობაში, მან საფუძველი ჩაუყარა თსუ-ში მაკროეკონომიკისა და ეკონომეტრიკის თანამედროვე კურსების სწავლებას, შექმნა არაერთი საინტერესო სამეცნიერო ნაშრომი და მოამზადა ეკონომისტების რამდენიმე თაობა.

იური ანანიაშვილი დაიბადა 1951 წლის 6 მარტს ახალქალაქის რაიონის სოფელ კოთელიაში. საშუალო სკოლის წარჩინებით დაამთავრების შემდეგ, 1968 წელს წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები თსუ ეკონომიკის ფაკულტეტზე, შემდეგ კი სწავლა გააგრძელა საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე. სპეციალობად აირჩია იმ დროისათვის სრულიად ახალი მიმართულება - „ეკონომიკური კიბერნეტიკა“, რომლის დამთავრების შემდეგ მიენიჭა ეკონომისტ-მათემატიკოსის კვალიფიკაცია.

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში იური ანანიაშვილი, როგორც წარჩინებული სტუდენტი, წინასადიპლომო პრაქტიკის გასავლელად და სადიპლომო ნაშრომის მოსამზადებლად, მიავლინეს მოსკოვის ცენტრალურ ეკონომიკურ-მათემატიკურ ინსტიტუტში (ЦЭМИ). იქვე, სადიპლომო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელის, ცნობილი პროფესორის ე. ბარანოვის, შესთავაზებით, 1974-1978 წლებში იგი სწავლობდა მოსკოვის ცენტრალურ ეკონომიკურ-მათემატიკურ ინსტიტუტის ასპირანტურაში. იქვე დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ იური ანანიაშვილი დაბრუნდა საქართველოში და მუშაობა დაიწყო თსუ-ში საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის ეკონომიკური კიბერნეტიკის კათედრაზე, ჯერ ასისტენტის (1978-81 წლები), შემდეგ კი დოცენტის (1981-1998 წლები) თანამდებობაზე. პარალელურად, 1978-1980 წლებში იგი იყო საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი ნახევარ განაკვეთზე.

1998 წელს მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: “აგრეგირებული დარგთაშორისი კავშირების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება”. 1999 წლიდან მოყოლებული იგი თსუ-ს პროფესორია, ხოლო 2006 წლიდან ხელმძღვანელობს ეკონომეტრიკის კათედრას ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე.

ბატონი იურის პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა 48 წელს მოიცავს. აღსანიშნავია, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როცა თსუ-ში ეკონომიკის პროფილის ფაკულტეტებზე სწავლება ჯერ კიდევ სოციალისტური მეურნეობის პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკური დისციპლინებით მიმდინარეობდა, იური ანანიაშვილი ერთ-ერთი პირველი იყო იმ მასწავლებლებს შორის, რომლებმაც დაიწყეს საბაზრო ეკონომიკის დისციპლინების სწავლება. შეიძლება ითქვას,

რომ თსუ-ში თანამედროვე მაკროეკონომიკისა და ეკონომეტრიკის კურსების სწავლებას მან ჩაუყარა საფუძველი: ის იყო პირველი მასწავლებელი, რომელმაც ითავა თსუ-ში აღნიშნული კურსების წაყვანა ჯერ ე.წ. „სპეცჯგუფების“ სტუდენტებისთვის, რომლებიც დეკანატთან შეთანხმებით თვითონ ირჩევდნენ საგნებს, შემდეგ კი სტუდენთა ფართო აუდიტორიისათვის.

პროფ. ი. ანანიაშვილის სამეცნიერო ინტერესების ძირითადი სფეროა ეკონომიკის მათემატიკური მოდელირება და მაკროეკონომიკის თეორიული და გამოყენებითი პრობლემები. გამოქვეყნებული აქვს 95-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 3 მონოგრაფია და 3 სახელმძღვანელო. მისი ხელმძღვანელობითა და სამეცნიერო რედაქტორობით ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა ორი უმნიშვნელოვანესი ინგლისურენოვანი სახელმძღვანელო: ჯ. მ. ვულდრიჯის „შესავალი ეკონომეტრიკაში“ (2016) და ო. ბლანშარის „მაკროეკონომიკა“ (2010).

პროფ. ი. ანანიაშვილის გამოქვეყნებულ შრომებში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი მნიშვნელოვანი სამეცნიერო შედეგები:

- ლეონტიევის „დანახარჯები-გამოშვება“ მოდელის მოდიფიკაციების და ამოხსნის მეთოდების შემუშავება, მათი ეკონომიკურ-მათემატიკური თვისებების გაანალიზება;

- სექტორული ჭრილის მქონე ზოგადი მაკროეკონომიკური წონასწორობის ორიგინალური მოდელის შექმნა - კვლევა შესულია ნაშრომთა ციკლში „მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები“, რომლისთვისაც პროფ. ი. ანანიაშვილს 2004 წელს, ეკონომისტთა ჯგუფთან ერთად, მიენიჭა სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში;

- სხვადასხვა ტიპის ეკონომეტრიკული მოდელის გამოყენებით, საქართველოს ეკონომიკისთვის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი არადაკვირვებადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლის შეფასება და გაანალიზება. 2014 წელს ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ფორუმზე წარდგენილი ნაშრომი - “არადაკვირვებადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შეფასებისა და ანალიზის მოდელები” - გამოცხადდა გამარჯვებულად და მიენიჭა ფულადი ჯილდო;

- პოტენციური გამოშვების ორი განსხვავებული ვარიანტის, კლასიკურის და კეინზიანურის, არსებობის თეორიულად დასაბუთება და ეკონომეტრიკული კვლევით დადასტურება, რომ, კეინზიანური პოტენციური გამოშვება აღემატება კლასიკურს.

- ლაფერ-კეინზიანური სინთეზის კონცეფციისა და მოდელის შექმნა (პროფესორ ლადო პაპავასთან ერთად); მონოგრაფიამ, რომელშიც ეს კონცეფციაა გადმოცემული თვით პროფესორ ლაფერის მაღალი შეფასება დაიმსახურა;

- მოდელი, რომლის საშუალებითაც შეიძლება შეფასდეს წარმოების ძირითადი ფაქტორების (შრომისა და კაპიტალის) ნომინალური ფასების ცვლილების გავლენა ერთობლივი მიწოდების სიდიდეზე;

- არასრული ინფორმაციის პირობებში ბაზრის ეკონომეტრიკული მოდელის შეფასების მეთოდი;

- მეთოდი, რომელიც რეგრესიის ფაქტორული მოდელის დროითი მწკრივებით შეფასების დროს დამოკიდებულ ცვლადზე ამხსნელი ფაქტორული ცვლადების სტატიკური ზემოქმედების განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის პროფ. იური ანანიაშვილი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, ივანე ჯავახიშვილის მედლით, ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის მედლით და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოქროს მედლით.

პროფ. იური ანანიაშვილს ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ჟურნალ The New Economist (ახალი ეკონომისტის) სარედაქციო საბჭოს სახელით ვულოცავთ ბატონ იურის სახელოვან იუბილეს და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებთ სამეცნიერო–პედაგოგიურ მოღვაწეობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ლოიდ ქარჩავა
მთავარი რედაქტორი,
ბიზნესის ადმინისტრირების
დოქტორი, პროფესორი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი 70 წლისაა

ჩვენი ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორს, **ელგუჯა მექვაბიშვილს** 70 წელი შეუსრულდა.

ელგუჯა მექვაბიშვილი დაიბადა 1956 წლის 26 მაისს ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათში. საშუალო სკოლის წარჩინებით დაამთავრების შემდეგ, 1973 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1978 წელს.

1978-1979 წლებში შრომის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელია. 1979-1988 წლებში - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი, უფროსი, წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი. 1988-1991 წლებში მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის უფროს მასწავლებლად. 1990-1991 წლებში - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, ხოლო 1992-2005 წლებში იქვე დეკანად. 1991-1997 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის დოცენტია, 1997-1999 წლებში კი - ეკონომიკური თეორიის კათედრის პროფესორია. 1999-2006 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორი, ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგე, ხოლო 2006-2012 წლებში - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი - ეკონომიკის პრინციპების კათედრის ხელმძღვანელი. 2012-2018 წლებში - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი - თეორიული ეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი. 2018 წლიდან დღემდე არის ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ მთავარი რედაქტორი. ასევე, 2018 წლიდან დღემდე გახლავთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი - თეორიული ეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარის მიენიჭა 1997 წელს, ხოლო პროფესორის წოდება - 2002 წლიდან.

ბატონ ელგუჯა მექვაბიშვილს სამეცნიერო-პედაგოგიურ სფეროში ნაყოფიერი მუშაობის გამო, მიღებული აქვს შემდეგი პრემიები და ჯილდოები:

1998 წელს - ღირსების ორდენი; 2008 წელს - პრემია წლის საუკეთესო სამეცნიერო პუბლიცისტური ნაშრომისათვის ეკონომიკის დარგში; 2015 წელს - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელი ეკონომიკის დარგში სამეცნიერო მიღწევებისთვის;

2016 წელს - ივ. ჯავახიშვილის პრემია და სერტიფიკატი წლის საუკეთესო სამეცნიერო მოხსენებისთვის ეკონომიკაში; 2017 წელს - ივ. ჯავახიშვილის მედალი; ხოლო 2018 წელს - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოქროს მედალი.

პროფესორ ე. მექვაბიშვილის კვლევის ძირითადი მიმართულებებია: ზოგადი ეკონომიკური თეორია, გარდამავალი ეკონომიკა, თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები, გლობალური ეკონომიკა და გლობალიზაციის ეპოქის ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისები.

ბატონი ელგუჯა მონაწილეობას იღებდა შემდეგ არჩევით ორგანოებში: 1996-2002 წლებში იყო საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ეკონომიკური საბჭოს წევრი; 1998-2007 წლებში - საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი; 2016-2020 წლებში - თსუ აკადემიური საბჭოს წევრი; 2006-2016 წლებში - თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრი.

პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი წლების განმავლობაში იყო შემდეგი პროფესიული ასოციაციებისა და სარედაქციო საბჭოების წევრი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ექსპერტი (საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის რეზიდიუმის 2017 წლის 11 აპრილის N13 დადგენილებით); საქართველოს ეკონომისტთა ასოციაციის წევრი; საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა საზოგადოების გამგეობის წევრი; ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე (2014-2017); ჟურნალის - „ეკონომიკა და ბიზნესი“ მთავარი რედაქტორი; ჟურნალების „ეკონომისტი“ და ,,The New Economist“ (ახალი ეკონომისტი) - სარედაქციო კოლეგიების წევრი.

ბატონი ელგუჯა მექვაბიშვილი არის 5 მონოგრაფიის, 12 სახელმძღვანელოს ავტორი და თანაავტორი, 150- ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

ჟურნალ The New Economist (ახალი ეკონომისტის) სარედაქციო საბჭოს სახელით ვულოცავთ ბატონ ელგუჯას სახელოვან იუბილეს და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებთ სამეცნიერო–პედაგოგიურ მოღვაწეობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ლოიდ ქარჩავა
მთავარი რედაქტორი,
ბიზნესის ადმინისტრირების
დოქტორი, პროფესორი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

პროფესორი იური პაპასქუა 70 წლისაა

ცნობილ მეცნიერს, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარეს, ჟურნალის - „ბიზნესი და კანონმდებლობა“ მთავარ რედაქტორს **იური პაპასქუას 70 წელი შეუსრულდა.**

იური პაპასქუა დაიბადა 1956 წლის 3 მარტს, გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარღებში. 1973 წელს დაამთავრა ქვემო ბარღების საშუალო სკოლა, ხოლო 1973-1978 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასოფლო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე. 1990 წელს დაამთავრა მოსკოვში სტანდარტიზაციის სამეცნიერო - კვლევითი საკავშირო ინსტიტუტის ასპირანტურა და დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„პროდუქტის ხარისხისა და შრომის ეფექტურობის ეკონომიკური შეფასება საწარმოში“** (სპეციალობა: სტანდარტიზაცია და პროდუქციის ხარისხის მართვა).

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, შრომით საქმიანობას იწყებს ამავე უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი, დარგობრივი ლაბორატორიის, შემდგომში ფინანსთა სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო გაერთიანების ეკონომისტის, უმცროს-მეცნიერ თანამშრომელის, უფროს-მეცნიერ თანამშრომელის, სექტორის გამგის თანამდებობზე. 1983 წლიდან სამეურნეო საქმიანობას ეწევა. იყო საწარმოო გაერთიანება „გლდანის“, შემდგომში, სააქციო საზოგადოება „გლდანის“ მთავარი ბუღალტერი, გენერალური დირექტორის მოადგილე ეკონომიკის დარგში, 2016 წლიდან - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2020 წლიდან - დღემდე არის ამ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. 1995 წლიდან ინიშნება შპს „ჯგირთას“ გენერალურ დირექტორად. 2001 წლიდან მუშაობს საქართველოს კონტროლის პალატაში ჯერ კონტროლიორად, მერე უფროს კონტროლიორად. იყო აფხაზეთის ა/რ კონტროლის პალატის პრეზიდიუმის წევრი. 2011 წელს აფუძნებს აუდიტორულ კომპანია შპს „მ.ნ.-აუდიტს“, დღემდე არის მისი დირექტორი და გარიგების პარტნიორი. არის სერტიფიცირებული აუდიტორი და რეგისტრირებულია აუდიტორთა რეესტრში, მინიჭებული აქვს დასკვნითი შეფასება სავალდებულო. 2005 წლიდან პარალელურად მუშაობს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოწვეულ ლექტორად, 2008 წლიდან კი არჩევით პროფესორის თანამდებობაზე.

2012 წელს, თანამოაზრეებთან ერთად, ქმნის საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციას, სადაც ის დაფუძნებიდან 2026 წლის ივნისამდე იყო გამგეობის წევრი და აღმასრულებელი დირექტორი. აღნიშნული თარიღიდან კი არჩეულია ამ ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარედ.

ფლობდა საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საბჭოს მიერ გაცემულ სერტიფიკატებს ზოგად აუდიტში სადაზღვევო ორგანიზაციების აუდიტში, საბანკო აუდიტში,

საბირჟო, სპეციალური სახელმწიფო ფონდებისა და საინვესტიციო ინსტიტუტების აუდიტში. იყო საქართველოს ქონების შემფასებელ ექსპერტთა ინსტიტუტის უძრავი ქონების შემფასებელთა რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ქონების შემფასებელი.

გამოცემული აქვს 5 მონოგრაფია; იმპაქტ ფაქტორის მქონე, რეფერირებად, რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებულია მისი 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, 70-ზე მეტი პუბლიკაცია საინფორმაციო-ანალიტიკურ სააგენტოებში, გაზეთებსა და სხვა პერიოდულ გამოცემებში საზოგადოებრივ პრობლემებზე. არის 25 წიგნის რედაქტორი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 8 სადოქტორო და 20 სამაგისტრო დისერტაცია. 5 დოქტორანტი აგრძელებს მუშაობას საკვალიფიკაციო ნაშრომზე.

მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო მოიცავს აუდიტს, ბუღალტრულ აღრიცხვას, დაბეგვრას, აგრობიზნესის ეკონომიკას, ხარისხის მართვასა და ეკონომიკური განვითარების თანამედროვე გამოწვევებს.

არის რამდენიმე დარგობრივი აკადემიის ნამდვილი წევრი - მათ შორის, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის, განათლების მეცნიერებათა აკადემიის, საქართველო, კოლხეთის (ფაზისის) საერო-სამეცნიერო, საერთაშორისო აკადემიის, საქართველოს სამართლის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი; ჰოლბორნის ბუღალტერიის სასწავლებლის მიერ გამოცემული აუდიტის სახელმძღვანელოს მიმდინარე ქართული თარგმანის ექსპერტთა საბჭოს წევრი, აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის განათლების კომიტეტის წევრი (2016 წლიდან), აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის განგრძობითი სწავლებისა და სერტიფიცირების პროგრამის ავტორი და ხელმძღვანელი (2018 წლიდან). მას მინიჭებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ექსპერტის სტატუსი ეკონომიკის დარგში საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო საქმიანობის შესაფასებლად.

პროფესიულ ნდობის გამოხატვას და კომპეტენტურობის აღიარებას წარმოადგენდა მისი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2013 წლის საფინანსო- ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული საქმიანობის, აუდიტის ხარისხის კონტროლისა და შიდა კონტროლის პროცედურების შემოწმების საპარლამენტო კომისიაში ჩართვა საპარლამენტო კომისიის სამუშაო ჯგუფის წევრის სტატუსით. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კომისიას.

ბატონი იური პაპასქუა რეგულარულად იმაღლებდა კვალიფიკაციას. მონაწილეობას ღებულობდა საერთაშორისო კონფერენციებსა და პროფესიულ ფორუმებში. დაოჯახებულია, ჰყავს ოთხი შვილი, 5 შვილიშვილი.

ბატონი იური პაპასქუა დღეიდან ჩვენი ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრია და შესაბამისად, ჩვენი საბჭოს წევრთა სახელით ვულოცავთ ამ მნიშვნელოვან თარიღს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სულიერ სიმტკიცეს, დღეგრძელობას, ოჯახურ ბედნიერებას, ახალ სამეცნიერო წარმატებებს, ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობასა და მრავალი კეთილი ჩანაფიქრის განხორციელებას.

ლოიდ ქარჩავა
მთავარი რედაქტორი,
ბიზნესის ადმინისტრირების
დოქტორი, პროფესორი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

საქართველოს ეკონომიკური ფორუმი

2026 წლის 15 ივნისს საქართველოს ეკონომიკური ფორუმის 30-ე საიუბილეო დისკუსია - **„სამშენებლო-ინფრასტრუქტურული და სამშენებლო-დეველოპერული პროექტების გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე"** გაიმართა.

ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობდნენ: რევაზ სოხაძე, საქართველოს ინფრასტრუქტურის მინისტრი; შოთა ბერეკაშვილი, პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე; დავით ჯუღაშვილი, „ჰანიველ ცემენტის" გენერალური დირექტორი; გიორგი კუპრაშვილი, „გალტ & თაგარტის" გენერალური დირექტორი; ირაკლი კვერღელიძე - „ორბი ჯგუფის" გენერალური დირექტორი; ირაკლი გიორგობიანი - ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის (ICCA) აღმასრულებელი დირექტორი.

ღონისძიებას მოდერატორობას უწევდა „ბიზნეს ინსაიდერი საქართველოს"და "საქართველოს ეკონომიკური ფორუმის" დამფუძნებელი და ხელმძღვანელი გიორგი აბაშიშვილი. დისკუსიაში ფორუმის ფორმატში ერთობლივად მონაწილეობდნენ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ბიზნეს სექტორი, ცალკეული კომპანიების ხელმძღვანელები, მფლობელები და პარტნიორები, აკადემიური და ანალიტიკური სექტორის წარმომადგენლები.

საქართველოს ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გამართულმა დისკუსიამ ნათლად წარმოაჩინა, რომ სამშენებლო-ინფრასტრუქტურული და სამშენებლო-დეველოპერული პროექტები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი საფუძველია. აღნიშნული სექტორი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე, ისე კერძო ინვესტიციების მოზიდვასა და რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ფორუმზე აღინიშნა, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებასა და საკრედიტო რესურსებზე ხელმისაწვდომობას, რადგან კაპიტალმოცუ-

ლობითი პროექტების განხორციელება საჭიროებს გრძელვადიან ფინანსურ რესურსებსა და ინვესტიციებს. ამ მიმართულებით ფინანსური სექტორის, სახელმწიფოსა და კერძო ინვესტორების ეფექტიანი თანამშრომლობა ქმნის საფუძველს ახალი პროექტების დაწყებისა და არსებული ინფრასტრუქტურის მოდერნიზებისთვის. ეკონომიკურ ფორუმზე ყურადღება გამახვილდა პროექტების დროულ და ხარისხიან დასრულებაზე, რადგანაც ინფრასტრუქტურული პროექტების გაჭიანურება ხშირად იწვევს ხარჯების ზრდას, საინვესტიციო რისკების მატებას და ეკონომიკური ეფექტის დაგვიანებას. შესაბამისად, პროექტების მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა, კონტროლის მექანიზმების გაძლიერება და შესრულების მკაფიო ვადების დაცვა წარმოადგენს ეკონომიკური ეფექტიანობის მნიშვნელოვან წინაპირობას. ფორუმზე ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ სამშენებლო სექტორი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს დასაქმების ხელშეწყობის კუთხით. იგი ქმნის სამუშაო ადგილებს როგორც უშუალოდ მშენებლობის პროცესში, ასევე მასთან დაკავშირებულ დარგებში – სამშენებლო მასალების წარმოებაში, ტრანსპორტირებაში, საინჟინრო მომსახურებაში, ფინანსურ და საკონსულტაციო საქმიანობაში. შედეგად, სექტორის განვითარება ხელს უწყობს მოსახლეობის შემოსავლების ზრდას და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ეკონომიკურ ფორუმზე დაანონსდა საგზაო ინფრასტრუქტურისა და ლოგისტიკური სისტემების სამომავლო განვითარება და აღინიშნა, რომ თანამედროვე გზები, ხიდები, გვირაბები და სატრანსპორტო დერეფნები ამცირებს გადაადგილების დროსა და ხარჯებს, ზრდის რეგიონებს შორის ეკონომიკურ კავშირებს და აძლიერებს საქართველოს, როგორც საერთაშორისო სატრანზიტო ჰაბის, ფუნქციას. ეფექტიანი ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვანია როგორც საგარეო ვაჭრობის, ისე ტურიზმის განვითარებისათვის, რადგან ის ზრდის ქვეყნის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზრებზე. ამავდროულად, სამშენებლო და ინფრასტრუქტურული პროექტები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ტურიზმის სექტორზეც. განახლებული საგზაო ქსელი, თანამედროვე აეროპორტები, სასტუმრო ინფრასტრუქტურა და კომუნალური სისტემები აუმჯობესებს ტურისტული მომსახურების ხარისხს და ზრდის ქვეყნის მიმზიდველობას საერთაშორისო ვიზიტორებისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც ხელს უწყობს ტურისტული ნაკადების უფრო თანაბარ განაწილებას ქვეყნის მასშტაბით.

საბოლოოდ, დისკუსიამ აჩვენა, რომ ინფრასტრუქტურა და მშენებლობა არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის ინსტრუმენტია, არამედ ქვეყნის გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის, საინვესტიციო მიმზიდველობის, დასაქმებისა და რეგიონული განვითარების ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია. თუმცა, ამ პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის აუცილებელია ფინანსური რესურსების ეფექტიანი მობილიზება, პროექტების დროული დასრულება, კვალიფიციური სამუშაო ძალის განვითარება და მდგრადი ინფრასტრუქტურული პოლიტიკის განხორციელება.

სპონსორები: საქართველოს ეკონომიკური ფორუმის გენერალური სპონსორი - საქართველოს ბანკი; საქართველოს ეკონომიკური ფორუმის მუდმივი პარტნიორი - UGT(იუჯითი). პარტნიორები:HunnewellCement (ჰანიველ ცემენტი); Galt&Taggart (გალტ & თაგარტი); ორბი ჯგუფი; ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაცია/ICCA; Tashub (ტასჰაბი); ELT Group; Forum Ekonomiczne/Economic Forum; Coca-Cola Bottlers Georgia; წყალი მთის (Water MTIS); Chelti Winery (მეღვინეობა ჩელთი).

ლაშა ტაბატაძე
ჟურნალ The New Economist
(ახალი ეკონომისტის)
პასუხისმგებელი მდივანი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ეკლესიის აღდგენა



აი, ეს გახლავთ „ლექარჩეს მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ეკლესია“, რომელიც შენდება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ნაკიანში, **ლექარჩეში.**

მისი ძირითადი პარამეტრებია: სიგანე - 8 მეტრი, სიგრძე - 13,5 მეტრი, სიმაღლე - 9,05 მეტრი.

აღნიშნული ეკლესია შენდება იმავე ადგილას და იმავე პარამეტრებით, სადაც ჩვენს წინაპრებს 1833 წელს აუშენებიათ ხის, ხოლო 1902 წელს - ქვის ეკლესია. (ეს ინფორმაცია აღებული გვაქვს საარქივო მასალებიდან. კერძოდ, ამავე ეკლესის საეკლესიო ჟურნალის 1909 წლის ჩანაწერის მიხედვით). თუმცა, 1933-34 წლებში ადგილობრივ კომუნისტებს დაუნგრევიათ. დღეს მიმდინარეობს ამ ეკლესიის აღდგენა საპატრიარქოს შესაბამისი საბჭოს მიერ დამტკიცებული პროექტის მიხედვით.

ანგარიშის ნომერი, სადაც შემომწირველებს შეუძლიათ თანხის ჩარიცხვა:

საქართველოს ბანკი. ლარში: GE81BG0000000574048941; მიმღები: ააიპ „ლექარჩე",

გფარავდეთ უფალი!

სიყვარულით,

ლოიდ ქარჩავა

სურათი 04.07.2026 მდგომარეობით.

The New ECONOMIST ახალი ეკონომისტი

International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of Sylfaen font 12, interval between lines - 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.

2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEG.

3. The article must have abstract in Georgian and English languages. The size should be 300-600 words, it must be picked up in Sylfaen and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.

4. The article will published in English, Russian, German and France languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian, Egnlish and Raussian languages too.

The price of article's publication is- 100 GEL (Lari) or 35 USD. And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 30 GEL (Lari) or 15 USD.

5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. LOI's account: identification code – 204439296, the account number- GE33LB0113168905809000,, "liberty bank", central office, bank code LERTGE22.

Our coordinates:

e-mail: loidk@yahoo.com; www.neweconomist.com.ge; www.loi.com.ge
Tel: 299 05 76; 555 277 554; 558 944 800.
PS. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

სტატიების მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, Sylfaen-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა – 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.

2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კორდინატები, (ტელეფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;

3. სტატიას უნდა ახლდეს ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე, მოცულობით 300-600 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად Sylfaen-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.

4. სტატია იბეჭდება ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს - 100 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება – 30 ლარი.

5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შეძენისა და/ან გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს "ლოი"-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი E33LB0113168905809000, სს "ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდია LERTGE22.

ელექტრონული ფოსტა: loidk@yahoo.com; www.neweconomist.com.ge; www.loi.com.ge
ტელ: 299-05-76; 555 277 554; 558 944 800.
PS. სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-ით აუცილებელი არ არის.

www.neweconomist.com.ge
E-mail: editor@neweconomist.com.ge